საქართველოს სახალხო დამცველის

საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ

2005

წლის მეორე ნახევარი

საქართველოს სახალხო დამცველის

საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ

2005
წლის მეორე ნახევარი

თბილისი 2006

საქართველოს სახალხო დამცველის
2005 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება
იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)
და ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

სარჩევი

1. პოლიცია და ადამიანის უფლებები 9

2. ხელშეუხებლობის უფლება 28

3. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგები და არსებული პრობლემები 30

4. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტის მოთავსებისა და მკურნალობის პირობები 46

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 54

6. ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის უფლება 62

7. ძირითადი სოციალური პრობლემები 69

8. საკუთრების უფლება 77

9. სასამართლო და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება 84

10. ბავშვთა უფლებები 89

11. მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით 95

12. მდგომარეობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით 103

13. სიტყვის თავისუფლება 108

14. არაჯეროვანი მმართველობა 119

15. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში 122

16. გენდერული თანასწორობის საკითხები 126

17. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული ღონისძიებები 132

18. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები 139

პოლიცია და ადამიანის უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტია პოლიციის საქმიანობაზე კონტროლი, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება.

უფლებათა დარღვევებზე რეაგირება ხდება როგორც მონიტორინგის შედეგად, ისე მოქალაქეთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები. ცემა და წამება, რაც პოლიციისთვის, ტრადიციულად, არაფორმალურად ძიების შემადგენელი ნაწილი იყო, უკვე იშვიათობად იქცა, თუმცა პრობლემად რჩება დაკავების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების ადეკვატურობა. ხშირად პოლიცია გადამეტებით იყენებს ძალას მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება არ არის.

მსგავსი ფაქტების შესახებ სახალხო დამცველის აპარატი ატყობინებს შესაბამის ორგანოებს. სახალხო დამცველთან არსებული პოლიციის საქმიანობაზე მონიტორინგის საბჭოს მიერ 2005 წლის განმავლობაში შს ორგანოებში შედგენილი უფლებადარღვევათა ოქმების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურასა და შს სამინისტროში 392 დაკავებულის უფლების დარღვევაზე გაიგზავნა მიმართვა. აქედან 146 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანება. მათგან 64-მა დაზიანება მიიღო დაკავებისას, რომელთაგან 26 პრეტენზიას აცხადებდა პოლიციელთა მხრიდან ფიზიკურ ზეწოლაზე.

მიმართვების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სულ 29 დაკავებულის უფლებების დარღვევაზე (როგორც დაზიანებებზე, ასევე სხვა პროცესუალურ დარღვევებზე). ამ ეტაპზე მიმდინარეობს 7 საქმის გამოძიება, ხოლო 22 საქმე შეწყდა ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. 16 დაკავებულზე შედგენილი ოქმები პროკურატურამ მათი ბრალდების საქმეებზე დასართავად გადაუგზავნა სასამართლოს. დღევანდელი მონაცემებით, არცერთ მათგანზე არ არის გამოტანილი კერძო განჩინება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, 2005 წლის 9 თვის განმავლობაში (სამწუხაროდ, სამი თვის – იანვრის, აპრილისა და მაისის – მონაცემები ჯერ-ჯერობით ვერ მივიღეთ) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეყვანილი პატიმრებიდან დაზიანებები აღენიშნებოდა 604 პირს, რომელთაგან 196 აცხადებდა, რომ მათ ეს დაზიანებები მიიღეს დაკავების პროცესში და წინასწარი დაკავების ადგილებში.

2005

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმე საქმეს პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე (ცემა, წამება, სასტიკი მოპყრობა, უკანონო დაკავება და ა.შ.).

2004 წლის 24 თებერვალს სოფელ ფონიჭალაში რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დავით ჯაფარ-ოღლი ჯაფაროვი, რომელსაც ჯერ დაკავების დროს სცემეს, შემდეგ კი პოლიციის განყოფილებაში. ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ შესასწავლად გაეგზავნა გენერალურ პროკურატურას, საიდანაც სახალხო დამცველს აცნობეს, რომ ხსენებულ ფაქტზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). ანალოგიური ფაქტი მოხდა დაკავებულ აკაკი გურგენიძის მიმართ, რომელსაც დაკავებისას ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა მიაყენეს ძლიერი ფიზიკური დაზიანებები. ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ზემოხსენებულ ფაქტზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება სსკ-ის 144[I]-ე მუხლის მეორე ნაწილით (წამება).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ სამმართველოს ზეპირი განცხადებით მიმართა ადვოკატმა ნინო რობაქიძემ. იგი აღნიშნავდა, რომ იცავდა ბრალდებულ თემურ ჭელიძის ინტერესებს, რომლის დაკავება მოხდა გიორგი მიქელაძისა და თემურ ვანაძის ჩვენებების საფუძველზე. ეს უკანასკნელნი არიან არასრულწლოვნები და აცხადებენ, რომ ჩვენება პოლიციაში ზეწოლის ქვეშ დააწერინეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქუთაისის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს გიორგი მიქელაძეს, თემურ ვანაძეს და სოფელ ზოტის საკრებულოს თავმჯდომარე ომარ ანთაძეს.

ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ 2005 წლის 30 აგვისტოს, დილის 6 საათისათვის, ჩოხატაურის პოლიციამ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში დააკავა იმავე სოფელში მცხოვრები თემურ ვანაძე (დაბ. 1988წ. 28.08) და ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში მცხოვრები გიორგი (ჯემალ) მიქელაძე (დაბ. 1986წ. 02.01), რომელიც იმჟამად ბაბუის სახლში სტუმრად იმყოფებოდა. ისინი ჩოხატაურის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

როგორც დაკავებულები განმარტავენ, მათზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება. გიორგი მიქელაძის თქმით, პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ პოლიციელებმა მას სცემეს. ხოლო როგორც თემურ ვანაძე განმარტავს, პოლიციელები მასზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რაც მუქარით გამოიხატებოდა. ასევე დაკავებულთა განმარტებით, დაკავების მომენტში მათ არ ეცნობათ, თუ რისთვის აკავებდნენ და რა დანაშაულის ჩადენაში იყვნენ ეჭვმიტანილები. მათივე თქმით, ისინი 3 დღის განმავლობაში იყვნენ უკანონო პატიმრობაში (1-3 სექტემბერი), ხოლო ამის შემდეგ გადაიყვანეს წინასწარი მოთავსების საკანში.

მიქელაძისა და ვანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე სახეზეა როგორც საქართველოს სსკ-ის 144[I]-ე, 144[II]-ე, 144[III]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, ასევე საქართველოს სსსკ-ის ზოგიერთი მუხლის მოთხოვნათა დარღვევა (73-ე, 142-ე, 145-ე). ასევე ჩვენ მიერ შემოწმდა აღნიშნულ პირთა დაკავების ოქმები, სადაც არ არის აღნიშნული, თუ რის საფუძველზე დააკავეს ეს პირები.

შეგროვილი მასალები წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით გაეგზავნა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორ მიხეილ ჩოგოვაძეს, საიდანაც ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

ზაალ აკობია დააკავეს ზუგდიდში, საკუთარ სახლში, 2005 წლის 18 აპრილს და, მისი თქმით, წაიყვანეს კედიას ქუჩაზე არსებულ სპეციალური დანიშნულების პოლიციის განყოფილებაში. ზაალ აკობიას განცხადებით: „ყველა მათგანს ეკეთა ნიღაბი. მათ ჩემი ცემა დაკავებისას დაიწყეს, ასევე

გააგრძელეს გზაში და შემდეგ ოფისში. თავდაპირველად ფეხზე ვიდექი, მაგრამ ცემისას დავეცი. სანამ მცემდნენ და მირტყამდნენ, პირში ნაჭერი ჩამჩარეს, რომ ვერ მეყვირა. ამის შემდეგ მათ პირში ჩამიდეს იარაღის ლულა და სიკვდილით მემუქრებოდნენ, თუკი „აღიარებას“ ხელს არ მოვაწერდი. ისინი მაშინებდნენ იმით, რომ ახალი საქმის ინსცენირებას მოაწყობდნენ, იმ შემთხვევაში, თუ მე შევძლებდი ამ საქმიდან თავის დაღწევას“. ზაალ აკობია ამტკიცებდა, რომ იგი უდანაშაულოა ჯემალ ნარმანიას მკვლელობაში და განაცხადა, რომ თვითმკვლელობას ჩაიდენდა იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. იმავე საღამოს იგი გადაიყვანეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ პოლიციაში. მისი განცხადებით, თავის ადვოკატს პირველად 19 აპრილს შეხვდა. მასთან ერთად დააკავეს ასევე ვახტანგ გუჩუა.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა როინ პეტელავამ ვახტანგ გუჩუასა და ზაალ აკობიას გამოკვლევა 2005 წლის 27 აპრილს ჩაუტარა და მათ სხეულებზე სისხლჩაქცევები და ნაკაწრები აღმოაჩინა. მისი შეფასების მიხედვით, დაზიანებები, რომლებიც მან დაახასიათა როგორც სუსტი, გამოწვეული იყო ბლაგვი საგნით.

ორივე მათგანი გათავისუფლებულ იქნა 2005 წლის 16 ივლისს და ყველა ბრალდება მოეხსნათ. მათ ბრალი ედებოდათ დამამძიმებელი გარემოებებით განზრახ მკვლელობაში, ხოლო ვახტანგ გუჩუას აგრეთვე ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებაში.

ზ. აკობია და ვ. გუჩუა დაკავებისთანავე ინახულეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოგვიანებით მათთან „ჰიუმან რაიტს უოტჩის“ წარმომადგენლებიც შეიყვანეს. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ზუგდიდის პროკურატურას ზაალ აკობიასა და ვახტანგ გუჩუას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ზუგდიდის პროკურატურამ 2005 წლის 3 ოქტომბერს მსვლელობა მისცა წინასწარ გამოძიებას. 1 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის განყოფილების სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი წარმომადგენელი დაკავებულ იქნა „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების“ ბრალდებით (სსკ-ის 333-ე მუხლი). წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ზაალ აკობიას პირში ჩაუდეს ნაჭერი, რათა მისი ყვირილის ხმა არ გასულიყო გარეთ. შემდეგ, ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელსაც ბრალი სამ სხვა პოლიციელთან ერთად წაუყენეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას, რათა მისგან აღიარება მიეღო.

მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს დაკავებული ჰყავდათ ირაკლი მზარეულაშვილი, თუმცა მისი დაკავების ოქმი არ იყო შედგენილი არც დაკავების დროს და არც განყოფილებაში მიყვანისას. აღნიშნულ ფაქტზე, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, თბილისის პროკურატურაში დაიწყო ი. მზარეულაშვილის უკანონო დაკავების გამო გამოძიება, 147-ე მუხლის I ნაწილით (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ბრალდებულ დავით კბილცეცხლაშვილის ინტერესების დამცველების: მიხეილ ჯმუხაძისა და მაია პაპელაშვილის განცხადება. ადვოკატების განმარტებით, დ. კბილცეცხლაშვილს ბრალი ედებოდა სსკ-ის 178-ე მუხლის I და II ნაწილის „გ“ პუნქტით.

საქმიდან გამომდინარე, ირკვეოდა, რომ ძირითად მტკიცებულებათა ბაზას შეადგენს მოწმე ნინო ჩიქოვანის სატელეფონო შეტყობინება, მოწმის დაკითხვის, ბრალდებულსა და მოწმე ნ. ჩიქოვანს შორის დაპირისპირების და ნ. ვართანოვას მიერ ბრალდებულ დ.კბილცეცხლაშვილის ამოცნობის ოქმები.

სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ნ. ჩიქოვანი და ც. ჩიქოვანი განმარტავდნენ, რომ პოლიციელებისა და დაზარალებულის ბებიის მხრიდან უშუალოდ მასზე და მის დაზე

– ციური ჩიქოვანზე იყო სისტემატური ზეწოლა, რათა დაესახელებინათ ნებისმიერი პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დააპატიმრებდნენ როგორც თანამონაწილეებს. ნ. ჩიქოვანის განმარტებით, ზემოაღნიშნული პირების ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ ის აიძულა, დაერეკა პოლიციის განყოფილებაში, ასევე, მოწმის დაკითხვისას ოქმში და მოწმესა და ბრალდებულს შორის დაპირისპირებისას დაესახელებინა დამნაშავედ დ. კბილცეცხლაშვილი. იმავე შინაარსის იყო დ. კბილცეცხლაშვილის ადვოკატების სახელზე დაწერილი ნ. ჩიქოვანის განცხადება, სადაც ასევე უარყოფდა ადრე მიცემულ ჩვენებებს და აცხადებდა, რომ აიძულეს, მიეცა აღნიშნული ჩვენებები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიმართა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურას, საიდანაც გვაცნობეს, რომ დავით კბილცეცხლაშვილის საქმე 2005 წლის 6 ოქტომბერს საბრალდებო დასკვნით, არსებითად განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა გიორგი ჯავახიშვილის განცხადება, რომელიც აღნიშნავდა, რომ მის მიმართ, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, ქ.თელავის შს განყოფილების თანამშრომლებმა განახორციელეს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა. კერძოდ, მას აიძულებდნენ, ეღიარებინა მეზობლის ვენახის გაჩეხვა. ზეწოლის შედეგად მან მისცა აღიარებითი ჩვენება. აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დაწყების თაობაზე, რის შედეგადაც სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებ-რივი უფლებამოსილების გადამეტება) დაიწყო წინასწარი გამოძიება.

აქვე მინდა შევეხო პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის იმ ფაქტებს, რომლებიც საკმაოდ მკაცრად შეფასდა სახალხო დამცველის წინა მოხსენებებში.

2003 წლის 22 მაისს გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ დააკავა ხვიჩა კვირიკაშვილი, რომელიც მეორე დღეს, სახლში დაბრუნების შემდეგ, გარდაიცვალა. მას სხეულზე აღენიშნებოდა წამების კვალი. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პოლიციის ორ თანამშრომელს – ჯემალ სანაიასა და პავლე ტატუნაშვილს – სასტიკი საყვედური გამოეცხადათ, მესამე თანამშრომელი, როლანდ მინაძე, კი 6 თვით დააპატიმრეს და შემდეგ გაათავისუფლეს. ამის შესახებ საუბარი იყო 2004 წლის საპარლამენტო მოხსენებაში. მოხსენების შემდეგ ვითარება შეიცვალა და ძიება გაგრძელდა როლანდ მინაძის მიმართ, რომელსაც სასამართლომ განაჩენი დაუდგინა სსკ-ის 369-ე (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით, ხოლო 333-ე მუხლის მესამე ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) საქმე გასაჩივრებულია.

ასევე, 2004 წლის საპარლამენტო მოხსენების შემდეგ შეიცვალა ვითარება პატრულის თანამშრომელ გ. ვაშალეიშვილის მიერ მოქალაქე ა.რობაქიძის მკვლელობის საქმეზე. 2004 წლის 23 ნოემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გრიგოლ ვაშალეიშვილმა დიდუბეში იარაღის გასროლით მოკლა მოქალაქე ა. რობაქიძე. თავდაპირველად საქმე აღიძრა ა. რობაქიძის თანამგზავრების მიმართ, რომელთაგან ორი მოხსენების წაკითხვის დროისთვის, 2005 წლის აპრილში, დაპატიმრებული იყო. მოხსენებაში ჩვენ ეჭვის ქვეშ დავაყენეთ გამოძიების ვერსიები და მივიჩნიეთ, რომ ძიება შეგნებულად მიდიოდა არასწორი მიმართულებით, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პატრულის მიმართ ნდობა, რომელიც სწორედ იმ პერიოდში ჩნდებოდა. 2004 წლის საპარლამენტო მოხსენების შემდეგ ძიების ვერსია შეიცვალა და გ. ვაშალეიშვილი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამჟამად საქმეს იხილავს სასამართლო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ლ.ლევიძემ 2003 წლის 18 დეკემბერს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, საქართველოს ადმინისტარციულ სამართალდარღვევათა კოდექ-

სის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, იმის გაურკვევლად, ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ადმინისტრაციული წესით დააკავა მოქალაქე გიორგი ინასარიძე, რის შესახებ არ შეატყობინა დაკავებულის ახლო ნათესავებს. დაკავების ადგილზე ჩატარებული ჩხრეკისას გ. ინასარიძისგან ამოღებულ იქნა მოთეთრო ფერის ფხვნილი და მობილური ტელეფონი, რომლითაც მას არ მისცეს შესაძლებლობა, დაერეკა ახლობლებთან და იგი დაილუქა ფხვნილთან ერთად. ამის შემდეგ ლ. ლევიძემ ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე, კერძოდ, დაკავების ოქმში შეიტანა ყალბი ჩანაწერი, თითქოს გ.ინასარიძის დაკავების შესახებ ეცნობა მის ძმას. იმავე დღეს უკანონოდ დაკავებული გ. ინასარიძე, 18 საათზე, მიყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც ლ. ლევიძემ კვლავ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ დაედგინა, იმყოფებოდა თუ არა გ. ინასარიძე ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და ამით ჩადენილი ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა წარედგინა იგი სს „ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში", მან დაკავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიყვანა, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვა გ. ინასარიძეს, მისი პირადი ჩხრეკის დამსწრე მოქალაქეებს და მხოლოდ ამის შემდეგ, 19 საათზე, წარადგინა იგი სს „ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში". ჩატარებული კლინიკური შემოწმებით დადგინდა გ. ინასარიძის ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი.

ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ, გ. ინასარიძე, დაკავების ნაცვლად, ლ.ლევიძემ განზრახ უკანონოდ გააჩერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც მის მიმართ გამოიყენა ძალადობა და სხეულზე დაზიანებები მიაყენა. 2003 წლის 19 დეკემბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გ.ინასარიძეს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა 10 დღე-ღამის პატიმრობა და იგი მოთავსებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში, სადაც 2003 წლის 20 დეკემბერს, დილის 9 სათზე, საკანში აღმოჩენილ იქნა მისი გვამი, რომელიც ჩამოკიდებული იყო ორიარუსიანი საწოლის მე-2 იარუსზე დამაგრებული, ყელზე გაკეთებული ნაჭრის მარყუჟით.

ლ.ლევიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი სიყალბე) და მიესაჯა თავისუფლების 6 წლის ვადით აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი გასაჩივრებულ იქნა და უზენაესი სამსამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის (თავმჯდომარე დ. სულაქველიძე) 2006 წლის 2 მარტის განჩინებით განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ, მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია შეიცვალა სამსახურებრივი გულგრილობით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და 9 თვის ვადით. მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით რეალურად დაუსჯელი დარჩა პოლიციის თანამშრომელი, რომლის დანაშაულებრივ ქმედებასაც ემსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2005 წლის 1 ივნისიდან 2006 წლის მარტის მდგომარეობით სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მიმართ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული დანაშა-ულით წინასწარი გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 10 საქმეზე; სსკ-ის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) – 73 საქმეზე; სსკ-ის 335-ე მუხლით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) – 5 საქმეზე; სსკ-ის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) – 3 საქმეზე; სსკ-ის 144^{1} მუხლით (წამება) – 29 საქმეზე; სსკ-ის 142^{2} მუხლით (წამების მუქარა) – 1 საქმეზე; სსკ-ის 144^{3} მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) – 4 საქმეზე. აქედან 10 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 15 პირი, რომელთაგან სასამართლოს გადაეცა 5 სისხლის სამართლის საქმე.

დღეისათვის წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს 56 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო წინასწარი გამოძიება შეწყვეტილია 64 სისხლის სამართლის საქმეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ის პირები, ვისზეც დაკავებისას ან დაკავების შემდეგ პოლიციელთა მხრიდან განხორციელდა ფიზიკური ძალადობა და სასტიკი მოპყრობა, ცვლიან თავიანთ ჩვენებებს, უარყოფენ აღნიშნულ ფაქტებს და აცხადებენ, რომ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ, რაც გამოწვეულია შიშით, არ დაუმძიმონ მდგომარეობა ძიების პროცესში, რასაც ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლის იარაღად იყენებენ სამართალდამცავები.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაიწყო მუშაობა დაკავების დროს ძალის გამოყენების სტანდარტებზე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ეს იქნება მეორე ეტაპი. პირველი ეტაპი კი არის ის, რომ პოლიციის განყოფილებებში მნიშვნელოვნად შემცირდა დაკავებულთა ცემა-წამება, როგორც პოლიციელების მხრიდან „აუცილებელი ქცევა“ და მეთოდი.

რეკომენდაციები

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრა შენარჩუნებულ იქნეს ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტად;
- უზრუნველყოფილ იქნეს ადეკვატური დაცვა იმ დაკავებულებისა, რომლებიც შეიტანენ საჩივარს წამების ან სასტიკი მოპყრობის თაობაზე, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, საჩივარი შეიტანონ სამომავლო დევნისა ან შურისძიების შიშის გარეშე;
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გაიწვრთნან წამების გარეშე გამოძიების მეთოდების გამოყენებაში, მათ ასევე ასწავლონ დაკავების დროს მხოლოდ კანონიერი და პროპორციული მეთოდების გამოყენება;
- უზრუნველყოფილ იქნეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ საიდენტიფიკაციო ნიშნების მუდმივად ტარება დაპატიმრებისას, ასევე დაკავების დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულებისას და აგრეთვე დაკავებულებსა და პატიმრებთან შეხვედრისას;
- აიკრძალოს ნიღბებისა და პოლიციელის ვინაობის დამფარავი სხვა საშუალების გამოყენება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აუცილებლობა აიხსნება პოლიციის თანამშრომლის უსაფრთხოების მოტივით. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყოველ თანამშრომელს, მათ შორის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებსაც, ეკეთოს პირადი განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად პირადი ნომერი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პირის ამოცნობა;
- პოლიციის რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს მუნიციპალური პოლიციის შექმნა.

პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკური ანალიზი (ივლისი-დეკემბერი, 2005 წელი)

სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებობს მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ძირითადი ფუნქცია პოლიციის საქმიანობაზე კონტროლი, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირებაა. 2005 წლის იანვრიდან მონიტორინგის ჯგუფი პოლიციის რაიონული განყოფილებების, ქვეგანყოფილებებისა და თბილისის ქალაქის სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის მონიტორინგს ინტენსიურად ახორციელებს. თითოეულ აღმოჩენილ დარღვევაზე არსებობს ოქმების წარმოების პრაქტიკა, რის საფუძველზეც სახალხო დამცველის აპარატის კვლევისა და შეფასების ცენტრში ყოველთვიურად პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების ამსახველი ინფორმაცია იყრის თავს. მიღებული მონაცემების დამუშავება პრობლემატური საკითხების გამოვლენის, მათზე მსჯელობისა და გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა.

მონიტორინგის ჯგუფების მიერ ხორციელდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება. მონიტორინგის ჯგუფები პოლიციის წინასწარი დაკავების საკნების შემოწმებისას განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სხვა არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტებზე. ასევე მიმდინარეობს კონტროლი პოლიციის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შესრულებაზე. პროცესუალურ ნორმებში იგულისხმება: დაკავებულისთვის თავისი უფლებების განმარტება, შეტყობინების უფლება, დუმილის უფლების განმარტება, დაცვის (ადვოკატის აყვანის) უფლების განმარტება და რეალიზება, დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლისა და ეჭვმიტანილის დაკავების ოქმის ასლის გადაცემა.

იანვრის თვიდან მონიტორინგის ჯგუფების მუშაობა განსხვავებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა. იანვრისა და თებერვლის თვეებში მონიტორინგი გაცილებით აქტიური იყო, ვიდრე მარტსა და აპრილში. გარკვეულ ეტაპზე მოქმედებდა პოლიციის 24-საათიანი მონიტორინგის რეჟიმი, რაც გარკვეულწილად პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენციულ ხასიათს ატარებდა. მაისის თვიდან მონიტორინგის ჯგუფების პოლიციის განყოფილებებში ვიზიტების დინამიკა სტაბილურად იზრდება. ივნისსა და ივლისში ვიზიტების რიცხვი წინა თვეების მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში მონიტორინგი მხოლოდ თბილისის ქალაქის სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ნოემბრის თვიდან აღდგა პოლიციის მონიტორინგი რაიონული განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების მიხედვით.

მონიტორინგის ჯგუფების პოლიციის განყოფილებებში ვიზიტების დინამიკა თვეების მიხედვით



2005 წლის ივლისი-დეკემბრის განმავლობაში მონიტორინგის საბჭოს მიერ თბილისის მასშტაბით პოლიციის განყოფილებებსა და ქალაქის სამმართველოში 961 ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა აგვისტოს თვეში – 397, მინიმალური კი სექტემბრის თვეში – 23.

მონიტორინგის საბჭოს მიერ პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში განხორციელებული 961 ვიზიტის შედეგად 1147 დარღვევაა აღმოჩენილი, აქედან ადამიანის უფლებათა დარღვევების რაოდენობა შეადგენს 1136-ს, რაც დარღვევათა საერთო რაოდენობის 99%-ია. პროცესუალური დარღვევების რაოდენობაა 11 (1%).

მონიტორინგის ჯგუფის მონაცემებით ადამიანის უფლებათა დარღვევების დინამიკა თვეების მიხედვით

მონიტორინგის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოს თვეში დაფიქსირდა – 298, მინიმალური კი დეკემბრის თვეში – 67.

რაც შეეხება სამართალდამცავთაგან კანონით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შეუსრულებლობას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მარტი-აპრილის მონაცემებით მნიშვნელოვნად გამოსწორდა სამართალდამცავთა მიერ სარეგისტრაციო ჟურნალის არასწორად წარმოების პრაქტიკა. იანვარი-თებერვლის თვეებისათვის დამახასიათებელი დარღვევები, როგორიცაა, მაგალითად, დაკავებულის სარეგისტრაციო ჟურნალში არასწორი/არასრული რეგისტრაცია, აპრილის თვიდან მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო ივლისის, აგვისოტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში მსგავსი დარღვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა ნოემბრის თვეში მონიტორინგის ჯგუფებმა პოლიციის რაიონულ განყოფილებებში არასწორი/არასრული რეგისტრაციის 11 შემთხვევა აღმოაჩინეს.

მონიტორინგის დროს ადგილზე ხორციელდებოდა წინასწარი დაკავების საკნებში არსებულ დაკავებულ პირთა ფიზიკური დათვალიერება და დაკითხვა. აშკარა სამართალდარღვევის, სხეულის შესამჩნევი დაზიანების ან სხვა რაიმე საეჭვო გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფის წევრები, პირველადი რეაგირების სახით, პოლიციის თანამშრომლებისაგან ახსნა-განმარტების ითხოვდნენ, ხოლო შემდეგ დაზარალებულს ინციდენტის ამსახველ წერილობით ჩვენებას ართმევდნენ.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაიკითხა 347 დაკავებული, აქედან 190-ს აღენიშნებოდა სხეულის შესამჩნევი დაზიანებები, რაც დაკავებულთა საერთო რაოდენობის 54%-ს შეადგენს, აღნიშნული 190 პიროვნებიდან კი მხოლოდ 20 აღიარებდა ფიზიკური ზეწოლის ფაქტს, რაც დაზიანებების მქონე დაკავებულთა 10%-ია. დაკავებულებზე ფიზიკური დაზიანების ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოს თვეშია აღმოჩენილი – 64 ფაქტი, მინიმალური კი ნოემბერში – 2 შემთხვევა.



2005

ფიზიკური დაზიანების ფაქტების დინამიკა თვეების მიხედვით



ფიზიკური დაზიანების პროცენტული მაჩვენებელი დარღვევათა საერთო რაოდენობაში

მონიტორინგის ჯგუფების წევრებთან საუბრისას დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ 20 დაკავებულზე სამართალდამცავებმა მოახდინეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, 110 დაკავებულს არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ, 261 დაკავებულს არ ჩაბარდა ეჭვმიტანილის დაკავების ოქმის ასლი, 100-ს არ განემარტა დუმილის უფლების შესახებ, 178 დაკავებულის მიმართ დაირღვა შეტყობინების უფლება (არ მიეცათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება), 95-ს არ განემარტა დაცვის უფლების შესახებ, 178 დაკავებულს არ გადაეცა დაკავებულის უფლებათა ნუსხის ასლი.

ივლისი-დეკემბრის თვეებში მონიტორინგის შედეგად დაკავებულთა შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის არარსებობის ფაქტი არ დაფიქსირებულა.



მონიტორინგის შედეგად პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში 347 უფლებაშელახულია აღმოჩენილი. უფლებაშელახულთა მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოში დაფიქსირდა – 99, მინიმალური კი დეკემბერში –17.

ზოგადად, მონიტორინგის ჯგუფების მიერ აღმოჩენილ უფლებაშელახულთა უმრავლესობა მამაკაცია, მათი რაოდენობაა – 266, რაც უფლებაშელახულთა საერთო რაოდენობის 77%-ია. უფლებაშელახულთა შორის არის 51 ქალი და 30 – არასრულწლოვანი ვაჟი.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი 347 უფლებაშელახული პირიდან 60 ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია.

მონიტორინგის ჯგუფის მონაცემებით უფლებაშელახულთა დინამიკა თვეების მიხედვით



დაზარალებულთა შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დინამიკა თვეების მიხედვით



2005

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა (ივლისი-დეკემბერი, 2005)

დარღვევის ტიპი	VII	VIII	IX	X	XI	XII	ჯამი
აღენიშნება ფიზიკური დაზიანებები	23	64	43	49	2	9	190
აღიარებს, რომ განიცადა ფიზიკური ზეწოლა	9	3	3	4	0	1	20
ამბობს, რომ განიცადა ფსიქოლოგიური ზეწოლა	7	5	3	4	1	3	23
მას არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება	36	70	61	61	20	13	261
არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ	13	31	22	27	9	8	110
არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება	32	53	38	39	7	9	178
არ განემარტა ადვოკატის აყვანის უფლების შესახებ	12	26	17	24	9	7	95
არ არის რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჟურნალში	1	0	0	0	0	0	1
არ განემარტა დუმილის უფლების შესახებ	12	29	19	23	9	8	100
არ გადაეცა დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლი	14	20	50	65	19	10	178
სულ ადამიანის უფლების დარღვევათა რაოდენობა	**150**	**298**	**253**	**292**	**76**	**67**	**1136**
რეგისტრაციის ჟურნალი არ არსებობდა	0	0	0	0	0	0	0
აღმოჩენილი იყო ორი ან მეტი რეგისტრაციის ჟურნალი	0	0	0	0	0	0	0
დაფიქსირდა ჟურნალში არასწორი/არასრული რეგისტრაცია	0	0	0	0	11	0	11
არ გააღეს ყველა საკანი	0	0	0	0	0	0	0
არ გააღეს ყველა ოთახი	0	0	0	0	0	0	0
პოლიციის თანამშრომლებმა გაწიეს წინააღმდეგობა	0	0	0	0	0	0	0
სულ პროცედურული დარღვევა	**0**	**0**	**0**	**0**	**11**	**0**	**11**
დარღვევათა საერთო რაოდენობა	**150**	**298**	**253**	**292**	**87**	**67**	**1147**
მომჩივანი / მსხვერპლი / უფლებაშელახული							
ქალი	9	9	7	18	4	4	51
კაცი	42	83	58	60	11	12	266
არასრულწლოვანი გოგონა	0	0	0	0	0	0	0
არასრულწლოვანი ვაჟი	1	7	8	5	8	1	30
ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი	12	20	4	18	3	3	60
რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი	0	0	0	0	0	0	0
სულ რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში	**52**	**99**	**73**	**83**	**23**	**17**	**347**
გეოგრაფია (მიუთითეთ განყოფილებების რაოდენობა)							
თბილისის ქალაქის სამმართველო	28	29	16	16	6	5	100
გლდანი-ნაძალადევი	87	108	0	0	44	25	264
დიდუბე-ჩუღურეთი	47	54	0	0	18	14	133
ვაკე-საბურთალო	57	59	7	7	18	9	157
მთაწმინდა-კრწანისი	35	29	0	2	17	7	90
ისანი-სამგორი	84	70	0	0	45	18	217
სულ განყოფილებების რაოდენობა	**338**	**349**	**23**	**25**	**148**	**78**	**961**

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში შესული პატიმრების ჯამური სტატისტიკა 2005 წლის თვეების მიხედვით

თვე	სხეულის დაზიანებებით მიღებული პატიმრების საერთო რიცხვი	დაკავების პროცესში ან წინასწარი დაკავების ადგილებში დაზიანებამიყენებული პატიმრების რიცხვი	დაკავების პროცესში ან წინასწარი დაკავების ადგილებში დაზიანებამიყენებული პატიმრების პროცენტული მაჩვენებელი სხეულის დაზიანებებით მიღებულ პატიმართა საერთო რაოდენობიდან	დაკავების პროცესში ან წინასწარი დაკავების ადგილებში დაზიანებამიყენებული პატიმრების საშუალო წლიური პროცენტული მაჩვენებელი სხეულის დაზიანებებით მიღებულ პატიმართა საერთო რაოდენობიდან
იანვარი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ინფორმაცია არ მოგვაწოდა			
თებერვალი	91	43	47	
მარტი	47	9	19	
აპრილი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ინფორმაცია არ მოგვაწოდა			
მაისი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ინფორმაცია არ მოგვაწოდა			**31± 8.7(%)**
ივნისი	47	12	26	
ივლისი	43	21	40	
აგვისტო	80	21	26	
სექტემბერი	80	25	31	
ოქტომბერი	88	24	27	
ნოემბერი	63	17	27	
დეკემბერი	65	24	37	
წლიური ჯამი	**604**	**196**	**32**	

2005

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში სხეულის დაზიანებებით შესული პატიმრების ჯამური სტატისტიკა 2005 წლის თვეების მიხედვით



თბილისის დროებითი დაკავების N2 იზოლატორში დაზიანებებით შესული პატიმრების ჯამური სტატისტიკა 2005 წლის თვეების მიხედვით



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (თბილისის) დმი N2-ში სხეულის დაზიანებებით შესული პატიმრების ჯამური სტატისტიკა 2005 წლის თვეების მიხედვით

თვე	სხეულის დაზიანებებით მიღებული პატიმრების საერთო რიცხვი	დაკავების პროცესში დაზიანებამიყენებული პატიმრების რიცხვი	დაკავების პროცესში დაზიანებამიყენებული პატიმრების პროცენტული მაჩვენებელი სხეულის დაზიანებებით მიღებულ პატიმართა საერთო რაოდენობიდან
იანვარი	56	17	30
თებერვალი	13	6	46
მარტი	79	12	15
აპრილი	58	9	16
მაისი	53	4	8
ივნისი	(Σ354) 75	16	21 (5*)
ივლისი	(Σ325) 77	18	23 (6*)
აგვისტო	(Σ320) 78	8	10 (3*)
სექტემბერი	76	14	18
ოქტომბერი	(Σ368) 64	6	9 (2*)
ნოემბერი	(Σ78**) 7**	3	43**
დეკემბერი	(Σ234**) 52	13	25 (6**)
წლიური ჯამი	**688**	**126**	**18**

Σ თვის განმავლობაში შემოსულ პატიმართა საერთო რაოდენობა
* წილი თვის განმავლობაში შემოსული პატიმრების საერთო რაოდენობიდან
** არასრული მონაცემები

2005

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2005 წლის მანძილზე შს ორგანოებში შედგენელი უფლებადარღვევათა ოქმების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურასა და შს სამინისტროში გაიგზავნა მიმართვა 392 დაკავებულის უფლებების დარღვევაზე. აქედან 146 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანება, მათგან 64-მა დაზიანება დაკავებისას მიიღო, 26 პრეტენზიას აცხადებდა პოლიციელთა მხრიდან ფიზიკურ ზეწოლაზე, ხოლო დანარჩენებს დაზიანებები დაკავებამდე ჰქონდათ მიღებული. მიმართვების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სულ 29 დაკავებულის უფლებების დარღვევაზე (როგორც დაზიანებებზე, ასვე პროცესუალურ დარღვევებზე). ამ ეტაპზე 14 საქმის გამოძიება მიმდინარეობს, ხოლო 15 საქმეზე გამოძიება ფაქტის დაუდასტურებლობის გამო შეწყდა. 16 დაკავებულზე შედგენილი ოქმები პროკურატურამ მათი ბრალდების საქმეზე დასართავად სასამართლოს გადაუგზავნა.

დროებითი მოთავსების იზოლატორების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი

2006 წლის თებერვალ-მარტის განმავლობაში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შიდა ქართლში (ქარელის, ხაშურის, გორის, კასპის), მცხეთა-მთიანეთში (დუშეთის, თიანეთის, ახალგორის), ქვემო ქართლსა (რუსთავის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, წალკის) და კახეთში (თელავის, გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, ახმეტის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს) დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი ჩაატარეს. მონიტორინგი აღნიშნულ დაწესებულებებში არსებული პირობებისა და ტექნიკური მდგომარეობის შესწავლასა და დარღვევების გამოვლენას ისახავდა მიზნად.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების უდიდესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია: შენობები დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს, მოშლილია საკანალიზაციო, სავენტილაციო და გათბობის სისტემები, საკნებსა და საგამოძიებო ოთახებში ჩამოდის წყალი, ჩამსხვრეულია მინები, საკნები არ თბება, არ არის ნარები და დაკავებულებს ხშირად იატაკზე უწევთ დაძინება.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში პრობლემატურია დაკავებულთა კვების საკითხიც. კანონის თანახმად, პირმა დროებითი მოთავსების საკანში არ უნდა დაყოს 72 საათზე მეტი (აქედან 48 საათი, როგორც ეჭვმიტანილმა და 24 – ბრალდებულის სტატუსით). ამ ხნის განმავლობაში მისი კვება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მძიმე პირობები და ანტისანიტარია იქ მყოფი დაკავებული პირების ადამიანურ ღირსებას ლახავს და არღვევს ადამიანის უფლებებს.

რაც შეეხება თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორს, გარემონტების შედეგად მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გთავაზობთ დროებითი მოთავსების იზოლატორების ტექნიკური მდგომარეობის ამსახველ ინფორმაციას რეგიონების მიხედვით.

კახეთის რეგიონი

1. შსს თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი:

- სულ 6 (ექვსი) საკანი
- საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
- არ თბება არცერთი საკანი
- არ არის ფანჯრებზე მინები
- არის ანტისანიტარიული პირობები

2. შსს გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორი:

- სულ 9 (ცხრა) საკანი
- საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
- არ თბება არცერთი საკანი
- არ არის ფანჯრებზე მინები
- არის ანტისანიტარიული პირობები

3. **შსს ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 6 (ექვსი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

4. **შსს სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 6 (ექვსი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

5. **შსს ახმეტის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 3 (სამი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

6. **შსს ლაგოდეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 5 (ხუთი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

7. **შსს დედოფლისწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 3 (სამი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არის წყლის გაყვანილობა
   - საკნებში არ არის ნარები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

8. **შსს საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 4 (ოთხი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

შიდა ქართლის რეგიონი

1. **შსს ქარელის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 5 (ხუთი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არის წყლის გაყვანილობა
   - არის ანტისანიტარიული პირობები

2. **შსს ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 5 (ხუთი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

3. **შსს გორის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 12 (თორმეტი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

4. **შსს კასპის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - სულ 7 (შვიდი) საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ თბება არცერთი საკანი
   - საკნებსა და საგამოძიებო ოთახში ჩამოდის წყალი
   - არის ანტისანიტარიული პირობები

5. **შსს მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი:**
   - არ თბება არცერთი საკანი

ქვემო ქართლის რეგიონი

1. **შსს რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არსებობს დაკავებულთა კვების სისტემა და მათი კვება ხდება ძირითადად ამანათების ხარჯზე
   - არის ანტისანიტარიული პირობები

2. **შსს გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ აქვთ დაკავებულთათვის სუფთა საბნები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

3. **შსს თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 4 (ოთხი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - საკნებში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ აქვთ თბილი საბნები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

4. **შსს ბოლნისის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 5 (ხუთი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა

5. **შსს დმანისის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 2 (ორი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ აქვთ თბილი საბნები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

6. **შსს წალკის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 3 (სამი) საკანი;
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობის სისტემა
   - არის ანტისანიტარიული პირობები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

1. **შსს დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 3 (სამი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობის სისტემა
   - არის ანტისანიტარიული პირობები

2. **შსს თიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 2 (ორი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის დასაწოლი ნარები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

3. **შსს ახალგორის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 5 (ხუთი) საკანი
   - ხუთივე საკანი არის გამოუსადეგარ მდგომარეობაში
   - შენობა არის ამორტიზებული

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

1. **შსს ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 8 (რვა) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობის სისტემა
   - არის ანტისანიტარიული პირობები

2. **შსს ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 6 (ექვსი) საკანი
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ არის წყლის გაყვანილობის სისტემა
   - არის ანტისანიტარული პირობები

3. **შსს ადიგენის დროებითი მოთავსების იზოლატორი**
   - სულ 4 (ოთხი) საკანი
   - ოთხი საკნიდან ნარები არის მხოლოდ ერთში
   - არ თბება არცერთი საკანი
   - არ არსებობს სავენტილაციო სისტემა
   - არ აქვთ თბილი საბნები
   - არის ანტისანიტარიული პირობები

2 ხელშეუხებლობის უფლება

2005 წლის 15 ივლისს, დღის 2 საათზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან „თეთრი სახლის“ სიახლოვეს, ავტომობილით მიმავალ ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. მას თავს დაახლოებით 8 ნიღბიანი დაესხა. მასთან ერთად ავტომობილში დაცვის წევრი მალხაზ ცხაკაია და გელაშვილის მამიდაშვილი, სამშენებლო ფირმა „ევრას“ დირექტორი მეგი ლომიძე იმყოფებოდნენ. მძიმედ დაშავდა თავად გელაშვილი, მას ორივე ყბა მოტეხილი ჰქონდა და აღენიშნებოდა სახის მძიმე დაზიანება. შედარებით მსუბუქი დაზიანებები ჰქონდა დაცვის წევრს. ქალბატონისთვის თავდამსხმელებს შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, მას იარაღის მუქარით ერთ ადგილზე გაჩერება მოსთხოვეს, როდესაც გაქცევა დააპირა. ოფიციალურად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „ოპელ-ომეგას“ მარკის ორი ავტომობილი პარლამენტარის მანქანას წინ გადაუდგა. თავდამსხმელებმა თან წაიღეს მეგი ლომიძის ხელჩანთა და გელაშვილის პირადი საბუთები.

მიუხედავად იმისა, რომ თავად დაზარალებული და მისი თანაპარტიელები გამორიცხავდნენ ყაჩაღობის ფაქტს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა ლევან ბეროძემ მომხდარი ფაქტიდან ერთ საათში, რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, განაცხადა, რომ თავდასხმა მოხდა ფულის გამოძალვის მიზნით. გამოძიება სწორედ ამ ვერსიაზე აგრძელებს მუშაობას, თუმცა, ალბათ, ბევრმა ნახა ის კადრები, სადაც დაფიქსირებულია, რომ საავადმყოფოში მყოფ ვალერი გელაშვილს მსხვილი ოქროს ჯაჭვი ეკეთა, რაც ყაჩაღობის ვერსიას საეჭვოს ხდის.

14 ივნისს გელაშვილი მეუღლის მანქანით მოძრაობდა, რადგან იმ დილით მისი დაჯავშნული ავტომობილი არ დაიქოქა. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, 13 ივნისს გელაშვილი პატრულმა გააჩერა და შეამოწმა, რამდენი კაცი იყო მის პირად დაცვაში და რა იარაღი ჰქონდათ დაცვის თანამშრომლებს. დაზარალებულმა ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაფერი სპეცსამსახურის ნამუშევარი იყო. იგი მომხდარს თავის სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებს უკავშირებს. მისი თქმით, მან ერთ-ერთ თავდამსხმელში შსს მეშვიდე განყოფილების ოპერატიული მუშაკი ამოიცნო.

იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც ვალერი გელაშვილმა ამ ფაქტამდე ხელისუფლების

მისამართით გააკეთა, ჩნდება ეჭვი, რომ თავდასხმა ორგანიზებული იყო თავად ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ დანაშაული მოხდა დღისით, შუაგულ ქალაქში და დღემდე ვერ ხერხდება მისი გამოძიება. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, გამოიძიოს ნებისმიერი მსგავსი დანაშაული, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება პარლამენტის წევრს, რომელსაც იცავს იმუნიტეტი. სამართალდამცავმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ თავდასხმის დროულად გამოძიებისათვის.

3 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგები და არსებული პრობლემები

შესავალი

გასული წლის განმავლობაში და მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სისტემატურად ატარებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს. გამოიკვეთა არაერთი პრობლემა და აქტუალური საკითხი, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებდა და ამის შესახებ თითქმის ყველა გამოსვლაში ვსაუბრობდით. გასული წლის ბოლომდე, წლების განმავლობაში არსებული პრობლემები თითქმის უცვლელი იყო და არ არსებობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ნება არსებული სიტუაციის შეცვლისა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, რეალურად დაიწყო ბრძოლა ციხეებში არსებული განუკითხაობის წინააღმდეგ, რასაც ყოველთვის დაჟინებით მოვითხოვდით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაგან.

მოკლედ გავიმეორებთ იმ პრობლემებსა და შეფასებებს, რაც საკმაოდ ფართოდ ავსახეთ 2004 წლის ანგარიშში და რაც უცვლელად გრძელდებოდა 2005 წლის დეკემბრის ბოლომდე. კერძოდ, ეს იყო სამი ძირითადი პრობლემა: ტოტალური კორუფცია; ნარკოტიკების შეუზღუდავი და აბსოლუტურად კონტროლირებადი გასაღება, ერთდროულად ადმინისტრაციისა და კრიმინალების მხრიდან; კანონიერი ქურდების სრული კონტროლი ციხეში მიმდინარე პროცესებზე და მეტიც, გარეთ მიმდინარე მოვლენების კონტროლი ციხიდან.

კანონიერი ქურდები ტოტალურად აკონტროლებდნენ ციხეში მიმდინარე მოვლენებს, ისინი არა მხოლოდ განსხვავებულ, მდიდრულად მოწყობილ საკნებში ცხოვრობდნენ, რომელთა კარი არასდროს იკეტებოდა, ეს იყო ციხის „ოქროს წესი“, – არამედ ციხის შიგნით „მართლმსაჯულებას“ აღასრულებდნენ: – ნებისმიერი პატიმარი ვალდებული იყო, ყოველთვიურად გაელო ხარკი ე.წ. „საერთოსთვის“ („ობშიაკი“), ხოლო ვინც არ გადაიხდიდა, სასტიკად ისჯებოდა. იყო შემთხვევები, როცა გარკვეული ქმედებისათვის, რაც ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წესების დარღვევად მიიჩნევა, „დამრღვევები“ სასტიკად, ზოგჯერ სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ, თუმცა ამის დამტკიცება ვერ ხერხდებოდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაცია, როგორც წესი, სა-

გულდაგულოდ შლიდა დანაშაულის კვალს და გამოძიება უძლური იყო, რაიმე დაედგინა. მაგალითად, ასეთი ეჭვები არსებობს მსჯავრდებულ ზ.ცინციბაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. ზ. ცინციბაძე ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იპოვეს ჩამოხრჩობილი 2005 წლის 30 სექტემბერს. ოფიციალური ვერსია თვითმკვლელობაა, თუმცა საქმეში არსებობს საეჭვო დეტალები, ხოლო გარდაცვლილის ახლობლები დარწმუნებულნი არიან, რომ ზ. ცინციბაძე სწორედ კანონიერი ქურდების დაკვეთით არის მოკლული.

2005 წლის დეკემბრის ბოლოდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო რეალური და ძალიან მკაცრი ბრძოლა კორუფციასთან და სასჯელაღსრულების სისტემაში ნარკოტიკების გავრცელებასთან: ჯერ ე.წ. კანონიერი ქურდები, შემდეგ კი მათთან ყველაზე ახლოს მდგომი პირები, ე.წ. „მაყურებლები“, მოაშორეს სხვა პატიმრებს და ცალკე, №7 საპყრობილეში მოათავსეს. ისინი ისეთსავე რეჟიმში იმყოფებიან, როგორშიც სხვა პატიმრები. ამ პროცესს გააფთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა კრიმინალური სამყაროს მხრიდან. მაგალითად, 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში გამოცხადდა მასობრივი შიმშილობა, რომელშიც ათასობით პატიმარი მონაწილეობდა. თბილისის მე-5 საპყრობილეში არაერთმა პატიმარმა პირად საუბარში განმიცხადა, რომ მათ შიმშილობის არავითარი სურვილი არა აქვთ, მეტიც, ზოგიერთი მათგანის თქმით, ისინი ავად გახდნენ და მათი შიმშილობა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა, მაგრამ იძულებულნი იყვნენ ეშიმშილათ სხვებთან ერთად, რადგან თითქმის ყველა საკანში ჯერ კიდევ იყო „მაყურებლი” და მათ ნებას წინ ვერ აღუდგებოდნენ. რამდენიმე ათასი პატიმრისთვის ამგვარი იძულებითი შიმშილობა თითქმის ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. წინააღმდეგობის ამ აქციას, სხვადასხვა კამპანიებით, საკმაოდ ორგანიზებულად უჭერდნენ მხარს ციხის გარედან, რაც ასევე კარგად შუქდებოდა მედიაში.

შიმშილობის შეწყვეტაზე რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა: ჯერ ერთი, პატიმრები დარწმუნდნენ, რომ ადმინისტრაცია დათმობაზე არ წავიდოდა და არ შესრულდებოდა, ისეთი, ვითომ უწყინარი, შეთავაზებაც კი, როგორიც იყო მე-5 საპყრობილეში თუნდაც ერთი ქურდის დაბრუნება, რის შემდეგაც ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა, ყოველგვარი აქციები შეწყდებოდა და ციხეებში დიდი ხნით სრული სიმშვიდე დაისადგურებდა. სხვათა შორის, ეს შეთავაზება ახლაც ძალაში რჩება, რადგან სისტემის შიგნით ეს იქნება აღქმული როგორც ხელისუფლების უკან დახევა და, კრიმინალურ სამყაროში მიღებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „ზონების გაწითლებაზე“ უარის თქმა, ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიმართვამ, რომელმაც გავლენა მოახდინა შიმშილობის აქციის შეწყვეტაზე. კანონიერი ქურდებისა და „მაყურებლებისთვის“ ძნელი იყო, წინ აღსდგომოდნენ ასეთი ავტორიტეტის მოწოდებას.

მეორე მხრივ, სასჯელაღსრულების სისტემაში წესრიგის დამყარებისა და კანონის უზენაესობის დაცვის პრინციპის გატარებას, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს ადამიანის უფლებების დარღვევები, ისეთი შეზღუდვები, რომლებიც კანონიდან არ გამომდინარეობს, პატიმრების ცემის, სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები. ამის შესახებ ჩვენ არაერთი ინფორმაცია გვაქვს, თუმცა ყველაფრის დოკუმენტურად დადასტურება ვერ ხერხდება, რადგან პატიმრების ნაწილი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს.

ამ თემას უფრო ფართოდ ქვემოთ შევეხებით, თუმცა, სანამ კონკრეტულ ფაქტებზე გადავალთ, კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: იმ სურათის შექმნა, რომ დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა არღვევს ადამიანის უფლებებს, სცემს და აწამებს პატიმრებს, ლახავს მათ ღირსებას, არის შემადგენელი ნაწილი იმ სტრატეგიისა, რომელიც ქურდულმა სამყარომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ძველი გავლენის შესანარჩუნებლად აირჩია. ამ სტრატეგიის არსებობაში არაერთხელ დავრწმუნდით კონკრეტული ფაქტების გადამოწმებისას. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. მიმდინარე წლის 29 იანვარს პატიმრების ამბოხება მოხდა რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაში. მედიაში დღემდე ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ამბოხე-

ბის მიზეზი დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ქცევა იყო. კერძოდ, თითქოს უშუალოდ დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, თანმხლებ პირებთან ერთად, ღამით, მთვრალი შევიდა დაწესებულების ტერიტორიაზე, გააღვიძა პატიმრები, სცემდა და შეურაცხყოფას აყენებდა მათ. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე პირადად ჩავედი რუსთავში და ვესაუბრე ამ დაწესებულებაში მყოფ არაერთ პატიმარს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ინფორმაციას სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ცოტა ვრცლად მოვყვები ამ შემთხვევის შესახებ, რადგან იგი კარგად ასახავს საერთო სურათს:

დაწესებულებაში იყო 6 „მაყურებელი", რომლებიც, ტრადიციულად, სრულიად განსხვავებულ პირობებში, ცალკე გამოყოფილ, კარგად გარემონტებულ და მდიდრულად მოწყობილ ოთახში ცხოვრობდნენ. ბაჩო ახალაია და მასთან ერთად მყოფი 15-მდე პიროვნება სწორედ ამ ოთახის დემონტაჟისთვის შევიდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე. შესვლა მოხდა დაღამების შემდეგ, რათა, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ განმარტა, ამბოხის შემთხვევაში პატიმრების უმრავლესობას შეძლებოდა მასში მონაწილეობისაგან თავის არიდება – დღის სინათლეზე ამის გაკეთება გაცილებით ძნელი იქნებოდა, რადგან „მაყურებლები" უკეთ გააკონტროლებდნენ თითოეული პატიმრის ქცევას. ამბოხის დაწყების შემდეგ დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მისი თანმხლები პირები იძულებული გახდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინათ დაწესებულების ტერიტორია. ამის შემდეგ გამოძახებულ იქნა სპეცრაზმი, რომელმაც ხელჯოხებისა და რეზინისტყვიებიანი იარაღის საშუალებით მალე აღადგინა წესრიგი.

ასევე სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თვითდაზიანებების მიყენება და შემდეგ ამის ადმინისტრაციისთვის გადაბრალება. ამ დროს ძალიან ძნელია ვითარებაში გარკვევა, რა მოხდა სინამდვილეში – არსებული დაზიანებები ცემის კვალია თუ თვითგვემის. თუმცა არის რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, როცა, პირადად მე ეჭვი არ მეპარება, დაზიანებები მიყენებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ და მოხდა პატიმრის ცემა, სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

ერთ-ერთი სიახლე, რაც საანგარიშო პერიოდში მოხდა, არის ქუთაისისა და რუსთავის ახალი საპყრობილეებისა და ქუთაისის მკაცრი რეჟიმის ახალი დაწესებულების ექსპლუატაციაში შესვლა. აქ არა მხოლოდ გაცილებით უკეთესი პირობებია, არამედ ადმინისტრაციას კონტროლის გაცილებით უკეთესი საშუალებაც აქვს.

ვითარების შეცვლისაკენ პირველი ნაბიჯი ჯერ კიდევ ძველი ხელმძღვანელობის დროს გადაიდგა, როცა 2005 წლის 21 დეკემბერს ქუთაისში ახალგახსნილი №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში პატიმრების შესახლება დაიწყო. პატიმრებს არ მიეცათ საშუალება, ახალგახსნილ დაწესებულებებში შეეტანათ აკრძალული ნივთები, ასევე მკაცრად შეიზღუდნენ პატიმრები ერთმანეთთან ურთიერთობაში და ისინი, „პატიმრობის შესახებ" კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მკაცრად იზოლირებულ საკნებში განათავსეს. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში პატიმრების განთავსება მოხდა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ყველა პატიმარი ევროპული სტანდარტების შესაბამის საკნებში გადაიყვანეს, სადაც თითო საკანში 2-4-6 საძინებელი იყო და სადაც შესაბამისი რაოდენობის პატიმრები განათავსეს. ამ დაწესებულებაში ცალკე არის გამოყოფილი სველი წერტილები (იგულისხმება, ცალკე ოთახია ამისათვის). ასევე არის ცენტრალიზებული გათბობა და ელექტროენერგიითა და წყლით 24-საათიანი მომარაგება.

მიუხედავად ამისა, სიტუაცია მაინც გამწვავდა და 2005 წლის 22 დეკემბერს პატიმრების პირველმა ნაკადმა (100-მდე ბრალდებულმა და განსასჯელმა) ახალ დაწესებულებაში გადაყვანისთანავე არეულობა მოაწყო. კერძოდ, დაიწყეს თეთრეულის დაწვა და საკანში კედლებსა და კარებზე ფეხებისა და მუჯლუგუნების ცემა. ამის შედეგად დაზიანდა მე-2 სართულის რამდენიმე საკანი, ჩაიმტვრა ფანჯრები, მოირყა რამდენიმე საკნის კარი, შიდა მოწყობილობა, რის შემდეგაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ იუსტიციის სამინისტროსა და შსს სპეცრაზმების მეშვეობით

წესრიგის დამყარება დაიწყო. ამ შემთხვევაში ძალის გამოყენებას ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა, თუმცა საკითხის შესწავლის შედეგად დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ გამოყენებული ძალა წინააღმდეგობის არაადეკვატური იყო. მართალია, სპეცრაზმის თანამშრომლები საერთოდ არ შევიდნენ იმ საკნებში, სადაც არ იყო ხმაური (ე.წ. „შუმოკი“), სამაგიეროდ, როგორც პატიმრებთან საუბრისას გაირკვა, იმ საკნებში, სადაც ხმაური იყო, სცემდნენ ყველას, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა არეულობაში. ჩვენ დავათვალიერეთ არაერთი პატიმარი, რომლებიც სასტიკად იყვნენ ნაცემნი. თუ გავითვალისწინებთ, რომ განსხვავებით მე-5 ან 1-ლი საპყრობილისგან, ქუთაისში საკნებში მხოლოდ 2-დან 6 კაცამდეა შესახლებული და მათ ვერ შეძლეს დერეფნებში გამოსვლა, ასეთი ძალის გამოყენება, ჩვენი აზრით, არაადეკვატური იყო. თვითმხილველების თქმით, განსაკუთრებით სასტიკად შსს სპეცრაზმის თანამშრომლები იქცეოდნენ – ისინი შედიოდნენ საკნებში და ხმის ამოუღებლად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იწყებდნენ პატიმრების ცემას, მიუხედავად იმისა, წინააღმდეგობას უწევდნენ ისინი თუ არა.

აღნიშნული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა მალხაზ სერგინავა, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. ამ ამბოხის შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე, ხოლო იუსტიციის მინისტრი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა გადაყვანა მოხდა ნაჩქარევად – ამ დროისათვის შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული და სამშენებლო სამუშაოები არ იყო დამთავრებული. შეუმოწმებული იყო წყალმომარაგებისა და გათბობის სისტემა, რომლის ნაკლოვანებებიც პატიმართა გადაყვანის შემდეგ გამოვლინდა – აღმოჩნდა, რომ არც გათბობის სისტემამ იმუშავა და შენობა წყლის გარეშე დარჩა. მართალია, გაუმართაობა ერთ დღეში აღმოიფხვრა, ხოლო პატიმრების წყლით მომარაგებაში შეფერხება არ მომხდარა, მაგრამ ეს არეულობის ფორმალური საბაბი გახდა, თუმცა ამბოხების მთავარი საფუძველი ქურდული სამყაროს მიმართ სოლიდარობა იყო. პატიმართა ნაწილი ღიად მოითხოვდა ე.წ. „მაყურებლის“ დანიშვნას.

მთლიანობაში ადმინისტრაციამ იჩქარა პატიმრების გადაყვანა. მათ წინასწარ უნდა შეესწავლათ, რამდენად გამართული იყო გათბობისა და წყალმომარაგების სისტემა. პატიმრების რამდენიმე დღის დაგვიანებით გადაყვანა არაფერს ცვლიდა. საბოლოოდ, ამგვარმა სიჩქარემ ამბოხებას ფორმალური საბაბი მისცა, რასაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

მოგვიანებით, 2005 წლის 25 დეკემბერს სიტუაცია გამწვავდა ქუთაისის №2 საპყრობილეში (ძველი შენობა), სადაც კიდევ 400-ზე მეტი პატიმარი იმყოფებოდა, რომლებიც ახალ შენობაში უნდა გადაეყვანათ. პატიმრების გარკვეულმა ნაწილმა ჩხრეკისას წინააღმდეგობა გაწია, რა დროსაც ისევ იძულების ღონისძიებები იქნა გამოყენებული, თუმცა ძალის გადამეტება აქაც აღინიშნა: ჯერ ერთი, იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმი, რომელსაც შესაბამისი გამოცდილება აქვს, საპყრობილის გარე პერიმეტრს იცავდა, ხოლო პატიმრების გადაყვანაზე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეცრაზმი, რომელსაც სრულიად სხვა ამოცანები და, შესაბამისად, სხვა წვრთვნა აქვს მიღებული. მათი ძირითადი ამოცანა, როგორც წესი, დამნაშავის გაუვნებელყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა და მსგავსი ოპერაციების შესრულებაა, ხოლო პატიმრებთან მათ მიერ გამოყენებული ძალა აშკარად არაადეკვატური იყო გაწეული წინააღმდეგობისა. მეტიც, პატიმრების გარკვეული ნაწილი საუბრობდა, რომ მათ სცემდნენ იმისდა მიხედვით, თუ რა დანაშაულზე იყო ბრალდებული ან განსასჯელი. გარკვეულ ნაწილს სცემდნენ იმის გამო, რომ მათგან ითხოვდნენ კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების ლანძღვას და გინებას, ხოლო როცა ისინი უარს ამბობდნენ, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ეს არის ის ინფორმაცია, რასაც თავად პატიმრები ამბობენ და არავითარი სხვა მტკიცებულება არ მოგვეპოვება, თუმცა, უნდა ითქვას, ახალ საპყრობილეში გადაყვანილ პატიმართა მნიშვნელოვან ნაწილს მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, რაც მაფიქრებინებს, რომ გადაყვანის დროს იჩენდნენ ზედმეტ სიმკაცრეს და ძალის არაადეკვატურ გამოყენებას.

შედეგად, აღნიშნულ მოვლენებს სხვა დაწესებულებებში პატიმრების მღელვარება მოჰყვა. ამ პროცესს კრიმინალური ავტორიტეტები მართავდნენ და ეს იყო კარგად ორგანიზებული აქცია, რაშიც პირადად დავრწმუნდით არაერთ პატიმართან საუბრისას, რომლებიც დაუფარავად ამბობდნენ, რომ მათ არანაირი სურვილი არ ჰქონდათ ეშიმშილათ ან მონაწილეობა მიეღოთ აქციებში, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, „მაყურებლის" შიშით ასე მოქცეულიყვნენ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელების მოსვლის შემდეგ სისტემატური ხასიათი მიიღო დაწესებულებებში ჩხრეკებმა და შემოწმებებმა, რაც არა მხოლოდ ლეგიტიმური პროცესია, არამედ აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგის დასამყარებლად, თუმცა, ამავდროულად შეშფოთებას გამოვთქვამთ ამ მოვლენების თანამდევი გაუმართლებელი და უკანონო შეზღუდვებისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამო. ამ მოხსენებით შევეცდები, მოკლედ ჩამოვაყალიბო ის ნეგატიური ფაქტები და მიდგომები, რაც ამ სისტემაში შეინიშნება.

სხეულის დაზიანებები (ცემა, წამება, არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავი მოპყრობა)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პატიმართა მიმართ გამოყენებულ ფიზიკურ ძალაზე, რაც, ჩვენი აზრით, ხშირად არაადეკვატური იყო. ამგვარი შთაბეჭდილება შეგვექმნა როგორც ქუთაისის ახალგახსნილი სასჯელაღსრულების დაწესებულების, ისე ბათუმის №3 და თბილისის №7 საპყრობილეებში არსებული ვითარების შესწავლის შედეგად.

ქუთაისის ციხეში მიმდინარე მოვლენების შედეგად დაზიანება მიიღო 100-ზე მეტმა პირმა. ნაცემი იყო გაცილებით მეტი, მაგრამ ზოგს დაზიანება არ აღენიშნებოდა, ზოგმა კი უარი თქვა მათ დაფიქსირებაზე.

იგივე მოხდა ბათუმის საპყრობილეში 2006 წლის 24 იანვარს ჩატარებული ჩხრეკა-დათვალიერების შემდეგ, როცა დაზიანება მიიღო საკმაოდ ბევრმა პატიმარმა, თუმცა უმრავლესობას ეს ექიმთან არ დაუფიქსირებია. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრისას თავდაპირველად მათ თავი შეიკავეს ამაზე საუბრისაგან, თუმცა მოგვიანებით პირადად შევხვდი პატიმრებს და ბევრმა საკმაოდ ღიად ისაუბრა ოპერაციებზე და მიღებული დაზიანებები მაჩვენა. ამავე დროს, მათივე განცხადებით, ისინი საკმაოდ ცივ ამინდში, თითქმის ოთხი (ზოგიერთი პატიმრის თქმით, – რვა) საათის განმავლობაში, იძულებულნი იყვნენ, თოვლ-ჭყაპში მდგარიყვნენ ეზოში და ისე დალოდებოდნენ საკნებში დათვალიერების დამთავრებას. თანაც ამ დროს ზოგიერთ მათგანს ფეხსაცმელიც კი არ ეცვა და ქოშებით იყო ეზოში გასული.

პატიმრები აცხადებენ, რომ აღნიშნული ოპერაციის ჩატარებისას მათ მიმართ განხორციელდა ცემისა და სხვა სახის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები, ასევე მათ წაართვეს სხვადასხვა სახის ნივთები, რომელთა ქონაც მინისტრის ბრძანებით ნებადართულია, მათ შორის ხის ჯვრები, ხატები, ტელევიზორები და სხვა. ბევრ მათგანს მიღებული ჰქონდა სხეულის დაზიანებები. მათ შორის არიან შემდეგი პატიმრები: ასლან ემირიძე, მამია დვალიშვილი, გელა გაბიტაშვილი, მარლენ მეგრელიშვილი, ლაშა ხალვაში, ზვიად გელაძე, გოჩა კახაძე, ბაგრატ გორგაძე, მამუკა ჯინჭარაძე, ნუკრი ნოზაძე, ნიკა გოგეშვილი, ტარიელ გორგილაძე, ზვიად პაქსაძე, ავთანდილ ზოიძე, გურამ პაქსაძე, მალხაზ კაკაბაძე, ზურაბ მოდებაძე, დავით შატირიშვილი, ვიტალი სიხარულიძე, გელა ღონღაძე, მიხეილ კობერიძე, ვაჟა მუხაშავრია, მამუკა გასვიანი, როლანდ ჩამბა, ავთანდილ სანიკიძე, გია ჩავლეიშვილი, ელგუჯა მელაძე, დავით ემირიძე, რევაზ ქადიძე, რუსლან კვირიტიძე, იასონ მეტრეველი, დავით თედორაძე, ედუარდ დიგანი, რომან სურმანიძე, მინდია ბროლაძე, გოჩა მამალაძე, რაჟდენ ხალვაში, დავით ნაკაიძე, რამაზ წულუკიძე, შოთა მეგრელიშვილი, ვაჟა რუსიძე, დავით ძნელაძე, ირაკლი დოლიძე.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განმარტებით, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ დაწესებულებაში იყო იარაღი და მისი ოპერატიულად ამოღების მიზნით, ოპერაცია ძალიან სწრაფად უნდა ჩაეტარებინათ ყველა საკანში ერთდროულად, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, პატიმრები თოვლში გაეყვანათ, თუმცა, მათი განმარტებით, ეს არ გაგრძელებულა 2 საათზე მეტ ხანს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინფორმაცია არ დადასტურდა და იარაღი არ ყოფილა ამოღებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩადენილი მოქმედებები შეიძლება შეფასდეს როგორც ცემა, წამება, არაადამიანური და პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა. შესაბამისად, რეკომენდაციას ვაძლევთ გენერალურ პროკურატურას, წინასწარი გამოძიება დაიწყოს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ასევე უნდა აღინიშნოს, ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგისას პატიმრები ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში აღნიშნავდნენ, რომ 2006 წლის 26 იანვარსა და 6 თებერვალს დაწესებულებაში იმყოფებოდა სპეცდანიშნულების რაზმი, რა დროსაც პატიმრების გარკვეულ ნაწილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პატიმართა განცხადებით, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები სცემდნენ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ იმ პატიმრებს, რომლებმაც ქურდულ სამყაროსა და კრიმინალურ ავტორიტეტებს ღიად არ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შესახებ განაცხადა რამდენიმე პატიმარმა, მათ შორის ლადო ბოჭორიშვილმა, ვარლამ ბოჭორიშვილმა, კახაბერ ქათამაძემ და ა.შ. პატიმრების თქმით, მათ მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ლევან მარუაშვილი და ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორის მოადგილე ირაკლი კუჭუხიძე, რომლებიც დღემდე მუშაობენ ამ თანამდებობებზე.

პატიმრების განცხადებით, 2006 წლის 6 თებერვალს შეიარაღებულმა და ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ლევან მარუაშვილმა და ირაკლი კუჭუხიძემ ღამის საათებში დაიწყეს ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების საპატიმრო ნაწილის კორპუსების ჩამოვლა და პატიმრების გაღვიძება საკნის კარებზე მუჯლუგუნის ცემით. თუ ამ ხმაურს რომელიმე საკნიდან პატიმარი გამოეხმაურებოდა, მას ფიზიკურად უსწორდებოდნენ. 6 თებერვალს არაერთმა პატიმარმა მიიღო ფიზიკური დაზიანება, თუმცა მათ უარი გვითხრეს ახსნა-განმარტების მოცემაზე და, მათივე თხოვნით, ჩვენ მათი პიროვნებების იდენტიფიკაციისაგან თავს ვიკავებთ. პირად საუბრებში ამ ინფორმაციას ადასტურებენ დაწესებულების ყოფილი და მოქმედი თანამშრომლებიც. პატიმრები ზეწოლის ფაქტებზე საუბარს ერიდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ჩვენთან ღიად საუბრის შემთხვევაში ისინი არ არიან დაცული. ამის შესახებ დაწესებულების თანამშრომლებისაგან მათ გაფრთხილება არაერთხელ მიიღეს.

ასევე, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ამ პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ამავე დაწესებულების თანამშრომელ პაატა ლომსიანიძეს. მოგვიანებით ლევან მარუაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების მედპერსონალსა და სხვა თანამშრომლებს. ამის შესახებ თანამშრომლები პირად საუბარშიც აღნიშნავენ, თუმცა სამსახურის დაკარგვის შიშით ღიად საუბარს თავს არიდებენ. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ მათ ექნებათ ხელშეუხებლობის გარანტია, ისინი არ მოერიდებიან ამის შესახებ ღიად საუბარს.

ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ გენერალურ პროკურატურას, დაიწყოს წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.

2006 წლის 17 იანვარს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეში მოვინახულეთ მსჯავრდებული გოჩა ფაცურია, რომელსაც აღენიშნებოდა სხეულზე მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანება. პატიმრისა და მისი ოჯახის წევრების განმარტებით, 2006 წლის 14 იანვარს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო და ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გოჩა ფაცურიას სცემეს, რა დროსაც მან სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს გენერალური პროკურატურისგან მოვითხოვეთ წინასწარი გამოძიების დაწყება. თუმცა, მიუხედავად იმისა, ჩვენთან საუბარში გოჩა ფაცურიამ განაცხადა, რომ გამოძიებას ყველანაირ ჩვენებას მისცემდა და ასევე მიუხედავად იმისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ჩვენ მას უფასო ადვოკატი დავუნიშნეთ, მოგვიანებით მან უარი თქვა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და დუმილის უფლება აირჩია. შესაბამისად, მისი ცემის ფაქტზე საქმე არ აღძრულა, თუმცა, პირადად მე შემიძლია დავადასტურო, რომ იგი სასტიკად იყო ნაცემი – სხეულზე თითქმის არ ჰქონდა ადგილი დარჩენილი, სადაც არ იყო სისხლჩაქცევები და ხელკეტებითა თუ სხვა ბლაგვი საგნებით ცემის კვალი.

2006 წლის 31 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეში მყოფი მსჯავრდებული დავით ზარნაძე, რომლის განმარტებით, ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსმა (ბაჩანა ახალაიამ) და თანამშრომლებმა (გ.ონიანმა და სხვებმა) მას სასტიკად სცემეს, რა დროსაც მან ფიზიკური დაზიანებები მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით პატიმარ დავით ზარნაძეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. გარეგანი დათვალიერებით დ.ზარნაძეს რაიმე სახის დაზიანებები არ აღენიშნება, თუმცა ამ საქმესთან დაკავშირებით მასალები გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას. ზარნაძის თქმით, მას სცემდნენ პისტოლეტის ტარით და სხვა საგნებით, რასაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ სხეულზე კვალი არ დაეტოვებინა. ამ შემთხვევაში, პირადად მე დარწმუნებული ვარ, ზარნაძის განცხადება იმ კამპანიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გათავისუფლებაა, თუმცა განცხადება შესასწავლად მაინც გადავუგზავნეთ გენერალურ პროკურატურას.

ზოგადად, როგორც ზემოთ ვთქვით, სასჯელაღსრულების სისტემაში წესრიგის დამყარების მცდელობას საკმაოდ ორგანიზებული წინააღმდეგობა შეხვდა კრიმინალური სამყაროს მხრიდან. ამ წინააღმდეგობის ერთ-ერთი ნაწილი არის მუდმივი ხმები იმის შესახებ, თუ კონკრეტული თანამდებობის პირები, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, როგორ სცემენ პატიმრებს, როგორ აყენებენ მათ შეურაცხყოფას, როგორ ლახავენ მათ ღირსებას და ა.შ.

საზოგადოებრივი აზრის შექმნა, თუ როგორ ილახება პატიმრების უფლებები, წინააღმდეგობის სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, თუმცა ხშირად საქმე გვაქვს არა მოგონილ, არამედ რეალურ ფაქტებთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პოზიციაა, რომ არც ერთი ასეთი განცხადება არ უნდა დარჩეს გადამოწმებისა და შესწავლის გარეშე.

დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაცვის უფლება გარანტირებულია. აღნიშნული უფლება რეგლამენტირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, რომლებიც ქმნიან გარანტიებს კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად. დაცვის უფლება თავის თავში მოიცავს დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრის უფლებასაც. აღნიშნული დებულება განმტკიცებულია საქართველოს კანონში პატიმრობის შესახებ, რომლის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ პუნქტით მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს „დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრის უფლებით“. მსჯავრდებულისათვის ანალოგიურ გარანტიას აწესებს ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-7 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც „ყველა მსჯავრდებულს აქვს დამცველთან შეხვედრის უფლება ყოველგვარი ჩარევისა და ცენზურის გარეშე. სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ აკვირდებოდნენ შეხვედრას ვიზუალურად, მაგრამ მოსმენის გარეშე“.

ანალოგიური უფლებით სარგებლობენ პატიმრებიც (ბრალდებულები და განსასჯელები) და მათ ამ გარანტიას უდგენს პატიმრობის შესახებ კანონის 89-ე მუხლი, კერძოდ: „პატიმარს აქვს თავის დამცველთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება, რაც წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“.

მიუხედავად კონსტიტუციისა და კანონის ასეთი იმპერატიული მოთხოვნისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდებოდა დაცვის უფლების შეზღუდვა, რაც მსჯავრდებულებისა და პატიმრების დამცველთან შეხვედრის დროებითი აკრძალვით გამოიხატებოდა.

2005 წლის დეკემბრის თვის ბოლო დეკადაში ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენების გამო შეიზღუდა დაცვის უფლება, რაც გამოიხატა აღნიშნულ დაწესებულებაში ადვოკატების შეშვებასა და პატიმრებთან შეხვედრაზე უარის თქმით. მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ არანაირი აქტი არ გამოცემულა და ამ ბრძანებებს სიტყვიერად იძლეოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულებების თანამდებობის პირები.

ეს შეზღუდვები 2005 წლის 25 დეკემბერს დაიწყო და სხვადასხვა ფორმით თითქმის 8 დღეს გაგრძელდა. თავდაპირველად შეზღუდვები მოეხსნათ იმ ადვოკატებს, ვისაც პროცესუალური ვადები გასდიოდათ, დანარჩენებს კი დასაცავ პირებთან შეხვედრის საშუალება მხოლოდ 2 იანვრის შემდეგ მიეცათ.

ანალოგიური სიტუაცია იყო სასჯელაღსრულების ზოგიერთ სხვა დაწესებულებაშიც. თუ ქუთაისის შემთხვევაში ამის მიზეზი დაწესებულებაში არსებული არეულობა იყო, მაგალითად, ბათუმის №3 საპყრობილეში, ადვოკატებს შესვლაზე 5 დღის მანძილზე – 24 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით – უარს ეუბნებოდნენ იმ მოტივით, რომ დაწესებულებაში ჰიგიენურ-სანიტარიული ღონისძიებები ტარდებოდა, რაც, როგორც წინა შემთხვევაში, უკანონო საბაბი იყო. მეტიც, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გამოსცა ბრძანება შეზღუდვის შესახებ და ის საჯაროდ გამოაკრა დაწესებულების შესასვლელთან. აღნიშნული ბრძანება აბსოლუტურად უკანონო იყო და ეწინააღმდეგებოდა როგორც კონსტიტუციასა და საერთაშორისო ნორმებს, ასევე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა“ და „პატიმრობის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.

ამავდროულად ადვოკატები, პატიმრები და მათი ახლობლები აღნიშნავენ, რომ მათი კანონიერი მოთხოვნების პასუხად ცინიკურ და დამცინავ დამოკიდებულებასა და აბუჩად აგდებას იღებდნენ. თბილისის მე-7 საპყრობილეში მყოფი პატიმრების ახლობლები და ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები მათ მიერ დაყენებულ მოთხოვნებს ცინიკურად ეპყრობიან. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ პასუხობენ წერილობით განცხადებებს და ა.შ. №7 საპყრობილეში ადვოკატების შეზღუდვა დაიწყო 2005 წლის დეკემბრის ბოლოს და 2006 წლის 5 იანვრამდე გაგრძელდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2006 წლის 4 იანვარს რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ბაჩო ახალაიას და მოსთხოვა დაცვის უფლების განხორციელებაზე ხელის შეშლის აღკვეთა, რადგანაც ეს უფლება შეუზღუდავია და განმტკიცებულია როგორც კონსტიტუციით, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონით. რეკომენდაციის შემდეგ საპატიმრო დაწესებულებებში ადვოკატების შეშვება აღდგა და მათ პატიმრებთან შეხვედრის საშუალება მიეცათ. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, მოგვიანებით, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიების ჩატარების უკანონო მოტივით ბათუმის №3 საპყრობილეში ადვოკატისა და ბრალდებულის ან განსასჯელის შეხვედრის შეუზღუდავი უფლება 2006 წლის 24 იანვრის ბრძანებით კვლავ შეიზღუდა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან არ შესრულდა.

ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ თბილისის №7 საპყრობილესთან ადვოკატები საათობით დგანან რიგში, რადგან დამცველთან შესახვედრად არ არის საკმარისი ოთახები. არის შემთხვევები, რომ ამ მიზეზის გამო ადვოკატები, მთელი დღის რიგში დგომის მიუხედავად, საერთოდ ვერ ახერხებენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეხვედრას. საპყრობილის ხელმძღვანელობის განმარტებით, ამჟამად რემონტდება შეხვედრების კიდევ რამდენიმე ოთახი, რის შემდეგაც მდგომარეობა გამოსწორდება.

რწმენის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის განხორციელებისათვის პატიმრობის შესახებ კანონში აღნიშნული უფლების გარკვეული სახით რეგლამენტაცია ხდება, კერძოდ: 26-ე მუხლის 1 ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად: მსჯავრდებულს უფლება აქვს, „მიიღოს მონაწილეობა კულტურულ-აღმზრდელობით ან რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს შესაბამისი ინვენტარითა და ლიტერატურით“.

51-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: მსჯავრდებულს შეუძლია, საკუთარი სახსრებით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური, მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები. ამავე უფლების განმტკიცებას ემსახურება პატიმრობის შესახებ კანონის 94-ე მუხლიც, რომლის მიხედვითაც:

ადმინისტრაცია მოვალეა, შექმნას პირობები მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დაწესებულების ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში შეიძლება იმყოფებოდეს ეკლესიის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახური.

ამ უფლებისადმი კანონმდებლის ასეთი მიდგომის მიუხედავად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სპეცღონისძიებისა თუ ჩხრეკების შედეგად, როგორც პატიმრების დიდი ნაწილი აღნიშნავს, მათ ჩამოაწყვიტეს არა მხოლოდ ძვირფასი ლითონის, არამედ ხის ჯვრები, წაართვეს ხატები და სხვა რელიგიური ინვენტარი.

პატიმრები ამის შესახებ საუბრობდნენ ქუთაისის №2 საპყრობილესა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ბათუმის №3 საპყრობილესა და თბილისის №1, №5 და № 7 საპყრობილეებში.

ჩვენთვის გასაგებია ის ობიექტური მიზეზები, რაც უსაფრთხოების ღონისძიებისათვის კედლებიდან ამა თუ იმ ნაბეჭდი პროდუქციის ჩამოხსნას საჭიროებს, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ჩამორთმეული ჯვრები არ იყო არც ძვირფასი ლითონების ნაწარმი და არც ისტორიული რელიკვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვედრისას პატიმართა ნაწილმა მოითხოვა, მისცემოდათ საშუალება, შეხვედროდნენ მღვდელმსახურს, რისი უფლებაც მათ კანონით აქვთ. ამის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გაუგზავნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, აგრეთვე პატიმრების თხოვნით, წერილი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს და სთხოვა, გამოეყო მღვდელმსახური შესაბამისი დაწესებულებისათვის.

საკუთრების უფლება

საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ნივთების ამოღება მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ჩხრეკის შედეგად და რა ბედი ეწია მათ, რომ არაფერი ვთქვათ იმ ნივთებზე, რომლებიც პატიმრებს დაეკარგათ ან დაუზიანდათ. ჩვენ აბსოლუტურად ვუჭერთ მხარს სასჯელაღს-

რულების დაწესებულებებიდან აკრძალული ნივთების ამოღებას, თუმცა თითოეული ასეთი ნივთი შენახული უნდა იქნეს კონკრეტული პატიმრის პირად ნივთებთან ერთად და როცა ის გათავისუფლდება, უკან გადაეცეს მიღება-ჩაბარების აქტით, ან მისივე თანხმობით გადაეცეს ოჯახის წევრებს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა საგნები იქნა ამოღებული ზემოხსენებული ღონისძიებების შედეგად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვიდან თვეზე მეტი გავიდა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან პასუხი არ მოგვსვლია.

ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პატიმრების დიდ ნაწილს საკნებში ტელევიზორები და რადიომიმღებები ედგათ. ჩატარებული სპეცოპერაციების შემდეგ მათ ამ ნივთების ნაწილი ჩამოერთვათ, თუმცა ჩამორთმევის საფუძველი აბსოლუტურად გაუგებარია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ საკანში ისევ დგას ტელევიზორი ანდა რადიომიმღები, ოღონდ არა ჩამორთმეული, არამედ პატიმართა ან მათი ახლობლების მიერ ხელახლა შეძენილი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად პატიმრების საკუთრების უფლება დარღვეულია. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველი გამოძიების დაწყების მოთხოვნით რეკომენდაციით მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს.

ბანდეროლები და ამანათები

საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ თითოეული ტიპის სასჯელაღსრულების რეჟიმისათვის განსხვავებული უფლებამოსილებები და ვალდებულებებია განსაზღვრული. ამავე კანონით ბრალდებულებისა და განსასჯელების მოთავსება საპყრობილის საპატიმრო ნაწილში ხდება. განსხვავებით იმ პატიმრებისაგან, რომელთაც საპყრობილის რეჟიმი სასჯელის ზომად აქვთ დანიშნული, ბრალდებულები და განსასჯელები შედარებით მეტი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ, თუმცა მათ უწესდებათ ისეთი შეზღუდვებიც, რომლებიც აუცილებელია გამოძიებისთვის ხელის შეშლის აღსაკვეთად. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მათ უფლება აქვთ, შეიძინონ სურსათი ან მიიღონ ამანათები. ამ უფლების შეზღუდვა მსჯავრდებულებისათვის დასაშვებია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ ითვლება, თუმცა ბრალდებულისა და განსასჯელისათვის ასეთი დისციპლინური სახდელის დადება დაუშვებელია და მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ საყვედური და კარცერში მოთავსება 10 დღემდე ვადით. სამწუხაროდ, კანონის აღნიშნული მოთხოვნის მიუხედავად, სხვადასხვა მოტივებითა და მიზეზებით ხდებოდა პატიმრებისათვის ამ უფლების შეზღუდვა, რაც არაკანონიერი იყო. მიუხედავად ჩვენი მიმართვისა, აღმდგარიყო ამანათების მიწოდება, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ეს არ მოხდა და დღესაც შეზღუდვებით ხორციელდება იგი.

აღსანიშნავია, რომ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ განსაზღვრულია:

„მუხლი 92. პატიმრის საპყრობილეში ყოფნის პირობები

1. პატიმრებს, რომლებიც იმყოფებიან საპყრობილეში, ნება ეძლევათ:

ა) შეიძინონ დამატებითი კვების პროდუქტები საკუთარი სახსრებით, უნაღდო ანგარიშსწორებით;

ა1) მიიღონ კვების პროდუქტები ბანდეროლებითა და ამანათებით ადმინისტრაციის კონტროლით, გარდა იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა“;

რაც შეეხება „იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრულ დაწესებულებებს“, ასეთი დაწესებულება განსაზღვრული არ არის, გამომდინარე აქედან, ეს ნორმა ჯერჯერობით ყველა დაწესებულებაზე თანაბრად უნდა გავრცელდეს.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის მოხდის წესის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ხდება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის უფრო ვიწრო რეგლამენტაცია. აღნიშნული შეეხება ამანათებსა და გზავნილებსაც და ადგენს:

„მუხლი 12. პატიმართა ამანათებისა და გზავნილების მიღება და გაცემა

1. პატიმართა მიერ ამანათებისა და გზავნილების მიღება საამისოდ გამოყოფილ შენობაში ხდება. პატიმარს უფლება აქვს მიიღოს შეუზღუდავი ოდენობით ამანათები, რომელთა წონა არ უნდა აღემატებოდეს საფოსტო წესებით გათვალისწინებულ ნორმებს, აგრეთვე გზავნილები საერთო წონით არა უმეტეს 30 კილოგრამისა თვეში. გზავნილის წონა არ იზღუდება არასრულწლოვნებისათვის, ავადმყოფებისათვის, მძიმე სენით დაავადებულთათვის (საპყრობილის ექიმის შესაბამისი დასკვნის არსებობისას), ორსული ქალებისათვის და 1-დან 3 წლამდე ბავშვის დედებისათვის. გზავნილი მიიღება მნახველთა რიგითობის მიხედვით.
2. იმ საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვა სამრეწველო საქონლის ჩამონათვალი, რომელთა ქონის, შენახვის, ამანათებით და გზავნილებით მიღებისა და უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენის უფლება აქვთ პატიმრებს, გამოიკვრება შენობაში, სადაც ხდება გზავნილების მიღება.
3. გზავნილის მომტანი პირი ავსებს და ხელს აწერს განცხადებას ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი, გზავნილი და გზავნილის მომტანი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გადაეცემა საპყრობილის შესაბამის მოსამსახურეს.
4. გზავნილის წონისა და შიგთავსის შემოწმება ხდება მისი მომტანი პირის თანდასწრებით. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი პირს უბრუნდება შემოწმების ჩატარების შემდეგ.
5. გზავნილის მიღების შემდეგ საპყრობილის მოსამსახურე უბრუნებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და განცხადების პირველ ეგზემპლარს გზავნილის მომტან პირს, ხოლო მეორე ეგზემპლარს ურთავს პატიმრის პირად საქმეს, პატიმრის მიერ გზავნილის ხელწერილით მიღების შემდეგ. თუ პატიმარი უარს იტყვის ხელწერილზე ხელის მოწერაზე, განცხადებაზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.
6. ამანათის წონა და შემცველობა რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, რომლის შემდეგაც იგი გადაეცემა ადრესატს.
7. გზავნილი არ მიიღება და გადაეცემა მომტან პირს შემდეგ შემთხვევებში:
   ა) პატიმრის გათავისუფლების ან საპყრობილიდან სამ დღეზე მეტი ვადით გაყვანის შემთხვევაში;
   ბ) პატიმრის გარდაცვალებისას;
   გ) თუ პატიმარს არ აქვს შესაძლებლობა, პირადად მიიღოს გზავნილი ან გამოიყენოს მისი შემცველობა დანიშნულებისამებრ;
   დ) თუ გზავნილის წონა არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს;
   ე) თუ გზავნილის მომტანი პირი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;
   ვ) თუ არასწორადაა შევსებული განცხადება გზავნილის მიღების თაობაზე;
   ზ) გზავნილებისათვის თვეში დადგენილი წონის გადაჭარბებისას (30 კგ.);
   თ) თუ არსებობს პატიმრის წერილობითი უარი გზავნილის მიღების თაობაზე.
8. იმ პატიმრების მიერ გზავნილის მიღებისას, რომლებიც მკურნალობის კურსს გადიან, გაითვალისწინება მკურნალი ექიმის რეკომენდაციები.
9. ამანათების შემცველობის გახსნა და შემოწმება ხდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება საპყრობილის არანაკლებ სამი მოსამსახურისაგან, რის თაობაზეც შედგება აქტი. აქტში მიეთითება: ნივთებისა და პროდუქტების ჩამონათვალი, მათი გარეგნული ნიშნები, ხარისხი, შემცველობიდან კონკრეტულად რა იქნა ამოღებული ან გადაეცა შესანახად. აქტს ხელს აწერენ კომისიის წევრები. აქტი წაეკითხება პატიმარს ხელწერილით და დაერთვის მის პირად საქმეს.
10. გზავნილებსა და ამანათებში აღმოჩენილი ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები, რომელთა შენახვა და გამოყენება პატიმრისათვის აკრძალულია, დაუბრუნდება მომტან პირს,

დაბრუნების მიზეზის მითითებით, გადაეცემა შესანახად ან ნადგურდება პატიმრის თანდასწრებით. ფული ჩაირიცხება პატიმრის ანგარიშზე.

11. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ამანათის მომტანის მიმართ გაფორმდება მასალები მისი სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.
12. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ შემთხვევებში ამანათები უბრუნდება გამომგზავნს.
13. ამანათები და გზავნილები, რომლებიც მოსულია კარცერში მოთავსებული პატიმრის სახელზე, ჩაბარდება შესანახად საწყობში და გადაეცემა პატიმარს კარცერში ყოფნის ვადის დამთავრების შემდეგ.
14. საპყრობილის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამანათებისა და გზავნილების შემცველობის შენახვას, მაგრამ ხანგრძლივი შენახვის გამო მისი ბუნებრივი გაფუჭების ან შემოწმების შედეგად სასაქონლო სახის დაკარგვის თაობაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
15. ამანათი ან გზავნილი უნდა გადაეცეს პატიმარს არა უგვიანეს ერთი დღისა მათი მიღების დღიდან, ხოლო პატიმრის დროებით გასვლის შემთხვევაში – მისი დაბრუნებისთანავე“.

მართალია, აღნიშნული ნორმის მიხედვით, პატიმრებს უფლება აქვთ, შეიძინონ დამატებითი კვების პროდუქტები საკუთარი სახსრებითა და უნაღდო ანგარიშსწორებით, მაგრამ ამ უფლების რეალიზება პრაქტიკულად ვერ ხერხდება, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაღაზიები არ არსებობს.

რაც შეეხება ბანდეროლებითა და ამანათებით კვების პროდუქტების მიღებას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ ამანათების წონასა და რაოდენობის შეზღუდვაზე დათქმა არ არის გაკეთებული. უფრო მეტიც, პატიმარს უფლება აქვს, მიიღოს ამანათები შეუზღუდავი რაოდენობით, რომელთა წონა არ უნდა აღემატებოდეს საფოსტო წესებით დადგენილ ნორმას.

საფოსტო წესებით კი ნორმა არის 31,5 კილოგრამი და ეს დადგენილია 1994 წლის 14 სექტემბრის მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების მე-3 მუხლით, რომლის მიხედვითაც:

„1. ამანათების გაცვლა შეიძლება განხორციელდეს ან უშუალოდ, ან ერთი, ან რამდენიმე ქვეყნის მეშვეობით. იმ ამანათების გაცვლა, რომელთგან თითოეულის წონა აღემატება 10 კგ-ს, წარმოადგენს ფაკულტატიურს. ამასთან, თითოეული ამანათის მაქსიმალური წონა არ უნდა აღემატებოდეს 31,5 კგ-ს“.

დღეს არსებული პრაქტიკით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამანათებისა და გზავნილების მიღება შეზღუდულია. იზღუდება როგორც რაოდენობა, და ის შეადგენს პატიმარზე თვეში 30 კილოგრამს, ასევე იმ ნივთებისა და პროდუქტების სახეობებიც, რომლებიც „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ ბრძანებით არის დაშვებული. ყოველივე ამით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან ირღვევა პატიმრების უფლება, მიიღონ ამანათები და გზავნილები, ასევე შეიძინონ სურსათი ან მიიღონ ის სხვებისაგან.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სათანადო პირობებში ყოფნას, თავადვე ვერ ასრულებს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ადმინისტრაცია ვალდებულია, პატიმარს მიაწოდოს კვების პროდუქტები დადგენილი ნორმით, სუფთა თეთრეული კვირაში ერთხელ და ა.შ. და როცა სახელმწიფო ამას ვერ ასრულებს, პატიმრის ახლობლებს უნდა მიეცეთ საშუალება, თავადვე უზრუნველყონ პატიმრის მომარაგება შესაბამისი მატერიალური საშუალებებით.

ბათუმის №3 საპყრობილეში პატიმრებს რამდენიმე დღეს საერთოდ არ მიეწოდებოდათ შაქარი, ხოლო მისი მიწოდების აღდგენის შემდეგ მიწოდებული რაოდენობა არ შეესაბამებოდა დადგენილ ნორმებს (დღეში 40 გრ.); ასევე მე-7 საპყრობილეში პატიმრებს არ ჰქონდათ ტუალეტის ქაღალდი

და ამის გამო იძულებული გახდნენ, თეთრეული და პირსახოცები დაეხიათ. ხოლო მოგვიანებით ოჯახის წევრებსა და ახლობლებს უარი უთხრეს მათ შეგზავნაზე, რადგან ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ პატიმრებს დროულად დაურიგდათ როგორც თეთრეული, ასევე პირსახოცები.

ზოგიერთ დაწესებულებაში იკრძალება სხვადასხვა სარეცხი თუ საყოფაცხოვრებო ნივთებისა და საგნების შეტანა. მაგალითად, ბათუმის №3 და თბილისის №7საპყრობილეებში პატიმრებს არ აძლევენ უფლებას, ამანათით ან გზავნილით მიიღონ კბილის პასტა, მაშინ, როცა ადმინისტრაციაც ვერ უზრუნველყოფს მის მიწოდებას. ასევე პერიოდულად ხდებოდა შეზღუდვების დაწესება ამა თუ იმ დაწესებულებაზე. ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 2005 წლის დეკემბერსა და 2006 წლის იანვრის თვეში შეზღუდვები იყო ყველა სახის ამანათსა და გზავნილზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვების ორგანიზება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შედარებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ეს ერთი წლის წინ იყო, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ის არ შეესაბამება იმ დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოს იუსტიციისა და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით არის განსაზღვრული.

ცალკე უნდა გამოიყოს ფოსტით სარგებლობისა და მიმოწერის უფლება. თითოეულ პატიმარს უფლება აქვს, იქონიოს პირადი მიმოწერა, თუმცა ამის საშუალება მათ არ ეძლევათ. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ პატიმარმა მიმოწერა საკუთარი ხარჯით უნდა აწარმოოს, ანუ პატიმრის პირადი ანგარიშიდან თანხა უნდა მოიხსნას. ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (ან შესაბამისი დაწესებულებების) მიერ არ მომხდარა პატიმრებისათვის პირადი ანგარიშების გახსნა. ამავდროულად, მათ არ აქვთ უფლება, თან იქონიონ ნაღდი ფული. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება მათთვის პირადი მიმოწერის უფლების განხორციელებაც.

პირობების არარსებობა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულების უმრავლესობაში ყოფითი პირობები, გარდა ქუთაისში ახალგახსნილი №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებისა და რუსთავის №6 საპყრობილისა, ვერანაირ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, კერძოდ თბილისის №5 და ბათუმის №3 საპყრობილეებში ერთ საკანში ათეულობით პატიმარია მოთავსებული და მათ ზოგჯერ 3 ცვლაში მორიგეობით სძინავთ. მაგალითად, ბათუმის №3 საპყრობილე გათვლილია 200 პატიმარზე, თუმცა ამჟამად იქ პატიმართა რაოდენობა 400-ს აღემატება, ხოლო თბილისის №5 საპყრობილეში, 27 მარტის ამბოხის წინ, 1600 ადგილზე 3800-მდე პატიმარი იყო. ასევე პრობლემები არის გასეირნებასთან დაკავშირებითაც. ამის შესახებ როგორც პატიმრები, ასევე ადმინისტრაციაც აღნიშნავს, და თუ ერთი საკნიდან გასეირნების მსურველთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, მათი ამ უფლებით სარგებლობა იზღუდება.

შევეცდებით, ამ ნაწილში აღვწეროთ დაწესებულებებში არსებული სიტუაცია:

დაწესებულებებში (გარდა ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებისა და რუსთავის №6 საპყრობილისა) საერთო პირობები არადამაკმაყოფილებელია: საკნებში განთავსებული სველი წერტილები ღია სახით არის და პატიმრებს იმავე ოთახში უწევთ საკვების მიღება, სადაც ტუალეტია, რაც ანტისანიტარიულ ფონს ქმნის: არადამაკმაყოფილებელია თეთრეულიც, რომელთა გარეცხვა ან/და შეცვლა არ ხდება დადგენილი წესით (კვირაში ერთხელ); არ ხდება საკნების ვენტილაცია და თითოეულ მათგანში იგრძნობა მძაფრი, არასასიამოვნო, ხშირად, უბრალოდ, გაუსაძლისი სუნი; არ არის საკმარისი რაოდენობით საძინებლები; ასევე ირღვევა პატიმრობის მოხდის წესის შესახებ ბრძანების ნორმები პატიმრისათვის განკუთვნილ ფართთან დაკავშირებით საპატიმრო დაწესებულებების გარკვეულ ნაწილში არ არის საკმარისი განათება. შეუძლებელია პატიმრებმა შეძლონ წაკითხვა, რაც ზიანს აყენებს მათ მხედველობას. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო

დამცველმა სიტყვიერი რეკომენდაცია მისცა №7 საპყრობილის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც განათების სისტემა შეიცვალა; პატიმრებს არ ეძლევათ საშუალება, გამოიყენონ თავიანთი კუთვნილი გასეირნების 1 საათი; რასაც, ხშირ შემთხვევაში, გასასეირნებელი ოთახების არასაკმარისობით ან/და უვარგისობით ხსნიან. №7 საპყრობილეში 3 თვეა პატიმრებს ამ უფლებით არ უსარგებლიათ.

პატიმრებს ხშირად არ ეძლევათ საშუალება, კანონით დადგენილი წესით ისარგებლონ დაწესებულებებში არსებული ტელეფონებით, რისი ობიექტური მიზეზიც ტელეფონების არარსებობაა.

გარკვეული შეზღუდვები არის დაწესებული პაემნებზეც, კერძოდ: თბილისის №7 საპყრობილეში პატიმრებს არ ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ თავიანთი გრძელვადიანი ან მოკლევადიანი პაემნით, რადგან, ადმინისტრაციის თქმით, ამისათვის არ არის შესაბამისი ოთახები. თუმცა დღეს-დღეობით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რაც მომავალში ამ პრობლემის მოხსნის საფუძველი უნდა გახდეს.

ცალკე უნდა გამოიყოს საკითხი, რომელიც შეეხება განსასჯელთა სასამართლო პროცესებზე ბადრაგირებას. სახალხო დამცველის აპარატს მიმართავენ განსასჯელთა ადვოკატები, რომლებიც წუხილს გამოთქვამენ, რომ პატიმრების გადაყვანა ვერ ხერხდება სასამართლო სხდომებზე, რის გამოც სასამართლო განხილვის ვადები ჭიანურდება. თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მათ არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის ავტომობილები, ხოლო რაც ჰყავთ, არ არის გამართული. ყოველივე ამით ირღვევა სწრაფი მართლმსაჯულების უფლება.

საანგარიშო პერიოდში ასევე პრობლემები შეიქმნა მძიმედ დაავადებულ პატიმართა სამკურნალოდ თბილისში გადაყვანასთან დაკავშირებით. რეგიონებში არ არის საკმარისი რაოდენობით რეანიმობილები, ხოლო თბილისიდან მათი გამოყოფა დროულად არ ხდება. მაგალითად, ქუთაისის №2 საპყრობილეში პატიმარი მურადოვი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ჩარევისა, მისი დროული ტრანსპორტირება ქუთაისიდან თბილისში ვერ მოხერხდა. აღნიშნული პიროვნება მოგვიანებით გარდაიცვალა. ანალოგიური პრობლემა სხვა დაწესებულებებშიც დაფიქსირდა.

ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციით მივმართავთ ჯანდაცვის სამინისტროს, რათა შეძენილ იქნეს რეანიმობილი, რომელიც პატიმართა რეგიონებიდან ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

გარკვეული პრობლემები წარმოიშვა იმ მხრივაც, რომ წლების განმავლობაში არ მოქმედებდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის №362 ბრძანების „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ №2 დანართი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ჩამონათვალი საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა სამრეწველო საქონლისა, რომელთა ქონის, შენახვის, მიღებისა და შეძენის უფლება აქვს პატიმარს.

აღნიშნული ბრძანების ამოქმედებამ კი გარკვეული ხარვეზები გამოიწვია. კერძოდ, ის ნივთები, რომლებიც დასაშვებად არის მიჩნეული, არ არის საკმარისი პატიმრის ჰიგიენური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, აკრძალულია ფრჩხილების კვნეტარა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის პატიმარს ჰიგიენის დაცვაში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არის დაცული პატიმართა ჰიგიენა. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პატიმარს კვირაში ერთხელ უნდა მიეცეს საშუალება, მიიღოს შხაპი და ადმინისტრაციის მიერ მოხდეს თეთრეულის გამოცვლა, რისი დაცვაც ბევრ დაწესებულებაში არ ხდება. ხშირად ეს მატერიალური რესურსების უკმარისობის ბრალიც არის და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება არა დაწესებულების ადმინისტრაციას, არამედ მთლიანად ხელისუფლებას, რადგან მიზეზი არასაკმარისი დაფინანსებაა.

რეკომენდაციები

მოხსენებაში ასახული ფაქტებისა და პირობების მიხედვით შესაბამის ორგანოებს მივმართავთ რეკომენდაციით:

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- 2006 წლის 24 იანვარს ბათუმის №3 საპყრობილეში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად პატიმართა მიმართ გამოყენებული ძალის, ცემის, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე დაიწყოს წინასწარი გამოძიება;
- დაიწყოს წინასწარი გამოძიება იმ ფაქტის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ამოღებული აკრძალული ნივთები, რომლებიც პატიმრების პირად ნივთებთან ერთად უნდა ინახებოდეს, არის თუ არა აღნუსხული და დართული მათ პირად ნივთებს; თუ სად წავიდა ჩხრეკების შედეგად ამოღებული ის ნივთები, რომლებიც აკრძალული არ იყო;
- დაიწყოს წინასწარი გამოძიება 2006 წლის 26 იანვარსა და 6 თებერვალს ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლების მიერ პატიმრების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით;
- დაიწყოს წინასწარი გამოძიება ქუთაისის საპყრობილის თანამშრომელ პაატა ლომსიანიძის შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:

- უმოკლეს ვადაში დამთავრდეს პატიმრობის შესახებ კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა სასჯელაღსრულების ყოველ დაწესებულებასთან. ამასთან, კომისიის წევრებს მიეცეთ უფლება, არა მხოლოდ სამუშაო საათებში, არამედ კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევიდნენ დაწესებულებაში, შეხვდნენ და გაესაუბრონ პატიმარს პირისპირ და დაუბრკოლებლად დაათვალიერონ ნებისმიერი საკანი, სათავსო თუ სხვა ოთახი. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა კომისიის წევრებს ხელი შეეშლებათ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, გატარდეს დისციპლინური ზომები დამრღვევი პირების წინააღმდეგ;
- აიკრძალოს სპეციალური დანიშნულების რაზმისა თუ სხვა თანამშრომლების მიერ ნიღბებისა და სხვა ვინაობის დამფარავი საშუალების გამოყენება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აუცილებლობა აიხსნება თანამშრომლის უსაფრთხოების მოსაზრებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველ თანამშრომელს, მათ შორის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებსაც, ეკეთოთ პირადი განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად პირადი ნომერი, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პირის ამოცნობა;
- „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პატიმრებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ შეუზღუდავი რაოდენობით ამანათები, ასევე გზავნილები წონით თვეში არა უმეტეს 30 კილოგრამისა და ამ წონაში არ უნდა შედიოდეს პირველადი მოხმარების ნივთები, თეთრეული და ტანისამოსი;
- მოწესრიგდეს ოთახები ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებისათვის და არ შეიზღუდოს პატიმრების უფლება, ისარგებლონ პაემანით დადგენილი ოდენობითა და წესით;
- იმ პატიმრებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ მკურნალობას და რომლებსაც სასჯელის სახედ ან აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვთ საპყრობილეში მოთავსება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოხდეს იზოლირებული საკნების (პალატების) შექმნა და აღნიშნული პატიმრების სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

- პატიმრებს მიეცეთ საშუალება, კანონით დადგენილი წესით, ყოველდღიურად ისარგებლონ გასეირნებით და აღნიშნული უფლების შეზღუდვა არ ხდებოდეს გასასეირნებელი ოთახების მოუწესრიგებლობის მიზეზით;
- გამოინახოს საჭირო თანხები, რათა მოხდეს კვების ორგანიზება იმ სტანდარტებით, რაც დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი 1999 წლის 22 დეკემბრის №5/500/ო ბრძანებით მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ;
- პატიმართა სასამართლო პროცესებზე ბადრაგირებისათვის შეძენილ იქნეს საჭირო რაოდენობის ავტომობილები;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მძიმე ავადმყოფ პატიმართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შეძენილ იქნეს რეანიმობილი, რომელიც პატიმართა რეგიონებიდან ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

4 ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტის მოთავსებისა და მკურნალობის პირობები

2005 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2006 წლის მარტში ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები.

საქართველოს სახალხო დამცველსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის შედეგად (2005 წლის ნოემბერი) სახალხო დამცველთან შეიქმნა მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო, რომლის მიზანია დახურული ტიპის ინსტიტუციებში ადამიანის უფლებათა დაცვაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელება.

მონიტორინგის ჩასატარებლად გამოყენებულია 3 ტიპის ანკეტა (ადმინისტრაციისათვის, ექიმებისა და საშუალო პერსონალისათვის და პაციენტებისათვის). ინფორმაციის მიღების მეთოდია ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ, დაკვირვება და ფოტოდოკუმენტირება.

მომზადდნენ მოხალისე მონიტორები, შეიქმნა „ინფორმირებული თანხმობის ფორმა“, შემუშავდა მონიტორინგის ძირეული პრინციპები, როგორებიცაა, მაგალითად: კონფიდენციალურობა და პაციენტის ანონიმურობის დაცვა და სხვ.

2005 წლის ნოემბერ-დეკემბერში მონიტორინგის საბჭოსა და მონიტორების მიერ შესწავლილი იყო პაციენტთა უფლებები და მკურნალობის პირობები თბილისის ა. ზურაბაშვილის სახელობის ქალაქისა (ე.წ. გლდანის) და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

2006 წლის მარტში მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა ვითარება ძევრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატში“, რომელიც ფსიქიკური და ფიზიკური უნარშეზღუდული პირების თავშესაფარია და ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. დაგეგმილია ამ პროცესის გაგრძელება და დარჩენილი 4 ფსიქიატიული საავადმყოფოს მონიტორინგი.

მონიტორინგის რამდენიმე შედეგი

მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმძიმესი 90-იანი წლების შემდეგ საავადმყოფოებში მიმდინარეობს გარკვეული დადებითი ცვლილებები პაციენტების მოვლისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, ყველა აღნიშნულ დაწესებულებაში გაუმჯობესდა კვება, რასაც პაციენტებიც აღნიშნავენ. თუმცა საკვები ერთფეროვანია და არასაკმარისი, რადგან ყველა დაწესებულებაში

სამჯერადი კვების რეჟიმია, რაც ეწინააღმდეგება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსტრუქციას „სამკურნალო დაწესებულებებში ოთხჯერადი კვების შესახებ“. ზოგადად, პაციენტები მძიმე სანიტარიულ და საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებიან, საავადმყოფოებს არ აქვთ საკმარისი რესურსი, რათა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ეფექტური მკურნალობა უზრუნველყონ, ირღვევა პაციენტის უფლება ინფორმაციის მიღების, გარესამყაროსთან კავშირის, გასაჩივრების, აგრეთვე არაჰუმანური მოპყრობისგან და იძულებითი შრომისაგან დაცვის უფლება. ადამიანების ეს ჯგუფი, მათი ფსიქიკური მდგომარეების გამო, ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებით მოწყვლად და უფლებებდარღვეულ ჯგუფს წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში (არ ვგულისხმობთ ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, სადაც სასამართლო ექსპერტიზის მიერ დადგენილი დიაგნოზის მიხედვით ხდება გადაყვანა და პაციენტებს იძულებითი მკურნალობა უტარდებათ) პაციენტებს ძირითადად ათავსებენ მცირე შემოსავლიანი ოჯახები ან თავსდებიან უპატრონო, უსახლკარო პაციენტები. ა. ზურაბაშვილის სახელობის ქალაქის (ე.წ. გლდანის) ფსიქიატრიულ საავადმყოფოსა და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომლებიც არ არის განკუთვნილი ქრონიკული პაცინტებისათვის, დიდი უმრავლესობა სწორედ ასეთი პაციენტია, რომლებიც არ საჭიროებენ აქტიურ მედიკამენტურ მკურნალობას და, შესაბამისად, სტაციონარში ყოფნას, მაგრამ იმის გამო, რომ ნათესავებს არ მიჰყავთ, ან საერთოდ არ ჰყავთ ნათესავები და წასასვლელი არსად აქვთ, წლების მანძილზე გაუწერლად საავადმყოფოში იმყოფებიან.

საავადმყოფოებს შორის აღინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებანი, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, მაგრამ საყურადღებოა, რომ ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ძირეული უფლებების დაცვა ყველა დაწესებულების დიდი პრობლემაა. თვალშისაცემია, რომ ადამიანის უფლებების კონცეფცია უცხოა როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ასევე, რაღა გასაკვირია, თავად პაციენტებისა და მათი ახლობლებისათვის.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი პირდაპირპროპორციულია ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტთა მკურნალობის ხარისხთან; ან, პირიქით თუ ვიტყვით (და ეს რეალობასთან უფრო ახლოსაა), რაც უფრო მეტად ირღვევა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უფლებები ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მით უფრო დაბალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი, მკურნალობის სტანდარტები და ა.შ.

ეს სიტუაცია გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ასევე აღწერს ისეთ ფუნდამენტურ სამედიცინო პრობლემებს, როგორებიცაა:

- შესაბამისი და პროფესიული მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- ინდივიდუალიზებული მკურნალობის შესაძლებლობა;
- რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი მეთოდების არსებობა;
- ინფორმირებული თანხმობის პრაქტიკა და მკურნალობაზე უარის თქმის შესაძლებლობა და სხვა.

პაციენტის უფლებათა დარღვევები

1. არანებაყოფლობით მკურნალობაზე ზედამხედველობა

არანებაყოფლობითი მკურნალობის დროს პაციენტს არ აქვს გაცნობიერებული სტაციონარირება – მიღების უნარი და მკურნალობა ხორციელდება მისი თანხმობის გარეშე, „პაციენტისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე“. ამ შემთხვევებში, მოქმედ კანონში გათვალისწინებულია

შეტყობინების გაგზავნა პროკურატურაში, თუმცა არაფერია ნათქვამი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა პაციენტის არანებაყოფლობით სტაციონარირებაზე. რეალურად, ეს პროცედურა საავადმყოფოების მიერ უაღრესად ფორმალიზებულია, როგორც გვითხრეს, „უბრალოდ“ იგზავნება შეტყობინებები, და რეაგირებას არავინ ელოდება და ასეთ ფაქტს ვერც ვერავინ იხსენებს.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოში არანებაყოფლობით სტაციონარირებულ პაციენტს არ აქვს საშუალება, დაიცვას საკუთარი უფლება, ან გააპროტესტოს გადაწყვეტილება მისი სტაციონარირების შესახებ. არანებაყოფლობით სტაციონარირებულ პაციენტზე არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლი, რაც უხეშად არღვევს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებს.

2. უფლება შესაბამის მკურნალობასა და დაავადების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე

ეს უფლება ირღვევა სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, იმის გამო, რომ არ არის განვითარებული შესაბამისი სოციალური სამსახურები. ე.წ. „ქრონიკი“ პაციენტები წლობით რჩებიან საავადმყოფოებში (მაგ., 18 წელი), რადგან „წასასვლელი არსად აქვთ“. ამით არა მარტო უხეშად ირღვევა მკურნალობის ვადები, არამედ პაციენტი თანდათან ექცევა „მანკიერ წრეში“: ხანგრძლივი იზოლაცია იწვევს სოციალური კონტაქტებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების დაკარგვას და ე.წ. ჰოსპიტალიზმის სინდრომის ჩამოყალიბებას; ადამიანს სრულიად ეკარგება საავადმყოფოს გარეთ ცხოვრების უნარი და სურვილიც. სახეზე გვაქვს „დასწავლილი უმწეობის, უსუსურობის“ სურათი. რაღა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები გვეუბნებიან: „გარეთ ველარ ვიცხოვრებ, „ბომჟი“ გავხდები, მეშინია..“

ამრიგად, პაციენტის უფლება – მიიღოს შესაბამისი და ეფექტური მკურნალობა შეძლებისდაგვარად ოჯახის პირობებში და საცხოვრებელ ადგილთან ახლოს – უხეშად დარღვეულია.

მკურნალობის ძირითადი ფორმა მედიკამენტურია, მედიკამენტების არჩევანი მწირია (ქალაქის საავადმყოფოში მხოლოდ 5 დასახელების წამალია). მკურნალობის სხვა ფორმები, როგორებიცაა: ფსიქოთერაპია, სოციოთერაპია, არტთერაპია, დასაქმებითი თერაპია, არ შედის მომსახურების პაკეტში.

საკუთარი დაავადების, დიაგნოზის შესახებ პაციენტებმა იციან ზოგადად, მათ, უმეტესად, არ აცნობენ მკურნალობის სქემას, შესაძლო პროგნოზს, მედიკამენტის მოქმედების მექანიზმს.

პაციენტები არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ, განყოფილებებში არ არსებობს საინფორმაციო დაფა, არავინ ატარებს სპეციალურ საინფორმაციო მუშაობას. პაციენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სიტყვიერად ეუბნებიან, რა არ შეიძლება. ერთ-ერთმა პაციენტმა ინტერვიუს დროს თქვა: „რომც ვიცოდეთ ჩვენი უფლებები, აქ არაფერში გამოგვადგება, რადგან მაინც აქაურ წესებს უნდა დავემორჩილოთ“.

3. იძულების ზომების გამოყენებისა და რთულ ვითარებაზე რეაგირების წესები (შინაგანაწესი)

საავადმყოფოებში არ არის შინაგანაწესი, რომელიც დაარეგულირებდა პაციენტსა და სამედიცინო პერსონალს შორის ურთიერთობას, უფლება-მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ჩარჩოებს. აღსანიშნავია, მედპერსონალის უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ შინაგანაწესი არსებობს, მაგრამ არ

იცოდა, რას არეგულირებს ეს შინაგანაწესი, როდის და ვინ შეადგინა და ვის შეუძლია შეცვლა. სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მონიტორინგის ჯგუფმა ნახა მხოლოდ ბრძანებები მორიგეობის შესახებ, გაფრთხილებები მედპერსონალისთვის ალკოჰოლის აკრძალვისა და პაციენტთა ცემისა და შეურაცხყოფის შესახებ. ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკრული იყო კვების განრიგი.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ საავადმყოფოში არ არსებობს რთულ სიტუაციებში ქცევის დაწერილი წესები, რის გამოც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პერსონალი იქცევა საკუთარი გამოცდილების ან შეხედულებისამებრ, ან ასრულებს სიტყვიერ მითითებებს. ამის გამო, არ იყო ერთნაირი პასუხი, თუ როგორ ხდება რეაგირება პაციენტის აგზნების შემთხვევაში ან არასტანდარტულ სიტუაციებში, ვისი განკარგულებით და რამდენი ხნით შეიძლება პაციენტის დაბმა/დაფიქსირება, დაშვებულია თუ არა სხვებთან კონტაქტი ან საპირფარეშოს გამოყენება პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის დროს.

მაგ: ქალაქის საავადმყოფოში პერსონალი აღნიშნავდა, რომ აგზნებულ ავადმყოფს აფიქსირებენ 15 წთ-დან 1 საათამდე, სანამ წამალი იმოქმედებს, მაშინ როდესაც მონიტორინგის წევრებმა ნახეს დაბმული პაციენტი, ქვედა საცვლების გარეშე, რომელიც მონიტორინგის ორივე დღეს დაფიქსირებული იყო.

4. უფლება – დაცული იყოს სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობისაგან

არასაკმარისი დაფინანსების გამო ამ დაწესებულებებში არსებული პირობები ერთნაირად შეურაცხმყოფელი და მძიმეა როგორც პაციენტებისათვის, ასევე პერსონალისათვის. მედპერსონალის სამუშაო ოთახების აღჭურვილობა ამორტიზებულია და ისევე სარემონტოა, როგორც პალატები. ამის გამო პერსონალისა და პაციენტების ურთიერთდამოკიდებულებაში არსებობს „სოლიდარობის“ გრძნობა. პერსონალი ამბობს, რომ მათ ეცოდებათ პაციენტები, სახლიდან შეძლებისდაგვარად მოაქვთ მათთვის საჭმელი, ტანსაცმელი, ხოლო პაციენტები ამბობენ: „რა ქნას პერსონალმაც, როგორ მოგვაქციოს ყურადღება, როდესაც ასე ცოტას უხდიან“.

პაციენტთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათ უყვიროდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, იყო ცემის ფაქტებიც – „იატაკის ჯოხით სცემენ ან რკინის გასაღებს ურტყამენ თავში, რომ დაიჩივლო, არ დაგიჯერებენ“. ამავე დროს, პაციენტები ამბობდნენ, რომ „ადრე უარესი იყო“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არსებობს იძულების გამოყენების დაწერილი წესები, პერსონალს არ გაუვლია სპეციალური მომზადება – „ძველები ასწავლიან ახლებს“. კითხვაზე, შეიძლება თუ არა საპირფარეშოთი სარგებლობა აგზნებული პაციენტის დაბმის დროს, სანიტრები პასუხობენ განსხვავებულად: ნაწილი ამბობს – „არ შეიძლება“, ნაწილი – „შეიძლება“. ხოლო პაციენტები ჰყვებიან, თუ „კარგი ცვლაა“ – დაგეხმარება, საპირფარეშოში წაგიყვანს ან „სუდნოს/ვედროს მოგიტანს“, ხოლო „ცუდი ცვლა არ გაძლევს უფლებას“.

კითხვაზე, დაშავებულა თუ არა ვინმე იძულების წესების გამოყენებისას, მედპერსონალი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ პერსონალის დაშავების შემთხვევები იყო – პერსონალმა დაფიქსირების დროს ტვინის შერყევა, მოტეხილობა მიიღო. პაციენტის დაშავების შემთხვევები არ ყოფილა: „შეიძლება მაჯები დაულურჯდეს, თუ მაგრად მოუჭირეს“. პაციენტები, პირიქით, აღნიშნავენ, რომ მათი დაშავების შემთხვევები ყოფილა: „თუ დაფიქსირების დროს პაციენტი დაალურჯეს და ექიმთან იჩივლა, პერსონალი უარყოფს და სხვა პაციენტს აბრალებს, თითქოს პაციენტმა სცემა, ყველამ იცის, რომ ასე არ არის, მაგრამ არ რეაგირებენ“.

5. საზოგადოებრივი კონტროლი

მართალია, საავადმყოფოებში დროდადრო მოდიან ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგრამ საავადმყოფოებში არ ხორციელდება საზოგადოებრივი ზედამხედველობა და პაციენტთა უფლებების შესწავლა. საავადმყოფოები იზოლირებულია გარესამყაროსაგან. ამას ხელს უწყობს პერსონალიც, რომელიც ცდილობს, საავადმყოფო მაქსიმალურად დახურული იყოს უცხო თვალისათვის. მაგალითად, ა.ზურაბაშვილის სახელობის ქალაქის (ე.წ. გლდანის) ფსიქიატრიული საავადმყოფოში იყო შემთხვევა, როდესაც ნათესავს არ მისცეს უფლება, დაეთვალიერებინა განყოფილება და ენახა, სად წევს პაციენტი.

ზოგადად, პერსონალი ისჯება, თუ პაციენტი გაიპარა/უნებართვოდ დატოვა საავადმყოფოს ტერიტორია. მორიგე პერსონალს უხდება, საკუთარი ხარჯით მიაკითხოს პაციენტს და დააბრუნოს. ამიტომ პერსონალი განსაკუთრებით ცდილობს, რომ განყოფილება იყოს ჩაკეტილი და პაციენტთა თავისუფალი გადაადგილება მაქსიმალურად შეზღუდული, რათა ნაკლები პრობლემა შეექმნათ.

პაციენტები ხშირად საავადმყოფოს ციხეს ადარებენ, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ციხე უკეთესია. ფოთში საავადმყოფოს იხსენიებენ როგორც „ფსიქიატრიულ ციხეს“ და ჩვენი შთაბეჭდილებითაც, ეს უფრო ციხეა, ვიდრე სამკურნალო დაწესებულება.

საზოგადოებრივი კონტროლის დეფიციტი იწვევს იმას, რომ პერსონალი ანგარიშვალდებულად გრძნობს თავს მხოლოდ ადმინისტრაციის წინაშე, ხოლო პაციენტებს არ აქვთ იმედი საკუთარი პრობლემების ობიექტური განხილვისა.

მოკლე შეჯამება

აქ მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე უფლება და ზოგადად აღვწერეთ რამდენიმე ფსიქიატრიული საავადმყოფოს სიტუაცია, რათა გვეჩვენებინა საგანგაშო მდგომარეობა იმ ადამიანებისა, ვისაც ფსიქიკური პრობლემები აქვთ და სტაციონარში მკურნალობენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენ მხოლოდ სიტუაციის „დიაგნოსტირებით“ არ ვიფარგლებით და ვცდილობთ, გადაუდებელი და მწვავე პრობლემების მოგვარებაში წვლილი შევიტანოთ. მაგალითად, თბილისის ა. ზურაბაშვილის სახელობის ქალაქის (ე.წ. გლდანის) ფსიქიატრიული საავადმყოფოს მონიტორინგის შემდეგ, ჩვენი მეცადინეობით, საავადმყოფოს აღუდგა გაზის მიწოდება და 9 თვის ინტერვალის შემდეგ პაციენტებს ბანაობის, თეთრეულის გამოცვლისა და გათბობის საშუალება მიეცათ; ასევე, ქალაქის მერია შეგვპირდა საავადმყოფომდე მისასვლელი გზის, რომელიც ფაქტობრივად გაუვლელი იყო, გარემონტებას. საავადმყოფოს გადაეცა გარკვეული რაოდენობის თბილი ტანსაცმელი (ფონდ „კარიტასსა“ და ეკლესიის მრევლის დახმარებით). ამჟამად ეს საავადმყოფო თანდათან გადადის სხვა შენობაში და იმედი გვაქვს, არაჰუმანური პირობები საბოლოოდ დაიძლევა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2006 წლიდან გაიზარდა ფსიქიატრიის სფეროს დაფინანსება.

რეკომენდაციები ფსიქიატრიის სფეროში

ზოგადი რეკომენდაციები

ჩვენი ზოგადი რეკომენდაციები ორ ფუნდამენტურ საკითხს მოიცავს და პარლამენტს მოიაზრებს როგორც შემსრულებელსა და ფასილიტატორს:

1. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის დახვეწა;

საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება, ანუ ახალი, თანამედროვე კანონის შემუშავება და მიღება, არის აუცილებელი პაციენტების უფლებების უკეთ დაცვისათვის და ზოგიერთი სერიოზული ხარვეზის აღმოსაფხვრელად (მაგ., არანებაყოფლობითი სტაციონარირების პრაქტიკა); შემსრულებელი – საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

2. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კონცეფციის შემუშავება, სამოქმედო გეგმის შექმნა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყება – დახურული ინსტიტუციებიდან აქცენტის გადატანით თემზე ორიენტირებულ მომსახურებებზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების თანმიმდევრული ჯაჭვის შექმნით; შემსრულებელი – საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

კონკრეტული რეკომენდაციები

■ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება

ამ რეკომენდაციაში ვგულისხმობთ, რომ თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობამ მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საავადმყოფოს გათბობა, როგორც პალატების, ასევე სამედიცინო პერსონალის ოთახებისა; პაციენტთათვის რეგულარული შხაპის მიღების უზრუნველყოფა; თეთრეულის რეგულარული გამოცვლა, პაციენტების თბილი ჩასაცმელით, ფეხსაცმლით და ასევე სათანადო რაოდენობის ჭურჭლით (ჭიქები, თეფშები, კოვზები) მომარაგება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ა.შ.) მათ უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ იზრუნოს, რომ პალატებში იყოს პაციენტთა პირადი ნივთების შესანახი ტუმბო/კარადა;

მოეწყოს სოციალური სივრცე, სადაც, ტელეფონითა და ტელევიზორით სარგებლობის გარდა, პაციენტთათვის ხელმისაწვდომი იქნება გაზეთი, წიგნი, საწერ-კალამი, ქაღალდი, ა.შ.

აუცილებელია, დაწესებულებების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მინიმუმ ოთხჯერადი კვება, როგორც ეს მითითებულია ჯანდაცვის სამინისტროს ინსტრუქციაში „სამკურნალო დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის შესახებ“.

ადმინისტრაციის მიერ უნდა შემუშავდეს დაწესებულების შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სტანდარტებს დიფერენცირებული მკურნალობისა და რეაბილიტაციის მთელი სპექტრის შესახებ, მათ შორის:

- პაციენტთა მიღებას და გაწერას საავადმყოფოდან;
- აგზნების და აგრესიის შემთხვევების მართვას (ფსიქოტროპული მედიკამენტების დოზირება, ფიქსირების პროცედურა);
- აქტიური მკურნალობის პრინციპებს, ვადებს;
- რეაბილიტაციის მეთოდების გამოყენებას;
- პაციენტთა რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას ფიზიკური დაზიანებებისა და მათი წყაროს საიდენტიფიკაციოდ;
- პაციენტთა კონტაქტს „გარესამყაროსთან“;
- მათ ინფორმირებას საკუთარი უფლებების შესახებ;
- მედპერსონალის ქცევის ნორმებს და სხვ.

შემსრულებელი – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობა.

განათლება

ეს რეკომენდაცია გულისხმობს განათლების დონის ამაღლებას საავადმყოფოებში – როგორც პერსონალის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ზრდის მხრივ, ასევე პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების განათლებას პაციენტის უფლებების შესახებ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეძლევა რეკომენდაცია, განაახლოს მკურნალობისა და მოვლის სტანდარტები და გაამკაცროს კონტროლი ამ სტანდარტების შესრულებაზე. ასევე, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დახვეწოს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა და შეიტანოს ამ პროგრამაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ეთიკის საკითხები.

რეკომენდაცია ეძლევა როგორც საავადმყოფოების ადმინისტრაციას, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამინისტროსთან არსებულ ფსიქიატრ-ექსპერტთა საკოორდინაციო პანელს, ასევე ამ პროცესში ჩართვისათვის მზად არის საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო, ასევე ეთხოვოს ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს:

- ტრენინგები სამედიცინო პერსონალისათვის ადამიანის უფლებებისა და სამედიცინო ეთიკის შესახებ;
- სპეციალური ტრენინგები სამედიცინო პერსონალისათვის – „ქცევის ნორმები პაციენტის აგზნებისა და აგრესიის შემთხვევაში“; ასევე „მკურნალობის თანამედროვე პრინციპები და მეთოდები“;
- ტრენინგები ნათესავთა და მეურვეთათვის, ასევე თავად პაციენტთათვის /რემისიის პირობებში/ – „პაციენტის უფლებები და მათი დაცვის გზები“;
- საზოგადოებრივი კამპანიები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერებისთვის.

რეკომენდაცია ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით:

- რეგულარული მონიტორინგი უფლებების დაცვისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, კლინიკების ღიაობისა და „გამჭვირვალობის“ ხელშეწყობისთვის;
- გასაჩივრების პროცედურის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს პაციენტთა უფლებების დარღვევების ფაქტების შესწავლა და რეაგირების მექანიზმის ამოქმედება.

შემსრულებელი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ასევე ამ პროცესში ჩაერთვება სახალხო დამცველის აპარატი და სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო.

რეკომენდაცია ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფიქიატრიული საავადმყოფოს ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად:

ეს რეკომენდაცია გულისხმობს ფოთის საავადმყოფოში საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელებას, რომლებიც უნდა დაიგეგმოს 3 ძირითადი მიმართულებით:

- მკაცრი მეთვალყურეობის საავადმყოფოს დაცვის სამსახურის გაძლიერება, რაც გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა: საინჟინრო-ტექნიკური გამაგრება, თვალ თვალის, განგაშის, სიგნალიზაციის სისტემების დაყენება-ამოქმედება და სხვ. დაცვამ უნდა უზრუნველყოს საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსებულ ადამიანთა უსაფრთხოება, აღ-მოფხვრას გაქცევის რისკი და დაიცვას სამედიცინო პერსონალი შესაძლო აგრესიული ეპი-ზოდების დროს; შემსრულებელი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და შსს სამინისტრო;
- საავადმყოფოში თერაპიული გარემოს შექმნა. ამჟამად საავადმყოფო უფრო ციხეს ჰგავს – 90-100 მძიმე პაციენტზე მხოლოდ 2 ექიმი ზრუნავს, პალატები მძიმე რკინის კარებით იკეტე-ბა და ა.შ.; საჭიროა მედპერსონალის რიცხვის გაზრდა და მკურნალობის მეთოდების გაფართო-ება – ამჟამად მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობაა შესაძლებელი; შემსრულებელი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; საავადმყოფოს ადმინისტრაცია;
- სამედიცინო პერსონალის სპეციალური მომზადება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: „ჩარე-ვის გზები ფსიქიკური აშლილობების მქონე დამნაშავეთა სამკურნალოდ“; შემსრულებელი – ფსიქიატრიული ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საავადმყოფოს ადმინისტრაცია.

5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა.

სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიშში ზოგადად შეფასდა ამ კუთხით საქართველოში არსებული სიტუაცია და გაკეთდა შესაბამისი რეკომენდაციები. უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა 2004 წლიდან 2006 წლამდე ფაქტობრივად არ შეცვლილა. თუ კონკრეტულად განვიხილავთ ინვალიდებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესების მიერ პრიორიტეტად აღიარებულ ძირითად მიმართულებებს და შევადარებთ 2004 წლის ანგარიშში გაკეთებულ მიმოხილვას, აშკარად დავინახავთ, რომ ქვეყანას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების უფლებები პრიორიტეტად ნამდვილად არ მიაჩნია, რეალურად ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგმულა მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით.

ისევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება გლობალური პოლიტიკის არარსებობა. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხიდან ირკვევა, სამინისტროს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, 21.09.2005 წელს №238/ო ბრძანების (დანართი №1) თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესის განხორციელებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო. უკანასკნელის წინადადებები გათვალისწინებული იქნა მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის №53/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში“, რომელიც შშმ პირთა სოციალური დაცვის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია და არსებული საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში მიზნად ისახავს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1995 წლის 14 ივნისის №756 საქართველოს კანონისა და „შშმ პირთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესების“ თაობაზე გაეროს 1993 წლის 20 დეკემბრის №48/96 რეზოლუციის მოთხოვნათა აღსრულებას.

მინისტრის 2005 წლის 21 სექტემბრის №238/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საკონსულტაციო საბჭომ ამავე ბრძანების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის №225 ბრძანებულებით შექმნილი „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს“ გაუქმებისა და ახალი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის მიზნით, მოამზადა სათანადო წინადადებები და რეკომენდაციები. აღნიშნული საბჭოს პირდაპირი დანიშნულება იქნება შშმ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის დაზუსტება-დახვეწაზე შემდგომი მუშაობის წარმოება.

რაც შეეხება შშმ პირთა სფეროში არსებულ კანონმდებლობას, 2004 წლის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მოქმედი კანონმდებლობა მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ „ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციას (ICF)“.

აღნიშნული კლასიფიკაცია არ მოქმედებდა საქართველოში, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა უნარშეზღუდულობის იდენტიფიკაციისა და მასთან განუყრელად დაკავშირებული რეაბილიტაციის, განათლებისა და დასაქმების საკითხების გადაწყვეტას. აღნიშნული კლასიფიკაციის დანერგვის შესახებ რეკომენდაცია გაკეთებული იყო სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიშშიც.

ეს არის რეკომენდაციის ის ერთადერთი კომპონენტი, რომელიც ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. მინისტრის მოადგილის განმარტებით, შშმ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობისათვის „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილია შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის შემუშავება. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის წარმომადგენლების, მოწვეული სპეციალისტებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით იქმნება თემატური ჯგუფი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ფსკ-ის სრული ვერსიის ქართულ ენაზე გამოცემასა და მის საფუძველზე შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების ოპტიმალური სისტემის შემუშავებას.

ყველაზე მწვავედ, ისევე როგორც ადრე, დღესაც ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას. ეს გულისხმობს ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივ ადგილებში, შენობის გარეთ სივრცეში, ტრანსპორტში, სახლებში, სპეციალური დანადგარების მონტაჟს სმენადაქვეითებულებისათვის და უსინათლოებისათვის, სპეციალური ტრანსპორტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაყვანას სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, სამსახურში, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკითხი – რამდენად ითვალისწინებს მედია უნარშეზღუდულ პირთა საჭიროებებს, გამოდის თუ არა ლიტერატურა ბრაილის შრიფტით და ა.შ.

ხელმისაწვდომობის თაობაზე არაერთი რეკომენდაცია გაკეთდა სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიშში, თუმცა სიტუაცია ფაქტობრივად არ შეცვლილა, გარდა იმისა, რომ შშმ პირებმა კიდევ წელიწად-ნახევარი გაატარეს მათთვის საჭირო ელემენტარული პირობების გარეშე. მართალია, კანონმდებლობაში ჩაიდო მუხლები, რომლებიც გარკვეულწილად უნდა იყოს მათი უფლებების დაცვის გარანტია, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მხოლოდ დეკლარირების დონეზე არსებობენ.

გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის 2002/61 რეზოლუციაში აღიარებულია, რომ თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ან სხვა უარყოფითი მოპყრობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი, რომელიც ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანასწორუფლებიანობის სტანდარტულ წესებს, არის მათი უფლებების უხეში დარღვევა.

გაეროს გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუცია ინვალიდებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესების შესახებ გულისხმობს სახელმწიფოების მიერ მორალური და პოლიტიკური ვალდებულებების აღებას ინვალიდებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ეს წესები აგრეთვე ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შესახებ ზომების მიღებასა და თანამშრომლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ მისაწვდომობის მნიშვნელობა ინვალიდებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პროცესში. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სამოქმედო პროგრამები საიმისოდ, რომ მატერიალური გარემოცვა მისაწვდომი გახადონ მათთვის, უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შშმ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციასა და კომუნიკაციებზე.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მატერიალური გარემოცვის გამოყენებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. ამგვარ ზომებში უნდა შედიოდეს სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, აგრეთვე იმ საკანონმდებლო აქტების მიღების შესახებ საკითხის განხილვა, რომლებიც მიმართულია საერთო სარგებლობის ისეთი ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა: შენობა-ნაგებობები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სხვა სატრანსპორტო საშუალებები, ქუჩები და ა.შ.

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არქიტექტორებისათვის, ინჟინერ-მშენებლებისა და სხვა სპეციალისტებისათვის, რომლებიც მათი პროფესიიდან გამომდინარე მატერიალური გარემოს დაპროექტებითა და შექმნით არიან დაკავებულნი, ხელმისაწვდომი გახდეს ადეკვატური ინფორმაცია ინვალიდთა მიმართ გასატარებელი პოლიტიკის შესახებ.

სახელმწიფოებმა უნდა შექმნან პირობები იმისთვის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა – ტელევიზიამ, რადიომ და პრესამ – მისაწვდომი გახადონ თავიანთი მომსახურება.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ინვალიდთა ჩართვას შრომის თავისუფალ ბაზარში.

სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობას, როგორებიცაა: თეატრი, მუზეუმები, კინო-თეატრები და ბიბლიოთეკები.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, სხვადასხვა ობიექტის მოწყობა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ისინი არ მიესადაგებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირობები, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, უზრუნველყონ ისინი სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულად ითვლება ინვალიდობის მოტივით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რაც არსებითად ხელყოფს მის უფლებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება, აგრეთვე

ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის საჭიროებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა ხდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველი.

იმავე კოდექსში აღნიშნულია, რომ 178[1]-178[2] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. თუმცა, როგორც გაირკვა, მიხედავად იმისა, რომ კოდექსში შესაბამისი მუხლი თითქმის ერთი წლის წინ არის ჩადებული, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯერ არ არის განსაზღვრული ის ორგანო, რომელიც იქნება უფლებამოსილი, შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, შესაბამისად, არ არსებობს ოქმის შედგენის პრეცედენტიც.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რამდენად იყო გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და მოთხოვნილებები ობიექტების დაპროექტება-მშენებლობისას და არსებობდა თუ არა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ძველ შენობებში მათთვის ახალი ადაპტირებული კარების, ლიფტებისა და პანდუსების დაყენებას, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურიდან გვაცნობეს, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი დანიშნულების ან სხვა შერეული ფუნქციის მქონე ობიექტების დასაპროექტებლად ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური დამკვეთებისათვის ადგენს ქალაქმშენებლობით პირობებს, რომლებშიც სხვადასხვა მოთხოვნასთან ერთად გათვალისწინებულია ის სავალდებულო პირობაც, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ლიფტებამდე გადასაადგილებლად პანდუსების მოწყობას, თუმცა, როგორც სამსახურის უფროსი ნ.ჩხაიძე აღნიშნავს, დამკვეთთა მხრიდან მათი განხორციელების ეფექტურობა ნაკლებად შესამჩნევია.

რაც შეეხება ხელმისაწვდომობის საკითხს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან გვაცნობეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოყოფილია დასაჯდომი ადგილები მძღოლის კაბინის უკან, პირველსავე რიგში. სპეციალური ასასვლელები, დღეისათვის მარშრუტებზე ჩართულ მოძრავ შემადგენლობებს არ გააჩნიათ. აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ შეუძლია დამოუკიდებლად ავიდეს ავტობუსში, მაშინ ვისთვის არის გათვალისწინებული ადგილები მძღოლის უკან? ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის შშმ პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში. არადა აღნიშნული ავტობუსები ბოლო 2 წლის განმავლობაშია შემოყვანილი საქართველოში.

თბილისის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთრებაში ისეთი სპეციალური ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასწავლო, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამსახურებში გადაყვანას. ეს არის კიდევ ერთი დაბრკოლება, რაც შშმ პირებს არ აძლევს საშუალებას, თავი იგრძნონ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

თბილისის ახალგარემონტებულ ქუჩებსა და გადასასვლელებზე ერთი თვალის შევლებითაც ცხადი ხდება, რომ მათი შეკეთებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე არავის უფიქრია, არ არსებობს არც მათთვის სპეციალურად გათვალისწინებული პანდუსები, არც ხმოვანი სიგნალები და სხვა რაიმე მოწყობილობა.

2005 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ შემოწმდა ქ. თბილისის მერიის, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და ვაკე-საბურთალოს გამგეობის შენობები, აგრეთვე ვაკის პარკის აღმოსავლეთ შესასვლელთან არსებული ახალი კორპუსი (მოსაშვილის ქუჩა) და გაბაშვილის ქუჩაზე (№2,3,4) მდებარე ახალი კორპუსები.

ქ. თბილისის მერიაში არ აღმოჩნდა ინვალიდთათვის განკუთვნილი არანაირი მოწყობილობა.

ასეთი მოწყობილობა არ აღმოჩნდა არც რუსთაველის თეატრში და ვაკე-საბურთალოს გამგეობაში.

ჯანდაცვის სამინისტროში არსებობს ინვალიდთათვის განკუთვნილი სპეციალური ლიფტი და სამინისტროს მისაღებამდე მისასვლელი გზა.

მოსაშვილის ქუჩაზე მშენებარე სახლში გათვალისწინებულია ე.წ. სატვირთო ლიფტი, სპეციალურად ინვალიდებისათვის გათვალისწინებული ლიფტი არ არსებობს.

გაბაშვილის ქუჩის 2, 3, და 4 ნომრებში არ არის გათვალისწინებული ინვალიდთა გადაადგილებისათვის აუცილებელი საშუალებები.

ჭავჭავაძის გამზირზე დათვალიერებული 5 მიწისქვეშა გადასასვლელიდან 4 მათგანს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გათვალისწინებული განყოფილებები, თსუ-ის პირდაპირ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში კი ასეთი განყოფილება გათვალისწინებული საერთოდ არ არის.

ოთხ გადასასვლელს შორის მხოლოდ ვაკის პარკის მთავარი შესასვლელის წინ არსებულ გადასასვლელშია შესაძლებელი რელსებს შორის ჩაშენებულ საფეხურებზე ეტლის უკანა მხრიდან დაჭერა. დანარჩენ სამ ადგილას (ყიფშიძის შესახვევთან, მე-9 საავადმყოფოსთან და ვაკის ყოფილ სახანძროსთან) მწყობრში მყოფი სამუხრუჭე სისტემის გარეშე ეტლის უსაფრთხოება ინვალიდთა განყოფილებებში მოძრაობის შემთხვევაში არ არის გარანტირებული. ამასვე ადასტურებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათი განმარტებით, ამ ჩასასვლელების არასწორად დაპროექტების გამო, დახრის კუთხე იმდენად მაღალია, რომ მათი გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია.

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, დედაქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ ფეხით მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელებში განსაზღვრულია, მოეწყოს საეტლე ბილიკები, რაც განხორციელდება შესაბამის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მეშვეობით. დედაქალაქის ქუჩებისა და გზების კაპიტალურად შესაკეთებელ ობიექტებზე გათვალისწინებულია, ტროტუარებთან მოეწყოს პანდუსები, თუმცა გაურკვეველია, ახალგარემონტებულ გადასასვლელებზე რატომ არ იქნა უკვე გათვალისწინებული შშმ პირთა საჭიროებები.

როგორც თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიდან მოსული პასუხიდან გაირკვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის მოცემულ ეტაპზე თბილისში ფუნქციონირებს შემდეგი ადაპტირებული სკოლები: №10, №21, №98, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ადაპტაციისათვის შესაბამისი პირობებია შექმნილი. რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, მათი განმარტებით, ხორციელდება უსინათლო და სმენადაქვეითებული ახალგაზრდებისათვის ხმოვანი წიგნების ჩაწერა.

განათლების სამინისტროს პასუხიდან ირკვევა, რომ ფუნქციონირებს 11 საპილოტო სკოლა (გურამ რამიშვილის საავტორო სკოლა, №180, 61, 10, 6, 151, 130, 44, 60, 4, მე-2 ექსპერიმენტული), სადაც მიმდინარეობს ინკლუზიური განათლება. ჩამოთვლილი სკოლებიდან მხოლოდ ორი სკოლაა აღჭურვილი (№180,№6) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისათვის საჭირო პანდუსითა და ლიფტით (ლიფტები უმოქმედოა, ვინაიდან სკოლას არ აქვს ლიფტის შემკეთებლის შტატი), არც ერთ სკოლას არ ემსახურება ტრანსპორტი ბავშვების გადაადგილებისათვის. ინკლუზიური სწავლების დანერგვა აუცილებელი პირობაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციისათვის. ასეთ ვითარებაში ინკლუზიური სწავლების განმახორციელებელ სკოლებში შესაბამისი მოწყობილობების არარსებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ინკლუზიური განათლების იდეის განხორციელებას. ის ფაქტიც, რომ მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური და განათლების სამინისტრო მიუთითებენ სრულიად სხვადასხვა სკოლებზე,

რომლებიც, მათი განმარტებით, ადაპტირებულია შშმ პირების მოთხოვნილებებთან, მეტყველებს იმაზე, რომ რეალურად ამასთან დაკავშირებით შეჯერებული ინფორმაციაც კი არ არსებობს.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირების საკითხს, განათლების სამინისტროს განმარტებით, ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან (ხდება დამხმარე კორექციული პედაგოგების გადამზადება, ტრენინგი უტარდებათ სკოლის დირექტორებს), ამ პროცესში მონაწილეობენ თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც.

მნიშვნელოვანია შშმ პირთა დასაქმების პრობლემა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს არ გააჩნია ინფორმაცია იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საჯარო სამსახურში შშმ პირთათვის გამოყოფილი კვოტები. 2005 წლის განმავლობაში სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში აღრიცხვაზე დადგა 12 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, დასაქმებით არცერთი მათგანი არ დასაქმებულა.

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის წერილიდან ირკვევა, რომ საქალაქო სამსახურის 2006 წლის ბიუჯეტით დაფინანსდება შემდეგი პროგრამები, რომელთა ბენეფიციარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან: ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა (ბიუჯეტი – 16000 ლარი); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა (ბიუჯეტი – 31000 ლარი); ინვალიდ ბავშვთა კულტურული ღონისძიებების პროგრამა (10000 ლარი); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისა და ინკლუზიის პროგრამა (80000 ლარი); უმწეოთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა.

№10 საშ. სკოლა (ნაძალადევი, ცოტნე დადიანის გამზ)

აღნიშნულ სკოლაში ინკლუზიური სწავლების გეგმა და ტექნიკური მხარდაჭერა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკას“ მიერ. სკოლაში ირიცხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 24 ბავშვი, აქედან 12 გადაადგილდება ეტლით. თითოეულ მათგანს სახლიდან სკოლამდე და პირიქით ემსახურება სპეციალური ლიფტით აღჭურვილი ავტობუსი. დაწყებით კლასში ასეთი ბავშვებისათვის არსებობს ცალკე კლასი, საიდანაც ისინი ნაწილდებიან ჩვეულებრივ კლასებში სკოლის სხვა ბავშვებთან ერთან. სკოლას ემსახურება ლიფტი. არსებობს ინფორმატიკის დარბაზი და საასადილო. მთავარ შესასვლელში, ისევე როგორც მთლიანად შენობაში, დამონტაჟებულია ინვალიდთა ეტლის გადასასვლელი ადგილები. საპირფარეშოში არის დასაჯდომი განყოფილებები, თუმცა არ არის კედელზე მიმაგრებული ხელის მოსაკიდები, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გაუდვილებდა მოძრაობას. სკოლას ემსახურება ფსიქოლოგი და ლოგოპედი, რომელთა ხელფასები, ისევე როგორც ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ფინანსდება ორგანიზაცია „ანიკას“ მიერ. როგორც ვხედავთ, აღნიშნული სკოლის ადაპტირება ხორციელდება არა სახელმწიფოს ხარჯით, არამედ ორგანიზაცია „ანიკას“ მიერ.

№98 საშ. სკოლა (ავლაბარი, მარტყოფის ქუჩა)

სკოლას აქვს საკმაოდ კარგი შენობა, ემსახურება დაცვა. შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის გაკეთებულია ცალკე მისასვლელი მთავარ შესასვლელთან, თუმცა სკოლაში არ ჰყავთ არცერთი ინვალიდი ბავშვი. საპირფარეშოებში არ არის გათვალისწინებული შშმ ბავშვების ადგილები. ლიფტი არის. სკოლის ადმინისტრაციას, როგორც მათთან საუბრისას აღმოჩნდა, არ აქვს შემუშავებული კონკრეტული მიდგომა, თუ რა გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს ასეთი ბავშვების განაწილება და

სწავლება. საერთო ჯამში სკოლა კეთილმოწყობილია და, ერთი შეხედვით, ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (საპირფარეშოს გამოკლებით), მზად არის, მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები.

№21 საშ. სკოლა (ვერა, პეტრიაშვილის ქუჩა, ყოფ. მე-6 სკოლა)

სკოლაში ინკლუზიური სწავლებისათვის არსებული პირობები შექმნილია სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული კერძო გრანტებით. სულ აღირიცხება 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, აქედან ერთი გადაადგილდება ეტლით.

ლიფტი მუშაობს, თუმცა ექსპლუატაციაში ვერ უშვებენ, რადგან ვერ უზრუნველყოფენ მომსახურე ტექნიკური პერსონალის ხელფასს. საპირფარეშოში დამონტაჟებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადგილები, თუმცა სარემონტო სამუშაოები არ არის ბოლომდე დამთავრებული. შენობას, როგორც გარედან, ასევე შიგნით, ჩაშენებული აქვს პანდუსები. სკოლაში კარგად არის მოწყობილი ინფორმატიკისა და შრომის ოთახები, სადაც გათვალისწინებულია ყველანაირი ბავშვის მომსახურება. გრანტით მიღებული თანხიდან გათვალისწინებულია აგრეთვე ფსიქოლოგის შტატი. მოქმედებს სასადილო და კინოდარბაზი.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გადაადგილება სახლიდან სკოლამდე, რასაც შეასრულებდა სპეციალური ლიფტით აღჭურვილი ავტობუსი. მართალია, ეტლით მოსიარულე ბავშვების რაოდენობა ამჟამად ძალზე მცირეა, თუმცა არსებობენ ისეთი ოჯახები, რომელთაც არ აქვთ იმის დრო თუ შესაძლებლობა, რომ ყოველდღე ატარონ ეტლით საკუთარი შვილი სკოლაში და ავტობუსის არსებობა ხელმისაწვდომს გახდიდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განათლების მიღებას.

№180 საშ. სკოლა (ვარკეთილი, მე-3 მ/რ)

რამდენიმე წელია, სკოლას აქვს მდიდარი გამოცდილება ინკლუზიური სწავლების სფეროში, რაც ძირითადად ორი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ახალი ნაბიჯები“ და „თანადგომა“ – დამსახურებაა. სულ აღრიცხულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 12 ბავშვი, აქედან 3 გადაადგილდება ეტლით. ის კლასები, სადაც განაწილებულნი არიან ასეთი ბავშვები, განლაგებულია პირველ სართულზე (სკოლა ორი შენობისგან შედგება, ორივე შენობას გარედანაც და შიგნითაც დამონტაჟებული აქვს პანდუსები).

ლიფტი არსებობს, თუმცა აქაც, ისევე როგორც 21-ე საშუალო სკოლაში, არ ჰყავთ ტექნიკური პერსონალი, რომელიც მოემსახურება მას. შესაბამისად, ინფორმატიკის ოთახში (მეორე სართულზე) მისასვლელად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ეხმარებიან მასწავლებლები და თანაკლასელები. ფსიქოლოგის შტატი გათვალისწინებულია, ისევე როგორც მე-10 და 21-ე სკოლებში. თავად შენობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, არსებობს საცურაო აუზიც, რომლის ექსპლუატაციაც ვერ ხერხდება უსახსრობის გამო. არსებობდა სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც დაიწყო და შეჩერდა გაურკვეველი მიზეზების გამო. საპირფარეშოებში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მომსახურებისთვის აუცილებელი მოწყობილობები, თუმცა აქაც სარემონტო სამუშაოები არ არის დამთავრებული. არსებობს სასადილო, სპორტული დარბაზი, შრომისა და ინფორმატიკის ოთახები.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემაა გადაადგილება სახლიდან სკოლამდე და პირიქით. აქ კიდევ უფრო მწვავედ დგას ეს საკითხი, ვიდრე 21-ე საშ. სკოლაში ვინაიდან 180-ე სკოლა მდებარეობს გზიდან მოშორებით და მისასვლელი, ისევე როგორც გზები აღნიშნულ უბანში, სასტიკად

არის დანგრეული. ცუდ ამინდში შეუძლებელი ხდება სკოლის შენობამდე ეტლის მიყვანა. კარგ ამინდშიც ბევრი ეტლი ვერ უძლებს იმ ასიოდე მეტრს, რაც სკოლას აშორებს სამანქანო გზას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კერძო ორგანიზაციების გარდა, სახელმწიფომაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ინკლუზიური განათლების პრიორიტეტად გამოცხადებაში, არამედ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები თუნდაც იმ 11 საპილოტო სკოლის შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებისათვის, სადაც რეალურად სწავლობენ ასეთი პრობლემების მქონე ბავშვები.

რაც შეეხება საქმიანობის კოორდინაციას, არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, არსებობს იდეა, შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ორგანიზებას გაუწევს შშმ პირთა სფეროში გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიშში ერთ-ერთი რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრთან არსებულ სწორედ ასეთ მაკოორდინირებელ საბჭოს ეხებოდა, თუმცა, რატომღაც, ამ ორგანოს შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას 2 წელი დასჭირდა და მისი შექმნა ჯერ ისევ მხოლოდ იდეის დონეზეა.

მნიშვნელოვანია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და და სოციალური დაცვის სამინისტროში განისაზღვროს ორგანო, რომელიც შეადგენს ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178[1]-178[2] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

6 ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს ყველა სახელმწიფომ, მისმა ინსტიტუტებმა და მოქალაქეებმა. შესაბამისად, პაციენტები, როგორც ჯანმრთელობის მომსახურების მომხმარებლები, უნდა დარწმუნდნენ, რომ ნებისმიერი ძალისხმევა მიმართულია მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ჯანმრთელობის დაცვის სექტორი მაღალი რისკის სფეროა, ვინაიდან არაკეთილსაიმედო მოვლენების დადგომა უფრო ხშირად უკავშირდება მკურნალობას, ვიდრე თვით დაავადება, ამ უკანასკნელს შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სერიოზული დაზიანება, გართულება და პაციენტისათვის ტანჯვისა და ზიანის მიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საავადმყოფოსა და ჯანმრთელობის დაწესებულებას პროცედურები პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადოდ აქვს უზრუნველყოფილი, ჯანმრთელობის დაცვის სექტორი მაინც ჩამორჩება სხვა დარგებს და მომსახურების სფეროებს, რომლებიც ნერგავენ უსაფრთხოების სისტემატურ პროცესებს. უკვე ნათელი ხდება, რომ ჯანმრთელობის სისტემაში პირველი ნაბიჯები, მთლიანად და სრულად, პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის დაწესებისკენ უნდა გადაიდგას.

პაციენტის უსაფრთხოებაზე ფოკუსირებას მივყავართ მკურნალობაზე გაღებული სახსრების დაზოგვასთან, რომელიც უნდა დახარჯულიყო არასასურველი შედეგის დადგომის შემთხვევაში, ფინანსური რესურსების ხარჯვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. გარდა ამისა, დანაზოგი შეიძლება დაგროვდეს იმ ხარჯების ადმინისტრირებისას, რომლებიც უკავშირდება საჩივრებს და მათზე გაღებულ კომპენსაციებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პაციენტის უსაფრთხოებით მიიღწევა ცხოვრების ხარისხის ამაღლება. იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი მიღწეულ იქნეს, სხვადასხვა გზით უნდა მკვეთრად გაუმჯობესდეს უსაფრთხოების კულტურა.

2005 წლის 5 აპრილის ლუქსემბურგის კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია პაციენტთა უსაფრთხოების შესახებ იძლევა რეკომენდაციას, რომ „პაციენტის უსაფრთხოება“ ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ადგილობრივად ჯანმრთელობის დაცვის სექტორში დაგეგმილ პოლიტიკურ ღონისძიებათა ნუსხაში ერთ-ერთ უპირველეს ადგილზე უნდა იქნეს განხილული.

ამ დეკლარაციით, ნაციონალურ მთავრობებს ეძლევათ რეკომენდაციები, სხვათა შორის უზრუნველყოს პაციენტთათვის მათი ჯანმრთელობის შესახებ არსებული პირადი ინფორმაციის სრული და თავისუფალი მიწოდება, ამასთან, განამტკიცოს მონაცემთა სიზუსტე და პაციენტის მიერ მისდამი ჩატარებული მკურნალობის არსის სრული აღქმადობა. გასათვალისწინებელია ის, რომ „ინფორმირებულ პაციენტებს" უკეთ შეუძლიათ თავიანთი ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

საქართველოში მოქმედებს 16 კანონი მედიცინის დარგში და 12 კანონი სოციალურ საკითხთა დასარეგულირებლად. საყურადღებოა, რომ დღეს საქართველო ევროპის იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელთაც სრულყოფილი კანონმდებლობა აქვთ პაციენტის უფლებების დაცვის სფეროში, რომელიც პაციენტის სოციალური და ინდივიდუალური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს; მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა იმ პირველ ათეულშია, სადაც მიღებულ იქნა ცალკე კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ" (მოქმედებს 2001 წლის 1 მარტიდან). ამასთან, საერთაშორისო დოკუმენტები და დეკლარაციები (ლუქსემბურგის დეკლარაცია) გვავალდებულებს, რომ „პაციენტის უსაფრთხოება" ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის სექტორში დაგეგმილ პოლიტიკურ ღონისძიებათა ნუსხაში ერთ-ერთ უპირველეს ადგილზე უნდა იქნეს განხილული.

პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გარკვეულ როლს ასრულებს ქმედუნარიანი საკანონმდებლო ბაზა და როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე პაციენტთა ცოდნა შესაბამისი კანონებისა. ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონები დროთა განმავლობაში საჭიროებს გადახედვას და ცვლილებებს.

კომენტარი „პაციენტის" განმარტების შესახებ

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში მკაფიოდ და უნიფიცირებულად განისაზღვროს ცნება – „პაციენტი".

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ტერმინი პაციენტი განმარტებულია სამ სხვადასხვა კანონში:

1. პაციენტის უფლებების შესახებ კანონის I თავში (მე-4 მუხლი) განმარტებულია ტერმინი პაციენტი: „ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით".
2. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (I თავი, მუხლი მე-3, პუნქტი „რ") ვკითხულობთ: „პაციენტი – პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით".
3. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის II მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად: „პაციენტი" – პირი, რომელსაც დადგენილი აქვს ფსიქიკური დაავადების დიაგნოზი და უწევენ ფსიქიატრიულ დახმარებას".

წარმოდგენილი განმარტებები პრინციპულად ურთიერთშეუსაბამოა. „განსხვავებულია ასევე ცნებები: „ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურება" და „სამედიცინო დახმარება". მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, ზოგიერთი კატეგორიის პაციენტის უფლებები ვრცელდება მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების სფეროში, დანარჩენ პირებს პაციენტი უნდა ვუწოდოთ

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ გაეწევათ სამედიცინო დახმარება. ამ ფონზე იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფსიქიატრია არ წარმოადგენს მედიცინის დარგს, რადგან პაციენტი ამ კანონში სულ სხვაგვარადაა განმარტებული.

საკანონმდებლო აქტებში პაციენტის განმარტება უნდა შეესაბამებოდეს ასევე იურიდიულ ნორმებს, ვინაიდან ამ ცნების საკანონმდებლო განმარტების აუცილებლობა წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ ჯანდაცვის სფეროში კანონმდებლობამ უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. აქედან გამომდინარე კი, სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია, სისტემის ყველა კომპონენტს (მხარეს) მიენიჭოს უნიფიცირებული და მკაფიოდ განმარტებული სახელწოდება. გარდა ამისა, ჯანდაცვის სფეროში მოქმედი 16 კანონიდან ყველა მათგანი წარმოადგენს საქართველოს კანონს (არ მიეკუთვნება ორგანულ ან იერარქიულად განსხვავებული მნიშვნელობის აქტს), რის გამოც ყველა განმარტება, რომელიც ამ დოკუმენტებშია მოცემული, თანაბარი ძალისაა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ეყრდნობა ჯანდაცვის სისტემებისა და პოლიტიკის ევროპული ობსერვატორიის განმარტებით ლექსიკონს და პაციენტს განმარტავს როგორც: პირს, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის სისტემასთან, იმის გამო, რომ მის ჯანმრთელობის მდგომარეობას ესაჭიროება ყურადღება ამ სისტემის მხრიდან.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერმინ „პაციენტის“ განმარტებაში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც საჭიროებს სამედიცინო (და არა ჯანდაცვის სფეროს) ყურადღებას, მოვლას ან მკურნალობას. მისი მდგომარეობის საყურადღებო ქცევა გამომდინარეობს იმ გარემოებებიდან, რომ პიროვნება ან არის ავად (აღენიშნება რაიმე პათოლოგია), ან დაზიანებულია, რის გამოც იგი მკურნალობს, ან საჭიროებს მკურნალობას ექიმისა თუ ჯანდაცვის სხვა პროფესიონალის მიერ. პაციენტის განმარტების განსხვავებული ინტერპრეტაცია გვხვდება ზოგიერთი სამთავრობო სააგენტოს, სადაზღვევო კომპანიის ან/და პაციენტთა ზოგიერთი ჯგუფის მიერ. ამ შემთხვევაში პაციენტი შესაძლოა მოხსენიებულ იქნეს როგორც ჯანმრთელობის მომხმარებელი ან ჯანდაცვის სისტემის მომხმარებელი.

ტერმინის ოპტიმალური შერჩევისა და განმარტებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკითხი განიხილოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს პარლამენტმა.

კომენტარი ინფორმირებული თანხმობის შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, ჩავთვალოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა სხვადასხვა სახის სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება, მკურნალობის მეთოდებისა და მკურნალობის შესაძლო შედეგების შესახებ პაციენტის თანხმობა, აღნიშნულია ტერმინით – „ინფორმირებული თანხმობა“ (საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მე-4 ბ) მუხლი: ინფორმირებული თანხმობა – პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნაროობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლიას თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებაზე, მას შემდეგ, რაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია.)

ინფორმირებული თანხმობა დაფიქსირებულია ასევე („საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში“ (44-ე მუხლი); „ჯანდაცვის შესახებ“ კანონში (მე-8 მუხლი), რაც საკმარისად არ ასახავს ამ მოქმედების არსს. მიგვაჩნია, რომ საკმარისი არ არის პაციენტისათვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, პაციენტმა (მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა შეძლოს ამ ინფორმაციის ადეკვატურად აღქმა და მისი გაცნობიერება (გააზრებულად აღქმა).

რეკომენდაცია

წინადადებით მივმართავთ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს: „კანონში პაციენტის უფლებების შესახებ“ ინფორმირებული თანხმობის ცნების განმარტებას, დაზუსტების მიზნით, დაემატოს ბოლო ერთი წინადადება: „ინფორმირებული თანხმობა – პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნათესაცის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებაზე, მას შემდეგ, რაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომელიც სწორად იქნება გაცნობიერებული და აღქმული.“

შემსრულებელი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

აივ/შიდსი საქართველოში

2005 წლის მონაცემებით, 1.000 მოსახლეზე, აივ/შიდსის გავრცელების მაჩვენებელი 0,14%-0,15%-ს შეადგენს. საქართველოში, მიუხედავად აივ/შიდსის შემთხვევათა დაბალი მაჩვენებლისა, სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ბოლო წლებში აღინიშნება მისი სწრაფი მატების ტენდენცია. აივ/შიდსის პირველი შემთხვევა საქართველოში 1989 წელს დადასტურდა. 2006 წლის 20 თებერვლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის ვირუსით ინფიცირების 918 შემთხვევა, მათ შორის შიდსი განუვითარდა 372 პაციენტს, რომელთგან 192 გარდაიცვალა. რეგისტრირებული შემთხვევები არ ასახავს საქართველოში აივ/შიდსის გავრცელების რეალურ სურათს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ვარაუდით, დღეს საქართველოში რეალურად დაახლოებით 3.500-მდე პირი უნდა იყოს აივ/შიდსით ინფიცირებული. აივ/შიდსთან მიმართებით პროგნოზული მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. ამავე დროს, აქვე აღნიშვნის ღირსია გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამა, – აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში, – რომლის სხვადასხვა ღონისძიება მოიცავს საგანმანათლებლო, პრევენციულ და სამკურნალო კომპონენტებს.

მეტად საგანგაშო სიტუაციაა აივ/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით პენიტენციარულ სისტემაში. საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში აივ/ინფექცია/შიდსის გავრცელების შესწავლა მიმდინარეობს 1997 წლიდან. აღნიშნული სტრუქტურის დაწესებულებებში შიდსით ავადობის შესწავლა წარმოებდა ნებაყოფილობითი უფასო ტესტირების გზით აივ-ის ანტისხეულებზე. სულ აივ/შიდსზე პრეტესტ-კონსულტაცია ჩაუტარდა 10.000-მდე მსჯავრდებულსა და პატიმარს. მათგან სისხლში აივ-ის ანტისხეულებზე ნებაყოფილობითი ტესტირება ჩაუტარდა 9.439 პირს.

2005 წელს აივ-ული ინფექცია/შიდსის გავრცელებამ ზოგად პოპულაციაში შეადგინა 0,15%, ხოლო პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში 1,76%, ანუ დაავადების გავრცელება 10-ჯერ და მეტად აღემატება ციხისგარე საზოგადოებაში ინფიცირებულობის დონეს. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკველევების მიხედვით, 1997 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში სულ გამოვლინდა 67 აივ-ით ინფიცირებული პატიმარი. მათგან: 7 გარდაიცვალა, 35 განთავისუფლდა და იმყოფება დისპანსერიზაციაზე (დინამიკურ სამედიცინო მეთვალყურეობაზე); 2005 წლის დეკემბრის მონაცემებით კი, საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში სასჯელს იხდიდა 25 აივ-ით ინფიცირებული.

საყურადღებოა 2004 წლის ნარკოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა ორ პენიტენციარულ დაწესებულებაში (ინტერვიუში მონაწილეობდა 19-50 წლის 250 პატიმარი მამკაცი). გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 70%-ს ნარკოტიკები მოუხმარია ცხოვრების მანძილზე, 41% კი ნარკოტიკებს საპყრობილეში იყენებს. ყველაზე ხშირად აქ ინექციური ნარკოტიკები გამოიყენება.

იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც აღიარეს, რომ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე აქვთ მიღებული ნარკოტიკი, 30% მოიხმარს მარიხუანას, 41% – ჰეროინს, 18% – სუბუტექსს (ინექციის სახით), ხოლო 8% – ოპიუმს. რესპონდენტების 10% ინექციურ ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს – ყოველდღე ან ყოველ მეორე დღეს.

აივ-თან დაკავშირებით შემდეგი მონაცემები იქნა მოპოვებული: ნარკოტიკების მომხმარებლების 87% მრავალჯერადად იყენებს საკუთარ ნახმარ შპრიცს, 42% აღიარებს, რომ საკმაოდ ხშირად გამოუყენებია სხვის მიერ ნახმარი შპრიცი, 52% კი აღნიშნავს მათ მიერ გამოყენებული შპრიცების სხვის მიერ მოხმარებას. აქედან გამომდინარე, ინექციური ნარკოტიკების მოხმარებისა და საზიარო შპრიცების გამოყენების შემთხვევების სიმრავლის გამო, საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში აივ-ისა და ჰეპატიტების გავრცელების საშიშროება დიდია.

მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს კანონში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსული ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ მითითებულია:

მუხლი 8. აივ-ით ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა სამედიცინო დახმარებისა და სოციალური დაცვის უფლება

პუნქტი 19. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ აივ-ით ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პირებს გააჩნიათ ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც არაინფიცირებულებს. მათ აგრეთვე უფლება აქვთ მიიღონ:

ა) სამედიცინო დახმარება;
ბ) აივ-ულ ინფექცია/შიდსზე სრული და დროული ინფორმაცია;
გ) გადაწყვეტილება აივ-ულ ინფექცია/შიდსზე კონფიდენციალობის შესახებ;
დ) აივ-ული ინფექციისაგან თავდაცვის საშუალებები.

პუნქტი 20. აივ-ით ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პირებისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ორგანიზებული უნდა იყოს სათანადო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება.

უკანასკნელი ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროსა და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის წარმომადგენლებმა აივ-ულ ინფექცია/შიდსზე გამოსაკვლევად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისაგან სისხლი აიღეს.

გამოკვლევა ნებაყოფლობითია. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი 260 პატიმრიდან მასში 200-მდე პირმა მიიღო მონაწილეობა.საბოლოო შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელად განხორციელება და მათზე მონიტორინგი სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებაა. საქართველოს კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირების (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ (1995 წელი), მე-2 მუხლი, მე-4 პუნქტი.

რეკომენდაციები

- გაძლიერდეს კონტროლი მსჯავრდებულებზე, ნარკოტიკების მოხმარების აღკვეთის მიზნით; შემსრულებელი: იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- აივ/შიდსით დაავდებული პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს კანონით გათვალისწინებული სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარება.

შემსრულებელი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შიდსის შემთხვევები ქუთაისში

2005 წლის ივლისში ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში შემოვიდა პაციენტი გ. ლ., 4 წლის, დიაგნოზით: ჩუტყვავილა, ჰემორაგიული ფორმა, ორმხრივი პნევმონია (ფილტვების ანთება).

კვლევისას დადგინდა აივ/შიდსით პაციენტის ინფიცირების სავარაუდო გზა, რაც უკავშირდებოდა დონორის სისხლის გადასხმას „ქუთაისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკურ სამხარეო ცენტრში“ დონორი ს.მ., 32 წლის მამაკაცი, იყო კადრის დონორი და მას 1993 წლიდან 2001 წლის აპრილამდე ქუთაისის რეგიონულ სისხლის ბანკში ჩაბარებული აქვს სისხლი 22-ჯერ. ყოველი სისხლის აღებისას ხდებოდა მისი გამოკვლევა აივ-ზე, B და C ჰეპატიტებსა და სიფილისზე. 2001 წლის 27 აპრილს დონორი დაწუნებულ იქნა C ჰეპატიტის გამო.

ქუთაისის სისხლის ბანკიდან 1998 წლიდან 2001 წლის მარტამდე დონორი ს.მ.-ს სისხლი გატანილ იქნა სულ 19 რეციპიენტისათვის (ადამიანისათვის). აღნიშნული 19 რეციპიენტიდან დადგინდა 10 რეციპიენტის ვინაობა (მათგან 4 გარდაცვლილია, რომელთა სიკვდილი არ არის დაკავშირებული აივ-ით ინფიცირებასთან), 6 რეციპიენტი გამოკვლეულ იქნა აივ-ულ ინფექციაზე. 9 რეციპიენტის ვინაობა ამ ეტაპზე ვერ დგინდება, სათანადო დოკუმენტაციის არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ 6 რეციპიენტიდან აივ-ული ინფექცია გამოუვლინდა 5 რეციპიენტს, მათ შორის 3 ბავშვს და 2 მოზრდილს (მათ სისხლი გადაესხათ 2000 წლის 29 დეკემბრიდან 2001 წლის 20 მარტამდე პერიოდში), ხოლო 1 რეციპიენტს (რომელსაც სისხლი გადაესხა 1998 წელს) აივ-ული ინფექცია არ აღმოაჩნდა.

წინასწარი მოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დონორ ს.მ.-ს სისხლი ყველა დონაციის (სისხლის ჩაბარების) დროს მოწმდებოდა აივ/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე, „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მეთოდებით, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ მოხდა აივ-ით ინფიცირების დაგენა.

„საქართველოს კანონში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსული ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ მითითებულია, რომ სახელმწიფოს გაცნობიერებული აქვს აივ/შიდსის საფრთხე და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით შექმნილია:

მუხლი 2. შიდსის სამთავრობო კომისია.
შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამა.

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს, რომ როგორც კომისია, ასევე პროგრამა უზრუნველყოფს აივ/შიდსით დაავადებულთა დახმარებას.

ქუთაისში ჩატარებული სისხლის გადასხმის შემდეგ დაინფიცირდა და მოხდა იდენტიფიკაცია მხოლოდ 5 ადამიანის, სამწუხაროდ, 9 ადამიანის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ ხერხდება.

გაცნობებთ, რომ კანონით –

მუხლი 8. აივ-ით ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა სამედიცინო დახმარებისა და სოციალური დაცვის უფლება – გათვალისწინებულია დახმარებები და შეღავათები.

მუხლი 8, პუნქტი 5 – საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც ვირუსი შეეყარათ სამედიცინო მანიპულაციების შესრულებისას, ენიშნებათ პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8, პუნქტი 6 – ეპიდზედამხედველობის, პერიოდული გამოკვლევებისა და მკურნალობის მიზნით ქ. თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები აივ-ით ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პირები სარგებლობენ საქალაქთაშორისო სახელმწიფო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან თბილისამდე და პირიქით, წელიწადში ოთხჯერ სატრანსპორტო ხარჯები ფინანსდება შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 8, პუნქტი 9 – უმუშევარ აივ-ით ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პირებს მიეცემათ ყოველთვიური ფულადი დახმარება ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობით, რომლის დაფინანსება ხორციელდება სოციალური დახმარების პროგრამით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

ქუთაისის შემთხვევის მიხედვით, 5 დაზრალებულ ადამიანს ეკუთვნის კანონით გათვალისწინებული შეღავათები, რომლებითაც ისინი დღემდე არ სარგებლობენ. როგორც შიდსის ცენტრის თანამშრომლებთან საუბარში გაირკვა (მაია ცინცაძე), „ხშირ შემთხვევაში მათ არ აქვთ გზის ფული, რომ დროულად ჩამოვიდნენ, დროულად ჩაიტარონ კონსულტაცია და მიიღონ წამლები, მაშინ, როცა მკურნალობა და კონსულტაცია მათთვის უფასოა, იგი იფარება სახელმწიფო და სადაზღვევო პროგრამებით და გლობალური ფონდის პროგრამით“. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მათგან 3 ბავშვია და მათზე დამატებით ვრცელდება შემდეგი მუხლები:

მუხლი 8, პუნქტი 7 – მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს უფლება აქვთ იმყოფებოდნენ სტაციონარში არასრულწლოვან აივ-ით ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ შვილებთან (14 წლამდე ასაკის) ერთად. სტაციონარში ყოფნის პერიოდში მშობლები, მეურვე ან მზრუნველი თავისუფლდებიან სამუშაოდან და მათ მიეცემათ დროებითი შრომისუუნარობის შემწეობა.

მუხლი 8, პუნქტი 8 – აივ-ით ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის თითოეულ არასრულწლოვანს მიეცემა ყოველთვიური ფულადი დახმარება მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობით, რომელიც ფინანსდება სოციალური დახმარების პროგრამით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

რეკომენდაცია

სამედიცინო მანიპულაციის (დონორის სისხლის გადასხმის) შედეგად აივ-ით დაინფიცირებულ 5 მოქალაქეს დაენიშნოს კუთვნილი პენსია და მიეცეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. შემსრულებელი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ:

- გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირებულობა მისი, როგორც პაციენტის, უფლებების, სახელმწიფო სამედიცინო და სოციალური პროგრამების, პროგრამით გათვალისწინებული ადამიანთა ჯგუფების („უმწეოთა“ კატეგორია, ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა და სხვ.) კრიტერიუმების და დაავადებების დაფინანსების (ასევე თანადაფინანსების) შესახებ;
- გაუმჯობესდეს (ან გამარტივდეს) შესაძლებლობის სტატუსის დასადგენად სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიების მუშაობა, თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის (განსაკუთრებით რეგიონების მცხოვრებთათვის).

7 ძირითადი სოციალური პრობლემები

2005

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევის თანახმად, მთელ მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი უსახლკარო ადა-მიანია. ეს პრობლემა საქართველოშიც მეტად მწვავედ დგას და აქტუალურია.

სახალხო დამცველის აპარატს ამ პრობლემით ძალიან ბევრი ადამიანი მომართავს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო თავშესაფრის გარეშე დარჩნენ: ზოგი სტიქიური უბედურების გამო (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში უსახლკარო ოჯახთა რაოდენობა არის 788, მათ შორის 114 თბილისში, თუმცა, თბილისის მერიიდან მიღებული და ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემებით, მათი რიცხვი გაცილებით მაღალია), ზოგი – ძველი ბინების ნგრევის შედეგად; აგრეთვე, ხშირად დგას დევნილთა თავშესაფრის პრობლემა და ძალიან ბევრია ავარიული ბინა, რომლებიც დანგრევას ექვემდებარება. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული კატეგორიების რიცხვი ძალიან დიდია და ეს, ძირითადად, თბილისის მასშტაბით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად: 2002 წლის მიწისძვრის შემდეგ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში აღრიცხულია 3582 ავარიული სახლი, 50 ოჯახი კი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი; გლდანი-ნაძალადევში 11 000-მდე სახლს მიეკუთვნა დაზიანების სხვადასხვა კატეგორია, მათ შორის 1800-მდე სახლს მიეკუთვნა დაზიანების უმძიმესი ხარისხი – მე-3 კატეგორია. დღეისათვის გლდანი-ნაძალადევის რაიონში თავშესაფრის გარეშე 400-ზე მეტი მიწისძვრით დაზარალებული და 300-მდე უსახლკარო ოჯახია; ისანი-სამგორის რაიონში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 18 ოჯახი, 486 შენობას მიეკუთვნა დაზიანების უმძიმესი ხარისხი – მე-3 კატეგორია, 2484 შენობას მე-2 კატეგორია, ხოლო 1059 შენობას პირველი კატეგორია. ჩვენთან დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ამ პრობლემით მოგვმართა მსჯავრდებულმა, რომელმაც მოიხადა სასჯელი და სახლს რომ მიაკითხა, გაყიდული აღმოჩნდა. ძალიან ბევრია შემთხვევა, როცა ადამიანი იძულებულია გაყიდოს საცხოვრებელი სახლი ან დატვირთოს ის იპოთეკით, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების გამო, მაგალითად: ვალებით, ოჯახური პრობლემებით, ადამიანს არ გააჩნია სხვა შემოსავლის წყარო და თავშესაფრის გაყიდვით ცდილობს იშოვოს საკვები და ფიზიკურად გადაირჩინოს თავი. ერთ-ერთი პოლონელი სოციოლოგი მიუთითებს, რომ ამ საფრთხესთან ბრძოლა სწორედ ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ბრძოლით უნდა დაიწყოს.

სახალხო დამცველის აპარატში სოციალურ სფეროში განხილული საქმეებიდან თავი იჩინა დასაქმების პრობლემამ და შრომითი უფლებების დარღვევამ. მაგალითისთვის უნდა აღვნიშნოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან დათხოვნილი 15 თანამშრომლის საქმე, რომლებიც აბსოლუტურად დაუსაბუთებლად, საკუთარი აზრის გამოხატვის გამო, გათავისუფლდნენ სამსახურიდან. აღსანიშნავია, რომ გათავისუფლების საფუძველში სწორედ ასე იყო მითითებული. 2005 წლის მონაცემებით, რომელიც სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტმა მოგვაწოდა, უმუშევრობის დონე განისაზღვრა 13,8%-ით, ანუ საქართველოში 279 300 კაცი არის უმუშევარი.

ასევე, შრომითი უფლებების დარღვევას ეხება სს „მაუდის“ (რომელიც ითვლება სს „ლოგოვაზის“ სამართალმემკვიდრედ) ყოფილი თანამშრომლების განცხადება, რომლის შესახებაც გამოვარკვიეთ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს „ლოგოვაზს“ შორის გაფორმდა პირობადადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სს „ლოგოვაზს“ იმ პირობით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმო, რომ არ შეცვლიდა მისი საქმიანობის პროფილს (ძირითადი საქმიანობა იყო შალის წარმოება) და დაასაქმებდა იქ მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს.

სს „მაუდის“ თანამშრომლებმა, მას შემდეგ, რაც ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს, სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფოსა და სააქციო საზოგადოებას შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმება, იმ მოტივით, რომ საწარმოს დირექტორატი არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს. ფაქტია, ისინი არ დაასაქმეს და, როგორც გაირკვა, შალის წარმოებაც სს „მაუდში“ არ ხდებოდა, შესაბამისად, სამამულო წარმოება დღეს არ არსებობს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, ვინაიდან ისინი არ იყვნენ სათანადო მოსარჩელეები. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო უნდა ედავა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომელიც ჩვეულებრივ, გამოდის მხარედ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ამდენად, ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა დაუსაქმებელი.

რაც შეეხება საბინაო პრობლემებს, როგორც აღინიშნა, ის სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის განცხადება და გამოარკვია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მცხოვრებმა 8050 ოჯახმა შეიტანა თანხა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში და 100%-ით დაფარა ბინების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

1992 წლიდან შეჩერდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მშენებლობა და ათასობით ოჯახი ბინის გარეშე დარჩა.

1999 წლის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება აღიარებულ იქნა სახელმწიფო საშინაო ვალად.

იმავე საკითხის გადაჭრის მიზნით, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ იქნა, რომ: „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (წილის, აქციების, შენობა-ნაგებობების და სხვ.) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლება გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად“.

ამავე პრობლემას ეხება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი,

რომლის თანახმად: „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინონ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლება გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად“.

ეს საკითხი გათვალისწინებული იყო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიმდინარე წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საქართველოს მთავრობას დასახელებულ კანონთა შესრულების მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება და საქართველოს პრეზიდენტთან წარდგენა დაევალა, თუმცა ქმედითი ღონისძიებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

ამდენად, მივიჩნიეთ, რომ დარღვეულია მთელი რიგი კანონთა მოთხოვნებისა, რაც ხელყოფს ათასობით ადამიანის უფლებებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ზ. ნოღაიდელს დასახელებული საკითხის განხილვის მიზნით მივმართეთ. 2005 წლის 20 დეკემბრს მივიღეთ პასუხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამუშავებული ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ კომისიას სხდომაზე განსახილველად, რის შემდეგაც ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობას. თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკითხი დღემდე არ დაძრულა ადგილიდან, ვინაიდან ასოციაციის წევრებმა მიმდინარე წლის 22 თებერვალს კვლავ მომართეს სახალხო დამცველის აპარატს და გვაცნობეს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ისინი უკვე დავობენ სასამართლოში. ინგოროყვას №7-ში მდებარე შენობა (საუბარია სახელმწიფო კანცელარიის პირდაპირ, ინგოროყვასა და ჩაიკოვსკის ქუჩების გადაკვეთაზე მშენებარე სასტუმროს შენობაზე) 2004 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ კახა ბენდუქიძის ბრძანებით, უბინაოდ დარჩენილ მოქალაქეთა ვალის დასაფარავად იყო გამიზნული. ბრძანებაში აღნიშნულია: „ეთხოვოს საბინაო-სამშენებლო-კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. №7-ში მდებარე სასტუმროს დაუმთავრებელი შენობის და მასზე დამაგრებული 5410 კვ. მ მიწის ფართის მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება“. მიუხედავად ამისა, 2006 წლის 13 იანვრის საქართველოს პრეზიდენტის №10 განკარგულებით, ზემოაღნიშნული შენობა პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცა შპს „ცენტრს“. მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა და ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მთავრობამ, ასოციაციის წევრებს ალტერნატიული ვარიანტი უნდა შესთავაზონ. 2004 წლის 31 აგვისტოს ბრძანება იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რითაც კოოპერატივის წევრთა გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილდებოდა და ეს პრობლემაც დადებითი კუთხით წინ წაიწევდა.

საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით, აგრეთვე, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბინით მოსარგებლეთა, ე.წ. „ატსტუპნიკების“ საკითხი, რომელიც უკვე წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემად რჩება. ამასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებებით ათასობით ადამიანი დარჩა ღია ცის ქვეშ, თავშესაფრის გარეშე. ყველა შემთხვევაში სასამართლო არ იყენებდა სპეციალურ ნორმატიულ აქტს, კანონს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, ან არასწორად განმარტავდა ამ კანონის ნორმებს, რომელიც სწორედ ამ საკითხების მოწესრიგების მიზნით 1998 წლის 25 ივნისს იქნა მიღებული. მაგალითისათვის

მოვიხმობთ რამდენიმე შემთხვევას: დადგენილია, რომ მოქალაქე ავთანდილ გოგიაშვილი საცხოვრებელი სადგომის დათმობის უფლებით ქ. თბილისში, მანჯგალაძის ქუჩა №7-ში მდებარე ორსართულიანი სახლის პირველი სართულის ერთ ოთახში ცხოვრობდა. აღნიშნული სახლის მესაკუთრენი არიან მაია კურდღელაშვილი და მაია ბრაჭული. მათი მოთხოვნით, სასამართლომ მოსარგებლეები ბინიდან გამოასახლა, ამასთან, მესაკუთრეებს დააკისრა კომპენსაციის გადახდა, თანახმად მაშინ მოქმედი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა, თუმცა ამ ნაწილში უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 28 სექტემბრის №35-62 გადაწყვეტილების მოტივაცია დასახელებული კანონის მე-5 მუხლს არ შეესაბამება. აღნიშნული მუხლის თანახმად, მოსარგებლე ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა მესაკუთრის მოთხოვნა სადგომის გათავისუფლებაზე, თუ მესაკუთრე მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემდა სხვა საცხოვრელ სადგომს იმავე დასახლებული პუქტის ფარგლებში ან ამ შეთავაზებული სადგომის ღირებულების კომპენსაციას. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ ამგვარი შეთავაზება არ ყოფილა. თანხის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ იხელმძღვანელა დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით, რომელმაც შეაფასა სადავო საცხოვრებელი ადგილი და არა დასახელებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით მითითებული სადგომი, ანუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რითაც ზიანი მიადგა მოქალაქე ა. გოგიაშვილს (იხ. სუს №35-62 გადაწყ., 1999 წ. 28.09, გვ.3).

მოქალაქე მერი ცენტერაძე ცხოვრობდა ქ. თბილისში, ასკურავას №5-ში მდებარე სახლში, სახლის მესაკუთრე არის დარეჯან დათაშვილი, რომლის სარჩელის საფუძველზე მ. ცენტერაძე 1998 წლის 13 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობილ იქნა დამქირავებლად, ხოლო 1998 წლის 10 სექტემბრის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი გამოსახლებულ იქნა ზემოაღნიშნული ბინიდან. ამ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ მერი ცენტერაძე სარჩელს არ ცნობდა და მოითხოვდა სხვა ბინით უზრუნველყოფას, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, რომ იგი იყო მოსარგებლე და მასზე უნდა გავრცელებულიყო კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ". სწორედ ამ მოტივით, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა მერი ცენტერაძის საკასაციო საჩივარი. სასამართლოს მიერ გარემოებები არ იქნა შესწავლილი ყოველმხრივ და ობიექტურად, რაც პირდაპირ ევალებოდათ იმ დროისათვის მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლის თანახმად, მიმდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან, ხოლო მანამდე სასამართლო ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, „სასამართლო მოვალეა, არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი". ამდენად, 1998 წელს მოსამართლე ვალდებული იყო, თავად დაედგინა საქმის ვითარება და საკითხის გადაწყვეტის დროს ეხელმძღვანელა კანონით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ".

აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დასახელებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმების მიზნით და ველოდებით პასუხს.

ამასთან, აღსანიშნავია, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონში მითითებულია, რომ ეს კანონი აღნიშნულ ურთიერთობებს აწესრიგებს მხოლოდ 2010 წლამდე. 2010 წლის შემდეგ მესაკუთრეს უფლება აქვს, უპირობოდ მოსთხოვოს მოსარგებლეს ფართის გათავისუფლება, თუკი მანამდე მოსარგებლე არ აყენებდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ დათქმას ეწინააღმდეგება თითქმის ყველა მოსარგებლე და ითხოვენ აღნიშნული ვადის გაზრდას, ვინაიდან მძიმე მატერიალური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე მათ არა აქვთ შესაძლებლობა, იდავონ სასამართლოში.

მესაკუთრის უფლებების დარღვევას ეხება მოქალაქე პ. კვირკვიას საქმე, რაც აღიძრა უზენაესი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გამო.

აღნიშნული საკითხის შესწავლის საფუძველზე გამოვარკვიეთ, რომ მოქალაქე პ.კვირკვია არის ქ. თბილისში, თელეთის მე-2 შესახეევის №1-ში მდებარე ბინის მესაკუთრე. აღნიშნული ბინა მან შეიძინა ზ. ხორავასგან, რომელიც არის ბინის თავდაპირველი მესაკუთრე ლ. ტარუაშვილის მემკვიდრე. როგორც განცხადებაშია მითითებული, პ. კვირკვიას ბინაში ჯერ კიდევ 1977 წლიდან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ცხოვრობდა მოქალაქე ჟუჟუნა ბახია, რომელიც ამავდროულად ჩაწერილი იყო ბინაში, მოგვიანებით კი, 1988 წლის ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განჩინების (მორიგების) საფუძველზე, ამავე ბინაში ჩაეწერა ჟ. ბახიას შვილი ნინო ფოჩხუა, იმ პირობით, რომ, როგორც კი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ააშენებდა ბინას, ჟ. ბახია შვილთან ერთად იქ გადავიდოდა საცხოვრებლად.

ვინაიდან პ. კვირკვიასა და ჟ. ბახიას შორის წარმოიშვა საბინაო დავა, პ.კვირკვიამ მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, რაც 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მოპასუხის პოზიცია იმის შესახებ, რომ ისინი მართლზომიერად ფლობენ სადავო საცხოვრებელ ფართს და ეს უფლება გამომდინარეობს 1988 წლის მორიგების განჩინებიდან.

საოლქო სასამართლოს 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ჟ. ბახიასა და ნ. ფოჩხუას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ამასთან, სასამართლომ ისინი მიიჩნია საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლედ, თანახმად „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონისა. მოგეხსენებათ, დასახელებული კანონის იმდროინდელი რედაქციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შორის გარიგება საცხოვრებელი სადგომის დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს, „საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციით, კომუნალური გადასახადების გადახდითა და გარკვეული საფასურის გადახდით“, გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა. ყურადსაღებია, რომ კანონის ეს ნაწილი კუმულაციურია და მისი გამოყენებისას სახეზე უნდა იყოს ყველა პირობა. თუკი სასამართლომ დათმობის შესახებ გარიგებად მიიჩნია 1988 წლის განჩინება, უნდა აღინიშნოს, რომ ამ განჩინებიდან არ იკვეთება რაიმე საფასურის გადახდის შესახებ შეთანხმება და არც საქმის მასალებში არსებობს ამგვარი შეთანხმების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. პ. კვირკვია კი მიუთითებს, რომ ჟ. ბახია და ნ. ფოჩხუა არიან დამქირავებლები. (ყურადსაღებია, რომ თავდაპირველად მათ შორის დავა წარმოიშვა, სწორედ, ბინის ქირის გადაუხდელობის გამო). აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ თბილისის მთაწმიდა-კრწანისის გამგეობის 2000 წლის 22 მაისის №157 განკარგულებით მოქალაქე ჟ.ბახიას კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში ფურცელაძის №26-ში მდებარე ბინა, რასაც პ. კვირკვია მიუთითებდა კიდევ ერთ საფუძვლად და მოითხოვდა ჟ. ბახიასა და ნ. ფოჩხუას გამოსახლებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არ გაითვალისწინა იმ მოტივით, რომ ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე ბინა საცხოვრებლად უვარგისია. მიგვაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან პ. კვირკვია არ არის ვალდებული, პასუხი აგოს სახელმწიფოს მიერ ნაკლის მქონე ბინის გამოყოფაზე და ამის გამო ითმინოს თავისი საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია მესაკუთრის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, რის გამოც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 2005 წლის 14 ნოემბრის განჩინების (საქმე №ას-89-786-03) კანონიერების შემოწმების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 თებერვლის განჩინებით ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის სარეკომენდაციო წერილი გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე

არ განიხილეს დაუშვებლობის გამო, იმ საფუძვლით, რომ ის არ შეესაბამება საქართველოს კონ-სტიტუციასა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

„სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სა-ხალხო დამცველი უფლებამოსილია, „რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტან-ციას ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო, არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილების მი-ღებაზე“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გადა-სინჯვას არ ცნობს. ამდენად, ეს არის საკანონმდებლო ხარვეზი, რაც ხელს უშლის სახალხო დამ-ცველის ეფექტურ საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, ფინანსური პოლიციის ყოფილი თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფას ეხება. თ.პატარიძე, ვ.ქოჩორაშვილი და გ.ხუროშვილი 2005 წელს პირადი პატაკის საფუძველზე დათხოვნილ იქნენ ფინანსური პოლიციის რიგებიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მოცემულ შემთხვევაში წელთა ნამსახურობა პოლი-ციაში სამსახურის გავლის წესის მიხედვით).

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ძალოვანი სტრუქტურების საპენსიო უზ-რუნველყოფის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნულ პირებს უარი განუცხადა საპენსიო უზრუნველყო-ფაზე, იმ მოტივით, რომ „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი წელთა ნამსახურობის გამო პენსიის დანიშვნას არ ითვალისწინებს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და ხარვეზის გა-მოსასწორებლად ფინანსთა სამინისტროს გადაეცა ფინანსური პოლიციის მიერ მომზადებული ბრძა-ნების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას და საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის დარეგულირებას. ამდენად, მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს იურიდი-ულ დეპარტამენტს, საიდანაც გვაცნობეს, რომ მინისტრის ბრძანებით, რომელიც არის კანონ-ქვემდებარე ნორმატიული აქტი, შეუძლებელია პენსიის მიღების უფლების მინიჭება და ეს საკითხი მოითხოვს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას, თუმცა რა ხასიათის ღონისძიებების გატარებას აპირებდა ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრო, წერილიდან არ ირკვეოდა. „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში არ შესულა ცვლილება ამ საკითხთან დაკავშირებით, უბრალოდ, ამ კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „პოლიციის თა-ნამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაცია ან სახელმწიფო პენსია“.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდება ფინანსური პოლიციის მოსამსახურეებზე, თუ მათ აქვთ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 4 წელი ფინანსურ პოლიციაში)“. უნდა აღნიშნოს, რომ უკანასკნელ პირობას მიმდინარე პერიოდში გათავისუფლებული თანამშრომლები ვერ დააკ-მაყოფილებენ, ვინაიდან ფინანსური პოლიციის შექმნიდან 4 წელი ჯერ არ გასულა. შესაბამისად, ის, ვინც „ფინანსური პოლიციის შესახებ“ მე-20 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პენსიაში გასვ-ლასთან დაკავშირებით გათავისუფლდება სამსახურიდან და ფაქტობრივად ასეთი შემთხვევები უკვე არსებობს, ვერ მიიღებს პენსიას, რაც ადამიანის მნიშვნელოვანი სოციალური უფლების დარღვევად ითვლება. ყოველივე ეს კი გამოწვეულია კანონში არსებული შეუსაბამობით. ამდენად, სათანადო რეაგირებისთვის მივმართეთ როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე, საქართველოს პარლამენტს, რათა განხორციელდეს ცვლილება კანონში და ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი პირობა, რომელიც ფინანსურ პოლიციაში ოთხწლიან სამსახურს ეხება, ამოღებულ იქნეს კანონიდან.

როგორც უკვე მოგახსენეთ, წინა საპარლამენტო ანგარიშში შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ჰქონდა სახელფასო დავალიანება ყოფილი თანამშრომლების მიმართ, რაც ჩვენი მუშაობისა და რეკომენდაციების მეშვეობით იქნა გაცემული.

2005 წელს წელს მოგვმართა ელექტროსისტემის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც, აგრეთვე, სახელფასო დავალიანებაზე მიუთითებდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საიდანაც გვაცნობეს, რომ სამინისტრო უარს აცხადებს სახელფასო დავალიანების გაცემაზე და ოფიციალურად მიუთითებს: შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ფინანსური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესებასთან დაკავშირებით თავად საწარმომ უნდა გადაწყვიტოს ყოფილ თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების გასტუმრების საკითხი. ამის შემდგომ მივმართეთ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დირექტორ ჯოზეფ ქორფეტს და მოვითხოვეთ ეცნობებინა, რა დროისათვის იგეგმება აღნიშნულ დავალიანებათა დაფარვა. პასუხად გვაცნობეს, რომ დავალიანების გასტუმრებისათვის საჭირო თანხების სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ წარადგინა მოთხოვნა.

შპს „ელექტროსისტემა“ აღიარებს სახელფასო დავალიანებას. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით კი მოწესრიგებულია მუშა-მოსამსახურეებსა და ორგანიზაციას შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის თანახმად, თავად ორგანიზაცია არის ვალდებული მუშაკების წინაშე. დასახელებული კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით კი: „მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსგან, დაწესებულებისგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დარღვეულია მოქალაქეთა შრომითი და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, რის გამოც შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალურ დირექტორ ჯოზეფ ქორფეტს მივმართეთ რეკომენდაციით, რათა დროულად უზრუნველყოს სახელფასო დავალიანების დაფარვა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საწარმო არ განიცდის ფინანსურ სიძნელეებს და შეუძლია დავალიანების დაფარვა. ყოველივე ეს დასტურდება 2006 წლის 30 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, რომელიც ეხება შპს „ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას. განჩინებაში მითითებულია, რომ გაკოტრების წარმოების შეწყვეტის თხოვნით სასამართლოს თავად ელექტროსისტემის ხელმძღვანელობამ მიმართა, ვინაიდან საწარმოში უკვე შესამჩნევია ფინანსური გაჯანსაღება. ამ განჩინების თანახმად, შპს „ელექტროსისტემა“ იღებს პასუხისმგებლობას გათავისუფლებულ თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გაიმართა სახალხო დამცველის აპარატში, სადაც სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია. ყოველივე ამის შემდეგ ელექტროსისტემიდან მივიღეთ წერილი, სადაც ნათქვამია, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიმართ არსებულ დავალიანებას დაფარავს ეტაპობრივად, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხია, აგრეთვე, სატრანსპორტო უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი იმ მიმართულებით, სადაც სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აკრძალულია. ძირითადად, მოსახლეობას გადაადგილება უჭირს თავისუფლების მოედნიდან და რუსთაველის გამზირიდან სხვადასხვა მიმართულებით. სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა ექსპერიმენტი. საღამოს 21 საათზე რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინ, დაელოდა სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ ავტობუსებს და აღმოჩნდა, რომ 1 საათის განმავლობაში ამ მიმართულებით ჩაიარა ორმა ავტობუსმა და ორივე იყო №61, რომლებიც მიემართება ვაკისკენ და ადის ბაგებში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის გაჩერებაზე ავტობუსებს ელოდა მრავალი ადამიანი, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ მათი მოძრაობის განრიგის გამო. ამასთან დაკავშირებით, მივმართეთ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და

გამოვითხოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, ნორმალურ პირობებში რა სიხშირით და რომელ საათამდე მოძრაობენ ავტობუსები ამ მიმართულებით. გამოვარკვიეთ, რომ თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე 16 სხვადასხვა ნომრიანი ავტობუსი მოძრაობს, მათ შორის პირველი ნომერი მიემართება ლილოს დასახლებაში და კახეთის გზატკეცილისკენ. პირველი ნომრის ბოლო გასვლა არის 20 საათზე, რაც შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, ვინაიდან მას მგზავრები გადაყავს ქალაქის მეორე ბოლოში და შესაძლებელია ამ მიმართულებით 8 საათის შემდეგ მგზავრები აღარ იყვნენ. თუმცა ისეთ ხალხმრავალ უბნებში, როგორიცაა, მაგალითად, საბურთალოს რაიონი, ხალხი მოძრაობს გვიან საღამომდე და, ვინაიდან თავისუფლების მოედნიდან და რუსთაველის გამზირიდან სამარშრუტო ტაქსები აღარ მოძრაობს, მოსახლეობის გადაადგილება ძალიან პრობლემურია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასახელებული ტერიტორიიდან საბურთალოს მიმართულებით მიემართება ავტობუსი №6, №87, №5 №12 და №44, თუმცა გადაადგილების პრობლემა მაინც არ არის მოგვარებული და ხალხს დიდხანს უწევს ავტობუსის ლოდინი. მათი ავტოსადგურიდან გასვლის ინტერვალი პირველ შემთხვევაში განისაზღვრება 14 წუთით, მეორე შემთხვევაში – 10 წუთით, მესამე შემთხვევაში – 12-14 წუთით, შემდეგ – 45 წუთით და 16 წუთით. ბოლო გასვლა 6 ნომერს აქვს 20 საათსა და 30 წუთზე, 87 ნომერს – 20 საათზე, 5 ნომერს – 22 საათზე, თუმცა ისინი, რეალურად, ამ დროისათვის არ მოძრაობენ, 12 ნომერი კი მუშაობს მხოლოდ 18 საათსა და 30 წუთამდე, 44 ნომერი – 20 საათსა და 30 წუთამდე. ფაქტობრივად, ის, ვინც მუშაობს საღამოს 21 საათამდე, ვერ მოასწრებს სახლში გამგზავრებას ავტობუსით, შესაბამისად, ვეღარ სარგებლობს სამარშრუტო ტაქსების მომსახურებითაც. ერთადერთი გამოსავალი არის კერძო ტაქსის გამოყენება, რაც ხშირად ფინანსური სიძნელეების გამო შეუძლებელია. ამასთან, სტუდენტების უმრავლესობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ თბილისის გარეუბნებიდან, მაგალითად მუხიანიდან, ვაკის მიმართულებით, არ მოძრაობს არცერთი ავტობუსი და მათ უწევთ ძალიან ბევრი ტრანსპორტის გამოიცვლა, სანამ უნივერსიტეტამდე მიაღწევენ.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის სატრანსპორტო უზრუნველყოფის მიზნით, უნდა შემცირდეს მოძრაობის ინტერვალები და ავტობუსებმა უნდა იმოძრაონ უფრო გვიანობამდე, განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც ხალხი მასობრივად მოძრაობს, აგრეთვე, ზოგიერთ უბანში უნდა დაემატოს ავტობუსები, რომელებიც იმოძრავებენ იმ მიმართულებით, სადაც სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აკრძალულია. ამასთან, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმომ უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის განხორციელება მათი მოძრაობის განრიგზე, რათა მოსახლეობამ შეძლოს დაუბრკოლებლად გადაადგილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, როგორიც არის ფინანსური სიძნელეები, უმუშევრობა, უსახლკარობა, სოციალური უზრუნველყოფა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და საჭიროა ამ კუთხით მეტი მუშაობა, ქმედითი ღონისძიებების გატარება. სხვადასხვა სოციალური პროგრამის შემუშავება სახელმწიფოს მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა იქცეს.

მეწარმეთა უფლებები

8 საკუთრების უფლება

კერძო მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია. კანონმდებელი ადგენს, რომ მეწარმე თავისუფალია და მისთვის ყოველგვარი შეფერხება დაუშვებელია. ჯერ კიდევ კერძო მეწარმეობის განვითარების პირველ ეტაპზე აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მათ საქმიანობაში, სახელმწიფომ უნდა შექმნას მხოლოდ სრულყოფილი ბაზა, რათა სამეწარმეო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს და, ამასთან, ეს გახდეს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საფუძველი.

რასაკვირველია, კანონმდებლობით დადგენილია საგადასახადო კონტროლი, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ საგადასახადო კონტროლი მოიცავს: 1. მიმდინარე კონტროლის პროცედურებს, რომლებიც გულისხმობს: გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვას, გადასახადის გადამხდელისგან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნას, ზოგად ანალიტიკურ პროცედურებს; 2. გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვებას (ქრონომეტრაჟს, საკონტროლო შესყიდვას, ინვენტარიზაციას, დათვალიერებას) და ბოლოს, 3. საგადასახადო შემოწმებას, რომელიც, თავის მხრივ, არის ორი სახის: კამერალური და გასვლითი. ამასთან, 98-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია ყურადსაღები დათქმა, რომ „საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ გააჩეროს მისი საქმიანობა“.

შემოწმების შემდეგ, თუ გადასახადის გადამხდელს აღმოაჩნდება საგადასახდო სამართალდარღვევა, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. არსად კოდექსი არ ითვალისწინებს ობიექტის დალუქვას, ამასთან დაკავშირებით, ლაპარაკია მხოლოდ საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლში და იქაც ნათქვამია, რომ „საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მხოლოდ დალუქონ გადასახადის გადამხდელის ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარებისთვის“. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები კი კოდექსში განმარტებულია როგორც პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახდო ორგანო უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ გამოიყენოს საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, გარდა:

1. მიმდინარე კონტროლის პროცედურებისა
2. საქმიანობაზე დაკვირვებისა
3. კამერალური საგადასახადო შემოწმებისა
4. გეგმური გასვლითი საგასადასახადო შემოწმებისა
5. საკონტროლო გასვლითი შემოწმებისა, რაც დაკავშირებულია საწარმოს ლიკვიდაციასთან
6. 114-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

ამ უკანასკნელ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს უფროსის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩაატაროს გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება. გადაუდებელი შემთხვევები კი, კანონის თანახმად, დგება მაშინ, როცა გადასახადის გადამხდელი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, აქტივების სხვა პირებისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით, ანდა სხვა ღონისძიებების გატარებით. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანო ვალდებულია, გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს და ნებართვა მიიღოს სასამართლოსგან საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ. ამავე დროს, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სანამ მოსამართლის ბრძანება არ იქნება, მათ ამ შემოწმების დაწყების უფლება არ აქვთ, მათ შეუძლიათ, დალუქონ მხოლოდ ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარებისათვის (114-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

2005 წლის დეკემბერში ქ. მცხეთაში ერთდროულად 6 რესტორანში დაიწყო საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რის გამოც დალუქეს აღნიშნული რესტორნები, პარალელურად დალუქეს თბილისის რესტორნები და „ელ-დეპოს“ რესტორნების ქსელი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აღინიშნა, რომ რესტორნების დალუქვა განხორციელდა ფინანსური პოლიციის მიერ, რის თაობაზეც განცხადება გააკეთა ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პირადად მოინახულეს რესტორნები და შეისწავლეს საქმის მასალები. ზოგიერთ რესტორანში აღნიშნავდნენ, რომ გორის რაიონის საგადასახადო ინსპექცია მათთან მივიდა ფინანსური პოლიციის თანხლებით, თუმცა სხვაგან ამბობდნენ, რომ ფინანსური პოლიცია არ ყოფილა. რესტორნების ადმინისტრაციასთან საუბრისას იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი იყვნენ დაშინებულები, ამიტომ გვაწვდიდნენ ძალიან მწირ ინფორმაციას, მათ არ სურდათ ამ თემაზე ლაპარაკი. ზოგიერთი მეწარმე პირად საუბარში გვაწვდიდა გარკვეულ ინფორმაციას, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ისინი ამას ოფიციალურად არ დაადასტურებდნენ. აღსანიშნავია, რომ ობიექტის დალუქვის შედეგად ყველა რესტორანმა განიცადა დიდი მატერიალური ზარალი, ვინაიდან თითოეული მათგანი, სულ ცოტა, ორი კვირით მაინც იყო დახურული, რასაც მოჰყვა პროდუქტების გაფუჭება, ამავე დროს დაკარგეს მომხმარებელი. რესტორნებში აცხადებდნენ, რომ საგადასახადო სამსახურს შემოწმების ჩასატარებლად დასჭირდა ძალიან ცოტა დრო, რაც მათ ერთ დღეშიც მოახერხეს. ამდენად, ორი კვირით და მით უმეტეს, ზოგიერთ შემთხვევაში, 1 თვით ობიექტის დახურვა არ იყო საჭირო, ყოველივე ეს აფერხებს სამეწარმეო საქმიანობას.

ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციამ დალუქა კლუბ-რესტორნები და კაფეები: „ნოა-ნოა“, „მიუზიკ-ჰოლი“, „ჯეო-სტრია“, „მეტელიცა“, „კორონა“ და „სიტი-მენეჯმენტი“, აგრეთვე სახინკლე „ოდიში“.

ამასთან დაკავშირებით, მივმართეთ ზემოაღნიშნულ სამსახურს და მოვითხოვეთ ამომწურავი ინფორმაცია, რა სამართლებრივი საფუძვლებით დაილუქა დასახელებული ობიექტები. მათ წერი-

ლობით პასუხში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მხოლოდ ზოგადად მითითებულია საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლზე, კერძოდ, იმაზე, რომ მათ მოსამართლის ბრძანების მიღებამდე აქვთ უფლება, დალუქონ გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კოდექსის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში არ იგულისხმება სავაჭრო ობიექტი.

ვინაიდან საგადასახადო ინსპექციიდან სრულყოფილი პასუხი ვერ მივიღეთ, მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოვითხოვეთ, ეცნობებინა, მიმართა თუ არა თბილისის საგადასახადო ინსპექციამ, დადგენილი წესის თანახმად, კლუბ-რესტორნებისა და კაფეების: „ნოა-ნოას“, „მიუზიკ-ჰოლის“, „ჯეო-სტრიას“, „მეტელიცას“, „კორონას“ და „სიტი მენეჯმენტის“, აგრეთვე, სახინკლე „ოდიშის“ შემოწმებისათვის (დალუქვისათვის) სავალდებულო ბრძანების მისაღებად და დასტურის შემთხვევაში, ბრძანებისა და აღნიშნული საქმის მასალების ქსეროასლების გადმოცემა მოვითხოვეთ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან გვაცნობეს, რომ საგადასახადო ორგანომ მიმართა მხოლოდ შემდეგი ობიექტების: „ნოა-ნოას“, „კორონას“, „ჯეო-სტრიას“, „სიტი-მენეჯმენტის“ და სახინკლე „ოდიშის“ შემოწმებისათვის სავალდებულო ბრძანების მისაღებად. ამ სიაში არ ფიგურირებს „მიუზიკ-ჰოლი“ და „მეტელიცა“, რომლებიც, როგორც ჩანს, თვითნებურად იქნა შემოწმებული საგადასახადო ორგანოს მიერ.

„მეტელიცას“ ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ ობიექტი დაახლოებით 4 დღის განმავლობაში იყო დალუქული და ის შეამოწმა საგადასახადო ორგანომ.

საგადასახადო ორგანოში ზეპირ საუბარში აცხადებენ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია დალუქვის გარეშე სრულყოფილი შემოწმება.

ამდენად, შესაძლებელია, ეს კანონის ხარვეზია, მაგრამ ფაქტია, რომ კანონი ობიექტის დალუქვას არ ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ყველა საწარმო ვალდებულია, გადაიხადოს გადასახადები, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირება, თავისთავად, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საფუძველია, მაგრამ გადასახადების გადახდის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა ხდებოდეს კანონის გვერდის ავლით.

ბოლო დროს პრესაში ბევრჯერ აღინიშნა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და პარლამენტის წევრების მხრიდან, რომ ხდებოდა ზეწოლა მეწარმეებზე და მათზე ხორციელდებოდა სახელმწიფო რეკეტი. ამ განცხადებით სახალხო დამცველისათვის არცერთ მათგანს არ მოუმართავს. ამდენად, მეწარმეთა უფლებების დაცვის მიზნით, მივმართეთ პარლამენტის წევრს, ბატონ კოკა გუნცაძეს, „სახალხო ფორუმის“ წევრს, ბატონ ირაკლი მელაშვილს და მოვითხოვეთ, ეცნობებინათ კონკრეტული ბიზნესმენის სახელი ან კონკრეტული გამოძალვის ფაქტი, ვინაიდან კ. გუნცაძე და ი. მელაშვილი პრესაში აცხადებდნენ, რომ გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით. აგრეთვე, მივმართეთ ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ გიორგი ისაკაძეს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარეს, ბ-ნ ჯემალ ინაიშვილს, რათა ეცნობებინათ, ჰქონდათ თუ არა რაიმე ინფორმაცია მეწარმეთა უფლებების დარღვევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ არცერთ მათგანს წერილზე პასუხი არ გაუცია. ბიზნესმენთა ფედერაციის საგადასახადო ომბუდსმენმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ არცერთი განცხადება უფლებების დარღვევის შესახებ მათ ორგანიზაციაში არ შესულა და აღნიშნულის თაობაზე ისინი არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ. აგრეთვე შევხვდით ბრიტანეთის ელჩს საქართველოში, ბატონ დონალდ მაკლარენს, რადგან პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მან გააკეთა განცხადება საქართველოში საკუთრების უფლებების დარღვევის შესახებ, მაგრამ ჩვენთან საუბარში ბატონმა ელჩმა განაცხადა, რომ მას მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია.

ირინა ნერგაძისა და ზურა ტალახაძის საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ზურაბ ტალახაძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ დაირღვა მისი, როგორც მეწარმის, უფლებები. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ზურაბ ტალახაძე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ფლობდა ვაჟა-ფშაველას №72-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შენობას, რომელიც იყო თამარ ერიაშვილის საკუთრება. უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის მშენებლობა მოხდა დადგენილი ნორმების შესაბამისად, რაც დასტურდება ბევრი დოკუმენტით – ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით, საექსპერტო დასკვნებით და ა.შ. გარდა ამისა, საკუთრების ფაქტი დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და ვინაიდან მოქმედებს რეესტრის სისწორის პრეზუმფცია, უნდა მივიჩნიოთ, რომ თამარ ერიაშვილი ითვლებოდა კანონიერ მესაკუთრედ.

მოგეხსენებათ, საკუთრების ხელშეუხებლობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით და დაუშვებელია საკუთრების თვითნებური ხელყოფა. ამდენად, არავის ჰქონდა უფლება, სასამართლოს გვერდის ავლით, მოსამართლის ბრძანებისა თუ დადგენილების გარეშე, უკანონოდ დაენგრია თამარ ერიაშვილის საკუთრება.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ შენობის დემონტაჟი განახორციელა ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა. ამდენად, მივმართეთ დასახელებულ უწყებას და მოვითხოვეთ, ეცნობებინათ, რა სამართლებრივი საფუძვლით დაანგრიეს ვაჟა-ფშაველას №72-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა, მაგრამ აღნიშნული სამსახურიდან წერილობით გვაცნობეს, რომ შენობის დემონტაჟი მათ მიერ არ განხორციელებულა. ფაქტია, რომ თამარ ერიაშვილის საკუთრება, რომელსაც სამართლებრივად ფლობდა მოქალაქე, დანგრეულია და ამის შესახებ შესაბამის სამსახურებში არცერთი დოკუმენტი არ არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შენობის დემონტაჟი განხორციელდა უკანონოდ.

კერძო საკუთრების უკანონო განადგურებას ეხება, აგრეთვე, მოქალაქე ირინა ნერგაძის საქმე. ირინა ნერგაძე საჯარო რეესტრის მონაცემთა საფუძველზე, სახელმწიფოსთან ერთად, საკუთრებაში ფლობდა ი. ჭავჭავაძის გამზირზე №34ª-ში, მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდებარედ არსებულ ფართს, აქედან, შენობა-ნაგებობა 230 კვ.მ საერთო ფართობით იყო მხოლოდ ი. ნერგაძის საკუთრება, რაც თავისთავად, სამართლებრივად არ არის სწორი, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, მიწაზე მყარად მდგარი შენობა არის მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი და, თუკი მიწას ორი სუბიექტი ერთად ფლობს, შენობაც მათ საერთო საკუთრებაში უნდა არსებობდეს.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად მოქალაქე ი. ნერგაძე დასახელებულ ფართს ფლობდა იჯარის ხელშეკრულებით. მან თავად მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს და მოითხოვა, მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული პავილიონის რეკონსტრუქციის მიზნით, 160 კვ.მ. მიწის ფართობის დამაგრება შემდგომში მინისავაჭრო ცენტრის მოსაწყობად. მოქალაქის თხოვნა დაკმაყოფილდა, რასაც ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 25 ივნისის დადგენილება, რითაც ი. ნერგაძეს დაუმაგრდა 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. 1998 წლის 17 ნოემბრის ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანებიდან კი ირკვევა, რომ მშენებლობის საერთო ფართი განისაზღვრა 230 კვ.მეტრით, რაც მნიშვნელოვნად გასცდა პრემიერის დადგენილებაში მითითებულ რიცხვს და მინისავაჭრო ობიექტის ნაცვლად, მიწისქვეშა გადასავლელზე აღიმართა საკმაოდ დიდი შენობა. თავისთავად, ეს უკვე დარღვევაა. ამასთან, სამშენებლო პასპორტით გათვალისწინებული იყო ერთსართულიანი შენობა, ხოლო მთავარი არქიტექტორის 17.11.1998 წლის ბრძანებით შეთანხმებული ესკიზური პროექტი ითვალისწინებს ორსართულიან ნაგებობას. ქ.თბილისის კანონიერების დაცვის ინსპექცია აცხადებს, რომ დასახელებული ბრძანების დედნის მოპოვება შეუძლებელია, ხოლო ასლს არ ახლავს თავად არქიტექტორის ხელმოწერა, შესაბამისად, ბრძანება სწორედ ამ სახით არის ჩვენთან წარმოდგენილი.

„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის კერძო საკუთრებად გამოხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ირინა ნერგაძე ცნო მესაკუთრედ 230 კვ.მ. ფართზე და თანამესაკუთრედ სახელმწიფოსთან ერთად 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სწორედ ამ სახით დარეგისტრირდა საკუთრება საჯარო რეესტრში, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებიდან.

უამრავი დარღვევის მიუხედავად, რომელიც დაშვებულია საკუთრების მოპოვებისა და მშენებლობის დროს, მიგვაჩნია, რომ არავის ჰქონდა უფლება, თვითნებურად დაენგრია ირინა ნერგაძის საკუთრებაში არსებული შენობა, რადგან საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციიდან გამომდინარე, პირი მესაკუთრედ ითვლება მანამ, სანამ არ დამტკიცდება სააწინააღმდეგო. შესაბამისად, კერძო საკუთრების ხელყოფა დაუშვებელია განხორციელდეს სასამართლოს გვერდის ავლით, რათა არ დაირღვეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. აქვე უნდა აღინიშნოს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წერილობით გვაცნობებს, რომ არც ირინა ნერგაძის შენობის დემონტაჟი განუხორციელებია, ამასთან დაკავშირებით არ არსებობს სასამართლოს ბრძანება, ამდენად, ყოველივე ეს განხორციელდა უკანონოდ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაციით მივმართე გენერალურ პროკურორს და ქ.თბილისის მერს სათანადო რეაგირებისა და ზემოაღნიშნულ პირებზე კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით.

მიმდინარე წლის 23 მარტს ქ.თბილისის მერიიდან მივიღეთ პასუხი, რომ მიმდინარეობს ჩვენ მიერ დასმული საკითხის განხილვა.

ნოდარ მაისურაძის საქმე

1997 წლის 20 ნოემბერს გორის მერიასა და სახაზინო საწარმო „ქვ. ხვითის“ სასოფლო სამეურნეო შრომითი კოლექტივის წარმომადგენელ ნოდარ მურმანის ძე მაისურაძეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 230 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე 9 წლის ვადით. ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა გორის მიწის მართვის სამმართველოში.

აღნიშნული იჯარის ხელშეკრულების გამო, 2004 წლის 31 აგვისტოს აღიძრა სისხილის სამართლის საქმე ნ. მაისურაძის მიმართ, არაერთგზის დიდი ოდენობით (8 147, 88 ლარი) გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე, რამაც ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ნოდარ მაისურაძე ფლობდა უფრო მეტ მიწის ფართობს, ვიდრე ეს იჯარის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. თუმცა შემდგომ ჩატარებული შემოწმებებით დადგინდა, რომ არავითარი ზედმეტი ფართობი მას არ ჰქონია.

2004 წლის 21 ივლისის №147 დადგენილებით, გორის მერიის კოლეგიის მიერ ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული 1997 წლის 20 ნოემბერს ნოდარ მაისურაძის სახელზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული დადგენილება შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებმა უკანონოდ მიიჩნიეს და გაასაჩივრეს სასამართლოში.

გორის რაიონული სასამათლოს 2005 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შრომითი კოლექტივის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. 2005 წლის 29 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნ. მაისურაძის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი – გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის №147 დადგენილება. გორის რაიონის გამგეობას დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის

გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

როგორც ცნობილია, საქმეზე წარდგენილია საკასაციო საჩივარი.

ამასთან, აღსანიშნავია, სახაზინო საწარმო „ქვ.ხვითს“ დაუბრუნდა გორის რაიონის გამგეობის მიერ უკანონოდ მითვისებული 72 ტონა ხორბალი, თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

გივი ჯამელაშვილი

შპს „ანტონი და კომპანია“ მდებარეობს გორის რ-ნის სოფელ ტყვიავში. ქარხანა აწარმოებდა ვაშლის კონცენტრატს და ახდენდა მის რეალიზაციას გერმანიაში. ენერგიის წყაროდ იყენებდა ბუნებრივ აირს, რომელიც მიიღებოდა კომპანიის მიერ გამოყვანილი მილსადენის მეშვეობით, რაც მიერთებული იყო „გორიგაზის“ დაწყებულ და დაუმთავრებელ მილსადენზე.

ქარხნის მეპატრონე გივი ჯამელაშვილის განცხადებით, მას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება „გორიგაზთან“, გაზის მიწოდების თაობაზე. წარმოებას გაზი მიეწოდებოდა ერთი თვის განმავლობაში, შესაბამისად გადახდილი იყო მისი საფასური.

მიუხედავად ამისა, 2005 წლის 11 ოქტომბერს „გორიგაზმა“ გაზის მიწოდება შეწყვეტა, შემდეგ კი ქარხნის საკუთრებაში არსებული მილსადენიც გადაჭრა. ჯამელაშვილის წერილობით შეკითხვაზე მილსადენის გადაჭრის მიზეზების შესახებ, პასუხი არავის გაუცია, მეტიც, ამას მოჰყვა მილსადენის ნაწილის საერთოდ ამოჭრა. ქარხნის მეპატრონის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მილსადენი აღდგენილ იქნა გაზის მიწოდების გარეშე. ორ დღეში კი გორის წყალსადენის სამმართველოს შემდუღებელმა მილი ხელახლა გადაჭრა. ჯამელაშვილმა მილი ისევ აღადგინა, იმ იმედით, რომ განახლდებოდა გაზის მიწოდებაც. მას სურდა, დაემუშავებინა დაგროვილი ნედლეული, რომელიც უკვე გაფუჭებას იწყებდა. იმავე დღეს ს/ს „გორიგაზის“ შემდუღებელმა მილი ხელახლა ჩაჭრა.

აღნიშნულმა მოვლენებმა, გ. ჯამელაშვილის განცხადებით, გამოიწვია წარმოების პარალიზება, მიაყენა ზარალი როგორც საწარმოს, ასევე მასში დასაქმებულ ხალხსა და სახელმწიფო ბიუჯეტს.

ქარხნის დირექტორის განცხადებით, მილსადენის აღდგენისა და გაზის გაშვების თაობაზე სიტყვიერი მოთხოვნის საპასუხოდ, „გორიგაზის“ ხელმძღვანელმა ელგუჯა ბერუაშვილმა მას განუცხადა, რომ ეს იყო შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელის დავალება. იგივე დაადასტურა მეორე შემთხვევის შესახებ წყალსადენის ხელმძღვანელობამ. მილსადენის ჩაჭრის ბოლო ფაქტთან დაკავშირებით კი შემდუღებელმა თემურ ტლაშაძემ აღნიშნა, რომ მან ეს გააკეთა გუბერნატორის მოადგილის, გიორგი მჭედლიძის, მოთხოვნით.

გ. ჯამელაშვილის განცხადებით, არაერთი მცდელობის მიუხედავად, მან მხოლოდ ერთხელ მოახერხა, სულ ორი წუთით გასაუბრებოდა მიხეილ ქარელს ადმინისტრაციული შენობის წინ, სადაც ქარელმა ჰკითხა მას, რატომ მოხდა გაზის ჩართვა მის გარეშე და განუცხადა, რომ, სანამ მთელ სოფელს არ ექნებოდა გაზი, ჯამელაშვილიც ვერ მოახერხებდა მის მიღებას. ქარხნის მეპატრონის კითხვაზე, როდემდე გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა, რომელიც უდიდეს ზარალს აყენებდა ქარხანას, ჯამელაშვილის განცხადებით, ქარელმა უპასუხა: „ეს არის ჩემი სოფლის საქმე და როგორც გადავწყვეტ, ისე იქნებაო“.

9 ნოემბერს რწმუნებულის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს მოჰყვა ის, რომ მიხეილ ქარელის მძღოლმა და რამდენიმე ადამიანმა გივი ჯამელაშვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა

მიაყენეს. ამის შესახებ ჯამელაშვილმა მიმართა გორის რაიონის პოლიციას. გამოძიება დასრულდა, თუმცა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაკავებული არავინ არის.

ამ მოვლენებიდან დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა გივი ჯამელაშვილის ვაჟზე. ამ ფაქტზეც დაიწყო გამოძიება, რომელიც ამჟამად უკვე დასრულებულია. დაკავებულია თავდამსხმელი, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის, მიხეილ ქარელის, პირადი დაცვის უფროსის ახლო ნათესავი. გივი ჯამელაშვილი თავისი ოჯახის წევრსა და თავისზე განხორციელებულ თავდასხმებს ერთმანეთს უკავშირებს. იგი აცხადებს, რომ გაზის აღდგენა დღემდე არ მომხდარა, რამაც საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა მის წარმოებას.

გაზის ჩაჭრის ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გორში. მათ ახსნა-განმარტება ჩამოართვეს „გორიგაზის“ იურისტ ვაჟა სუხიტაშვილსა და ს/ს „გორიგაზის“ დირექტორ ელგუჯა ბერუაშვილს. ბერუაშვილის განმარტებით, კომპანიას გაზის მიწოდება შეუწყდა იმის გამო, რომ მილსადენი არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში. სუხიტაშვილი ადასტურებს, რომ გივი ჯამელაშვილთან გაფორმდა ხელშეკრულება ბუნებრივი აირის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, იმავდროულად „გორიგაზსა“ და „ანტონი და კომპანიას“ შორის არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ დღეში ჯამელაშვილი წარმოადგენდა ყველა საჭირო დოკუმენტს, მაგრამ მან არ შეასრულა თავისი დაპირება, რის საფუძველზეც 11 ოქტომბერს „გორიგაზის“ მხრიდან შეწყვეტილ იქნა გაზის მიწოდება. მისივე განმარტებით, „გორიგაზს“ მილი არ გადაუჭრია და მისთვის უცნობია, ვინ განახორციელა ეს ქმედება. მილის გადაჭრის მიზეზად ასახელებდნენ იმ ფაქტსაც, რომ ის საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ვიდეოკასეტაზე დააფიქსირა, რომ გადაჭრილი მილსადენიდან გაზი გამოდიოდა, რაც არანაკლებ სახიფათო იყო ტყვიავის მცხოვრებთათვის.

9

სასამართლო და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება

გასული წლის პირველი ნახევრის ანგარიშში დაწვრილებით იყო მიმოხილული სასამართლო ხელისუფლებაში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმა. მართალია, ანგარიშში რეფორმის დადებითად შეფასება მოხდა, მაგრამ, ამასთან, გამოიკვეთა გარკვეული სირთულეები, რაც საწყის ეტაპზე თან ახლავს აღნიშნულ რეფორმას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქმის ჩანიშვნისა და განხილვის ვადების გაჭიანურების ტენდენცია, რაც მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობითაა გამოწვეული და პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებების დარღვევასთან.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქალაქო სასამართლოს ყველა კოლეგიიდან, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია განსახილველი საქმეებისა და მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიიდან 2006 წლის 25 იანვარს მოსული პასუხის თანახმად, კოლეგიაში იანვრის თვის მდგომარეობით განსახილველი იყო 2711 სისხლის სამართლის საქმე, აქედან წარმოებაში იყო 406. კოლეგიაში სულ 15 მოსამართლეა. თითოეულ მათგანს მინიმუმ 161, მაქსიმუმ კი 225 საქმე აწერია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ბოლო 6 თვის მანძილზე (2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე) შევიდა 2092 სისხლის სამართლის საქმე, აქედან წარმოებაშია 225 .

როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან მოსული პასუხით ირკვევა, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოებაში იყო 1871 საქმე. კოლეგიაში 15 მოსამართლეა, თითო მოსამართლეს საშუალოდ აწერია 110-115 საქმე. ბოლო ექვსი თვის მანძილზე ადმინისტრაციულ კოლეგიაში 2280 საქმე შევიდა. მოსამართლეებზე რიცხული საქმეებიდან ჩანიშნულია 1020 საქმე.

ყოველთვიურად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, სარჩელების გარდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული საშუალოდ შვიდასი საქმე შედის.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში იყო 7939 საქმე და 14 მოსამართლე, რომელთაგან ერთი დროებით ჩამოცილებულია საქმეთა განხილვასა და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებას.

ბოლო ექვსი თვის მანძილზე სამოქალაქო კოლეგიაში 4000 სარჩელი თუ განცხადებაა შესული და წარმოებაში მიღებული.

2006 წლის 13 იანვრის მდგომარეობით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 25 მოსამართლე; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან მოვლინებული იყო 1 მოსამართლე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განსახილველი იყო 468 საქმე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 1322 საქმე; სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 930 საქმე. ე.ი 25-მა მოსამართლემ უნდა განიხილოს 2720 საქმე.

დღეისათვის საერთო სასამართლოებში განსაზღვრულია 385 საშტატო ერთეული. 2005 წელს კონკურსის შედეგად დაინიშნა მხოლოდ 52 ახალი მოსამართლე. დღეისათვის არსებობს 108 ვაკანსია. სავარაუდოდ, ვაკანსიების დაახლოებით 20-25%ს შეავსებენ მაგისტრატი მოსამართლეები. აღნიშნული ვაკანსიების შევსების მიზნით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაგეგმილია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება. ამავე მოტივით განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებითაც მოსამართლედ გამწესებული პირის ქვედა ასაკობრივი ზღვარი 30-დან 28 წლამდე შემცირდა.

ზემოაღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს სასამართლოებში საქმის განხილვის ვადებთან დაკავშირებულ პრობლემებს: სისხლის სამართლის კოლეგიაში თითო მოსამართლეს აწერია დაახლოებით 161 საქმე, ადმინისტრაციულ კოლეგიაში – დაახლოებით 110-115, ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც თითო მოსამართლეზე დაახლოებით 567 საქმე მოდის, რადგან საქმეების საერთო რაოდენობა 7939-ია, მოსამართლეთა რაოდენობა კი 14. ეს ციფრები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ შეუძლებელია საქმის ვადებში დასრულება და ამას სასამართლოს თავმჯდომარეებიც ადასტურებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის, ირაკლი ადეიშვილის განცხადებით, 2005 წლის 5 მაისიდან 2006 წლის 1 იანვრამდე დასრულებულ იქნა 1640 საქმე, მათგან 5-თვიანი ვადის გადაცილებით განხილულ იქნა 449 საქმე. რაც შეეხება ერთთვიანი ვადის მქონე დავებს, მათგან ალიმენტის თაობაზე დასრულებული 50 საქმიდან ვადის გადაცილებით დასრულდა 16. სწორედ აღნიშნული პრობლემის თაობაზე მიმართა სახალხო დამცველს მოქალაქე ლ. ბალავაძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მიმდინარე წლის 16 მაისს სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, ალიმენტისა და სარჩოს დაკისრების თაობაზე, ამასთან დააყენა შუამდგომლობა დროებითი განკარგულების მიღების შესახებ ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებით, რაც 2005 წლის 20 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ანუ იგნორირებულია კანონის მოთხოვნები და დარღვეულია ადამიანის უფლებები.

შრომითი ურთიერთობისა და მუშაკის სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის თაობაზე დასრულებული 76 საქმიდან ვადის გადაცილებით დასრულდა 47 საქმე. რაც შეეხება დავებს მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ, ი.ადეიშვილის განმარტებით, სპეციალურ კატეგორიად მიუთითებლობის გამო, მათი ცალკე აღრიცხვა არ წარმოებს. თუმცა საგულისხმოა, რომ, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთ საქმეებში საცხოვრებელი სადგომის ღირებულების შესაფასებლად ძირითადად ექსპერტიზა ინიშნება, რაც გამორიცხავს ერთთვიან ვადაში მათი განხილვის დასრულების შესაძლებლობას.

როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე აღნიშნავს, საქმეთა სიმრავლისა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით, საქმეთა განხილვის კანონით

დადგენილი ვადების დაცვა მნიშვნელოვანი პრობლემაა. მისი აზრით, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევის მიზეზების აღმოფხვრა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხი კომპლექსურ განხილვას მოითხოვს. მათ შორის, არსებითია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო ვადების სრულყოფა (გაზრდა) საქმეთა განხილვის მეტი ეფექტურობის მიზნით.

წინა ანგარიშებში არაერთხელ იყო საუბარი ისეთ საკითხზე, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა არაღსრულება. უნდა აღინიშნოს, რომ, სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა ისევ აქტუალურია და, შეიძლება ითქვას, მან უფრო მეტი სიმწვავეც შეიძინა მას შემდეგ, რაც საქართველომ ორი პროცესი წააგო ევროპის სასამართლოში საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო. ერთ-ერთი ასეთი საქმეა „შპს „იზა“ და ნოდარ მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, შპს „იზას“ სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს განათლების სამინისტროს დაეკისრა 11 628 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

2001 წლის 2 ივნისს საქმეზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და გადაწყვეტილება აღსასრულებლად გადაეცა თბილისის სააღსრულებო ბიუროს. მაკრახიძემ ამოწურა საქართველოში არსებული შიდასამართლებრივი დაცვის ყველა მექანიზმი, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც მან ევროპის სასამართლოს მიმართა.

ევროპის სასამართლომ 2005 წლის 27 სექტემბერს მიიღო არსებითი გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა შპს „იზას“ მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-6.1, მე-13 და I დამატებითი ოქმის I მუხლების დარღვევა. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 10 000 ევრო – მატერიალური ზარალის, 2050 ევრო – საადვოკატო და სხვა ხარჯების და 1000 ევრო – მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, ანუ, საბოლოოდ, ბიუჯეტს უწევს თითქმის 150%-ით მეტის გადახდა, ვიდრე უნდა გადაეხადა.

2005 წლის 27 დეკემბერს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და მისი აღსრულება 3 თვის ვადაში უნდა მოხდეს.

სახელმწიფო კვლავ ახდენს აპელირებას იმაზე, რომ საბიუჯეტო დაწესებულებებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად თანხების იძულებით ჩამოჭრა სერიოზულ დარტყმას მიაყენებს სახელმწიფოს ბიუჯეტს, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში პროცესების წაგებამ დაგვანახვა, რომ ამგვარი მიდგომით სახელმწიფო ფაქტობრივად სირაქლემას პოზიციას იკავებს, რადგან ყველასთვის ცხადია, ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა ასეთი გზით ვერ მოხერხდება და რეალურად ბიუჯეტი ქვეყნისთვის დაკისრებული კომპენსაციების გამო უფრო მეტად ზარალდება. ამასთან, კრედიტორების უმრავლესობა მეწარმეები არიან, რომლებიც, დავალიანების გამო, ხშირად იძულებულნი ხდებიან, შეწყვიტონ მუშაობა, რითაც ზარალს განიცდიან არა მხოლოდ კონკრეტული მეწარმეები და მათ მიერ დაქირავებული ადამიანები, რომლებიც უმუშევართა რიგებს ემატებიან, არამედ ბიუჯეტიც, რადგან მცირდება გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა. დღეს ქვეყნის ბიუჯეტს შესწევს იმის უნარი, რომ ერთბაშად დაფაროს ყველა მსგავსი დავალიანება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის ინტერესი არ შეიძლება დადგეს ადამიანის უფლებებზე მაღლა, მით უმეტეს, რომ ვალების გადაუხდელობის პოლიტიკა საბოლოო ჯამში ბიუჯეტსაც დააზარალებს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა აშკარად უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს ავტორიტეტზე. შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეები უკვე ერიდებიან საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას, რადგან, გარდა იმისა,

რომ სასამართლო პროცესის ჩანიშვნა და საქმის განხილვის ვადა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჭიანურდება, მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს რწმენა, რომ გადაწყვეტილება რეალურად აღსრულდება. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოქალაქეებს თავიანთი უფლებების დასაცავად სახელმწიფოს შიგნით არანაირი ბერკეტი არ რჩებათ. სწორედ ამან განაპირობა ევროპის სასამართლოსათვის მიმართვის ტენდენცია, რაც ქვეყანას, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ევროპის სასამართლოში დასაშვებად ცნეს კიდევ ერთი სარჩელი, რაც ადასტურებს, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნა აღსრულების საქმეზე ევროპის სასამართლოში მოგების პრეცედენტი, ამ საკითხებზე ევროპის სასამართლოსათვის მიმართვამ ტენდენციის ხასიათი მიიღო.

სააღსრულებო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით 2005 წლის განმავლობაში აღსრულებულ იქნა 495 სააღსრულებო ფურცელი, საიდანაც დაკმაყოფილდა 700 კრედიტორი, მათგან 21% ბიუჯეტთან დაკავშირებული შემთხვევები იყო, ხოლო 56% სხვა მოვალეები.

ამასთან, სააღსრულებო დეპარტამენტის წერილში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ნებაყოფლობით დაკმაყოფილებულ იქნა ცალკეული კრედიტორების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა შესახებ ამ ეტაპზე სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალურ ჯგუფს თანხების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოეპოვება. დღევანდელი მონაცემებით, საბიუჯეტო დანესებულებების დავალიანება სხვადასხვა კრედიტორის მიმართ დაახლოებით 22 008 691 ლარს შეადგენს.

საკმაოდ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია ძველი მოსამართლეების ახლებით ჩანაცვლების პროცესმა. ამ პროცესის ოპონენტების განცხადებით, რეფორმის ავტორები ამ გზით ცდილობენ, მათთვის არასასურველ მოსამართლეებს, წინასწარ გამზადებული პირადი განცხადებების საფუძველზე, თანამდებობები დაატოვებინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ დაიწყება დისციპლინური დევნა. ოპონენტების განცხადებით, ზეწოლის კიდევ ერთი ბერკეტია „კანონი უზენაესი სასამართლოების შესახებ“. მასში ჩადებულია მუხლი, რომლის თანახმადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, აგრეთვე იმ მოსამართლეებს, რომლებიც ნებაყოფლობით დატოვებდნენ თანამდებობებს, მთელი ცხოვრების მანძილზე შეუნარჩუნდებოდათ მათი ხელფასის ოდენობის პენსია. ეს იყო გარკვეულწილად წამახალისებელი ნორმა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა აქტიურად გამოიყენეს.

ბოლო დროს გახშირდა სასამართლოში წესრიგის დარღვევისა და მოსამართლეზე ზეწოლის ფაქტები. მაგალითად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2006 წლის 11 იანვარს, დღის 12 საათზე ჩანიშნული იყო მანუჩარ ეთერიას პროცესი.

დანიშნულ დროს პროცესზე პატიმრის ზუგდიდის საპყრობილიდან გადაყვანა ვერ მოხერხდა. როგორც ციხის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მ.საჯაიამ მოსამართლეს განუცხადა, პატიმრის გადაყვანა ვერ განხორციელდა, რადგან საბადრაგო სამსახურის მუშაკები გადანაწილებულნი იყვნენ სხვა პროცესებზე და არ იყო თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობა, რათა სასამართლო პროცესზე დაეცვათ წესრიგი და პატიმრის უსაფრთხოება უზრუნველეყოთ. დაახლოებით 13 სთ-ზე დაზარალებულის ახლობლები (20-30 ადამიანი) შეიჭრნენ მოსამართლის კაბინეტში და მას პატიმრის პროცესზე გამოუცხადებლობაში ადანაშაულებდნენ. მოსამართლე სიტუაციის განმუხტვას უშედეგოდ ცდილობდა. მას ხელი ჩაავლეს, გაათრიეს დერეფანში და კიბეზე ჩაიყვანეს. მეორე სართულზე მოსამართლე წაიქცა. აურზაური ფოიეში გაგრძელდა. მოგვიანებით ნ.სარია პოლიციის მუშაკებმა უსაფრთხოების მიზნით გაიყვანეს სააღსრულებო ბიუროს ერთ-ერთ ოთახში. თავდამსხმელები დღის ბოლომდე სასამართლოს ეზოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩნენ. მოსამართლე ნ. სარიას უჭირს მომხდარის კვალიფიცირება. მისი აზრით, განხორციელდა სასამართლო ხელისუფლებაზე ერთ-ერთი უხეში ზეწოლა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ინციდენტის მონაწილეთა ნაწილს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა. საქმეს ზუგდიდის საგამოძიებო განყოფილება იძიებს. ასეთი შემთხვევები აშკარად ხელყოფს სასამართლოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორიცაა მისი დამოუკიდებლობა და ხელს უშლის მოსამართლის მხრიდან მიუკერძოებელი, ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას. ყველა ის პირი, რომელიც უხეშად არღვევს წესრიგს სასამართლო დარბაზში და ნებისმიერი ხერხით ცდილობს სასამართლოზე გავლენის მოხდენას, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით მანდატურის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც 2006 წლის 15 მარტიდან ამოქმედდა. მანდატურის ინსტიტუტი საერთო სასამართლოებში წესრიგის უზრუნველყოფისა და სასამართლოს შეუფერხებელი საქმიანობის გარანტიებს შექმნის.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები მოსამართლეთა დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ.

2005 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების მოთხოვნით შესულია 2242 საჩივარი.

82 მოსამართლის მიმართ დევნის აღძვრას საფუძვლად დაედო მოქალაქეთა საჩივარი და განცხადება, 37 მოსამართლის მიმართ – მოსამართლეთა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა მოხსენებითი ბარათი, 7 მოსამართლის მიმართ – სასამართლოს კერძო დადგენილება, ხოლო 3 მოსამართლის მიმართ – პროკურატურის წერილი.

2005 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 83 დისციპლინური საქმე გადაეცა.

2005 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გაგზავნილ იქნა ხუთი რეკომენდაცია. აქედან ერთ-ერთზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლების წინასწარი შემოწმება, მეორე შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი თქვა დისციპლინური დევნის აღძვრაზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის გათვალისწინებული სამწლიანი ვადის გასვლის გამო, სამ რეკომენდაციაზე კი ჯერ პასუხი არ მიგვიღია.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონში შევიდა ცვლილებები, რითიც დისციპლინური სამართალწარმოება გახდება უფრო მოქნილი, მოხდება საქმის განხილვის პროცედურის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადატანა, რაც საბჭოს შემადგენლობაში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის პირობებში შექმნის დისციპლინური საქმის უფრო ობიექტურად განხილვის გარანტიებს.

რეკომენდაციები

- მოგვარდეს სასამართლოში საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვა და მოხდეს ვადის გაჭიანურების თავიდან აცილება;
- სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხები საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის სასამართლო წესით დაკისრებული დავალიანებების სრულად გადასახდელად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

10 ბავშვთა უფლებები

საქართველომ „ბავშვის უფლე-ბათა დაცვის კონვენციის“ რატიფიცირებით, ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები იკისრა, თუმცა დღესდღეობით მათი უმრავლესობა უყურადღებოდ არის დატოვებული. ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გაიჩინა რისკის ჯგუფის ბავშვები (ქუჩის ბავშვები) და მათი რიცხვი არ მცირდება.

ქუჩის ბავშვებისთვის უდიდესი პრობლემაა ტოქსიკომანია, ქურდობა, პროსტიტუცია და მათხოვრობა. ამ ბავშვების კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოების რისკი ძალიან დიდია და მათი აღზრდის საკითხი საზოგადოებისათვის მეტად აქტუალურია. უმეტეს შემთხვევაში ქუჩაში გამოსული ბავშვები ობლები არ არიან, ხშირად სწორედ მათ უწევთ ოჯახის რჩენა. ეს გარემოება კი მათ აიძულებს მუდმივად იმუშაონ, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბავშვების ამოვარდნას რეგულარული სასწავლო პროცესიდან და სერიოზულ პედაგოგიურ და პიროვნულ ჩამორჩენას. უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. მშობლების მხრიდან მაწანწალობის იძულება და მათი ბავშვთა სახლებიდან და თავშესაფრებიდან გამოყვანა თავისთავად სერიოზულ პრობლემას ქმნის, რადგან საქართველოში არ არსებობს ქმედითი მექანიზმი, რომელიც დაიცავს ბავშვს ასეთი მშობლებისაგან და ნათესავებისგან. ეს ბავშვის უფლებათა უხეში დარღვევაა, განათლების უფლება კონვენციის 28-ე მუხლით არის დაცული.

აღსანიშნავია, რომ ქუჩის ბავშვებში გავრცელებული ტოქსიკომანიის პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან იგნორირებული რჩება. არ არსებობს კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც ბავშვებს ამისგან დაიცავს. არ ხორციელდება არც ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ტოქსიკომანი ბავშვების რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს. ამგვარი უყურადღებობა აუარესებს ქუჩის ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას. „ბავშვის უფლებათა დეკლარაციის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ისწრაფვიან, უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით“. „ქუჩის ბავშვების“ მიმართ აღნიშნული მუხლით დაცული უფლება დარღვეულია.

უსახლკარო, მაწანწალა ბავშვების არსებობას თან სდევს მათი დიდი ნაწილის კრიმინალურ ქმედებებში ჩაბმა, რაც ხშირად ამ ბავშვების პასუხისგებაში მიცემით მთავრდება. ციხე კი უფრო მეტად ამძიმებს იქ მოხვედრილ უსახლკარო ბავშვთა ყოფას და მათ ფსიქიკას განადგურებით ემუქრება. თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედების დროს უკიდურესი ზომაა. სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი ხშირად უკვე ჩამოყალიბებულ კრიმინალად გვევლინება. საქართველოში ასეთ ბავშვებთან მიმართებით არ არსებობს სასჯელის მოხდის შემდგომი რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკა და მექანიზმები. ასევე აღსანიშნავია ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. ასეთი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 102-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული „სპეციალური ნარკოლოგიური სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით“. თუმცა ამ მუხლს დღესდღეობით ძალა აქვს დაკარგული, რადგან დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ნარკომანიისაგან განკურნებას, სახელმწიფოს არ აქვს. აღნიშნულმა შესაძლოა, სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანოს.

მდგომარეობა ბავშვთა სახლებში

ბავშვთა უფლებების შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2005 წლის ბოლოს ბავშვთა სახლების მონიტორინგი დაიწყო. განათლების სამინისტროსა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში სულ 58 სააღმზრდელო ინსტიტუციაა. სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა ამ დროისათვის 39 ინსტიტუცია (ბავშვთა სახლი-სანატორიუმი თუ სკოლა-პანსიონი) შეამოწმა. მათ შორის: თბილისში – 18, ხოლო რეგიონებში: მცხეთა-მთიანეთში – 3, კახეთში – 6, რუსთავში – 2, კოჯორში – 2, ახალდაბაში – 1, სურამში – 1, აჭარაში – 4, მარტყოფში – 1 და კასპში – 1.

დღესდღეობით ბავშვთა სახლების მდგომარეობა ისევ ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. განხორციელებული მონიტორინგის შედეგებმა დაგვანახვა, რომ ჯანმრთელობასთან, არასრულფასოვან კვებასთან, არასათანადო განათლებასთან და ა.შ. დაკავშირებული პრობლემები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის კვლავ გადაუჭრელი რჩება.

მონიტორინგის დროს შესწავლილი ბავშვთა სახლების მდგომარეობა თითქმის იდენტურია. ინსტიტუციები, სადაც მოთავსებულები არიან ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ერთნაირ რეჟიმში მუშაობენ: ყაზარმული ტიპის სარემონტო შენობები, 15-20 საწოლიანი საძინებელი ოთახები, პირადი ნივთების შესანახი კარადების გარეშე, ცუდი კვება და ა.შ. აღინიშნება ბავშვთა სოციალური ჩამორჩენა. ბავშვები ვერ იღებენ პროფესიულ განათლებას. პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ფორმალურ სახეს ატარებს. ბავშვებისთვის კი მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის არაფერი შეცვლილა.

ინსტიტუციებში, სადაც სოციალურად დაუცველი უნარშეზღუდული ბავშვები არიან, გაცილებით მეტი სირთულეებია. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, გადასახედია რეაბილიტაციისა და სწორი მკურნალობის პროცესი.

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა აგრეთვე 12 სკოლა-პანსიონი (ყოფილი სკოლა-ინტერნატები) მოინახულა. ამჟამად ასეთი ინსტიტუციების არსებობა გამოწვეულია სოციალურად დაბალი ფენის უსახსრობით ან სოფლებში სკოლის არარსებობით. ასეთ ინსტიტუციაში აღმოჩენით ბავშვების უმრავლესობა, ფაქტობრივად, გარიყული რჩება საზოგადოებისგან. თუ ბავშვთა სახლში

მოთავსებულ ბავშვებს სკოლაში მაინც ეძლევათ საშუალება, ჰქონდეთ ურთიერთობა თანატოლებთან, ასეთ სკოლებში ბავშვები ამასაც მოკლებულნი არიან. ასევე ფუნქციონირებს სკოლა-პანსიონები სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვებისთვის. ხშირ შემთხვევაში მათი არსებობა განპირობებულია ბავშვების დაავადებიდან გამომდინარე, მაგალითად ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონი, სადაც სწავლება სპეციალურად ასეთი პრობლემის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამით მიმდინარეობს. თუმცა ბავშვების ამგვარი გამოყოფა ხელს უშლის სოციუმში მათ ინტეგრაციას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ნაწილი იმყოფება ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებებში, რომლებიც ხშირად ძალიან მძიმე და ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. ძალზე დაბალ დონეზე ხდება ბავშვთა მოვლა, და იმ ბავშვებს შორის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან გონებრივი პრობლემები, ხშირად შევხვდებით ბავშვებს, რომლებიც დგანან საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე. ბევრისათვის არ არის ხელმისაწვდომი თანამედროვე ორთოპედიული და გადაადგილების საშუალებები.

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ აცხადებს, რომ „გონებრივად ან ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვი უნდა ეწეოდეს სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას იმ პირობებში, რაც უზრუნველყოფს მის ღირსებას, ეხმარება მისი თვითრწმენის ჩამოყალიბებას და ამსუბუქებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში“. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში კვლავ სერიოზული წინააღმდეგობები ექმნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, და მათ შორის ბავშვთა, კანონიერი ინტერესების რეალურად განხორციელებას.

აღწერა

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვთა სახლების პრობლემა. თითქმის ყველა ბავშვთა სახლი თუ თავშესაფარი ერთნაირი პრობლემების წინაშე დგას. მაგრამ მაინც შეიძლება მათი რამდენიმე ტიპად დაყოფა.

ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ის ინსტიტუციები იმყოფება, სადაც უნარშეზღუდული ბავშვები არიან მოთავსებული. ასეთ დაწესებულებებში მწვავედ დგას ჰიგიენის პრობლემები. მაგალითად, კასპის ბავშვთა პანსიონატში, სადაც გონებრივი ჩამორჩენილობის სხვადასხვა ტიპით დაავადებული ბავშვები არიან, მძიმე სანიტარიული მდგომარეობაა. მთელ შენობაში საშინელი სუნი დგას, ამის გამო დერეფნებში ფანჯრები მუდმივად ღიაა და შენობაში საკმაოდ ცივა. მართალია, სველი წერტილები გარემონტებულია, მაგრამ იქ მაინც საშინელი ანტისანიტარიაა, რადგან სადეზინფექციო და სხვა გამწმენდი საშუალებები არ აქვთ. არა აქვთ აგრეთვე საპონი და პირადი ჰიგიენის სხვა საგნები. ბავშვებს ესაჭიროებათ დიდი ზომის პამპერსები, მაგრამ ამის შესაძენი თანხა პანსიონატს არ აქვს და მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებების იმედზეა დარჩენილი. ბავშვებს აცვიათ ძველი, დახეული ტანსაცმელი, არა აქვთ ზამთრის ფეხსაცმელი.

ასევე პრობლემურია ის, რომ ხშირად ასეთ დაწესებულებებში, სპეციფიკის მიუხედავად, თითოეულ ჯგუფს ერთი ძიძა და ერთი აღმზრდელი ემსახურება. ჭამის დროს ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის, რადგან ასეთი ბავშვიდან მხოლოდ რამდენიმეს შეუძლია საკვების დამოუკიდებლად მიღება. ზოგიერთ ბავშვს კი დამოუკიდებლად გადაადგილებაც არ შეუძლია.

ანალოგიური მდგომარეობაა ასეთი ტიპის თითქმის ყველა პანსიონსა თუ სანატორიუმშიც.

ვაწყდებით ისეთ საკითხებსაც რომელთა გადაუჭრელობა სისასტიკემდე მიდის. მაგალითად, ქალაქ თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში სამნაირი კატეგორიის ბავშვები

არიან: ტოტალური უსინათლო, უსინათლო და ნარჩენი მხედველობის მქონე. შენობა საკმაოდ ძველია (100 წლის), არ აქვს გათბობა, კიბის მოაჯირები, რომლებსაც ბავშვები ეყრდნობიან, რკინისაა და ზამთარში იყინება, მხედველობადაქვეითებულ ბავშვებს კი ხელებზე მგრძნობელობა ჩვეულებრივ ადამიანზე გაცილებით მაღალი აქვთ, ამიტომ მათთვის ზამთარში ინტერნატის პირობებში ცხოვრება განსაკუთრებით რთულია.

თბილისში არსებობს ბავშვთა რამდენიმე თავშესაფარი, რომელთა ნაწილი ქალაქის მერიის ბიუჯეტზეა, ნაწილი კი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის შექმნილი. მაგალითად, გლდანის მასივის მე-8 მიკრორაიონში ფუნქციონირებს ბავშვთა სახლი „რწმენა I". ამ სახლმა სახალხო დამცველის ყურადღება 2004 წლის ანგარიშშიც მიიქცია, მას შემდეგ მდგომარეობა არათუ არ გამოსწორებულა, შეიძლება ითქვას, დამძიმდა კიდეც. „რწმენა I" ყოფილი საბავშვო ბაღის პირველ სართულზე ამ მიზნისათვის სრულიად შეუფერებელ პერობებშია განთავსებული. მას არ აქვს ცალკე სასადილო, სპორტული, სათამაშო და სამეცადინო ოთახები. თითოეული ასაკობრივი ჯგუფი მათთვის განკუთვნილ ოთახში იძინებს და იქვე იკვებება. თეთრეული დაბინძურებულია. იმავე შენობის მეორე სართული დევნილებს აქვთ დაკავებული. დირექტორის განმარტებით, ამ სახლს თბილისის მერიის საქალაქო სამსახური აფინანსებდა, მაგრამ პროექტის დასრულების გამო, დაახლოებით 8 თვეა, რაც დაფინანსება აღარ მიუღიათ, რამაც აღსაზრდელების მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა, შემცირდა კვების რაციონი, უსახსრობის გამო ვერ ყიდულობდნენ ბავშვებისთვის აუცილებელ საკვებს (ხორცს, კარაქს და ა.შ), დირექცია იძულებული გახდა, სამსახურიდან გაეშვა ფსიქოლოგი, რადგან ვერ უნაზღაურებდა მის ხელფასს. თუმცა ცენტრში უნარშეზღუდული ბავშვებიც არიან და კორექციისთვის მათ კვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროებათ. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მიუხედავად, სახლი დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას. საინტერესოა, როგორ უზრუნველყოფდა სახლის დირექცია ბავშვებისთვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობების შექმნას დაფინანსების არქონის პერიოდში.

ხშირია ასევე დევნილების პრობლემა, რასაც ხშირად ვაწყდებით ბავშვთა სახლების მონიტორინგის პროცესში. მაგალითად, თბილისის №1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის შენობის ნაწილი უკავიათ დევნილებს, იგივე პრობლემაა მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონშიც, რაც ხელს უშლის შენობაში სანიტარიული ნორმების დაცვას და შენობის სრულ რემონტს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დღემდე მოუგვარებელი რჩება.

მდგომარეობა გამოსწორების გზაზეა თბილისის №1 ბავშვთა სახლში, ჩვილ ბავშვთა სახლში, „მომავლის სახლში". ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ამ სახლებს ახალი დირექტორები ჰყავთ და ისინი მწირი დაფინანსების ფარგლებშიც ახერხებენ ბავშვებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას. საინტერესოა ისანი-სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა ოჯახური ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრი „ლამპიონი", აქ სააღმზრდელო ჯგუფები ოჯახური ტიპისაა, ანუ არ ხდება ბავშვების ასაკობრივი კატეგორიებით დაყოფა, თითო ჯგუფში 10 სხვადასხვა ასაკის ბავშვია, რაც ხელს უწყობს ოჯახური გარემოს შექმნას, ისინი ზრუნავენ ერთმანეთზე. ძირითადად დიდი, 25-30 ბავშვისგან შემდგარი, სააღმზდელო ჯგუფები გვხვდება, ძიძა კი – ერთი. გაუგებარია, როგორ უნდა მოახერხოს ერთმა აღმზდელმა 25 ბავშვის რეაბილიტაცია და განვითარება.

პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე გარკვეული წინსვლა (დაწყებულია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი) შეიმჩნევა, დღემდე არ არის შემუშავებული პრობლემისადმი სისტემური მიდგომა და არ ხდება მისი კომპლექსურად გადაჭრა. ჩატარებულმა მონიტორინგმა შემდეგი პრობლემური საკითხები გამოავლინა:

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ბავშვთა უფლებებთან არის დაკავშირებული, არის ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში მოვლისა და ზრუნვის სტანდარტის დანერგვა, შენარჩუნება და კონტროლი. აუცილებელია, არსებობდეს გარკვეული ნორმები, რომლითაც ამ ინსტიტუციებმა უნდა იხელმძღვანელონ. მაგალითად, უნდა განისაზღვროს კვების ერთიანი ნორმები, რომელთაც ყველა ამგვარი დაწესებულება დაექვემდებარება;

გარკვეული პრობლემებია არაკვალიფიციური კადრების გამო, რომლებსაც დაკავებული თანამდებობებიდან სხვადასხვა მიზეზით, ვერ ათავისუფლებენ. ამგვარ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის უმრავლესობა არასაკმარისად კვალიფიცირებულია იმისათვის, რომ სწორად წარმართოს ბავშვის რეაბილიტაციის პროცესი, რაც პირდაპირ აისახება ბავშვების განვითარებზე;

მაგალითად, „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში“ ამგვარ პრობლემებს წააწყდა ცენტრის დირექცია. გაურკვეველია, რა პრინციპით აირჩიეს მომვლელები ცენტრის გახსნამდე ჩატარებული კონკურსის დროს. არც ერთ მათგანს არ აქვს შესაბამისი პროფესიული განათლება და, რაც მთავარია, ასეთი ტიპის ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. არადა, მომვლელი ბავშვებთან 24 საათს ატარებს და მას შეუძლია, დიდი გავლენა მოახდინოს აღსაზრდელის რეაბილიტაციის პროცესზე.

რესტრუქტურიზაციის შემდეგ მოწვეული სოციალური პედაგოგები (ადრე ასეთები ცენტრში არ მუშაობდნენ) ბავშვებს თავისუფალი დროის მიზანმიმართულად და შინაარსიანად გატარებაში ეხმარებიან და მათთან ელემენტარულ საგანმანათლებლო პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან;

რა თქმა უნდა, დეინსტიტუციონალიზაციის მიმდინარე პროცესი ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არჩეული სწორი გზაა, რადგან ასეთი ინსტიტუციების არსებობა გარკვეულწილად არღვევს მათ უფლებებს. თუმცა ეს პროცესი სახიფათოც შეიძლება იყოს ამ ბავშვებისთვის. მონიტორინგის დროს წავაწყდით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც გაშვილებული ან გაშვილობილებული ბავშვის საბუთები წესრიგში არ იყო. დირექტორი სხვა ინფორმაციას გვაწვდიდა, ხოლო საბუთებში სხვა რამ იყო მითითებული. ზოგიერთ შემთხვევაში საბუთები საერთოდ ვერ მოვიძიეთ. 2006 წლის მეორე ნახევრიდან ან 2007 წლიდან სახალხო დამცველის აპარატი აპირებს მთლიანად დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების მონიტორინგს;

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბავშვთა სახლები. მათი მდგომარეობა გაცილებით რთულია. იქ მყოფი ბავშვები ძალიან მძიმე პირობებში არიან და ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე მათთვის არაფერი შეიცვლება. არადა, არავინ იცის, ეს როდის მოხდება და ამ ბავშვებს სად გადაიყვანენ;

რეგიონებში თავშესაფრების შენობები ძირითადად მოუწესრიგებელია. ყველა მათგანი ყაზარმული ტიპისაა, წყლისა და სველი წერტილების პრობლემა მოუგვარებელია, შენობები კი ამორტიზებული, რის გამოც შეუძლებელია ბავშვებისთვის ოჯახური და მყუდრო გარემოს შექმნა;

აღსანიშნავია აგრეთვე აღმზრდელებისა და ძიძების ხელფასის სიმცირე, საშუალოდ 50 ლარი. მაშინ, როდესაც აღმზრდელები იმავე სამუშაოს (ზოგჯერ მეტს) ასრულებენ, რასაც ჩვეულებრივი სკოლის პედაგოგები, მათი ხელფასი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გაზრდილა. აღნიშნულს ზოგიერთ შემთხვევაში დაპირისპირებამდეც კი მივყავართ. ინსტიტუციებში ბავშვების მოვლა ძალიან საპასუხისმგებლო და შრომატევადი სამუშაოა, დაბალი ანაზღაურების გამო, რა თქმა უნდა პროცესის გაუმჯობესების მოტივაცია ქრება. ეს ყველაფერი კი ბავშვების განვითარებაზე აისახება;

საკანონმდებლო სფეროში მნიშვნელოვანია ერთი დღემდე გადაუჭრელი პრობლემა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა კონვენციის მიხედვით, რომელსაც საქართველო 1998 წელს შეუერთდა, ბავშვობის ასაკად მიჩნეულია 18 წელი. ეს საქართველოშიც ასეა. სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის განკუთვნილი ინსტიტუციების უმრავლესობაში კი ბავშვობის ასაკად კვლავ

15-16 წელი რჩება. არსებული კანონის თანახმად, თავშესაფარში მყოფი ბავშვი 16 წლის შესრულების შემდეგ თავშესაფრიდან უნდა წავიდეს. ამ ბავშვების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრებისთვისაა განწირული. ირღვევა მათი უფლება, 18 წლის ასაკამდე ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამებით. ასევე გამოითქვა გულისტკივილი ზღვრულ ასაკს გადაცილებული, უბინაო ახალგაზრდების განთავსებაზე. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვთა სახლებში შეხვდებით 18 წელს გადაცილებულ ახალგაზრდებსაც, ეს, რა თქმა უნდა, დარღვევაა, თუმცა ალტერნატივა არ არსებობს.

რეკომენდაციები

- ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში შეიქმნას საყოველთაო სტანდარტები, რომელიც მთელ სტრუქტურას შეეხება და რომელთა შესრულება სავალდებულო იქნება თითოეული მათგანისთვის. აღნიშნული დაგვიცავს ისეთი ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების არსებობისაგან, სადაც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვებისთვის აუცილებელ პირობებს;
- გადაიხედოს ასეთ ინსტიტუციებში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია, მოხდეს მათი გადამზადება;
- ბავშვობის ასაკის განსაზღვრა შეიცვალოს საქართველოს ყველა შესაბამის კანონში და კანონქვემდებარე აქტში გაეროს ბავშვთა კონვენციის განსაზღვრის შესაბამისად – 18 წელი (ინსტიტუციებში გაიზარდოს ბავშვობის ასაკი 18 წლამდე);
- საქართველოს ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის ტექნიკური სამდივნოს სამუშაო ჯგუფების მიერ მზადდება ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტები, როგორც ოჯახის ჩამნაცვლებელი და ოჯახის დამხმარე სამზრუნველო ობიექტებისათვის, ასევე არასრულწლოვან პატიმრებზე ზრუნვის სტანდარტებიც. სავალდებულოა, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა სამივე სამზრუნველო სასჯელაღსრულების ობიექტზე ბავშვზე ზრუნვის პირობები ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს;
- კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს მასწავლებლის, აღმზრდელის ან სამზრუნველო სასკოლო ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლის ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის საკითხი ბავშვის ადამიანური ღირსებისა და პატივის შელახვის შემთხვევაში;
- კანონით განისაზღვროს არასრულწლოვანთა ზედამხედველობის, ზრუნვისა და სამართალდარღვევის პრევენციის განმხორციელებელი უწყება;
- არასრულწლოვანთა ზედამხედველობის, ზრუნვისა და სამართალდარღვევების პრევენციის განმხორციელებელ უწყებას, რომლის მუდმივ წევრთა შორის უნდა მოიაზრებოდეს სოციალური მუშაკი, მიენიჭოს წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა მონახულების უფლება;
- აუცილებელია არასრულწლოვანთა და მათი ოჯახების სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შექმნა და მათი მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება;
- საჭიროა არასრულწლოვან დამნაშავეთა სახელმწიფო მონაცემთა ბანკის შექმნა;
- არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის მიმართ პრობაციის ღონისძიებებს უნდა ახორციელებდეს პენიტენციარული სისტემის სოციალური სამსახურის მუშაკი. ხოლო სოციალური სამსახური უნდა იყოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური კადრებით (სოციალური მუშაკებით, რომლებსაც აქვთ მიღებული შესაბამისი განათლება ან ტრენინგი არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კუთხით);
- შეიქმნას ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებზე ზრუნვის სისტემა და სტანდარტები, ჩამოყალიბდეს რეფერირების სისტემა და ოფიციალური მონიტორინგის მექანიზმი;
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაში დაფიქსირდეს ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სამსახურის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

II

მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით

1. რელიგიის თავისუფლების შელახვის ფაქტები

წინა მოხსენებაში აღვნიშნავდით, რომ 2005 წლის პირველ ნახევარში, 2004 წელთან შედარებით, გახშირდა რელიგიურ ნიადაგზე ძალადობის ფაქტები, ხოლო სამართალდამცავები ხშირად არაადეკვატურად და არაეფექტურად რეაგირებდნენ მათზე. 2005 წლის მეორე ნახევარში ვითარება ამ მხრივ ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

ქ. ქუთაისში იეღოვას მოწმეების დევნა

2005 წლის 28 აპრილს ქუთაისში იეღოვას მოწმეებმა: გ. კვარაცხელიამ, ხ. ნორაკიძემ, თ. ჩოგოვაძემ და ს. ვაჩიბერიძემ შეიძინეს სახლი (გ. ტაბიძის ქ. №44) და დაიწყეს სარემონტო სამუშაო, რათა ეს ადგილი რელიგიური შეკრებებისათვის გამოეყენებინათ. 26 ივნისს სახლთან 40-50 ადამიანი შეიკრიბა და მუქარით მოითხოვდნენ შენობის დაცლას. ამ დღიდან დაწყებული სახლის მეპატრონეებზე განხორციელდა თავდასხმების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფების მთელი სერია. პოლიცია აღნიშნულ ფაქტებზე ან არ რეაგირებდა, ან დაზარალებულებს აკავებდა და მათგან ყალ-ბი ჩვენების მიცემას მოითხოვდა. პარალელურად, ქ. ქუთაისის მედია არაობიექტურად აშუქებდა ამ მოვლენებს, რითაც, ფაქტობრივად, ხელს უწყობდა იეღოვას მოწმეების მიმართ აგრესიული განწყობილების გაღვივებას. იეღოვას მოწმეების წინაღმდეგ დაწყებულ კამპანიაში მონაწილეობდა რამდენიმე მართლმადიდებელი სასულიერო პირი და მოსახლეობას მათ წინააღმდეგ აქეზებდა.

2005 წლის 5 ივლისს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, იეღოვას მოწმეების მიერ შეძენილ სახლს ქვები და აგურები დაუშინეს გინებითა და მუქარით, რომ გადაწვავდნენ, დაანგრევდენენ შენობას და დახოცავდნენ მესაკუთრეებს. საქმე ძიების პროცესშია.

2005 წლის 10 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, გ. ტაბიძის №44-ში სახლის ჭიშკართან კვლავ შეიკრიბა დაახლოებით 60 პიროვნება. ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ სახლში სარემონტო სამუშაოსთვის მისულ პირებს და ქვებს ესროდნენ. ადგილზე მისულმა პოლიციამ ბრბოს შესაჩერებლად არავითარი ზომები არ მიიღო. საქმე ძიების პროცესშია.

20 ოქტომბერს, ქ. ქუთაისის პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის თანამშრომლებმა, ჯანა-

2005

შიამ და კოხრეიძემ, დაზარალებულებს, თემურ ჩოგოვაძესა და პაატა კუპრავას, ასევე მათ ადვოკატს მოსთხოვეს ჩვენების ისეთი სახით დაწერა, როგორც თვითონ უკარნახებდნენ, როდესაც დაზარალებულებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნაზე, ჯანაშიამ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საქმე ძიების პროცესშია.

ქუთაისში მიმდინარე მოვლენებში სახალხო დამცველის ჩარევამ და თითოეულ საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცავების მიმართ რეკომენდაციებმა შედეგი გამოიღო. ქუთაისის შს სამმართველოს უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე გვატყობინებს, რომ 2005 წლის 25 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოსა და ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მხრიდან მოქ. თ. ჩოგოვაძის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფისა და მისი განცხადების მიმართ გამოჩენილი გულგრილობის ფაქტზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 142-ე მუხლის პირველი და 332-ე მუხლის პირველი ნაწილებით, ასევე ქ. ქუთაისში, გ. ტაბიძის №46-ში მცხოვრებ გ.კვერნაძისა და გაგარინის ქ. №8-ში მცხოვრებ ზ. ჩეჩელაშვილის მიმართ დაიწყო გამოძიება საქ. სსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით და ისინი 2006 წლის 2 იანვარს დააკავეს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ბევრისმთქმელი შედეგია თავად თავდამსხმელთა მონანიების ფაქტი. 3 იანვარს ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს, გირაოს სახით ექვსი ათასი ლარის გადახდის სანაცვლოდ. ამ ვადაში მათ დაზარალებულთან შერიგება მოითხოვეს; შეხვდნენ დაზარალებულს და სხვა იეღოვას მოწმეებს; საჯაროდ მოიხადეს ბოდიში, აღიარეს დანაშაული და მოინანიეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ეჭვმიტანილთა მშობლები და მეზობლები, რომლებმაც ასევე მისცეს დამატებითი გარანტიები იეღოვას მოწმეებს, რომ მათი შევიწროება და დევნა აღარ განმეორდებოდა. იეღოვას მოწმეებმაც გამოთქვეს შერიგების სურვილი და ამის თაობაზე განცხადება შეიტანეს შესაბამის საგამოძიებო სტრუქტურაში. ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ხელისუფლების ადეკვატური მოქმედების შემთხვევაში მოსახლეობაში განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების მიმართ აგრესიული მუხტი არ არის ისეთი მაღალი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. უბრალოდ, აგრესორების დაუსჯელობა და უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული მუდმივი აგიტაცია ხელს უწყობს მოსახლეობაში შესაბამისი განწყობილებების გაღვივებას.

ქ. რუსთავში იეღოვას მოწმეების დევნა

2005 წლის 28 აგვისტოს იეღოვას მოწმე ოლღა თაბაგარის კუთვნილ ბინაში მიმდინარე რელიგიური შეხვედრა სახლის კართან შეკრებილმა დაახლოებით 30-მა პიროვნებამ ჩაშალა. ისინი ყვირილითა და მუქარით მოითხოვდნენ მსახურების შეწყვეტას. როდესაც მათ კარის შემტვრევა დაიწყეს, მესაკუთრე იძულებული გახდა, გაეღო კარი, რის შემდეგაც ბრბო შეიჭრა სახლში და ძალის გამოყენებით გაყარა შეხვედრის მონაწილეები. 2005 წლის 30 აგვისტოს ოლღა თაბაგარმა მიმართა ადგილობრივ პოლიციას, მიეღოთ ზომები, რათა მსგავსი ქმედებები არ განმეორებულიყო 2005 წლის 1 სექტემბერს დაგეგმილ რელიგიურ შეხვედრაზე. 1 სექტემბერს მოქალაქეთა იმავე ჯგუფმა გადაკეტა ოლღა თაბაგარის სახლისკენ მიმავალი გზა და კრების წევრები არ გაატარა ბინისკენ. ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ, წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, არაფერი მოიმოქმედა ბრბოს გასანეიტრალებლად, პირიქით, თავად იეღოვას მოწმეებს მოსთხოვეს, დაეტოვებინათ იქაურობა. რელიგიური შეხვედრა ჩაიშალა. იგივე განმეორდა 18 ოქტომბერს და შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ კვლავ არ მოახდინა რეაგირება მომხდარზე. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად საქმეზე დაწყებულია ძიება.

ასევე, ქ. რუსთავში, ტაშკენტის ქ. №5-ში, იეღოვას მოწმეებმა იქირავეს დარბაზი, სადაც რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს. 3 ნოემბერს სახლის წინ შეიკრიბა 30-მდე პიროვნება, მათ შორის ექსტრემისტული ორგანიზაცია „ჯვარის“ ხელმძღვანელი პაატა ბლუაშვილი. შეკრებების გაგრძელების შემთხვევაში ისინი დარბევით იმუქრებოდნენ. მუქარა რუსთავის ადგილობრივმა ტელევიზიამაც გად-

მოსცა. შენობის მესაკუთრე შეშინდა და იეღოვას მოწმეებს ბინის დაქირავებაზე უარი უთხრა. ამ ფაქტზეც დაიწყო ძიება. დააკავეს რელიგიურ ნიადაგზე თავდასხმებისა და დევნისთვის უკვე ერთხელ ნასამართლევი პაატა ბლუაშვილი, რომელიც პირობით სასჯელს იხდიდა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ეს დადგენილება ეჭვმიტანილმა გაასაჩივრა ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში და მას შეეცვალა აღმკვეთი ღონისძიება. ამჟამად საქმეს განიხილავს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

სოფელ წინუბანში ორმოცდაათიანელთა დევნა

2005 წლის 2 დეკემბერს, სოფელ წინუბანში, სადაც მხოლოდ სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს, დაკრძალვის პროცესიისას სასაფლაოზე თავშეყრილ თანასოფლელებს, რომელთა უმეტესობას კათოლიკე ქრისტიანები შეადგენენ, სომხური წესის კათოლიკე მღვდელმა პოღოს გრიგორიანმა საჯაროდ მიმართა, სასაფლაოზე არ შეეშვათ თავიანთი თანასოფლელი ორმოცდაათიანელები, როგორც მავნებლური სექტის მიმდევრები.

ამ ფაქტის შემდეგ სოფელში ორმოცდაათიანელთა აშკარა დევნა დაიწყო. სოფელში დაახლოებით სამასი მოსახლეა, მათგან ოცდათექვსმეტი ორმოცდაათიანელია, რომელთაც არ უნაწილებენ საქართველოს „კარიტასის“ ჰუმანიტარულ დახმარებას იმ მოტივით, რომ ეს დახმარება მხოლოდ კათოლიკეებს ეკუთვნით. აუკრძალეს სასაფლაოზე მიცვალებულთა დაკრძალვა და ცალკე მიწის ნაკვეთზე სასაფლაოს მოწყობა შესთავაზეს. სოფლის თავკაცის სახელით აუკრძალეს ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენის“ მიერ დაფინანსებულ სამუშაოებში მონაწილეობა. მღვდელ პოღოსის ინიციატივით გროვდება ხელმოწერები ორმოცდაათიანელთა საწინააღმდეგოდ. ეს სასულიერო პირი წინუბნის სკოლაში კვირაში ერთხელ ატარებს რელიგიურ გაკვეთილებს, სადაც ასევე მოუწოდებს მოსწავლეებს ორმოცდაათიანელთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური წესის სომხური ეკლესია არ იმყოფება საქართველოს კათოლიკეთა ეპისკოპოსის მორჩილებაში.

ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნის მკვიდრებმა არუთუნ გრიგორიანმა და მახო კეროკიანმა, რომლებიც ორმოცდაათიანელთა ევანგელისტური ეკლესიის მიმდევრები არიან. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბარში მღვდელმა პოღოს გრიგორიანმა და სოფლის თავკაცმა სარქის აღაკიანმა დაადასტურეს ორმოცდაათიანელთა განცხადებაში აღნიშნული დევნისა და დისკრიმინაციის ფაქტები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შეისწავლოს საკითხი და მიიღოს სათანადო ზომები ორმოცდაათიანელთა დარღვეული უფლებების აღსადგენად. მიმდინარეობს ძიება.

2. რელიგიისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა

14 სექტემბერს საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის ხელმძღვანელს პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა ნოტარიუსმა მზია არსენიშვილმა ევანგელისტური ეკლესიის წესდების დამოწმებაზე უარი განუცხადა. ევანგელისტები მანამდე რამდენიმე სხვა ნოტარიუსმა, მათ შორის ბ. სეხნიაძემ, უარით გაისტუმრა. ზაალ ტყეშელაშვილმა უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, ევანგელისტური ეკლესიის წესდება იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციის წარმომადგენელთა დახმარებით მოიყვანა შესაბამისობაში, მაგრამ მისი ნოტარიული წესით დამოწმებისას წინააღმდეგობას წააწყდა: „რამდენიმე დღის განმავლობაში ვცდილობდით სხვადასხვა ნოტარიუსთან იურიდიული დადასტურების მიღებას, მაგრამ უშედეგოდ, უმეტეს შემთხვევაში გვპასუხობდნენ: „არ ვიცით ამ კანონის შესახებ“. მზია არსენიშვილმა კი ზაალ ტყეშელაშვილს უშულოდ რელიგიური ნიშნით განუცხადა უარი რეგისტრაციაზე. თუმცა მას შემდეგ, რაც საქმეში სახალხო

დამცველის წარმომადგენელი ჩაერთო, ნოტარიუსმა წესდება დაიტოვა და ზაალ ტყეშელაშვილი ათ დღეში, 23 სექტემბერს დაიბარა. 23 სექტემბერს ნოტარიუსმა ევანგელისტებს წესდების დამოწმებაზე ისევ რელიგიური მოტივაციით განუცხადა უარი. მან ზ. ტყეშელაშვილს პირდაპირ უთხრა, რომ მართლმადიდებელია, არ ცნობს სხვა ეკლესიას და საბუთებს ვერ დაამოწმებს. საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მზია არსენიშვილისა და ბესიკ სეხნიაძის წინააღმდეგ აღძრულიყო დისციპლინური წარმოება. იუსტიციის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა და მიიღო გადაწყვეტილება ამ ნოტარიუსების ერთი წლის ვადით დისკვალიფიკაციის შესახებ.

3. საქართველოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას შორის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის ამოქმედების შესახებ

საქართველოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე ნაკისრი აქვს გარკვეული ვალდებულებები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულება ან საერთოდ არ სრულდება, ან – მხოლოდ ნაწილობრივ.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გვესახება იმ მუხლების იმპლემენტაციაზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებისა და თანამშრომლობის კონკრეტულ ასპექტებს შეეხება. კონსტიტუციური შეთანხმების პირობების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, არამედ შექმნის ხელსაყრელ ნიადაგს სხვა კონფესიების უფლებრივი, ქონებრივი და სხვა პრობლემების გადაჭრისთვისაც.

ქვემოთ ჩამოვთვლით ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ამ ეტაპზე ან საერთოდ არ სრულდება, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლით სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონით დადგენილი წესით. ეს მუხლი სრულიად უმოქმედოა და საჭიროა შესაბამის კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მე-4 მუხლი ითვალისწინებს სამხედრო საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას. მუხლი სრულიად უმოქმედოა და საჭიროა შესაბამის კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამ მოხსენებაშივე, თავისუფლების აღკვეთის ადგილების შესახებ თავში, ჩვენ ვრცლად გვაქვს მიმოხილული, თუ როგორ ირღვევა ეს უფლება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. საკონსტიტუციო შეთანხმების დებულებები რომ შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით იყოს გამაგრებული, მსგავსი შეზღუდვები და დარღვევები ბევრად უფრო გაძნელდებოდა.

მე-7, მე-8, მე-11 მუხლები ეხება საეკლესიო საკუთრების ფლობის სხვადასხვა ასპექტსა და XIX-XX საუკუნეებში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის კომპენსაციას. ეს მუხლებიც ნაწილობრივ უმოქმედოა და საჭიროა შესაბამის კანონებში ცვლილებები და დამატებები. მაგალითად, შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ „საეკლესიო საგანძური, როგორც საერთოეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“, თუმცა ეს „მოქმედი კანონმდებლობა“, ფაქტობრივად, არ შექმნილა და არ არსებობს ამ საგანძურის ერთობლივად მართვის რაიმე წესი. ასევე არ მომხდარა ეკლესიისთვის იმ საეკლესიო საგანძურის გადაცემა, რომელიც არ რჩება საერთო მფლობელობაში, კერძოდ, ეს არის წმინდა ნაწილები და წმინდა რელიკვიები.

შეთანხმების მე-10 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე". უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ ამ მხრივ რაიმე ხელშესახები ჯერჯერობით არ გაკეთებულა.

4. რელიგიური შეუწყნარებლობა

საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოვლენილი შეუწყნარებლობა

2005 წლის 24-26 ნოემბერს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი". ამ რელიგიურ სიმპოზიუმზე მოწვეული იყვნენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი არამართლმადიდებელი სტუმრები, ისინი ზოგიერთ სხდომასაც უძღვებოდნენ და მოხსენებითაც გამოდიოდნენ. სიმპოზიუმი აშკარად გამოხატავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სურვილს, ხელი შეეწყო ტოლერანტობისა და რელიგიათა შორის დიალოგისთვის. როგორც სხდომების რეგლამენტიდან და თემატიკიდან ჩანს, სხვადასხვა აღმსარებლობისა და შეხედულების მეცნიერები, სასულიერო პირები აქტუალურ საკითხებზე საინტერესო და ცოცხალ დისკუსიაში უნდა ჩაბმულიყვნენ. მაგრამ სიმპოზიუმზე არამართლმადიდებელი აღმსარებლობის თითქმის ყველა და ზოგიერთი მართლმადიდებელი მომხსენებელიც მართლმადიდებელ მორწმუნეთა ერთი ჯგუფის საკმაოდ აგრესიულ დამოკიდებულებას წააწყდა. შეუწყნარებლობა გამოვლინდა სომხური სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკური ეკლესიისა და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული სტუმრების, მათ შორის მართლმადიდებლების მიმართაც. განსაკუთრებით მძიმე შეურაცხყოფა საქართველოში ლუთერანულ-ევანგელისტური ეკლესიის ეპისკოპოს ანდრეას შტოეკლს მიაყენეს. მოხსენების კითხვისას მას ახალგაზრდების ჯგუფმა „ლუთერის მაიმუნი" უწოდა.

სიმპოზიუმის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში მართლმადიდებელი იღუმენი ანდრია უეიდი (იტალიის ქ. ტურინის მართლმადიდებელი ტაძარის წინამძღვარი. მრავალი წელი მუშაობდა ქართულ ლიტურგიკულ ტექსტებზე) ამბობს:

„დამსწრე საზოგადოების, ძირითადად ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი, როგორც ჩანს, მოსული იყო სულ სხვა მისიით და არა იმისთვის, რომ მოესმინათ წარმოდგენილი მოხსენებები. პირადად მე, როდესაც კითხვების ჯერი დადგა, დამისვეს ე.წ. ტესტ-კითხვები, რომლებიც საერთოდ არ ეხებოდა ჩემი მოხსენების თემატიკას. ტესტ-კითხვები, რათა, ასე ვთქვათ, გამოერკვიათ ჩემი მართლმადიდებლობა. ჩემდამი დასმული კითხვა კი დაკავშირებული იყო ცხონების საკითხთან მართლმადიდებელი ეკლესიის ფარგლებს გარეთ. მე შევეცადე, ამეხსნა მათთვის, თუ როგორ უყურებს ამ პრობლემას მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგია, თუმცა ვატყობდი, რომ ისინი არ მისმენდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სექციის თავმჯდომარემ, პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ სთხოვა მათ, შეეწყვიტათ დისკუსია, ვინაიდან აღნიშნული კითხვები ჩემი მოხსენების ფარგლებს სცდებოდა. მე მათ შევთავაზე საუბრის გაგრძელება სექციის მუშაობის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ისინი აღარ გამოჩენილან. ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლებთან საუბარში ძირითადად თავშეკავებულნი იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვი არამართლმადიდებელ მონაწილეებზე, რომელთაგან ზოგიერთს ძალიან ცუდად მოექცნენ. მაგალითად, ლუთერანულ ეპისკოპოს ანდრეასს (შტოეკლი), რომელიც კითხულობდა მოხსენებას „ეკლესია და ეროვნება". არადა, მოხსენებაში მან სურვილი გამოთქვა, ჰქონოდათ მცირე სამლოცველო ოთახი, არ მოუთხოვია დიდი შენობა; ეს კი ზოგიერთისთვის გახდა საბაბი, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინათ ამ ადამიანისთვის. მე იმის თქმა მსურს, რომ იმ არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობის ფონზე, რასაც ყველგან ვხედავდით, ეს ფაქტი ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა".

5. შეუწყნარებლობა რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით

სოფელ სამსარაში მომხდარი ინციდენტი

2005 წლის 14 ივლისს ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარაში ისტორიული ძეგლების გაწმენდა-გასუფთავებისთვის ახალქალაქის ეპისკოპოს ნიკოლოზ ფაჩუაშვილის ინიციატივით სტუდენტური ექსპედიცია მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტების ჯგუფი თბილისიდან და ახალქალაქის ეპარქიის რამდენიმე წარმომადგენელი – მონაზონი ქალები. პირველ დღეს სტუდენტები სოფლის მაცხოვრებლებმა გულთბილად მიიღეს, მაგრამ მეორე დღეს სოფლის მკვიდრებმა, ასევე ახალქალაქში მოქმედი რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სტუდენტებს ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, ახალქალაქში დაბრუნება და იქ მოლაპარაკების გამართვა შესთავაზეს. ამ მოთხოვნის საფუძვლად ორ მიზეზს ასახელებდნენ:

1. მათი აზრით, სამსარის საეკლესიო კომპლექსი სომხური წარმომავლობისაა, სტუდენტებს კი მონაზვნები ახლდნენ. ეკლესიაში მათ ხატი დაასვენეს და ლოცვის რიტუალი აღასრულეს. ეს ფაქტი საეკლესიო კომპლექსის მისაკუთრების მცდელობად იყო აღქმული. მათი აზრით, სწორედ ეს იყო ექსპედიციის ნამდვილი მიზანი;
2. მათივე თქმით, სტუდენტები კედლებზე გამოსახული „სომხური“ ჯვრების ამოშლას ცდილობდნენ, რათა ძეგლის წარმომავლობის ნიშნები გაექროთ.

სტუდენტები მოთხოვნას დასთანხმდნენ, დაბრუნდნენ ახალქალაქში, მაგრამ იმავე საღამოს კვლავ ჩამოვიდნენ სამსარაში და ტაძრის წინ საქართველოს დროშა აღმართეს. ახალქალაქის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, სომხეთის დროშა გაშალეს, სამსარის მცხოვრებლებმა კი უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით სტუდენტებსა და მონაზვნებს ტერიტორია დაატოვებინეს. ექსპედიციის სამ მონაწილეს თბილისის №5 საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს.

ქართულმა ტელეარხებმა მომხდართან დაკავშირებით ასევე გაავრცელეს ინფორმაცია ახალქალაქის №3 ქართული სკოლის დარბევისა და ახალქალაქის ეპისკოპოსის რეზიდენციაში ადგილობრივი მოსახლეობის შეჭრის მცდელობის შესახებ.

სახალხო დამცველი მეორე დღესვე ახალქალაქში ჩავიდა; შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეპისკოპოს ნიკოლოზ ფაჩუაშვილს, სომხური ეკლესიის წარმომადგენელ მღვდელ ბაბკენს, სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციებსა და მოსახლეობას.

1. სახალხო დამცველთან საუბრისას ახალქალაქის გამგებელმა არტურ ერემიანმა განაცხადა, რომ მან და ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობამ ეპარქიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაზე არაფერი იცოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დარწმუნებული იყო, ინციდენტი არ წარმოიქმნებოდა.
2. სახალხო დამცველთან საუბრისას ეპისკოპოსმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა დაადასტურა, რომ ექსპედიციის შესახებ უშუალოდ არ შეუტყობინებია არც ახალქალაქის გამგებლისთვის და არც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორისთვის. მისი თქმით, ეს აქცია, ერთი მხრივ, უფრო მაღალ დონეზე იყო შეთანხმებული, მეორე მხრივ კი, ამის შესახებ ორი კვირით ადრე იცოდა სამსარის მოსახლეობამ და ისინი იმთავითვე ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ექსპედიციის მიმართ. მისივე თქმით, ინციდენტის შემდეგ მას სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი დაუკავშირდა და ვითარების ერთობლივად დარეგულირება შესთავაზა, რაზეც ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა უარი უთხრა.
3. სახალხო დამცველთან საუბრისას ახალქალაქში სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლმა მღვდელმა ბაბკენმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, ექსპედიცია ერთობლივად დაგეგმილიყო და მასში მონაწილეობა სომეხ ახალგაზრდებსაც მიეღოთ. სომეხ და ქართველ სასულიერო პირებს შორის არ არსებობს არათუ მეგობრული, საერთოდ არანაირი

ურთიერთობა, თუმცა ამ მხრივ სრულიად სხვა ვითარება იყო წინა ეპისკოპოს სერაფიმე ჯოჯუას დროს. სწორედ კომუნიკაციის არარსებობა იწვევს ასეთ დაპირისპირებებს – განაცხადა მღვდელმა ბაბკენმა.

სახალხო დამცველის მიერ მომხდარის შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ:

1. ქართველ სტუდენტებს არ ამოუშლიათ ტაძრის ბარელიეფები, არ დაუზიანებიათ ძეგლის არცერთი დეტალი. ისინი მხოლოდ მისი შიდა და გარე სივრცის დასუფთავებას ცდილობდნენ; მედიით გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა ტაძარს საქონლის სადგომად იყენებდა, ასევე მცდარი იყო, რადგან სამსარელები ძეგლს სომხური ეკლესიის სიწმინდედ მიიჩნევენ და უვლიან.
2. არ დადასტურდა ახალქალაქის №3 სკოლის დარბევა. სკოლის შენობაში სამი მინა იყო ჩამტვრეული ღობის გარედან, ქუჩიდან ნასროლი ქვებით, რაც ძნელია შეფასდეს როგორც დარბევა. აქციის არც ერთი მონაწილე არათუ სკოლის შენობაში, არამედ სკოლის ეზოშიც არ შესულა.
3. ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის ნაწილი ეპარქიის შენობასთან ეპისკოპოს ნიკოლოზ ფაჩუაშვილის ახალქალაქიდან წასვლის მოთხოვნით მართლაც შეიკრიბა. სხვა რაიმე ინციდენტი, რეზიდენციაში შეჭრა ან შეჭრის მცდელობა არ ყოფილა.

ახალქალაქიდან დაბრუნების შემდეგ სახალხო დამცველი შეხვდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელს, მიტროპოლიტ დანიელ დათუაშვილსა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მეთაურს, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანს. სახალხო დამცველმა მხარეებს ძალადობის დაგმობა შესთავაზა. ამის შემდეგ გაკეთდა ეკლესიების ერთობლივი განცხადება, სადაც, ერთი მხრივ, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენელი ბოდიშს იხდის ძალადობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პატიებს მათ, ვინც სამსარაში ცემა და შეურაცხყოფა მიაყენა ექსპედიციის მონაწილეებს.

სამსარაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ სრულიად უკანონოდ, ფიზიკური ძალის გამოყენებით შეზღუდა საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებისა და გამოხატვის თავისუფლება, გამოავლინა მათ მიმართ ქსენოფობია და შეუწყნარებლობა, ასევე მიაყენა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

მეორე მხრივ, თუკი აქციის ორგანიზატორები გაითვალისწინებდნენ ამ რეგიონის არაქართველი მოსახლეობის განწყობილებებს, იქ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, რაც რუსეთის ბაზების გაყვანის პროცესთანაა დაკავშირებული და ამ მესამე ძალის მუდმივ ინტერესს, გამოიყენოს მსგავსი შემთხვევები კონფლიქტის პროვოცირებისათვის, ინციდენტის თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, თუკი ექსპედიციის შესახებ ადგილობრივ ხელმძღვანელობას წინასწარ ექნებოდა ინფორმაცია, ასევე სასურველი იყო, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიეღოთ ჯავახეთის ახალგაზრდებსა და სასულიერო პირებს, რაც დაპირისპირების ნაცვლად, ხელს შეუწყობდა სომეხი და ქართველი ახალგაზრდების, მორწმუნეების დაახლოებასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

■■■

პრობლემების არსებობის მიუხედავად, მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში, მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ასეთ შეფასებას, პირველ რიგში, რელიგიური ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავთა გაცილებით ადეკვატური რეაგირება განაპირობებს, რითაც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ხელისუფლების ნება, არ დაუშვას ქვეყანაში რელიგიური ძალადობის დაუსჯელობა და, შესაბამისად, მისი მორიგი ესკალაცია (ამ საფრთხის

არსებობაზე ჩვენს წინა მოხსენებაში იყო აღნიშნული). აქედან გამომდინარე, იკლო რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებისა და ძალადობის შემთხვევებმაც და ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირველად რელიგიურმა მოძალადემ საჯარო პატიება ითხოვა მსხვერპლისგან – იეღოვას მოწმისგან.

ამავდროულად, საზოგადოებაში ტოლერანტობის ხარისხი საკმაოდ დაბალი რჩება, მაგრამ იმედისმომცემია ის ფაქტი, რომ საქართველოს საპატრიარქო გარკვეულ ძალისხმევას იჩენს ამ კუთხით – მისი ინიციატივით მოქმედებს რელიგიათა საკოორდინაციო საბჭო და გაიმართა მნიშვნელოვანი ინტერკონფესიური სიმპოზიუმი.

შეუწყნარებლობის პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვან სამუშაოს გეგმავს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიც. ამ მიმართულებით აქტიურად საქმიანობს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოც.

ასევე პოზიტიურია, რომ სახელმწიფომ მარნეულის რაიონის სოფელ თექალოში მუსლიმებს მეჩეთი გადასცა, მაგრამ ტაძრების დაბრუნების საკითხი ისევ მეტად აქტუალურია სომეხთა სამოციქულო ეკლესიისა და კათოლიკეებისთვის.

რეკომენდაცია

- რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიისთვის მათ მიერ ოფიციალურად მოთხოვილი ექვსი უმოქმედო ტაძრიდან (ეკლესია „შამხორეცოც სურბ ასტვაწაწინ“ (კარმირ ავეტარანოც), ქ. თბილისი; ეკლესია „სურბ მინას“, ქ. თბილისი; ეკლესია „მუღნუ სურბ გევორგ“, ქ. თბილისი; ეკლესია „სურბ ნშან“, ქ. თბილისი; ეკლესია „ნორაშენ“, ქ. თბილისი; ეკლესია „სურბ ნშან“, ქ. ახალციხე) სარგებლობაში იმ ტაძრების გადაცემა, რომელთა ისტორიული წარმომავლობა უდავოა და რომლებიც საქართველოს გასაბჭოებამდე სომხურ ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო ამ ექვსიდან იმ ტაძრების შესასწავლად, რომელთა ისტორიული წარმომავლობა არ არის ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი, შეიქმნას სახელმწიფო კომისია.

მრავალი სირთულის მიუხედავად, დღეს შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში არ შეინიშნება, მაგრამ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რაც შეიძლება ირიბი დისკრიმინაციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდეს.

ასევე საყურადღებოა, რომ როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოების სხვადასხვა რანგის მოღვაწეთა მხრიდან ზოგჯერ შეინიშნება ეროვნული უმცირესობებით, დიასპორებითა და მათი უფლებების დაცვის თემებით სპეკულირება, რაც, სავარაუდოდ, სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ხორციელდება და მას საერთო არაფერი აქვს ადამიანის უფლებების დაცვასთან. ხშირ შემთხვევაში სწორედ მსგავსი მოვლენები ხდება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დაძაბულობის წარმოშობისა და სტიმულირების წყარო.

საქართველოს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს იმ პრობლემების გამოკვეთა და გადაწყვეტა, რაც პირდაპირ თუ ირიბად ახდენს საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უფლებების ხელყოფასა და ერთიან სახელმწიფო სივრცეში ინტეგრაციის ხელისშეშლას.

სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით აქტუალურია რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:

12 მდგომარეობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით

1. განათლება

ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია განათლების სფეროში შესაბამისი რეფორმების გატარება. ამ მიმართულებით საქართველოს სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება შესაბამისი პროგრამები, რასაც მოაქვს თავისი დადებითი შედეგები, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რაც მეტ ყურადღებასა და სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. კერძოდ, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად განსახლებული რეგიონების საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების დროს შეიმჩნევა ისეთი პედაგოგების დეფიციტი, რომლებიც ეროვნული უმცირესობების ენაზეც მეტყველებენ. აღნიშნული პრობლემა შეუძლებელს ხდის გაკვეთილის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას. ქვემო ქართლის

მცხოვრებთა ინფორმაციით, ამის გამო მოსწავლეთა უმრავლესობას უძნელდება ქართულ ენაზე მეტყველების შესწავლა, ხოლო წერას გაცილებით უკეთ ეუფლებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უმცირესობების დიდ ნაწილში ქართული ენის შესწავლა მზარდ ინტერესს იწვევს. ამდენად, მიზანშეწონილია, შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც ენის სწავლების მსურველებს საშუალებას მისცემს, დაუბრკოლებლად დაეუფლონ ქართულ ენას. ენის სწავლების ფორმებსა და მეთოდოლგიასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია თვითონ უმცირესობების წარმომადგენელთა აზრი და მიზანშეწონილი იქნება, თუ გარკვეული დიალოგი იწარმოებს შესაბამისი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებსა და განათლების სამინისტროს ექსპერტებს შორის.

ენის სწავლების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოების პრობლემა – მშობლების, პედაგოგებისა და მოსწავლეთა აზრით, ენის სწავლების გასაადვილებულად აუცილებელია სახელმძღვანელოების გაუმჯობესება და დახვეწა. მოსახლეობა ასევე აღნიშნავს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი სახის სახელმძღვანელოების შექმნასა და დანერგვას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ენის სწავლებაზე და არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემაზე. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რასაც სახალხო დამცველთან შეხვედრის დროს ქვემო ქართლის მოსახლეობა ხაზს უსვამს, არის ქართული ენის სახელმძღვანელოებში ძველქართული ტექსტები, რომელთა გაგება, საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის თქმით, მათთვის ძნელია და ეს ართულებს ქართული ენის შესწავლას.

2. მასმედია

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის დონის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, მათთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

დღეს, გასულ წლებთან შედარებით, ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციები შეინიშნება. საზოგადოებრივ არხზე შეიქმნა საინფორმაციო გადაცემები, რომელთა საშუალებითაც საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს, გარკვეული პერიოდულობით, მათ მშობლიურ ენაზე მიეწოდებათ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მაგრამ ჩვენი დაკვირვებითა და ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის განცხადებით, ეს არასაკმარისია, რადგანაც ინფორმაცია არ გადის მათთვის ხელსაყრელ დროს და ასევე ტელეგადამცემების სიგნალი სრულად ვერ ფარავს მოსაზღვრე რეგიონებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ბეჭდვითი მედიის საშუალებებიც ნაკლებადაა განვითარებული. მართალია, არის რამდენიმე გაზეთი, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით გამოიცემა, მაგრამ ეს საშუალებები ძირითადად მოსახლეობის ძალზე მცირერიცხოვანი ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი.

უნდა აღინიშნოს, რამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის გასაგებ ენაზე რადიოგადაცემები არც ქვემო ქართლსა და არც სამცხე-ჯავახეთში პრაქტიკულად არ არსებობს. ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ინფორმაციას, ძირითადად, რუსული, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური ტელეარხების საშუალებით იღებს.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის გასაგებ ენაზე საქართველოს ცენტრალური მედიასაშუალებების ინფორმაციის გავრცელება შესაბამისი ძალისხმევის შემთხვევაში სავსებით მიღწევადი ამოცანაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობა დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიღებით.

ამ თვალსაზრისით, პრობლემატურია ისიც, რომ ზოგიერთი გამოცემა და მედიაპროდუქციის ავტორი თავს უფლებას აძლევს, ნეგატიურად მოიხსენიოს ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი ან მათი

სიწმინდეები. არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პიროვნების შესახებ მსჯელობის დროს ნეგატიური კონტექსტები კეთდება პიროვნების ეთნიკური კუთვნილების შესახებ.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ ეთნიკური ქართველები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგნელთა კულტურის, ტრადიციების, დიასპორათა ცნობილი წარმომადგენლების შესახებ. ინფორმაციის არქონა ან არასწორი ინფორმირებულობა კი დამახინჯებულ წარმოდგენებს უქმნის ქართველი ეროვნების მოქალაქეებს საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შესახებ.

3. დანაშაულთან ბრძოლა

კრიმინოგენული თვალსაზრისით, საქართველოში არსებული ზოგადი მდგომაროების შესატყვისია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებიც. ყველასთვის ნათელია, რომ კრიმინალს არ აქვს ეროვნება და დამნაშავისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი ეროვნების ადამიანის საკუთრებას დაეუფლება.

ამ ეტაპზე არ შეინიშნება კრიმინალური ქმედებების გააქტიურება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული წალკაში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობა, რადგანაც გასულ წლებში მათ მიმართ კრიმინალური ქმედებები ხშირად ხდებოდა. მაგრამ აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, კერძოდ, წალკიდან ხდება მოსახლეობის მიგრაცია, წალკაში მცხოვრები ბერძენი ახალგაზრდების უმრავლესობა საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ და წალკაში საცხოვრებლად, ძირითადად, დარჩნენ ასაკოვანი ბერძნები. სხვადასხვა ჯურის კრიმინალებისთვის კი, სავარაუდოდ, უფრო მოსახერხებელია ნაკლებად დაცულ მოხუცებზე იერიშის მიტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ხდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებები – მკვლელობა, ყაჩაღობა, გატაცება და სხვა, რის წინააღმდეგაც სახელმწიფოს მხრიდან ტარდება და გატარებულ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული ქმედებები, მაგრამ ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია, როცა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ კრიმინალების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციის მხრიდან ფასდება როგორც ეროვნული დისკრიმინაციისა და ჩაგვრის გამოვლინება. ჩვენ დავინტერესდით და დამოუკიდებლად გამოვიკვლიეთ რამდენიმე გახმაურებული საქმე, რასაც მომხდარი დანაშაულის მსხვერპლთა ეროვნული წარმოშობის გამო პოლიტიკური შეფერილობა მიეცა და პირდაპირ ან ირიბად შეფასდა როგორც ეთნიკური დისკრიმინაცია ან დევნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყოველი ეს ფაქტი იყო ან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი დანაშაული ან ჩვეულებრივი კრიმინალი, რაც, როგორც აღინიშნა, დამნაშავეთა მხრიდან შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა.

4. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს შესახებ

საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომაგენელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ევროპის უმცირესობათა ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2005 წლის 16 დეკემბერს დაფუძნდა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო, რომელშიც გაერთიანდა 80-ზე მეტი არასამთვარობო ორგანიზაცია. საბჭოს დაფუძნების დროს ხელი მოეწერა საბჭოს მემორანდუმს.

საბჭოს მიზნებისა და დეკლარაციაში გაცხადებული პრინციპების რეალიზებისთვის ჩამოყალიბდა შესაბამისი მიმართულების ოთხი კომისია, კერძოდ:

- მედიისა და ინფორმაციის;
- განათლებისა და კულტურის;
- რეგიონული ინტეგრაციისა და კონფლიქტების პრევენციის;
- იურიდიულ საკითხთა.

ამ კომისიებში თავიანთი კანდიდატურები წარმოადგინეს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ორგანიზაციებმა, კომისიებში გაწევრიანდნენ მათი დიასპორების ღირსეული წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საბჭოს დაგეგმილი აქვს პროგრამათა მთელი რიგის განხორციელება, მათ შორის გათვალისწინებულია მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან. საბჭოს ერთ-ერთი მიზანია საქართველოში მიმდინარე პროცესებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგნელთა ინტეგრირება, მათთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობის ინიცირება და მათი ჩართვა დისკუსიაში. ამ ეტაპზე დაგეგმილია საბჭოს წარმომადგენლთა შეხვედრები საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან და სხვადასხვა აქტუალური საკითხის განხილვა.

საბჭოს მიერ დაგეგმილია პროგრამათა მთელი რიგის განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც ადამიანის უფლებების დაცვას, ასევე საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფო ინტეგრაციას.

5. დასაქმება და თვითრეალიზება

როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორშიც დაბალია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებელი, რისი მიზეზიც ზოგიერთ შემთხვევაში არის შესაბამისი განათლების, კერძოდ ქართული ენის, მცოდნეთა დეფიციტი, მაგრამ ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შორის თანდათან მატულობს იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დაუფლებულნი არიან ქართულ ენას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ძალზე იშვიათად საქმდებიან საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში. სახელმწიფო სტრუქტურებში ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან კომპაქტური განსახლების რეგიონების სახელმწიფო უწყებებში, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლებისა და სხვა რეგიონების სახელმწიფო ორგანოებში საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებელი ძალზე დაბალია, რაც ირიბად მიანიშნებს იმ მაქსიმუმს, რასაც შეიძლება მიაღწიოს ამა თუ იმ ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქემ საქართველოს სახელმწიფში – ეს კი, თავის მხრივ, არამიმზიდველს ხდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგნელთათვის, საქართველოს სახელმწიფო სივრცეში, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ფარგლებში ეძებონ თვითრეალიზაცია, რაც არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავის აქტიურობას საქართველოს სახელმწიფოს სივრცის მიღმა ახორციელებს, შედეგად კი ძალზე ბევრი ღირსეული ჩვენი თანამოქალაქის შესაძლებლობები საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის გამოუყენებელი რჩება. ეს პრობლემა აქტუალურია და მას დროულად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

პრობლემაა ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთგვარად გარიყულია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებიდან, ძალზე დაბალია სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის ხარისხი.

ასევე მნიშვნელოვანი პრობელემაა, ერთი მხრივ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო თვითიდენტიფიკაციის დაბალი დონე, მეორე მხრივ კი, ეთნიკური ქართველების, ზოგ შემთხვევაში, ექსტრემისტული დამოკიდებულება სხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანების მიმართ.

6. მიწის საკითხი

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების დროს წლების განმავლობაში შეიქმნა მთელი რიგი პრობლემებისა, რაც მნიშვნელოვან დაძაბულობას იწვევს მოსახლეობაში. ქვემო ქართლში გამოკითხული მოქალაქეების განმარტებით, კორუფციული თუ სხვა გარიგებებით მიწა ერთეულებმა ჩაიგდეს ხელში, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 0.5 ჰა მიწაც ვერ მიიღო. მიწის გადანაწილების პრობლემა მნიშვნელოვანია, მაგრამ, ალბათ, შეუძლებელია იმ საერთო გადაწყვეტილების გამონახვა, რომელიც ყველა ადამიანისთვის იქნება მისაღები. ქვემო ქართლიდან იყო რამდენიმე შეტყობინება, როდესაც მოსახლეობა აცხადებდა, რომ მათ ეთნიკური წარმოშობის გამო არ მისცეს მიწები. ჩვენ გადავამოწმეთ ეს ცნობები და აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეორე მხარეც იმავე ეთიკური წარმოშობის იყო, ხოლო სხვა შემთხვევებში საქმე ეხებოდა ჩვეულებრივ სამოქალაქო დავას, რაც სასამართლოს პრეროგატივაა. მიწების განაწილებასთან დაკავშირებით რეგიონებში არსებობს პრობლემები, მაგრამ მასში ეთნიკური დისკრიმინაციის ან ეთნიკური წარმოშობის გამო განსხვავებული მოპყრობა არც ერთ ფაქტზე არ დადგინდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარის გადაუხდელობის ან სხვა დარღვევების გამო ბევრგან ჩამოერთვათ მიწები. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება წავიდა მოლაპარაკებებზე მსხვილ მოიჯარეებთან და ამ უკანასკნელებმა თავიანთი მიწის ნაკვეთის ნაწილზე უარი განაცხადეს, ეს მიწები მცირემიწიან გლეხობას გადაუნაწილდა.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

- გატარდეს ის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხების სრულ და შეუფერხებელ გადაცემას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი);
- ხელი შეეწყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პირთა დასაქმებას სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში;
- კულტურისა და სპორტის სამინისტროს – ახალგაზრდებს შორის მულტიკულტურული დიალოგის წახალისების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს და პრიორიტეტი მიენიჭოს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდების ერთობლივ (შერეულ) მონაწილეობას ახალგაზრდული ბანაკების პროგრამის განხორციელებაში.

13 სიტყვის თავისუფლება

საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლისა და 2005 წლის პირველი ნახევრის ანგარიშებში საუბარი იყო ქართულ მედიაში არსებულ ვითარებაზე, როდესაც რედაქტორები და ჟურნალისტები სარედაქციო დამოუკიდებლობას უჩიოდნენ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები პოსტრევოლუციურ პერიოდში ქართული მედიის საქმიანობას აფასებდნენ როგორც „თვითცენზურულს“.

მაგ., საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ „ჰიუმან რაიტს უოტჩის“ 2005 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართული მედია ნაკლებად კრიტიკულია ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდთან შედარებით. თუმცა, თუკი ასეთი შედარებები რევოლუციის შემდგომ პერიოდში ერთგვარად რელევანტური იყო, დღეს ამის თქმა უკვე აღარ შეიძლება. ასევე, თუკი პოსტრევოლუციურ საქართველოში საკმაოდ შემცირდა პოლიტიკური დებატების რიცხვი, ამჟამად მათი რიცხვი ისევ გაიზარდა.

ამავე დროს, „ჰიუმან რაიტს უოტჩი“ აღნიშნავს, რომ ქართულ მედიაში ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა, როდესაც გაიზარდა სიტყვის თავისუფლების დაცვის ხარისხი და მოხდა ცილისწამების ცნების დეკრიმინალიზაცია.

ჟურნალისტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა „ჰიუმან რაიტს უოტჩს“ აცნობეს, რომ ხელისუფლება ზეგავლენას ახდენს ტელეარხების მფლობელებზე, რათა აკონტროლოს ტელეეთერით გასული ინფორმაცია. თავის მხრივ, მფლობელები აკონტროლებენ საკუთარი ტელევიზიების რედაქციებს და არის შემთხვევები, როცა მათივე მითითებით ეთერში გასაშვები კრიტიკული მასალები იბლოკება.

ტელევიზიების ფინანსური დამოუკიდებლობის პრობლემასა და მედიამფლობელობასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის არარსებობის თაობაზე საუბარია ევროპის საბჭოს რეზოლუციაშიც. მასში ნათქვამია, რომ საქართველოში მედიასაშუალებებისთვის ძალიან რთულია საკუთარი ფინანსებით არსებობა, ამით კი იქმნება საფრთხე, რომ მედია შეიძლება ადვილად იქცეს ფულის გათეთრების სფეროდ.

იმავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქართული გაზეთები მეტნაკლებად თავისუფლები არიან

მთავრობის ზეგავლენისაგან, თუმცა წამყვანი ტელეარხები ახალი ამბების გაშუქების დროს (საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემები) ხელისუფლებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენენ.

მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, 2005 წლის მეორე ნახევარში ელექტრონული მედია გაცილებით კრიტიკული გახდა ხელისუფლების მიმართ და ლოიალურობის კვალი ფაქტობრივად არ შეინიშნება. აღარაფერს ვამბობთ გაზეთებზე, სადაც ლოიალურობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი, რასაც განსაკუთრებულად გაესვა ხაზი წინა ანგარიშში, ისევ აქტუალურია. ჟურნალისტებისა და რედაქტორების დამოუკიდებლობა მათი მედიამფლობელებისაგან, ფაქტობრივად, ნულამდეა დასული, თუმცა ჟურნალისტები იშვიათად საუბრობენ ამაზე ხმამაღლა. ხშირად ამის მიზეზი ხდება ფინანსური არასტაბილურობა, დემოკრატიული პრაქტიკის უქონლობა და არაპროფესიონალიზმი. როგორც ევროსაბჭოს რეზოლუციაშია აღნიშნული, სარედაქციო დამოუკიდებლობის მიღწევასა და მიუკერძოებელი, ობიექტური მედიის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება.

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ პრობლემებს, აქ კვლავ იჩინა თავი შრომითი კონტრაქტების სისტემის გაუმართაობამ. როგორც წინა მოხსენებაში აღვნიშნავდით, ჟურნალისტების შრომითი კონტრაქტები ან არ არსებობს, ან არასრულყოფილია და შრომის კოდექსის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ეს არის დასკვნა, რომელიც მეტ-ნაკლებად ერთნაირად ეხება როგორც რეგიონულ, ისე თბილისის მედიას. კონტრაქტების პრობლემა პირდაპირ უკავშირდება სარედაქციო დამოუკიდებლობის დეფიციტს. ერთი მთავარი ბერკეტი, რომელიც მედიამფლობელისგან დაიცავს ჟურნალისტსაც და დაქირავებულ რედაქტორსაც, სწორედ კონტრაქტია. ჟურნალისტები თავს განსაკუთრებით დაუცველად გრძნობენ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ოფიციალური საბუთი, სადაც მითითებულია დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლება-მოვალეობები, სამუშაოს აღწერა, კონტრაქტის ვადა, ხელფასი, სამუშაო საათებისა და დასვენების დღეების რაოდენობა. არადა, ყველა ამ პუნქტს შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მაგალითისთვის ვიტყვით, რომ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ხმაური გამოიწვია საზოგადოებრივი ტელევიზიის თანამშრომელთა ერთთვიანი კონტრაქტების არსებობამ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი არასასურველი ჟურნალისტი და რედაქტორი, შესაძლებელია, სამსახურიდან გათავისუფლდეს ყოველი თვის ბოლოს. შესაბამისად, ჟურნალისტიც ფრთხილობს და ცდილობს, არ დაუპირისპირდეს დამქირავებლის ნებას. ეს კი ზრდის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის ან სამსახურის დაკარგვის რისკს. ამიტომ ჟურნალისტები მთელ საქართველოში ითხოვენ, რომ მათი საქმიანობა დაეფუძნოს კანონის შესაბამის კონტრაქტს. მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ზოგიერთ კერძო კომპანიაში დაიწყო გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება და ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს.

საკმაოდ გახმაურდა ჟურნალისტ რუსუდან ნიკურაძესა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს შორის არსებული დავა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. როგორც „რუსთავი-2“-ის მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს, მისი გათავისუფლება მოხდა კანონის დარღვევით. დავის ერთ-ერთი მიზეზი ამ შემთხვევაშიც წერილობითი კონტრაქტის არარსებობა გახლავთ.

კონტრაქტების სისტემის ამოქმედება უკავშირდება მეორე არსებით პრობლემას – მედიასივრცის სრულ ლეგალიზებას. კონტრაქტების სრულყოფილი სისტემა გულისხმობს, რომ ყველა მედიასაშუალებაში უნდა დაფიქსირდეს რეალური და არა ფორმალური ხელფასები; გაუქმდეს „შავი“ ბუღალტერია და მედიამფლობელებმა გადაიხადონ ყველა გადასახადი, რასაც მათ საქართველოს კანონმდებლობა აკისრებს. ამ პრობლემის არსებობის ნათელი დასტურია ახლახან გორის ტელეკომპანია „თრიალეთში“ არსებული პრობლემები. ტელეკომპანიის ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ხელშეკრულებები და ჟურნალისტების სამსახურში მიღება ხდებოდა მხოლოდ ტელევიზიის გენერალურ

დირექტორთან სიტყვიერი შეთანხმების შედეგად. ხელშეკრულების არარსებობის გამო გაურკვეველი იყო მათი ხელფასის ოდენობა, ვერ სარგებლობდნენ ანაზღაურებადი შვებულებით და არსებობდა სხვა ფინანსური დარღვევები.

მედიასივრცის სრული ლეგალიზების პროცესი გარდაუვალია, რადგან ჩვენს ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება ნებისმიერი ბიზნესის და საქმიანობის „გათეთრებისა". მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მედიასივრცის სრული ლეგალიზება აუცილებლად გამოიწვევს მედიასაშუალებების გარკვეული ნაწილის დახურვას და დარჩენილი ნაწილის გამსხვილებას. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მედიასივრცეში სამუშაო ადგილების მკვეთრ შემცირებასთან. ამ პროცესს გაუძლებენ მხოლოდ კონკურენტუნარიანი ჟურნალისტები და მედიასაშუალებები.

მედიასივრცის სრული ლეგალიზაცია ბევრი ჟურნალისტისა და რედაქტორისთვის ნაადრევი და მიუღებელი აღმოჩნდა. ლეგალიზაციის პროცესს ძალიან შეუწყობდა ხელს საგადასახადო კანონმდებლობის სრული ანალიზი და ოპტიმალური კომპრომისის გამონახვა ელექტრონული მედიისთვის შეღავათების დაწესების კუთხით (მაგ., უძრავი ქონების გადასახადის ან შესყიდვების კუთხით).

მედიასივრცის ლეგალიზაცია უაღრესად რთული და კომპლექსური საკითხია. ჩვენ ვდგებით იმ რისკის წინაშე, რომ შესაძლოა, ვინმემ ამ საკითხის წამოწევაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა დაინახოს, მაგრამ ეს საკითხი კიდევ ერთხელ გამოგვაქვს სამსჯელოდ, რადგან თავად ჟურნალისტების დიდი ნაწილი ითხოვს სრულყოფილ კონტრაქტებს; თუმცა მხოლოდ მათი მცირე ნაწილია მზად, გაუძლოს იმ გამწვავებულ კონკურენციას, რაც ბუნებრივად მოჰყვება მედიასივრცის ლეგალიზაციის პროცესს.

კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ჟურნალისტური სტანდარტების უქონლობის საკითხი. ჟურნალისტური სტანდარტების უქონლობა ადამიანის უფლებების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების სერიოზული წყაროა. ეს შეეხება როგორც თავად ჟურნალისტების ნამუშევარს, ისე შს სამინისტროს პრესცენტრის მიერ გაკეთებულ „პატრულს" და ოპერატიულ ვიდეომასალას, რომელიც ხშირად გადის ეთერში.

მნიშვნელოვანი პრობლემებია ინფორმაციის თავისუფლების კუთხითაც. ცალკეული თანამდებობის პირები, ფაქტობრივად, ითავსებენ კანონმდებლის ფუნქციას და თვითონ განსაზღვრავენ, რა ითვლება საჯარო ინფორმაციად, როდის და ვისთვის უნდა მოხდეს მისი გაცემა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს; აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში... საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის, მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ამავე კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად კი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობის აუცილებლობამ, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მნიშვნელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ...საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ 10 დეკემბერს ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. ანგარიშის წარდგენა ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი სურათის შექმნას სახელმწიფოში. შესაბამისად, პრეზიდენტსა და პარლამენტს შესაძლებლობა ეძლევათ, გარკვეულწილად, მონიტორინგი განახორციელონ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნების შესრულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით იმპერატიულად არის დადგენილი ინფორმაციის გაცემის ვადები, ის ძალიან ხშირად არ სრულდება. ამ პრეტენზიებით უმეტესად მოგვმართავენ ჟურნალისტები, რომლებიც მოქალაქეებზე უკეთესად ერკვევიან კანონის მოთხოვნებში.

მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო აქცია, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს უახლოეს მომავალში. აქციის მიზანია, ყველამ იცოდეს, რომ უფლება აქვს, კანონით დადგენილ ვადაში მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინ-ფორმაცია.

საკუთარ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თითქმის არ ასრუ-ლებენ კოდექსის მოთხოვნას ინფორმაციის გაცემის ვადებთან დაკავშირებით.

ამის მაგალითია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელთა განცხა-დება, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ხუთჯერ მიმართეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო ოქმების გადაცემის მოთხოვნით, თუმცა მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათ პასუხიც კი არ მიუღიათ. ამის დასტურად მოქალაქეებმა წარმოადგინეს განც-ხადების ასლები შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრებით.

ვინაიდან საკონკურსო-საატესტაციო ოქმები ითვლება საჯარო ინფორმაციად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრს დასახელებული ოქმების დაუყოვნებელი გაცემის მოთხოვნით.

2005 წლის 28 დეკემბერს მივიღეთ პასუხი, რომლითაც გვაცნობეს, რომ განმცხადებლების მოთ-ხოვნა დაკმაყოფილდა.

ჟურნალისტები ხშირად ჩივიან, რომ სამთავრობო სტრუქტურებიდან ინფორმაციის მოპოვება მე-ტისმეტად გაძნელებულია. ევროპის საბჭოს რეზოლუციის თანახმად, შესაძლებელია, ინფორმაციის დაბლოკვა ხდებოდეს მთავრობის ზეწოლისა თუ არასწორი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო, თუმცა ფაქტია, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მართლაც სერიოზული პრობლემაა. ამასთან, ინფორმაციის მიწოდების დროს, აგრეთვე პრესკონფერენციებზე მიწვევისას ხდება ცალ-კეული თანამდებობის პირების მხრიდან ჟურნალისტების პირადი კეთილგანწყობის მიხედვით გა-მორჩევა.

საქართველოს სახალხო დამცველი საანგარიშო პერიოდშიც აგრძელებდა შეხვედრას რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. რეგიონული ტელეკომპანიების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან საარჩევნო კოდექსისა და „რეკლამის შესახებ კანონის“ ნორმებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს უფასო სარეკლამო დროის დადგენილი ოდენობით გამოყოფის თაობაზე. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული (მარეგულირებელი) კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი არ გადის კონტაქტზე რეგიონულ ტელეკომპანიებთან და აღნიშნავენ, რომ კარგი იქ-ნება, თუ იგი შეხვდება და მოისმენს მათ პრობლემებს.

როგორც რეგიონული მედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება რამდენიმე წლით რეგიონული ტელევიზიების გარკვეული გადასახადისაგან გათავისუფლების თა-ობაზე, აქედან გამომდინარე, ისინი ითხოვენ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სარედაქციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გათავისუფლებას გადასახადისაგან, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული ტელევიზიების გაძლიერებას.

რეგიონის ჟურნალისტები საუბრობენ მათზე ზეწოლის არაერთ ფაქტზე (მუქარა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ინტერვიუს მიცემაზე უარის თქმა), თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამის დოკუმენტურად დადასტურება ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა ასეთი ფაქტი აგვესახა ანგარიშში.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის გეგმაში გათვალისწინებულია ცალკე პუნქტი მასმედიის განვითარების ხელშეწყობისათვის, სადაც ღონისძიებების მთელი რიგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია სახალხო დამცველი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მასმედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უნდა მოხდეს ჟურნალისტთა დაცვის გეგმის შემუშავება ანტიკორუფციული სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით, მასმედიის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მიღწევა, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მასმედიასთან თანამშრომლობის ამაღლება. მედიისა და პრესის წამყვანი წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყობა კონფერენცია, სადაც შემუშავდება ჟურნალისტთა დაცვის გეგმა და წინადადებები მთავრობისათვის შესაბამისი ცვლილებების გასატარებლად და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისათვის. სახალხო დამცველის ოფისი მზადაა, აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით ჟურნალისტებთან ერთად.

ჟურნალისტებზე ზეწოლის კონკრეტული შემთხვევები

გელა მთივლიშვილი

წინა მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრეთ გურჯაანში გამომავალ გაზეთ „იმედის“ რედაქტორ გელა მთივლიშვილზე თავდასხმის არაერთ ფაქტზე. ამის გამო საქართველოს სახალხო დამცველი რამდენჯერმე ჩავიდა გურჯაანში, სადაც შეხვდა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და მათგან მიიღო პირობა, რომ აღნიშნული ფაქტები ოპერატიულად იქნებოდა შესწავლილი. გელა მთივლიშვილზე განხორციელებული ცალკეული თავდასხმები აისახა წინა ანგარიშში.

2005 წლის 6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ გურჯაანსა და თელავში, სადაც ჟურნალისტ გელა მთივლიშვილზე განხორციელებული თავდასხმების გამოსაკვლევად მედიის წარმომადგენელთაგან შემდგარი საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა.

აღნიშნული ჯგუფი ჩამოყალიბდა გაზეთ „კახეთის ხმის“ მთავარ რედაქტორ მაია მამულაშვილის, გაზეთ „სპექტრის“ რედაქტორ მაია ყალაბეგაშვილისა და სხვა ჟურნალისტების ინიციატივით. ჯგუფმა გადაწყვიტა, სამართალდამცავი ორგანოებისაგან მიეღო ინფორმაცია მთივლიშვილის ოფისის დარბევის, ფიზიკური შეურაცხყოფის, აგრეთვე მის საცხოვრებელ ადგილას მომხდარ აფეთქების ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ.

ჟურნალისტებს მთივლიშვილზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში, რომ ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერ მათგანს დაემართოს. მათი აზრით, თუ ეს თავდასხმები მართლაც მოხდა, იგი შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ირიბი ზეწოლა ნებისმიერ მათგანზე, ჟურნალისტური საქმიანობის გამო.

ჟურნალისტთა ჯგუფის წევრებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს სთხოვეს, დასწრებოდნენ სამართლადამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრას, რათა არ გაჩენილიყო ეჭვი მათ მიერ მოპოვებული მასალების არაობიექტურობის შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად, შეხვდნენ კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს თემურ ანჯაფარიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ მთივლიშვილთან დაკავშირებულ ყველა ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადა დეტალური ინფორმაციის მოწოდებაზე. იმავე საკითხზე შედგა შეხვედრა კახეთის საოლქო პროკურორ თამაზ ცაბუტაშვილთან და გურჯაანის პრო-

კურორ ალექსანდრე ფერიაშვილთან. ორივე მათგანმა დაადასტურა, რომ როგორც გ. მთივლიშვილის ოფისის დარბევისა და ფიზიკური შეურაცხყოფის, აგრეთვე აფეთქების ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება. რაც შეეხება ცემის ფაქტს, ეს საქმე თითქმის გახსნილია, თუმცა, როგორც ირკვევა, აღნიშნული არ უკავშირდება მთივლიშვილის ჟურნალისტურ საქმიანობას და გამოწვეულია პირადი უთანხმოებით.

შედგა შეხვედრა, აგრეთვე, გურჯაანის გამგებელ აკაკი სიხარულიძესთან, რომელსაც მთივლიშვილი უშუალოდ სდებდა ბრალს ხელყუმბარის შეგდებაში. გამგებელმა უარყო მის მიმართ არსებული ბრალდებები და განაცხადა, რომ გამოძიება ყველაფერს დაადგენდა.

ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა თანდასწრებით გამართული შეხვედრები იყო საკმაოდ ინფორმაციული, მათ მიიღეს პასუხი ბევრ საინტერესო კითხვაზე, რასაც საკუთარი ძალებით, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ხშირად ვერ ახერხებდნენ.

როგორც საგამოძიებო ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, საგამოძიებო მასალებზე მუშაობამ მათ საშუალება მისცა, ობიექტურად გაეანალიზებინათ სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან გამოძიების გაჭიანურების მიზეზები. საგამოძიებო ჯგუფის აზრით, ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები არ არიან დაინტერესებული საქმის გახსნით, მათ შორის არც ის მედიაორგანიზაცია, რომელზეც ამ ხნის განმავლობაში პერმანენტულად ხდებოდა თავდასხმა. ჯგუფის წევრების განცხადებით, გელა მთივლიშვილის მიმართ განხორციელებული დანაშაულების ავტორი თავად „დაზარალებული“ ჟურნალისტია. ამის თაობაზე საგამოძიებო ჯგუფმა მიმართვა გაუგზავნა საქართველოს მედიასაბჭოს.

გაზეთი „კახეთის ხმა“, მთავარი რედაქტორი მაია მამულაშვილი

გაზეთ „კახეთის ხმამ“ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიების მასალა, რომელიც ეხებოდა ათასობით ლარის მითვისებას და წიგნების გაყიდვის ფაქტს გურჯაანის ბიბლიოთეკაში. გამგეობამ დანიშნა კომისია, რომელმაც დაასკვნა, რომ გამოძიების მასალები უსაფუძვლოა. მაშინ გაზეთის რედაქციამ, „სამართლიან არჩევნებთან“ ერთად, შეისწავლა თავად კომისიის საქმიანობა და მოაწყო პრესკონფერენცია. ამის შემდეგ დაიწყო ზეწოლა გურჯაანის გამგეობის მხრიდან. იყო მუქარა, რომ თუ გაზეთ „კახეთის ხმის“ მთავარი რედაქტორი მაია მამულაშვილი ამ საქმეს თავს არ დაანებებდა, მწარედ ინანებდა თავისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებით. გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა კობიაშვილმა განაცხადეს, რომ მაია მამულაშვილმა ყალბი წერილით გამგებელი შეცდომაში შეიყვანა. ჟურნალისტის მეუღლე, რომელიც საჯარო სამსახურში მუშაობდა, აიძულეს, სამსახური დაეტოვებინა.

„კახეთის ხმამ“ გამგეობაში ვერ მიაკვლია ვერც ერთ დოკუმენტს, რომელიც გურჯაანის ბიბლიოთეკაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოს ასახავდა.

„კახეთის ხმის“ მთავარი რედაქტორის ინფორმაციით, გურჯაანში საჯარო დაწესებულების თანამშრომლები საკუთარ თავზე ინფორმაციის გაცემის პასუხისმგებლობას ვერ იღებენ. საჭირო ხდება მათთვის იურიდიული კონსულტაციის ჩატარება. ამის შედეგად ირღვევა ვადები და იკარგება ოპერატიულობა.

გაზეთი „სპექტრი“, მთავარი რედაქტორი მაია ყალაბეგაშვილი

როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, ხშირად ყოფილა დაშინებისა და ზეწოლის მცდელობა, რათა ესა თუ ის მასალა არ გამოქვეყნებულიყო. იყო შემთხვევა, როდესაც მაია ყალაბეგაშვილის მობი-

ლურ ტელეფონზე დაფარული ნომრიდან დაირეკა და განხორციელდა მუქარა ბავშვების მოტაცებაზე. მიზეზი არ დასახელებულა. მაია ყალაბეგაშვილმა ამის შესახებ განაცხადა კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრში.

სახალხო დამცველთან შეხვედრისას მაია ყალაბეგაშვილმა და მაია მამულაშვილმა განაცხადეს, რომ აღნიშნული შემთხვევების შესახებ მათ არ უცნობებიათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

გაზეთის რედაქტორს ჰქონდა პირადი საუბარი, მუქარა და შემდეგ სასამართლო პროცესი საღნაღის რაიონის ყოფილ გამგებელ თენგიზ ბეჟანიშვილთან.

დაიბლოკა გაზეთის ერთი ნომრის მთელი ტირაჟი ქალაქ თელავში, რადგან ამ ნომერში გამოქვეყნდა კონტროლის პალატის მასალები თელავის რაიონის გამგებლის შესახებ.

იყო მუქარის ფაქტები გაზეთ „სპექტრის“ ჟურნალისტების: ზვიად რუაძის, თეა ალავერდაშვილის და დალი მეხრიშვილის მიმართ.

იყო შემთხვევა, როდესაც დედოფლისწყაროს გამგებელმა სოსო ხაჩიაშვილმა ჟურნალისტ დალი მეხრიშვილს ტრადიციულ თათბირზე დასასწრებად მოსთხოვა აკრედიტაცია. როცა გამგებელს დაურეკეს და აუხსნეს, რომ ინფორმაცია საჯაროა და თუ თათბირი დახურულია, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, თქვა: „თათბირი ის კი არ არის, ყველა დაესწროს!“

16 ნოემბერს გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ ადგილობრივი ტელევიზიით ბრალი დასდო რეგიონის მედიას კორუმპირებულობაში, შეკვეთილი ინფორმაციის გავრცელებაში, დაემუქრა მათ სპეცსამსახურების შეგზავნით. ციტატა მისი გამოსვლიდან: „ჩემი ნებაა, როდის გავცემ ინფორმაციას და ჩემი კეთილი ნებაა, დავასწრებ თუ არა ჟურნალისტებს სხდომაზე“. სიხარულიძემ განაცხადა, რომ ჟურნალისტების უმრავლესობა ვიღაცისთვის მუშაობდა. 17 ნოემბერს ამ ფაქტთან დაკავშირებით გურჯაანში მედიის საპროტესტო მსვლელობა გაიმართა.

ზვიად რუაძე

ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ჟურნალისტებზე ზეწოლა მოქალაქეების მხრიდან.

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია აცხადებს, რომ რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს კვლავაც მძიმე, დაუცველ პირობებში უხდებათ მუშაობა, არ არსებობს მათი ფიზიკური უსაფრთხოების არავითარი გარანტია.

კახეთის რეგიონულ გაზეთ „სპექტრის“ 17-24 იანვრის ნომერში №2(116) დაიბეჭდა ზვიად რუაძის კორესპონდენცია სათაურით: „სიღნაღის მთავარი გინეკოლოგი და პოლიკლინიკა სკანდალში ეხვევა“. სტატიაში საუბარია სოფელ მაშრაანის მკვიდრ რევაზ ყორღანაშვილის სახელზე შედგენილ ყალბ დოკუმენტებზე, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ აღნიშნული პიროვნება ონკოლოგიური ავადმყოფია და ამის გამო პოლიკლინიკა მის სახელზე ნარკოტიკულ პრეპარატს – „მორფიუმს“ გასცემდა.

რევაზ ყორღანაშვილის ოჯახის წევრები აღნიშნული ნივთიერების არალეგალურ რეალიზებას ეწეოდნენ. ამ საქმიანობაში თანამონაწილედ სახელდება სიღნაღის რაიონის მთავარი გინეკოლოგი თამილა კახეთელიძე, რომლის შესახებაც პოლიციამ კომენტარი პირველად გაზეთ „სპექტრის“ ფურცლებზე გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტის უტყუარობაზე არავინ დავობს, სტატიას რესპონდენტების მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა – ზეწოლა და შეურაცხყოფა ჟურნალისტის, მუქარა რედაქციის მისამართით.

გორი

2005 წლის 30 აგვისტოს გორის რაიონის გამგეობის შენობაში რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსმა რევაზ გოგიაშვილმა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს მუქარის ტონით უთხრა, რომ „ასე თავისუფლად სიარულს“ დიდხანს ვეღარ შეძლებდა და თუ კრიტიკული წერილების წერას თავს არ დაანებებდა, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. საბა წიწიკაშვილის პასუხზე, რომ ზრდილობიანად ელაპარაკა, რევაზ გოგიაშვილმა სცადა, რაიონის გამგეობის შენობის დერეფანში ჟურნალისტს ფიზიკურად გასწორებოდა. შემთხვევას ესწრებოდნენ ჟურნალისტი თამარ ოქრუაშვილი, ასევე შპს „გორიავტოტრანსის“ დირექტორი თამაზ სვიანიძე და გამგეობის თანამშრომელი ვინმე ადიკაშვილი.

2005 წლის სექტემბერში რწმუნებულის აპარატის კანცელარიის ახალ უფროსს, ალექსი ჯალაბაძეს, საბა წიწიკაშვილმა მიმართა 2005 წელს რწმუნებულის ფონდში შესული თანხების წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. ალექსი ჯალაბაძემ განცხადება არ მიიღო იმ მოტივით, რომ რწმუნებულის ფონდი არ ეკუთვნის რწმუნებულის აპარატს და საბა წიწიკაშვილს შესთავაზა, პირადად რწმუნებულისთვის მიემართა.

საერთოდ, ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივ ჟურნალისტებთან შეხვედრას გაურბიან. უმალავენ მათ საჯარო ინფორმაციას.

2005 წლის 3 სექტემბერს რკინიგზის სადგურისკენ მიმავალ საბა წიწიკაშვილს თავს დაესხა მისთვის უცნობი პიროვნება, რომელმაც ქუჩაში დაყრილ ქვებს დაავლო ხელი და ჟურნალისტს დაუშინა. საბა წიწიკაშვილმა გაქცევა მოახერხა. მან იფიქრა, რომ მასზე თავდამსხმელ პიროვნებას იგი სხვა ადამიანში შეეშალა და ამ ფაქტისთვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

2005 წლის 5 სექტემბერს რკინიგზის სადგურზე საბა წიწიკაშვილს მოულოდნელად თავს დაესხა მის წინ მომავალი სამი პიროვნება. მას ცემდნენ გაურკვეველი საგნებით, წაქცეულს ურტყამდნენ და ბოლოს გაიქცნენ. საბა წიწიკაშვილმა მიიღო თავის ტვინის შერყევა. თავდამსხმელებს არ მოუთხოვიათ არც მობილური, არც ფული და არც რაიმე უთქვამთ. ერთ-ერთი თავდამსხმელი დაკავებულია. მას აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა.

გაზეთი „ხალხის გაზეთი“, ჟურნალისტი თამარ ოქრუაშვილი

გორში ჟურნალისტები ხშირად ვერ ახერხებენ გორის რაიონული სასამართლოს შენობაში შესვლას. დაცვა მათ ღია პროცესზეც არ უშვებს. ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც გორის რაიონულ სასამართლოში არ შეუშვეს ჟურნალისტები, რომლებიც დავაში უშუალოდ მონაწილეობდნენ – მოსარჩელეები იყვნენ. ჟურნალისტებისთვის ძნელია შეღწევა სამხარეო ადმინისტრაციის შენობაშიც, სადაც დაცვაა მობილიზებული ჟურნალისტების წინააღმდეგ. ისინი ჟურნალისტებს ხელს უშლიან საქმიანობაში შენობის გარეთაც კი. იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტები კომენტარს ითხოვდნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსისგან სამხარეო ადმინისტრაციის შენობის ეზოში. შენობიდან გამოვიდნენ დაცვის წარმომადგენლები და რწმუნებულის პრესსამსახურის თანამშრომელი მამუკა მურაჩაშვილი, რომელმაც განაცხადა: „თავი დაანებეთ ამ ადამიანს, ხომ ხედავთ, რომ არ უნდა კომენტარის გაკეთება. მეორედ არ გინდათ აქ მოსვლა?!“

სოფელ ხვითში მოიჯარე ნოდარ მაისურაძესთან დაპირისპირებისას მრავალჯერ მოხდა ჟურნალისტების დევნა მოსახლეობის მხრიდან. არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო წაქეზებული. რეაგირება ხელისუფლების მხრიდან მოხდა მხოლოდ ერთხელ, როდესაც ხალხი ჟურნალისტებს ქვებით დაედევნა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება, ორ ბრალდებულს აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა გირაო, ერთი თავდამსხმელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იძებნებოდა, თუმცა მისი დაკავებაც მოხერხდა.

ქუთაისი

გაზეთ „ახალი გაზეთის“ ფოტოკორესპონდენტი თორნიკე ტურაბელიძე

თორნიკე ტურაბელიძემ გადაიღო ფოტოები, რომლებზეც იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გია გეწაძე და სხვა პირები თამაშის დროს იყვნენ გადაღებული. ფოტო გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნდა ავტორის ნებართვის გარეშე და თორნიკე ტურაბელიძემ უჩივლა იმ პირებს, რომლებმაც, მისი აზრით, კომპიუტერიდან მისი კუთვნილი ფოტო უნებართვოდ აიღეს და გამოაქვეყნეს. ამით დაირღვა მისი საავტორო უფლება. იმ დროისათვის, როდესაც ქუთაისში სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, გია გეწაძე უკვე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო ყოფილი ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე არქმშენინსპექციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. გივი ჯიბლაძემ მოსთხოვა თორნიკე ტურაბელიძეს, რომ მას სარჩელი გამოეტანა და თემის შემდგომი გავრცელებისთვის ხელი ამ გზით შეეშალა. თორნიკე ტურაბელიძისგან უარის მიღების შემდეგ გივი ჯიბლაძემ ორჯერ დაურეკა ჟურნალისტს და მას სიცოცხლის ხელყოფით ემუქრებოდა. ამ საუბრების აუდიოჩანაწერი არსებობს.

ირაკლი იმნაიშვილი

იმერეთის რეგიონის რიგით მესამე რწმუნებულის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზი ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილის ცემის ფაქტი გახდა.

ინციდენტი იმნაიშვილსა და ბობოხიძეს შორის ქუთაისში 1 დეკემბერს, დაახლოებით 21.00 საათზე მოხდა, როცა ისინი ადგილობრივი ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე კამათობდნენ. დებატები ცხარე დაპირისპირებაში გადაიზარდა. გადაცემის დასრულების შემდეგ ბობოხიძე იმნაიშვილს ტელევიზიის დერეფანში დახვდა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც იმნაიშვილმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2005 წლის 29 დეკემბერს ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

2006 წლის 6 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ირაკლი იმნაიშვილის ადვოკატმა გირშელ ძებნიაურმა, რომელიც აღნიშნავს, რომ აკაკი ბობოხიძის დაკითხვა ჯერაც არ მომხდარა და გამომძიებელი გია ხარატიშვილი უსაფუძვლოდ აჭიანურებს გამოძიებას. რწმუნებულის პოსტიდან გადამდგარი აკაკი ბობოხიძე კი თანამდებობრივად დააწინაურეს.

ირაკლი მამალაძე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა ირაკლი მამალაძემ. იგი აღნიშნავდა, რომ შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი გურამ დონაძე პირად საუბრებში, აგრეთვე სატელეფონო ზარებით გამოხატავდა უკმაყოფილებას მის მიერ მომზადებული სიუჟეტების გამო. 2005 წლის აპრილში უშიშროების თანამშრომლების მიერ ჩატარებულ ოპერაციაზე გაკეთებულმა სიუჟეტმა კი დონაძის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია. ამის შემდეგ მამალაძემ გააკეთა სიუჟეტი ცირკთან მდგომ მეძავებზე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ პატრულის გამოჩენის შემდეგ მათ მუშაობა გაუადვილდათ და მადლობას უხდიდნენ პატრულს.

აღნიშნულმა განცხადებამ ძალიან გააღიზიანა დონაძე, მან ამ სიუჟეტის ღამის კურიერიდან ამოღება მოითხოვა. მამალაძის მიმართ მუქარები გაძლიერდა, რის გამოც იგი შსს-ში მისვლას ერიდებოდა, თუმცა დონაძესთან 13 მარტს მაინც მოუხდა შეხვედრა, სადაც იგი მამალაძეს იარაღით დაემუქრა. ამ ფაქტს შეესწრნენ მძღოლი და „რუსთავი-2"-ის ოპერატორი.

მამალაძის თქმით, ამის შემდეგ იგი დაიბარეს ეკა ხოფერიასთან, რომელმაც განუცხადა, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან. გათავისუფლების მიზეზი გახდა შსს-დან მიღებული სია, სადაც ეწერა, რომ ირაკლი მამალაძე იყო ნარკოტიკების მომხმარებელი. მამალაძემ მოითხოვა ნარკოლოგიური შემოწმება, თუმცა ხოფერიამ უარი უთხრა და აღნიშნა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ამის შემდეგ მამალაძემ მოითხოვა შსს-დან მიღებული სიის გაცნობა, თუმცა ვერც მისი მოპოვება შეძლო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი შეხვდა ეკა ხოფერიას, რომელმაც განაცხადა, რომ მამალაძე იყო არა თანამშრომელი, არამედ უბრალოდ სტაჟიორი. თუმცა მამალაძემ წარმოადგინა „რუსთავი-2"-ის კადრების მენეჯერის მიერ 2005 წლის 28 სექტემბერს გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ იგი 2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის ივნისამდე მუშაობდა „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურში კორესპონდენტის თანამდებობაზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები არაერთხელ დაუკავშირდნენ ოპერატორ ირაკლი შეწირულს, თუმცა ის მოუცლელობას იმიზეზებს, თავს არიდებს ჩვენთან შეხვედრასა და ახსნა-განმარტების მოცემას. იმავე მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ახსნა-განმარტების ჩამორთმევა მძღოლისთვის, რომელიც, მამალაძის განცხადებით, შეესწრო დონაძის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტს.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ხელთ არსებული მასალები შესაბამისი რეაგირებისათვის გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას. ჟურნალისტებზე ზეწოლის ამ და სხვა ფაქტებთან დაკავშირებით (მაია მარგველანი, სოფო ზედელაშვილი და სხვ.), საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილს, დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა შსს-ს ადმინისტრაციის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი გურამ დონაძე.

ამჟამად გურამ დონაძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, ჩვენ მიერ გადაგზავნილი მასალები კი სამსახურებრივი შემოწმების ჩასატარებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

ეკა სეხნიაშვილი

2005 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის" ჟურნალისტმა ეკა სეხნიაშვილმა. მისი განცხადებით, 2005 წლის იანვარში გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში" გამოქვეყნდა სტატია სათაურით – „ფერმიდან პარლამენტამდე", რომელიც დეპუტატ კობა ბექაურსა და მის საქმიანობას შეეხებოდა.

როგორც ე. სეხნიაშვილი განმარტავს, სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში დაფარული ნომრით მას დაურეკა დეპუტატმა კობა ბექაურმა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, განუცხადა, რომ ამისათვის აუცილებლად „მიიღებდა", აქვე დაამატა, რომ ეს სტატია მას უცხოეთში ფაქსით გადაუგზავნეს და კვლავ მუქარის სიტყვებით მიმართა ჟურნალისტს.

სეხნიაშვილის თქმით, ამ დროისათვის დეპუტატ კობა ბექაურს უკვე დარეკილი ჰქონდა გაზეთის რედაქტორთან – გიორგი კაპანაძესთან, რომელსაც შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჟურნალისტი სეხნიაშვილი არსად შემხვდეს, თორემ მოვუვლიო".

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება ჩამოართვა „ჯორჯიან-თაიმსის" მთავარ რედაქტორ გიორგი კაპანაძეს. მან დაადასტურა, რომ მას დაურეკა კობა ბექაურმა, რომელიც ემუქრებოდა ეკა სეხნიაშვილს.

ბელა ზაქაიძე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა „ტელეკომპანია 202-ის“ ჟურნალისტმა ბელა ზაქაიძემ. მისი განმარტებით, ფილმ „დეპუტატის ვალზე“ მუშაობისას და მისი ეთერში გასვლის შემდეგ მის მიმართ განხორციელდა მუქარა სერგო ჯავახიძისა და დეპუტატ კობა ბექაურის მხრიდან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს „ტელეკომპანია 202“-ის ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს და ამავე ტელეკომპანიის თანამშრომელ პაატა ჯიხვაშვილს. მოპოვებული მასალები, როგორც ბელა ზაქაიძის, აგრეთვე ეკა სეხნიაშვილის საქმეებთან დაკავშირებით, შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

რუსუდან ნიკურაძე

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა შრომითი ურთიერთობა გაწყვიტა თავის მოსკოველ კორესპონდენტ რუსუდან ნიკურაძესთან. ჟურნალისტის განცხადებით, მისი გათავისუფლება მოხდა კანონდარღვევით, რის თაობაზეც მისმა ადვოკატებმა სარჩელი შეიტანეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები დაუკავშირდნენ რ. ნიკურაძეს და სთხოვეს მისი ადვოკატების კოორდინატები. რ. ნიკურაძემ ჩაიწერა ომბუდსმენის ოფისის თანამშრომლების ტელეფონის ნომრები და განაცხადა, რომ ადვოკატები შესაბამისი რწმუნებების მიღების შემდეგ თვითონ დაუკავშირდებოდნენ სახალხო დამცველის აპარატს, თუმცა ამ დრომდე რ. ნიკურაძის ადვოკატებს ჩვენთვის არ მოუმართავთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ამ საკითხთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

- შიდა ქართლის რწმუნებულს, აგრეთვე თელავისა და გურჯაანის გამგებლებს მივმართავ რეკომენდაციით, ინფორმაციის გაცემის დროს იმოქმედონ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;
- მივმართავ წინადადებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, ჩაატაროს შეხვედრები რეგიონულ ტელეკომპანიებთან, რაც მისცემს საშუალებას, უშუალოდ მათგან მოისმინოს და გაითვალისწინოს არსებული პრობლემები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მივმართავ რეკომენდაციით, დროულად გამოიძიონ ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის თითოეული ფაქტი, მიუხედავად იმისა, ვისი მხრიდან ხორციელდება აღნიშნული ზეწოლა.
- საზოგადოებრივ ტელევიზიას მივმართავ რეკომენდაციით, გადაწყვიტოს კონტრაქტებთან დაკავშირებული პრობლემები და რაც შეიძლება მალე გადავიდეს გრძელვადიან კონტრაქტებზე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების დაცულობასა და დამოუკიდებლობას.
- მივმართავ წინადადებით ყველა კერძო საინფორმაციო საშუალებას, გადავიდნენ გრძელვადიან კონტრაქტებზე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების დაცულობასა და დამოუკიდებლობას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის საქმე

2005 წლის სექტემბრის თვეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქ. თბილისის მერიის მიერ გაკეთდა განცხადება რუსთაველის №6-ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის (ყოფილი პიონერთა სასახლე) საბალეტო დასისათვის გადაცემის თაობაზე.

აღნიშნულ განცხადებას პროტესტი მოჰყვა, როგორც თავად ამ სასახლის აღსაზრდელების, ასევე მათი პედაგოგების მხრიდან, რომლებმაც განცხადებით მომართეს სახალხო დამცველის აპარატს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მივმართეთ ქ. თბილისის მერიას და მოვითხოვეთ, ეცნობებინათ სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, გადმოეცათ დოკუმენტი, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ამ შენობის გადაცემა ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლისათვის. მათ წერილობით გვაცნობეს, რომ ოფიციალური დოკუმენტი ამ საკითხზე არ არსებობდა. ამის შემდგომ მივმართეთ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და მოვითხოვეთ, ეცნობებინა, ვის ბალანსზე იმყოფება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა და ვის აქვს მისი განკარგვის უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ დარღვეულ იქნა ინფორმაციის მოწოდებისათვის დადგენილი ყოველგვარი ვადა. ბოლოს, წერილობითი პასუხიდან შევიტყვეთ, რომ დასახელებული ობიექტი არის სახელმწიფო საკუთრება და გადაწყვეტილებებს ქონების განკარგვის შესახებაც მიიღებს ის სუბიექტი, ვისი საკუთრებაც ის არის. ამ შემთხვევაში კი, ვინაიდან რუსთაველის №6-ში მდებარე შენობა არ ერიცხება ბალანსზე მერიას და არის სახელმწიფო საკუთრება, მის განკარგვაზე უფლებამოსილია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შესაბამისად, გადაწყვეტილებებიც უნდა მიიღოს ამ უწყებამ.

ზუგდიდის სუპერმარკეტი

ზუგდიდის შპს „სუპერმარკეტის“ ცენტრალური კარის ჩაკეტვასთან დაკავშირებული დავის შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა გამოარკვია, რომ ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 18 მარტის №63 განკარგულებით, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, დაიკეტა შპს „სუპერმარკეტის“

ცენტრალური კარი. ვინაიდან ამ ფაქტს მოვაჭრეების მხრიდან მოჰყვა პროტესტი, გამგეობის გადაწყვეტილებით, ცენტრალურ შესასვლელთან აღიმართა ბეტონის კედელი, თუმცა ამის შესახებ არცერთ დოკუმენტში არ ყოფილა მითითებული. ამასთან, ცნობილია, რომ ამ კედელს დღე-ღამის განმავლობაში იცავს სპეციალური დანიშნულების რაზმი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდეგ კანონდარღვევით მიღებული განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდა, დღეისათვის კი საქმე წარმოებით შეწყვეტილია ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ, დავის საგნის არარსებობის გამო, ვინაიდან დასახელებული განკარგულება აპელაციის დროს თავად გამგეობის მიერ იყო ძალადაკარგულად ცნობილი. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქმის წარმოებით შეწყვეტის შემთხვევაში, მხარე იმავე საფუძვლით ვეღარ მიმართავს სასამართლოს. მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს შეგნებულად განხორციელდა გამგეობის მხრიდან, რათა მხარისათვის მოეჭრა სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვის გზები.

ყოველივე ამის შემდეგ, მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიერ გამოიცა №94 დადგენილება, რომლითაც კვლავ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „სუპერმარკეტის“ ცენტრალური კარის ფუნქციონირების შეზღუდვის შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში, აგრეთვე, არსად არ არის მითითებული კართან ღობის აღმართვის თაობაზე, მხოლოდ ლაპარაკია ცენტრალური კარით სარგებლობის შეზღუდვაზე, თუმცა იქ დროებითი ღობის ნაცვლად, რაც თან ახლავს ხოლმე სარემონტო სამუშაოებს, დღემდე აღმართულია ბეტონის კედელი. ამასთან, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზუგდიდის რაიონის გამგეობამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“. ადმინისტრაციულ წარმოებაში კი, ამავე კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, იგულისხმება „ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით“. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ასეთი დადგენილების მიღების შესახებ ინფორმირებულნი უნდა ყოფილიყვნენ მოვაჭრეები, აგრეთვე, გამგეობას უნდა უზრუნველეყო მათი მოწვევა და ადმინისტრაციულ პროცესში ჩართვა, ვინაიდან დადგენილების მიღებით მოვაჭრეებს გარკვეულწილად მიადგათ ზიანი.

პრობლემა ისაა, რომ ცენტრალური კარის დაკეტვა ხელს უშლის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას, კერძოდ, გვერდითი კარიდან რთულდება ხალხის ნაკადის შეუფერხებელი შესვლა-გამოსვლა, ხალხს უწევს გარკვეული გზის ფეხით გავლა, რათა ბაზარში შევიდეს, ამასთან, როგორც თავად მოვაჭრეები აცხადებენ, ცენტრალური კარის ჩაკეტვით ისინი კარგავენ მომხმარებელს, ვინაიდან ბაზრის ნაცვლად შედიან სუპერმარკეტში, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობს, ეს კი ზღუდავს თავისუფალი კონკურენციის პირობებს.

მიგვაჩნია, რომ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოქალაქეთა უფლებების დარღვევას. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგენილება არ ითვალისწინებს ბეტონის კედლის აღმართვას, ამდენად მისი მშენებლობა განხორციელდა უკანონოდ. დადგენილებაში მითითებულია, რომ კარის ჩაკეტვა აუცილებელია სარემონტო სამუშაოების გასატარებლად, ამისათვის კი საკმარისია დროებითი ღობის გაკეთება და ა.შ. ამასთან, სარემონტო სამუშაოები არ შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად, მოცემულ შემთხვევაში, ეს არის ხალხის მოტყუების მცდელობა, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია და „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუქტის თანახმად, რეკომენდაციით მივმართეთ ზუგდიდის რაიონის გამგებელ ა.ქობალიას, რათა უზრუნველყოს ბაზრის შესასვლელთან აღმართული ბეტონის კედლის მოშორება და ცენტრალური კარის ფუნქციონირების აღდგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის რაიონის გამგებელი და სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ზ. გოროზია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიუთითებდნენ, რომ სახალხო დამცველის მოთხოვნა არ არის კანონიერი და ის არ იქნება შესრულებული, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ზუგდიდის გამგეობის სხდომის დადგენილება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არის მიღებული.

ყოველივე ამის შემდეგ, 2006 წლის 2 მარტს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო ზუგდიდის რაიონის გამგეობის სხდომის 2005 წლის 21 დეკემბრის №94 დადგენილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, და დაადგინა, რომ უნდა მოიხსნას ე.წ. „შეზღუდვა“ და აღდგეს ცენტრალური შესასვლელის ფუნქციონირება. ამჟამად რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში, თუმცა გასაჩივრების მოტივი – რომ მიმდინარეობს ბაზრის წინ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რემონტი და ამისთვის არის საჭირო ბაზრის კარების დახურვა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელი ჩანს.

15 ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში

მონობის თანამედროვე ფორმა – ადამიანით ვაჭრობა – დაკავშირებულია ძალადობის მწვავე ფორმებთან და არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ესაა ორგანიზებული დანაშაული და ყველა სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს სათანადო პოლიტიკა, რათა საკუთარ ტერიტორიაზე აღმოფხვრას ტრეფიკინგის შემთხვევები და სათანადო დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს.

ტრეფიკინგი საქართველოში ძალზე აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების ეროვნული გეგმა. ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებული სპეციალური უწყებათაშორისი კომისიის შექმნა. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლის გაუმჯობესების შედეგად საქართველომ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2005 წლის ანგარიშით, სამეთვალყურეო სიიდან მეორე კატეგორიაში გადაინაცვლა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 ნოემბრის №965 ბრძანებულებით, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს გენერალური პროკურორი დაინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოხდა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან. იმისათვის, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური სამართლებრივი ბაზა შეიქმნას, საჭიროა ერთიანი, ყოვლისმომცველი კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა და თანამდებობის პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობისა და მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. საანგარიშო პერიოდში პარლამენტის მიერ ვერ მოხერხდა ამ კანონპროექტის საბოლოოდ მიღება (მიღებულია პირველი მოსმენით).

ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისათვის

აუცილებელია, ადეკვატურად შეფასდეს არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემების მასშტაბები. შესაბამისად, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ სრული საინფორმაციო სურათი უნდა შეიქმნას. ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია იმ პირთა მონაცემების ერთიანი ბაზა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ისეთ ქმედებებთან, როგორებიცაა ადამიანებით ვაჭრობა და არალეგალური შრომითი მიგრაციის ორგანიზება და ხელშეწყობა. ჩვენი აზრით, ერთ უწყებას არ შეუძლია შექმნას ერთიანი ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა და ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ფორმირება უნდა მოხდეს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მონაცემთა ბაზაზე. აუცილებელია, მონაცემთა ერთიანი ბაზის უფრო ეფექტურად გამოყენების წესებისა და პირობების შემუშავება, ინფორმაციის მოპოვების სფეროში ახალი სისტემის დანერგვა და აღრიცხვის ახალი ელექტრონული ფორმების შემოღება.

მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სათანადო მექანიზმები მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად. უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს მსხვერპლის დაცვის ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც ზოგადად შეიცავს სამ ძირითად ელემენტს: ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას, დახმარებას და მათ რეინტეგრაციას.

ყურადღება უნდა შევაჩეროთ საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სისტემაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს მსხვერპლთა უფლებების, ღირსების, უსაფრთხოების, კონფიდენციალობის, გააზრებული მდგომარეობის და გრძელვადიანი დახმარების დაცვისკენ.

კვლევამ აჩვენა, რომ დახმარება, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთ გაეწიათ საქართველოში, არ იყო საკმარისი. აღინიშნება შესაძლებლობათა და კოორდინირებული სისტემის ნაკლებობა. დახმარების სისტემა არ შეესაბამება ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინტერესებს: უსწრაფესი დაბრუნების პროცედურა უტოლდება დამატებით დასჯას და არა დახმარებას; ტრეფიკინგის მსხვერპლთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოებისა და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური დახმარების ინტერესები არ არის დაცული. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის იმ მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები, რომელთაც არ სურთ ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან ან სასამართლო პროცესის დასრულების გამო უკვე აღარ სარგებლობენ დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსით. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლთა სრული ანონიმურობის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი გამოძიების პროცესში, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მსხვერპლი არის დაზარალებული და, ამასთანავე, მოწმე, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში ფიქსირდება მისი დემოგრაფიული მონაცემები, რაც ხელმისაწვდომია ბრალდებული მხარის ადვოკატისათვის.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის ამოქმედება მოითხოვს როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო სექტორისა და ფართო საზოგადოების თანამშრომლობას, სათანადო საკადრო რესურსის გამოყოფას, საბიუჯეტო ხაზების გაანგარიშებას და მიღებას.

ჯანდაცვის არსებული პროგრამების ფარგლებში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უფასო ანონიმური სამედიცინო დახმარებისა და რეაბილიტაციის დახმარება ძალიან ვიწრო ნაწილშია შესაძლებელი (მაგ., აივ/შიდსის შეყრის შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევაში). არსებული დაფინანსების ფარგლებში უფრო ფართო სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება დღეისათვის შეუძლებელია.

ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს საგარეო უწყებების მუშაობას. საზღვარგარეთ მყოფ ტრეფიკინგის მსხვერპლთ, როგორც წესი, დახმარებას უწევენ საერთაშორისო მიგრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს საკონსულოები სპონტანურად

არიან ჩართული ამ სისტემაში, არ აქვთ შესაბამისი შესაძლებლობა ან საკითხის მოგვარების საშუალებები. მიზანშეწონილია, ამგვარ მუშაობას მუდმივი და მიზანმიმართული სახე მიეცეს.

ქართველ საზოგადოებას არ აქვს ნათლად გაცნობიერებული ტრეფიკინგის არსი და მისი საშიშროება. ჩატარებული პრევენციული ზომების მიუხედავად, საჭიროა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რათა ამაღლდეს საზოგადოებისა და, კერძოდ, პოტენციურ მსხვერპლთა შეგნების დონე. საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი დაზარალებულმა საფრთხის არსებობის შემთხვევაში და რა სტრუქტურებს უნდა მიმართოს დახმარებისათვის. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მოხდეს ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება სასკოლო პროგრამებში, ასევე შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამები მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

სხვადასხვა სტრუქტურაში ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ, ფაქტობრივად, შეიცვალა საპასპორტო მაგიდის ყველა უფროსი, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შემადგენლობა. დაირღვა ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოძახებისა და ტრანზიტის აწყობილი ჯაჭვები. ამავე დროს, სახელმწიფო სტრუქტურებში პერმანენტულმა გადანაცვლებამ შეამცირა კონტროლის დონე, რაც თავისთავად უარყოფით შედეგს იწვევს. აუცილებელია პროფესიული ჯგუფების („ცხელი ხაზის“ თანამშრომლები, პოლიციელები, ოპერატიული თანამშრომლები, მოსამართლეები, პროკურატურის თანამშრომლები და ა.შ.) სპეციალური მომზადება.

მოთხოვნილება ბავშვთა იძულებით შრომაზე, პროსტიტუციასა და სხვა სახის ექსპლუატაციაზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, იზრდება. საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლ და პოტენციურ მსხვერპლ ბავშვთა სხვადასხვა კატეგორია არსებობს. ესენი არიან: ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, მრავალშვილიანი ან მარტოხელა მშობლების, უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები. სწორედ ისინი ხდებიან ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მზარდი ტრეფიკინგის მსხვერპლნი და ფართოდ არიან ჩართული მათხოვრობაში, წვრილმანი ნივთებით ვაჭრობაში, პორნოგრაფიული მასალის წარმოებასა და პროსტიტუციაში, ასევე შინამოსამსახურეობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია კომერციული მიზნით. ეს თემა ტაბუდადებულია საქართველოში, რადგან საზოგადოება დარწუნებულია, რომ ეროვნული ტრადიციების, მართლმადიდებლური მორალისა და ქართული მენტალიტეტისათვის წარმოუდგენელია ამგვარი შემთხვევები და მოზარდს სექსუალური ექსპლუატაციის კომერციულ ობიექტად ვერ მოიაზრებენ. რეალურად უამრავი ექსპლუატირებული მოზარდია, რომლებიც არათუ დაცულნი არ არიან სახელმწიფოს მიერ, მათი მდგომარეობის შესახებ მიახლოებითი ლეგალური სტატისტიკაც კი არ არსებობს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2005 წლის მონაცემებით, ადამიანის ვაჭრობის სფეროში:

1. გამოძიება დაიწყო – 26 სს საქმეზე (2 სს საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად)
2. ბრალი წაეყენა – 23 პირს 14 სს საქმეზე
3. აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდა – 20 პირს 12 სს საქმეზე
4. სასამართლო წარიმართა – 10 სს საქმეზე 15 პირის მიმართ
5. განაჩენი დადგა – 2 სს საქმეზე 6 პირის მიმართ
6. ძებნა გამოცხადდა – 7 პირზე 6 სს საქმეზე

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ხელოვნურად იქმნება აჟიოტაჟი საქმის გარშემო:

1. თბილისის იასანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოში წინასწარი გამოძიება წარმოებს სს საქმეზე ლ.გ.-ს მიმართ არასრულწლოვან ი.პ.-სთან გარყვნილი ქმედების ჩადენის ფაქტზე. 2006 წლის 16 თებერვალს ეჭვმიტანილი ლ.გ. დააკავეს.

აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ტრეფიკინგის საკითხებზე გაზეთ „ალია ქრონიკის“ 2006 წლის 5-12 თაბერვლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება. მოცემულ სს საქმეზე გამოძიების მიერ დამატებით დაიკითხა დაზარალებული პირი ი.პ., რომელმაც უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოქალაქე ვალოდია დიაჩენკო ან სხვა ვინმე მას საზღვარგარეთ გაყვანასა და დასაქმებას დაჰპირდა.

2. საზოგადოების ინტერესის საგანი გახდა ნ.ჟ.-ს დაკავების ფაქტი, თუმცა ეჭვი, რომ აღნიშნული პირი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო, არ დადასტურდა. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უზბეკეთის მოქალაქე ნ.ჟ., ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, დასთანხმდა მეგობრის შემოთავაზებას, წასულიყო სამუშაოდ დუბაიში და ჩაბმულიყო პროსტიტუციაში. ნ.ჟ. ათ სხვა გოგონასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და ვინმე მონიკას დახმარებით მიიღო საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, რომლის მეშვეობით არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, სირიასა და თურქეთში იმყოფებოდა 2005 წლის 21 დეკემბრამდე. 2003-2005 წლებში იგი სისტემატიურად ჩამოდიოდა საქართველოში ვიზის გასაგრძელებლად.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება ყალბი პასპორტების დამზადების ორგანიზატორისა და სხვა თანამონაწილე პირების დადგენისა და დაკავების მიზნით.

16 გენდერული თანასწორობის საკითხები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში დღის წესრიგში დადგა არა უბრალოდ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ გენდერული თანასწორობის მიღწევის ამოცანა.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ქალებისა და კაცებისათვის, პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს თანაბრად მიწვდომის უფლებასა და საშუალებას ეკონომიკური რესურსებისადმი, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მოვალეობათა განაწილებას ოჯახში, მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სოციალურ საქმიანობაში.

წელიწადზე მეტია, ფუნქციონირებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო, პირველი სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც მოწოდებულია, მხარი დაუჭიროს გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში. ასევე, 2005 წლის ივნისში შექმნილია გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანია საქართველოში გენდერული პოლიტიკის განხორციელება და მისი ცხოვრებაში გატარება.

გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სახელმწიფოს დღემდე არა აქვს შემუშავებული გენდერული თანასწორობის ეროვნული კონცეფცია. შესაბამისად, არ არის დასახული გენდერული ინტეგრირების პოლიტიკური სტრატეგია და არ არის შექმნილი თანასწორობის უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები. სახელმწიფო სტრუქტურები არ არიან ანგარიშვალდებულნი, ანუ მათთვის არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ანგარიშგების პროცედურები გენდერულ საკითხებზე. უფრო მეტიც, ხშირად სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები არც კი არიან ინფორმირებული, თუ რა საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინება ეკისრებათ მათ გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების პროცესში.

ქალი და შრომის ბაზარი

გარდამავალ პერიოდში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა ქალის სამუშაო ძალის როლი შრომით ბაზარზე, თუმცა ამან მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა მის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. ხშირ შემთხვევაში ქალებმა სა-

ბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან ადაპტაციის უფრო მეტი უნარი გამოავლინეს, თუმცა ვერ დასაქმდნენ თავიანთი პროფესიისა და პროფესიონალიზმის შესაბამისად.

შრომის ბაზარზე დღეისათვის ჩამოყალიბებული სიტუაციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალთა დასაქმების სტრუქტურა და შემოსავლები შეიცავს უთანასწორობის ელემენტებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დასაქმებისა და შემოსავლების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 15 წელზე მეტი ასაკის ქალთა რაოდენობა თითქმის 1,2-ჯერ აღემატება მამაკაცთა რაოდენობას, მამაკაცთა ეკონომიკური აქტიურობის დონე უსწრებს ქალებისას. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემთა თანახმად, ბოლო პერიოდში შეინიშნება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (ეკონომიკურად აქტიურ ქალთა რიცხოვნობა 2,3 პროცენტითაა შემცირებული, ხოლო კაცთა რიცხოვნობა – 3,6 პროცენტით).

2004 წლის ოფიციალური მონაცემების თანახმად, უმუშევარ ქალთა რიცხოვნობა 2002, 2003 წლებთან შედარებით 4,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო უმუშევარ კაცთა რიცხოვნობა იმავე პერიოდში 7,9%-ით შემცირებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალების უმუშევრობა უფრო ხანგრძლივია და მათ, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ახალი შრომითი მოწყობისათვის.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, 2005 წლის 31 დეკემბრისათვის სამუშაოს მაძიებელთა საერთო რაოდენობაში უმუშევრების წილმა 98,1 პროცენტი შეადგინა. დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36,5 პროცენტით შემცირდა და 30,4 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 16,1 ათასი (52,8 პროცენტი) ქალია.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა (შესაბამისად, უმუშევართა) რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება გამოწვეულია იმით, რომ დასაქმების სამსახურებში 2005 წლის აპრილის თვეში რეგისტრაციიდან მოხსნეს 2004 წლამდე რეგისტრირებული ყველა სამუშაოს მაძიებელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქალთა დასაქმების დონე ბევრად არ განსხვავდება მამაკაცთა დასაქმების დონისაგან და შეადგენს ქალების – 48%-ს, ხოლო კაცების – 52%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ დასაქმებულ ქალთა რიცხოვნობა 3,2 პროცენტით შემცირდა, ხოლო კაცებისა – 2,9 პროცენტით.

დასაქმებული მოსახლეობიდან ყველაზე დიდი პროცენტი საშუალო განათლების მქონეა და შეადგენს დასაქმებულ ქალთა 38%-ს და კაცთა 41%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ქალებისა და კაცების წილი დასაქმებულებში თითქმის ერთნაირია (უმაღლესი განათლების მქონეა ყოველი მეოთხე დასაქმებული), ქალები მართვის ორგანოების ხელმძღვანელებად იშვიათად გვევლინებიან. ამასთან, მართვის იერარქიის ზრდასთან ერთად ასეთი იშვიათობის ხარისხი მატულობს.

საზოგადოებაში ქალის როლზე ტრადიციული შეხედულებები მართვის სფეროში ქალების მოსვლისა და თვითდამკვიდრების მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორებად გვევლინება. არსებული სოციალური მექანიზმები (უფასო ბაგა-ბაღები, ორსულთა დახმარება, საოჯახო დახმარებები და ა.შ.) ვერ უზრუნველყოფს ხელშემწყობი პირობების განვითარებას.

თანამედროვე ეკონომიკის გენდერული ასპექტების განხილვის დროს აუცილებელია შევეხოთ ხელფასების გენდერულ დიფერენციაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა შემდეგი სურათი:

ხელფასის გენდერული დიფერენციაციის დინამიკა (ლარი)

	2001	2002	2003	2004	2005	
					I-II	III-IV
ქალი	63	75,7	85,7	94	127,8	134,2
კაცი	125,2	150,1	163,0	169,2	266,4	279,6
ხელფასის გენდერული დიფერენციაცია (%)	50,3	50,4	52,6	55,5	48	48

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ხელფასების ზრდისა, ქალის ხელფასი თითქმის 50%-ით დაბალია.

აუცილებელია გაკეთდეს ხელფასის სრული გენდერული დიფერენციაციის ანალიზი, რომელიც გულისხმობს როგორც შიდასაწარმოო დონეზე, ასევე დარგთაშორისი ხელფასის გენდერული დიფერენციაციის შესწავლას, დასაქმების სტატუსის მიხედვით დასაქმებულთა შემოსავლების შესწავლას და ა.შ.

შრომის უფლებების დაცვა სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დარღვევის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. განსაკუთრებული პრობლემაა დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვა. ხშირია ქალთა მიმართ სამართლებრივი უფლებების დარღვევის ფაქტები. შრომის კანონთა კოდექსით კონკრეტულადაა განსაზღვრული, თუ როგორი წესით ხდება დეკრეტული და უხელფასო შვებულებების გაცემა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში, რა გარანტიები არსებობს სამუშაოზე მიღებისას და სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში რა პრივილეგიები აქვთ ორსულ ქალებსა და იმ დედებს, რომელთაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ. სამწუხაროდ, ბევრ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში დაინერგა ისეთი მავნე პრაქტიკა, როცა დედების შრომით უფლებებს ყურადღება არ ექცევა.

ქალების პარალელურად, არც მამაკაცები არიან დაცული შრომით ურთიერთობებში. ადმინისტრაცია არცთუ იშვიათად უგულებელყოფს კანონმდებლობას, რის გამოც დაზარალებული ადამიანები სხვადასხვა ინსტანციაში ჩივიან.

აუცილებელია, შრომის კოდექსის პროექტის ავტორებს შევახსენოთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი აღიარებს ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა ორსულ ქალთა და მეძუძურ დედათა შრომის უფლება, რაც ახალი კოდექსის პროექტით სრულიად უგულებელყოფილი იყო. კერძოდ, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი არ შეიძლება გახდეს ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა. ეროვნულმა კანონმდებლობამ ხაზგასმით უნდა გამოხატოს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

უაღრესად მოუწესრიგებელ არაფორმალურ სექტორში, რომელიც შრომის უსაფრთხოების პირობების უგულებელყოფითა და შეღავათების ნაკლებობით გამოირჩევა, ძირითადად ქალები არიან დასაქმებული, რაც მათ ეკონომიკურ დაუცველობას განაპირობებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ სირთულე, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ეკონომიკურ საქმიანობასთან, როგორიცაა ქუჩის ვაჭრობა, სახლში წარმოებული პროდუქცია, რომელშიც ქალთა დიდი რაოდენობაა დასაქმებული.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი არეგულირებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს. მიუხედავად ამისა, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა კერძო სექტორში თითქმის არ გამოიყენება. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მოაწესრიგებს შინამოსამსახურეების არაფორმალურ სექტორს.

ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია და ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის რეკომენდაციები ადასტურებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ქალსა და მამაკაცს შორის უფლებამოსილებათა დაუბალანსებლობის შედეგია და ეს როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში ქალის სერიოზულ დისკრიმინაციას იწვევს. სამწუხაროდ, ხშირად არაადეკვატურად აისახება კავშირი ქალთა დისკრიმინაციას, სქესის ნიშნის მიხედვით ძალადობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას შორის.

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში. იგი ტაბუირებულ თემად რჩება, რომელიც, ჩვეულებრივ, აღიქმება როგორც პირადი, ოჯახური და არა როგორც მწვავე სოციალური პრობლემა. სწორედ ოჯახში გამოვლენილ ძალადობას აქვს ფსიქოლოგიურად დამანგრეველი ძალა. სწორედ სახელმწიფომ და მისმა ინსტიტუტებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა იზრუნონ ძალადობისაგან თითოეული ადამიანის დაცვაზე.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, პოლიციის უმოქმედობის გამო, ხშირად მოგვმართავენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში, სადაც მისი სრული იგნორირება ხდება. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსულია 17 განცხადება.

ვინაიდან სახელმწიფოში არ არის ჩამოყალიბებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამსახურები (საკონსულტაციო-სარეაბილიტაციო ცენტრები, თავშესაფრები და ა.შ.), შსს სხვადასხვა დანაყოფი (საპატრულო სამსახური და რეგიონული სამმართველოების საუბნო განყოფილებები (უბნის ინსპექტორები)) ერთადერთი უწყებაა, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მსხვერპლთა დაცვა და ძალადობის ფაქტების აღრიცხვა. ამდენად, ამ სტრუქტურების წარმომადგენელთა გათვითცნობიერება ოჯახური ძალადობის პრობლემაში, მსხვერპლთა დაცვისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირების საკითხებში მეტად აქტუალური საკითხია.

სახალხო დამცველის აპარატი და არასამთვრობო ორგანიზაცია – საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“ ერთობლივად ატარებენ ზემოაღნიშნული სამსახურების საქმიანობის მონიტორინგს, რომლის მიზანია, გაარკვიოს, თუ რა ქმნის მუშაობის სირთულეებს, არსებობს თუ არა მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმები და რა შეუწყობს ხელს საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. საუბრებისას და შევსებული კითხვარების მეშვეობით მიღებული მასალა მოგვცემს არსებული პრობლემის რეალურ სურათს და გამოავლენს შესაძლო ხარვეზებს, შეაფასებს პრობლემის სამართლებრივ მხარეს და ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცვის მექანიზმების დახვეწას.

სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობას აღნიშნულ სფეროში ართულებს „ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ“ კანონის არარსებობა. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი შემუშავებულია, მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდა მისი მიღება.

არსებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების შინაარსი ოჯახში მომხდარ დანაშაულებს მთლიანად არ მოიცავს და კანონმდებლობის ეფექტურობის დამადასტურებელ საკმარის არგუმენტად ვერ გამოდგება. კერძოდ:

- კანონში არ მოიაზრება ის, რომ ძალადობა ხდება ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე ემოციურად და ფინანსურად არიან დამოკიდებულნი. უფრო მეტიც, კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი ქალის მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.
- ოჯახური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობის დროს, როცა არ იკვეთება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მოძალადე რჩება იმავე სახლში, სადაც ცხოვრობს მსხვერპლი. მსხვერპლი იძულებულია, დატოვოს სახლი და ეძიოს თავშესაფარი ნათესავებთან, მეგობრებთან ან დარჩეს მოძალადესთან განმეორებითი ძალადობის საფრთხის ქვეშ.

- წინასწარი გამოძიების დროს, თუ მიღებული არ იქნა მოძალადის წინასწარ პატიმრობაში აყვანის გადაწყვეტილება, არ არსებობს მისი მხრიდან დაშინების, ანგარიშსწორების მუქარის ან განმეორებითი ძალადობისაგან მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმი.
- გაუმართავია წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო პროცესის მსხვერპლობისას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება.
- კანონმდებლობით არ არის შექმნილი სათანადო სამართლებრივი საფუძველი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული დაწესებულებების, მათ შორის თავშესაფრების, ფუნქციონირებისათვის.

აუცილებელია ძალადობის მსხვერპლის უფლებების დაცვის პოზიციიდან ისეთი კანონის მიღება, რომ იგი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად იქცეს.

კანონი უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას, ოჯახური ღირებულებების დაცვას, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნას. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კანონის ასამოქმედებლად აუცილებელია ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი თანხები.

ოჯახური ძალადობა კვეთს ყველა ნაციონალურ, კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესს და გვხვდება საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, განათლების, ასაკის, სოციალური კუთვნილებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.

ამის ნათელი მაგალითია საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი ჩახვაძისა და მისი მეუღლის, ეთერ ჭუმბურიძის, საქმე.

2005 წლის 13 სექტემბერს დახმარებისთვის განცხადებით მოგვმართა საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი ჩახვაძის მეუღლემ, ეთერ ჭუმბურიძემ. როგორც იგი აღნიშნავდა, მას და მის მეუღლეს შორის არსებული კონფლიქტის გამო (საქმე განქორწინების შესახებ განსახილველად იმყოფებოდა რუსთავის სასამართლოში) გ. ჩახვაძე უკრძალავდა ორი შვილის (8 და 10 წლის) ნახვას, ემუქრებოდა ფიზიკური განადგურებით, არაერთხელ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, მისი თქმით, 2005 წლის 16 აგვისტოს ე.ჭუმბურიძე მივიდა თავისი უფროსი შვილის სანახავად (მისი დაბადების დღე იყო), სადაც გ.ჩახვაძემ იქ მყოფი საზოგადოების წინაშე მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ ე.ჭუმბურიძე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს შსს-ს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, სადაც ცნეს დაზარალებულად და დაუნიშნეს სამედიცინო ექსპერტიზა. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა თავისა და სხეულის დაზიანებები.

სახალხო დამცველის თანამშრომელი, ფაქტის გადამოწმების მიზნით, შეხვდა გ. ჩახვაძეს, რომელმაც დააფიქსირა თავისი პოზიცია იმის თაობაზე, რომ, პირველი, მის შვილებს უნდა ეცხოვრათ მასთან, რადგან მას უკეთესი საცხოვრებელი პირობები ჰქონდა და, მეორე, მის შვილებს დედის ნახვის სურვილი არ ჰქონდათ.

სახალხო დამცველის თანამშრომელმა განუმარტა, რომ ე. ჭუმბურიძეს ჰქონდა შვილების ნახვის უფლება, რის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელსა და გ.ჩახვაძეს შორის შედგა „ჯენტლმენური“ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ე. ჭუმბურიძეს მიეცემოდა ბავშვების ნახვის შესაძლებლობა, ოღონდ იმ პირობით, რომ ის ბავშვების სანახავად მარტო, თანმხლები პირების გარეშე, უნდა მისულიყო. ამ მოლაპარაკების შემდეგ განვითარდა ცნობილი მოვლენები. კერძოდ, ე. ჭუმბურიძე დაადანაშაულეს გ. ჩახვაძის მკვლელობის მცდელობაში და დაპატიმრებულ იქნა, ხოლო მოგვიანებით დაპატიმრება შეეცვალა პოლიციის ზედამხედველობით. როგორც გ. ჩახვაძე აღნიშნავდა, ე. ჭუმბურიძემ ეზოში შემოსვლისთანავე ამოიღო იარაღი და 4-ჯერ ისროლა კარის მიმართულებით.

2005 წლის 6 ოქტომბერს გამოძიების მიერ დაინიშნა კომპლექსური ქიმიური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით, ე. ჭუმბურიძის ხელ-ჩანთაში, ქურთუკსა და სხვა ნივთებზე იარაღის კვალი არ აღინიშნა, ისევე როგორც არ აღმოჩნდა ე.ჭუმბურიძის ხელის მტევნებიდან აღებულ ანაწმენდებზე დენთის წვის პროდუქტებისათვის დამახასიათებელი კვალი, რომელიც გასროლის შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა (მცირე ინ-ტენსივობით მაინც) მსროლელის დიდ და საჩვენებელ თითებს შორის. ასევე, ექსპერტიზის დასკ-ვნით, გ. ჩახვაძის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე წარმოდგენილ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტზე ხელის თითების კვალი არ აღინიშნა.

ე. ჭუმბურიძის ჩვენებით: მას შემდეგ, რაც რუსთავის რაიონული სასამართლოს მიერ ე. ჭუმბურიძე ოფიციალურად განქორწინებულ იქნა გ. ჩახვაძესთან, დაუკავშირდა მას ყოფილი მეუღლე და შესთავაზა, მისულიყო მარტო მის სახლთან და ბავშვებს შეახვედრებდა გარეთ, ეკლესიის ეზოში, თავის მძღოლ ტარას გოგიჩაიშვილთან ერთად. ბავშვები ამ უკანასკნელს უნდა გამოეყვანა გარეთ. როდესაც ე. ჭუმბურიძე მივიდა გ. ჩახვაძის სახლის ეზოსთან, კარების გაღების შემდეგ ტარასმა (გ. ჩახვაძის მძღოლი) უთხრა, რომ გიორგი ბავშვებს გარეთ არ უშვებდა და თუ უნდოდა შვილების ნახვა, ეზოში უნდა შესულოყო. ამ მიზნით იგი შევიდა და დაჯდა ეზოში არსებულ სკამზე. მძღოლმა, რომელიც კარებთან გაჩერდა, დაუძახა, მისულიყო მასთან. მისვლისთანავე ტ.გოგიჩაიშვილმა მარცხენა ხელი ძლიერ მოხვია კისერზე და მარჯვენა ხელით, რომელზეც ცელოფანი ჰქონდა წამოცმული, იარაღით დაახლოებით ოთხჯერ თუ ხუთჯერ დამიზნებით ისროლა დახურული კარების მიმართულებით. შემდეგ ძალის გამოყენებით დააგდო დაბლა, ფილაქანზე და კობა ოსაშვილისა და უშანგი ჩახვაძის დახმარებით შეეცადა, ძალით დაედებინებინა ხელის თითები იარაღზე. ყოველივე ამის შემდეგ გამოჩნდა მისი ყოფილი ქმარი და დარეკა საპატრულო პოლიციაში მისი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე.

ამ ეტაპზე ქ.თბილისის პროკურორის სახელზე შეტანილია შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის მოთხოვნით. რაც შეეხება ბავშვების ნახვის უფლებას, მიმდინარე წლის 3 მარტს გ. ჩახვაძემ თავისი ინიციატივით შეახვედრა ბავშვები დედას, ხოლო ამის შემდეგ თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის დროებითი განკარგულების შესაბამისად, დედას უფლება მიეცა, ურთიერთობა იქონიოს შვილებთან კვირაში ორ დღეს – შაბათს და კვირას – დღის 12 საათიდან საღამოს 20 საათამდე, რასაც დაუბრკოლებლად იყენებს ე. ჭუმბურიძე.

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ბოლო 6 თვეში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 1469 ოჯახური კონფ-ლიქტი. აღნიშნული ციფრები რეალურ სურათს არ ასახავს. ვფიქრობთ, რომ სტატისტიკის დანერ-გვის გზების გამონახვა, სულ ცოტა, იმისათვისაა საჭირო, რათა ნათლად გამოჩნდეს საზოგადო-ებაში ამ პრობლემის არსებობა და მისი გადაჭრის აუცილებლობა.

საქართველოში, უფრო მეტად კი რეგიონებში, ჯერ კიდევ არსებობს ქალის მოტაცების ტრადიცია, რაც თავისთავად კრიმინალია და ისჯება კანონით. ადამიანის მოტაცება მძიმე დანაშაულია, მაგრამ როდესაც საქმე ვაჟის მიერ გოგონას მოტაცებას ეხება, ყოფით დონეზე ზოგჯერ ეს დანაშაულად არც ითვლება. ოჯახებს შორის ხდება მოლაპარაკება, რასაც მოჰყვება საქმის მიჩქმალვა ან ძალა-დობის საფუძველზე ოჯახის შექმნა. არადა, ამ დროს შეიძლება მოხდეს მრავალნაირი ძალადობა, რაც გამოიხატება მოტაცებით, გაუპატიურებით და ძალით დაქორწინებით. ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ზედმეტად მომთმენია ამ ძალადობის მიმართ, ამიტომ ვაჟები თითქმის დარწმუნე-ბულნი არიან, რომ მათ არავინ დასჯის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად:

2004 წელს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ცოლად შერთვის მიზნით 59 გამტაცებელს.
2005 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია 283 გატაცება.

პირველ ყოვლისა, საზოგადოების გაცნობიერება და სამართლებრივი განათლების ამაღლებაა სა-ჭირო, რადგან ამგვარი ფაქტები ოჯახის ლოკალურ პრობლემად და კონფლიქტად აღიქმება.

17

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული ღონისძიებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების მიზნით, 2005 წელს წარიმართა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებშიც მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტები.

სემინარი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის და სამხრეთ კავკასიის ადამიანის უფლებების დამცველი ეროვნული ორგანიზაციებისათვის ჩატარდა თბილისში 2005 წლის 17-21 ივნისს.

სემინარის მიზანი იყო ადამიანის უფლებების დამცველი ეროვნული ორგანიზაციების ცოდნის გაღრმავება საერთაშორისო სტანდარტების სფეროში და სამხრეთ კავკასიაში მათი ურთიერთთანამშრომლობის წახალისება.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებმა. სემინარს დაესწრო 5 წარმომადგენელი სომხეთიდან, 5 – აზერბაიჯანიდან, 16 – საქართველოდან. სემინარის მონაწილეებს მიესალმა გაეროს კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ბ-ნი ლანს კლარკი, საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი, და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ბრაიან ბურდეკინი.

სემინარის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ბრაიან ბურდეკინი და ამავე ინსტიტუტის უფროსი ტექნიკური მრჩეველი ბ-ნი ბილ ჩაპმენი.

სემინარის დღის წესრიგი ფოკუსირებული იყო ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმების როლზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. სემინარის სესიებზე განხილული იყო ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების მართვისა და პარლამენტთან თანამშრომლობის საკითხები. სპეციალური სესიები მიეძღვნა სტრატეგიებისა და სამუშაო გეგმების, შეფასების სქემებისა და კრიტერიუმების, ასევე ადამიანის უფლებების დამცველი ეროვნული ორგანიზაციების მიერ დაცვის მონიტორინგის შემუშავების საკითხებს. სემინარის პირველ დღეს განიხილულ იქნა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ამ სფეროში არსებული პრობლემური საკითხები.

თითოეული ქვეყნის წარმომადგენელმა მიმოიხილა ადამიანის

უფლებების დაცვის სფეროში მათ ქვეყანაში არსებული სიტუაცია, მათი ორგანიზაციების სტრუქტურა, პრობლემები და გამოცდილებები. პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკუსიები.

სემინარის ფარგლებში სომეხი და აზერბაიჯანელი მონაწილეები ეწვივნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და გაეცნენ მის მუშაობას. სემინარი გაშუქებული იყო მასმედიის საშუალებებით.

2005 წლის 20-24 მაისს გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის პირველი ტრენინგი თემაზე: „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემა“.

დამსწრეთ ტრენინგის გახსნაზე მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი, გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსი ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი, აგრეთვე რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროგრამის ოფიცერი ქ-ნი ლისა გრანსი.

ტრენინგის მიზანი იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების ცოდნის გაღრმავება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემის საკითხებში, მათი მანდატისა და ფუნქციების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით.

ტრენინგს ესწრებოდა სახალხო დამცველის აპარატის 35 თანამშრომელი. ტრენინგის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: ბ-ნი ედვინ ბერი, გაეროს მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში მონგოლეთიდან; ბ-ნი რალფ ალეველტი ფრანკფურტის ვიადრინას უნივერსიტეტიდან და ქ-ნი მარინა კვაჭაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ტრენინგის პირველი დღე მიეძღვნა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემის ზოგად მიმოხილვას და საქართველოში არსებულ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს. აგრეთვე მიმოხილულ იქნა: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონვენცია, და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, ყოველი საკითხის შემდეგ განიხილებოდა კაზუსები და ხდებოდა მათი ანალიზი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების ტრენინგის საჭიროება. აღნიშნულ თემას მიეძღვნა ორი თემატური ტრენინგი.

თემატური ტრენინგი №1 – „დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებები საქართველოსა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის თანახმად“ – ჩატარდა 2005 წლის 6-8 ივლისს.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის 34-მა თანამშრომელმა. დამსწრეთ მიესალმნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციისა და განათლების დეპარტამენტის უფროსი ქ-ნი ანა ჟვანია და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროგრამის ოფიცერი ქ-ნი ლისა გრანსი. სემინარის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ ბ-ნები: ალან სიმონსი, გიგლა აგულაშვილი და ირაკლი კოტეტიშვილი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავებაში. საერთაშორისო ექსპერტებმა განიხილეს საერთაშორისო სამართლის თანახმად დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებები – თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები და პროცედურული გარანტიები, ხოლო ეროვნული ექსპერტების განხილვის საგანი იყო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლების დაცვა. სემინარის მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად, კაზუსების გასაანალიზებლად.

თემატური ტრენინგი №2 – „ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები წარმოების პროცესში და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ – ჩატარდა 2005 წლის 11-13 ივლისს სახალხო დამცველის ოფისში.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის 35-მა თანამშრომელმა. სემინარის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: საერთაშორისო ექსპერტი ბ-ნი ალან სიმონსი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ქ-ნი ანა დოლიძე და იურისტი ქ-ნი ეკა ბესელია.

ბ-ნმა ალან სიმონსმა განიხილა სამოქალაქო და პოლიტიკური საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის თანახმად ბრალდებულ პირთა უფლებები – უფლება სამართლიან და დამოუკიდებელ განხილვაზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ეროვნულმა ექსპერტებმა განიხილეს საქართველოს კანონმდებლობით თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებები და უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხები. სემინარის ბოლო დღე დაეთმო კაზუსების განხილვას.

თემატური ტრენინგი №3 – „დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლის თანახმად და საქართველოს კანონმდებლობა“ – ჩატარდა 2005 წლის 12-14 ოქტომბერს.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის 18-მა თანამშრომელმა. დამსწრეთ სემინარის გახსნაზე მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ბრაიან ბურდეკინი.

ბ-ნი ბრაიან ბურდეკინი შეეხო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ორგანიზაციების საქმიანობას ადამიანის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ასევე, მიმოიხილა დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხი გაეროსა და ევროპულ სისტემებში. სემინარის მესამე დღეს მონაწილეებმა განიხილეს კაზუსები.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა ანა დოლიძემ და ადგილობრივმა ექსპერტმა ქალბატონმა ლია სანიკიძემ ფასილიტატორობა გაუწიეს სემინარს, რომელიც ეხებოდა საქართველოში გენდერული და რელიგიური დისკრიმინაციის საკითხებს.

თემატური ტრენინგი №4 – ქალთა და ბავშვის უფლებებზე ჩატარდა 2006 წლის 16-18 იანვარს. სემინარი ორგანიზებული იყო პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან ერთად.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო ოცდახუთი მონაწილე. მონაწილეებს მიესალმნენ სახალხო დამცველი ბატონი სოზარ სუბარი, გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსი ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი, რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროგრამის ოფიცერი ქ-ნი ჯენი სვედბერგი და პარლამენტის წევრი ქ-ნი გუგული მაღრაძე.

სემინარის ფასილიტატორად მოწვეული იყო რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის წარმომადგენელი ქ-ნი ილარია ბოტილიერო. ქ-ნმა ბოტილიერომ მიმოიხილა სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი საკითხები, ტრეფიკინგი და ძალადობრივი პროსტიტუცია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. ეროვნულმა ექსპერტმა ქ-ნმა ნინო ციხისთავმა და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენელმა ქ-ნმა დარეჯან ლეკიაშვილმა ჩაატარეს დისკუსია საქართველოში ქალთა უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით. დისკუსიის ძირითადი საკითხი იყო გენდერული დისკრიმინაცია და ძალადობა ქალთა მიმართ. ქ-ნი ლონდა ესაძე მოწვეული იყო ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

უკანასკნელ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი გახდა პაციენტთა უფლებების დაცვა. გამომდინარე აქედან, სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოიკვეთა პაციენტთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რაც გამოვლინდა პაციენტთა უფლებების ცენტრის შექმნით.

ამასთანავე, 2006 წლის 23-25 თებერვალს ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის უფლების მე-5 თემატური სემინარი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის.

სემინარში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის თექვსმეტმა თანამშრომელმა და მონიტორინგის საბჭოს წევრებმა. მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი და პროგრამის ოფიცერი რაულ ვალენბერგის ინსტიტუტიდან ქ-ნი ჯენი სვედბერგი.

სემინარზე ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: საერთაშორისო ექსპერტი ბ-ნი აარტ ჰენდრიქსი და ჯანმრთელობისა და ბიოეთიკის საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი გივი ჯავაშვილი. სემინარის დღის წესრიგი ითვალისწინებდა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვის უფლებებს, ჯანმრთელობის დაცვის უფლების დარღვევის ფაქტებს. ბ-ნმა გივი ჯავაშვილმა გააკეთა პრეზენტაცია ჯანმრთელობის დაცვის უფლების შესახებ საერთაშორისო განვითარების კონტექსტში.

2006 წლის 1 იანვარს საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი შევიდა ძალაში და საქართველოს სახალხო დამცველის თხოვნით, 2006 წლის 17-21 თებერვალს ჩატარდა პირველი ტექნიკური ტრენინგი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღი სახალხო დამცველის აპარატის თვრამეტმა თანამშრომელმა. ტრენინგზე ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ზაზა მეიშვილი და საერთაშორისო ექსპერტი ბ-ნი რალფ ალეველტი. ბ-ნმა ზაზა მეიშვილმა იმსჯელა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, კანონის წინაშე თანასწორობაზე. ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ბ-ნმა რალფ ალეველტმა ისაუბრა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საერთაშორისო სასამართლოზე, პროცესის ხანგრძლივობასა და აპელაციის უფლებაზე. კაზუსების განხილვის მიზნით ტრენინგის მონაწილეები დაიყვნენ ჯგუფებად.

სემინარების ციკლი საქართველოს რეგიონებში სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული წარმომადგენლების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა:

- 2005 წლის 14-16 სექტემბერი, ქუთაისი, იმერეთი
- 2005 წლის 20-22 სექტემბერი, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი
- 2005 წლის 18-20 ნოემბერი, ბათუმი, აჭარა

პირველი რეგიონული სემინარი ჩატარდა 2005 წლის 14-16 სექტემბერს იმერეთში (ქუთაისი), სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული წარმომადგენლობის ოფისში.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო პროკურატურის, პოლიციის, ფინანსური პოლიციის, პენიტენციარული სისტემის, სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ად-

ვოკატურის 25 წარმომადგენელი. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ადამიანის უფლებების სფეროში.

ტრენინგის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქ-ნი მარინა კვაჭაძე და თბილისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ზაზა მეიშვილი. სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რეგიონული წარმომადგენლობის უფროსმა ბ-ნმა გიორგი მშვენიერაძემ საზოგადოებას გააცნო იმერეთში ადამიანის უფლებების დაცვის ზოგადი მდგომარეობა და ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებების იმ დარღვევებზე, რომლებიც უფრო ხშირად იჩენენ თავს ამ რეგიონში. სემინარის მთავარი თემა იყო დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო პროცესზე, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების საკითხი.

მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნ სოზარ სუბარი. სემინარი გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიითა და პრესით.

2005 წლის 20-22 სექტემბერს გაიმართა მეორე რეგიონული სემინარი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო პროკურატურის, პოლიციის, ფინანსური პოლიციის, პენიტენციარული სისტემის, სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციების 25 წარმომადგენელი. სემინარის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: პროფ. მარინა კვაჭაძე და ბ-ნი ზაზა მეიშვილი.

სემინარი გახსნა სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველოს ხელმძღვანელმა ბ-ნმა ბექა მინდიაშვილმა. სემინარი გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

2005 წლის 18-20 ნოემბერს ბათუმში (აჭარა) ჩატარდა მესამე რეგიონული სემინარი.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო პროკურატურის, პოლიციის, ფინანსური პოლიციის, პენიტენციარული სისტემის, სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადვოკატურის 25 წარმომადგენელი. მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი. ბ-ნმა სუბარმა ისაუბრა სახალხო დამცველის მანდატსა და ფუნქციებზე, პრაქტიკაში მიღებულ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე.

სემინარის დღის წესრიგი ითვალისწინებდა შემდეგი თემების განხილვას: საერთაშორისო სტანდარტები დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებების დაცვის სფეროში, უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების საკითხები.

ტრენინგებზე ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ: იურისტი ქ-ნი ეკა ბესელია და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ზაზა მეიშვილი.

საზაფხულო სკოლა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის

სახალხო დამცველის აპარატის 4 თანამშრომელი: სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში თეონა კუჭავა, სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაცი-

ული სამართლის დეპარტამენტის თანამშრომელი ნატალია ცაგარელი, მართლმსაჯულების სამმართველოს თანამშრომელი ლანა გალდავა, მოქალაქეებთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომელი თამარ სართანია არჩეულნი იყვნენ ფრანკფურტის ვიადრინის უნივერსიტეტში საზაფხულო კურსის გასავლელად.

საზაფხულო კურსი, ძირითადად, ეხებოდა ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სისტემას. ყურადღება გამახვილებული იყო ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის საბჭოს პრინციპებზე (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია), საერთაშორისო საჯარო სამართალის პრობლემებსა და პრაქტიკულ ინსტიტუციურ საკითხებზე, როგორებიცაა გასაჩივრების პროცედურები და ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები.

სემინარი – „პროკურორების როლი ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში“ – ჩატარდა თბილისში 2005 წლის 28-30 ოქტომბერს.

სემინარზე ფასილიტატორად მოწვეული იყო ქ-ნი კაროლ ნოვაკი. გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა ქ-ნმა თამარ თომაშვილმა წაიკითხა ლექცია ადამიანის უფლებების დაცვაში პროკურატურის როლის შესახებ.

საერთაშორისო ექსპერტმა ქ-ნმა კაროლ ნოვაკმა ისაუბრა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ კონტროლის განხორციელების, მტკიცებულებათა შეფასებისა და წამების აკრძალვის შესახებ.

სემინარს ესწრებოდა გენერალური პროკურატურისა და თბილისის რაიონული პროკურატურების 25 წარმომადგენელი.

გახსნით სხდომაზე მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს სახალხო დამცველი ბ-ნი სოზარ სუბარი და გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსი ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი.

სემინარი მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების სფეროში ცოდნის გაღრმავებას და ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის გაძლიერებას.

2005 წლის 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე მოსამართლეებისათვის გაიმართა ადამიანის უფლებათა პრობლემებთან დაკავშირებული სემინარი.

გახსნით სხდომაზე სემინარის მონაწილეებს მიესალმნენ ბ-ნი სოზარ სუბარი, ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელმაც ისაუბრა ადამიანის უფლებების დაცვაში მოსამართლეების როლზე, სასამართლოს სისტემაში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო 25 მოსამართლე, მათ შორის ახალდანიშნული მოსამართლეები.

სემინარის ფასილიტატორებად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტი ბ-ნი კაროლ ნოვაკი და იურისტი ეკა ბესელია.

სემინარის დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: მოსამართლეთა როლი ადამიანის უფლებების დაცვაში; მოსამართლეთა აქტიურობა დემოკრატიის წინააღმდეგ, სამართლიანი სასამართ-

ლოს უფლება გაეროსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში; სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა საქართველოში, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაზე კონტროლის განხორციელება. ასევე გაიმართა დისკუსია მტკიცებულებათა შეფასებასა და წამების აკრძალვაზე.

ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ პირველი სემინარი ჩატარდა თბილისში 2005 წლის 17-19 ოქტომბერს.

სემინარი გახსნა საქართველოს სახალხო დამცველმა ბატონმა სოზარ სუბარმა. სემინარის გახსნის ოფიციალურ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს: იუსტიციის მინისტრმა ბატონმა კონსტანტინე კემულარიამ, ჯანდაცვის მინისტრმა ბატონმა ლადო ჭიპაშვილმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბატონმა გიორგი არველაძემ, ასევე, გაეროს კოორდინატორმა და განვითარების პროექტის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ბატონმა ლანს კლარკმა და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის მოწვეულმა პროფესორმა ბატონმა ბრაიან ბურდეკინმა.

პირველ სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ: მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სემინარის ფასილიტატორები იყვნენ: რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ბრაიან ბურდეკინი და შვედეთის იუსტიციის მინისტრის სპეციალური მრჩეველი ქ-ნი პერნილა ბერლინი, რომელმაც სემინარის მონაწილეებს გაუზიარა ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების შვედეთის გამოცდილება.

სემინარის დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის ძირითადი ელემენტები, ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების შედეგები საქართველოსათვის, ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესი.

მეორე სემინარი ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხებზე ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში 2005 წლის 9-11 ნოემბერს.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო 35 მონაწილე სამთავრობო სტრუქტურებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სახალხო დამცველის აპარატიდან.

პროფესორი ბრაიან ბურდეკინი და ქალბატონი ულრიკე შუერმანი მოწვეულნი იყვნენ სემინარის მოდერატორებად. სემინარის დღის წესრიგი მოიცავდა ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების შემდგომი ნაბიჯების განხილვას, ასევე ადამიანის უფლებების ეროვნული გეგმების შემუშავების თემას საერთაშორისო კონტექსტში – ათასწლეულის განვითარების მიზნები, ადამიანის უფლებები და საერთო სოციალური პასუხისმგებლობა.

სემინარზე ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჯგუფი კანონის უზენაესობის, ჯანმრთელობის დაცვისა და უმცირესობების საკითხებზე. სამივე ჯგუფმა ჩაატარა პრეზენტაციები აღნიშნულ სამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და დასახეს მათი დაძლევის გეგმები.

18 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები

რეკომენდაციები წამებასთან დაკავშირებით

წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრა შენარჩუნებულ იქნეს ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტად;

უზრუნველყოფილ იქნეს ადეკვატური დაცვა იმ დაკავებულთათვის, რომლებიც შეიტანენ საჩივარს წამების ან სხვა სასტიკი მოპყრობის თაობაზე, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, საჩივარი შეიტანონ სამომავლო დევნისა ან შურისძიების შიშის გარეშე;

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გაიწვრთნან წამების გარეშე გამოძიების მეთოდების გამოყენებაში, მათ ასევე უნდა ასწავლონ დაკავების დროს მხოლოდ კანონიერი და პროპორციული მეთოდების გამოყენება;

უზრუნველყოფილ იქნეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ საიდენტიფიკაციო ნიშნების მუდმივად ტარება დაპატიმრებისას, ასევე დაკავების დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულებისას და დაკავებულებსა და პატიმრებთან შეხვედრისას;

აიკრძალოს ნიღბებისა და სხვა პოლიციელის ვინაობის დამფარავი საშუალების გამოყენება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აუცილებლობა აიხსნება პოლიციის თანამშრომლის უსაფრთხოების მოსაზრებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყოველ თანამშრომელს, მათ შორის სპეც-დანიშნულების რაზმის წევრებსაც, ეკეთოთ პირადი განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად პირადი ნომერი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პირის ამოცნობა;

რეკომენდაცია შს სამინისტროს

პოლიციის რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს მუნიციპალური პოლიციის შექმნა.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების სისტემისთვის

მოხსენებაში ასახული ფაქტებისა და პირობების მიხედვით შესაბამის ორგანოებს მივმართავთ რეკომენდაციით:

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

2006 წლის 24 იანვარს ბათუმის №3 საპყრობილეში ჩატარებუ-

ლი სპეცოპერაციის შედეგად პატიმართა მიმართ გამოყენებული ძალის, ცემის, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტზე დაიწყოს წინასწარი გამოძიება;

დაიწყოს წინასწარი გამოძიება იმ ფაქტის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ამოღებული აკრძალული ნივთები, რომლებიც პატიმრების პირად ნივთებთან ერთად უნდა ინახებოდეს, არის თუ არა აღნუსხული და დართული მათ პირად ნივთებს და თუ სად წავიდა ჩხრეკების შედეგად ამოღებული ის ნივთები, რომლებიც აკრძალული არ იყო და შეიძლებოდა ჰქონოდათ პატიმრებს;

დაიწყოს წინასწარი გამოძიება 2006 წლის 26 იანვარსა და 6 თებერვალს ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლების მიერ პატიმრების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით.

დაიწყოს წინასწარი გამოძიება ქუთაისის საპყრობილის თანამშრომელ პაატა ლომსიანიძის შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:

უმოკლეს ვადაში დამთავრდეს პატიმრობის შესახებ კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა სასჯელაღსრულების ყოველ დაწესებულებასთან. ამასთან, კომისიის წევრებს მიეცეთ უფლება, არა მხოლოდ სამუშაო საათებში, არამედ კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევიდნენ დაწესებულებაში, შეხვდნენ და გაესაუბრონ პატიმარს პირისპირ, ერთი ერთზე და დაუბრკოლებლად დაათვალიერონ ნებისმიერი საკანი, სათავსო თუ სხვა ოთახი. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა კომისიის წევრებს ხელი შეეშლებათ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, გატარდეს დისციპლინური ზომები დამრღვევი პირების წინააღმდეგ.

აიკრძალოს სპეციალური დანიშნულების რაზმისა თუ სხვა თანამშრომლების მიერ ნიღბებისა და სხვა ვინაობის დამფარავი საშუალების გამოყენება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აუცილებლობა აიხსნება თანამშრომლის უსაფრთხოების მოსაზრებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველ თანამშრომელს, მათ შორის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებსაც, ეკეთოთ პირადი განმასხვავებელი ნიშანი, მაგალითად პირადი ნომერი, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პირის ამოცნობა;

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პატიმრებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ შეუზღუდავი რაოდენობით ამანათები, ასევე გზავნილები წონით თვეში არა უმეტეს 30 კილოგრამისა და ამ წონაში არ უნდა შედიოდეს პირველადი მოხმარების ნივთები, თეთრეული და ტანისამოსი;

მოწესრიგდეს ოთახები ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებისათვის და არ შეიზღუდოს პატიმრების უფლება, ისარგებლონ პაემანით დადგენილი ოდენობითა და წესით;

იმ პატიმრებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ მკურნალობას და რომლებსაც სასჯელის სახედ ან აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვთ საპყრობილეში მოთავსება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოხდეს იზოლირებული საკნების (პალატების) შექმნა და აღნიშნული პატიმრების სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

მიეცეთ პატიმრებს საშუალება, ყოველდღიურად ისარგებლონ გასეირნებით კანონით დადგენილი წესით და აღნიშნული უფლების შეზღუდვა არ ხდებოდეს გასასეირნებელი ოთახების მოუწესრიგებლობის მიზეზით;

გამოინახოს საჭირო თანხები, რათა მოხდეს კვების ორგანიზება იმ სტანდარტებით, რაც დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი 1999 წლის 22 დეკემბრის №5/500/ო ბრძანებით მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ;

შეძენილ იქნეს პატიმართა სასამართლო პროცესებზე ბადრაგირებისათვის საჭირო რაოდენობის ავტომობილები;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

მძიმე ავადმყოფ პატიმართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შეძენილ იქნეს რეანიმობილი, რომელიც პატიმართა რეგიონებიდან ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

რეკომენდაციები ფსიქიატრიის სფეროში

ზოგადი რეკომენდაციები

ჩვენი ზოგადი რეკომენდაციები ორ ფუნდამენტურ საკითხს მოიცავს და პარლამენტს მოიაზრებს როგორც შემსრულებელსა და ფასილიტატორს:

1. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის დახვეწა;
   საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება, ანუ ახალი, თანამედროვე კანონის შემუშავება და მიღება არის აუცილებელი პაციენტების უფლებების უკეთ დაცვისათვის და ზოგიერთი სერიოზული ხარვეზის აღმოსაფხვრელად (მაგ., არანებაყოფლობითი სტაციონარირების პრაქტიკა); შემსრულებელი – საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
2. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კონცეფციის შემუშავება, სამოქმედო გეგმის შექმნა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყება – დახურული ინსტიტუციებიდან აქცენტის გადატანით თემზე ორიენტირებულ მომსახურებებზე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების თანმიმდევრული ჯაჭვის შექმნით; შემსრულებელი – საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

კონკრეტული რეკომენდაციები

ცხოვრების პირობების გაუმჯობესება

ამ რეკომენდაციაში ვგულისხმობთ, რომ თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობამ მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საავადმყოფოს გათბობა – როგორც პალატების, ასევე სამედიცინო პერსონალის ოთახებისა; პაციენტთათვის რეგულარული შხაპის მიღების უზრუნველყოფას; თეთრეულის რეგულარულ გამოცვლას, პაციენტების თბილი ჩასაცმლით, ფეხსაცმლითა და ასევე სათანადო რაოდენობის ჭურჭლით (ჭიქები, თეფშები, კოვზები) მომარაგებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ა.შ.) მათ უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ იზრუნოს, რომ პალატებში იყოს პაციენტთა პირადი ნივთების შესანახი ტუმბო/კარადა;

მოეწყოს სოციალური სივრცე, სადაც ტელეფონითა და ტელევიზორით სარგებლობის გარდა, პაციენტთათვის ხელმისაწვდომი იქნება გაზეთი, წიგნი, საწერ-კალამი, ქაღალდი, ა.შ.

აუცილებელია, დაწესებულებების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მინიმუმ 4-ჯერადი კვება, როგორც ეს მითითებულია ჯანდაცვის სამინისტროს ინსტრუქციაში „სამკურნალო დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის შესახებ“.

ადმინისტრაციის მიერ უნდა შემუშავდეს დაწესებულების შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სტანდარტებს დიფერენცირებული მკურნალობისა და რეაბილიტაციის მთელი სპექტრის შესახებ, მათ შორის:

- პაციენტთა მიღებას და გაწერას საავადმყოფოდან;
- აგზნებისა და აგრესიის შემთხვევების მართვას (ფსიქოტროპული მედიკამენტების დოზირება, ფიქსირების პროცედურა);
- აქტიური მკურნალობის პრინციპებს, ვადებს;
- რეაბილიტაციის მეთოდების გამოყენებას;
- პაციენტთა რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას ფიზიკური დაზიანებებისა და მათი წყაროს საიდენტიფიკაციოდ;
- პაციენტთა კონტაქტს „გარესამყაროსთან“;
- მათ ინფორმირებას საკუთარი უფლებების შესახებ;
- მედპერსონალის ქცევის ნორმებს და სხვ.

შემსრულებელი – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობა.

განათლება

ეს რეკომენაცია გულისხმობს განათლების დონის ამაღლებას საავადმყოფოებში, როგორც პერსონალის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ზრდის მხრივ, ასევე პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების განათლებას პაციენტის უფლებების შესახებ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეძლევა რეკომენდაცია, განაახლოს მკურნალობისა და მოვლის სტანდარტები და გაამკაცროს კონტროლი ამ სტანდარტების შესრულებაზე. ასევე, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დახვეწოს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა და შეიტანოს ამ პროგრამაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ეთიკის საკითხები.

რეკომენდაცია ეძლევა როგორც საავადმყოფოების ადმინისტრაციას, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამინისტროსთან არსებულ ფსიქიატრ-ექსპერტთა საკოორდინაციო პანელს, ასევე ამ პროცესში ჩართვისათვის მზად არის საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო, ასევე ეთხოვოს ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს:

- ტრენინგები სამედიცინო პერსონალისთვის ადამიანის უფლებებისა და სამედიცინო ეთიკის შესახებ;
- სპეციალური ტრენინგები სამედიცინო პერსონალისთვის – „ქცევის ნორმები პაციენტის აგზნებისა და აგრესიის შემთხვევაში“; ასევე „მკურნალობის თანამედროვე პრინციპები და მეთოდები“;
- ტრენინგები ნათესავთა და მეურვეთათვის, ასევე თავად პაციენტთათვის /რემისიის პირობებში/ – „პაციენტის უფლებები და მათი დაცვის გზები“;
- საზოგადოებრივი კამპანიები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერებისათვის.

რეკომენდაცია ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით:

- რეგულარული მონიტორინგი უფლებების დაცვისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, კლინიკების ღიაობისა და „გამჭვირვალობის“ ხელშეწყობისთვის:
- გასაჩივრების პროცედურის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს პაციენტთა უფლებების დარღვევების ფაქტების შესწავლა და რეაგირების მექანიზმის ამოქმედება.

შემსრულებელი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ასევე ამ პროცესში ჩაერთვება სახალხო დამცველის აპარატი და სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო.

რეკომენდაცია ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფიქიატრიული საავადმყოფოს ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად

ეს რეკომენდაცია გულისხმობს ფოთის საავადმყოფოში ისეთი საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელებას, რომლებიც უნდა დაიგეგმოს 3 ძირითადი მიმართულებით:

- საავადმყოფოს მკაცრი მეთვალყურეობის დაცვის სამსახურის გაძლიერება, რაც გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა: საინჟინრო-ტექნიკური გამაგრება, თვალთვალის, განგაშის, სიგნალიზაციის სისტემების დაყენება-ამოქმედება და სხვ. დაცვამ უნდა უზრუნველყოს საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსებულ ადამიანთა უსაფრთხოება, აღმოფხვრას გაქცევის რისკი და დაიცვას სამედიცინო პერსონალი შესაძლო აგრესიული ეპიზოდების დროს; **შემსრულებელი** – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და შსს სამინისტრო.
- საავადმყოფოში თერაპიული გარემოს შექმნა – ამჟამად საავადმყოფო უფრო ციხეს ჰგავს – 90-100 მძიმე პაციენტზე მხოლოდ 2 ექიმი ზრუნავს, პალატები მძიმე რკინის კარებით იკეტება და ა.შ. საჭიროა მედპერსონალის რიცხვის გაზრდა და მკურნალობის მეთოდების გაფართოება – ამჟამად მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობაა შესაძლებელი; **შემსრულებელი** – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; საავადმყოფოს ადმინისტრაცია.
- სამედიცინო პერსონალის სპეციალური მომზადება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა „ჩარევის გზები ფსიქიკური აშლილობების მქონე დამნაშავეთა სამკურნალოდ“; **შემსრულებელი** – ფსიქიატრიული ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საავადმყოფოს ადმინისტრაცია.

რეკომენდაციები სასამართლოსა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის

მოგვარდეს სასამართლოში საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვა და მოხდეს ვადის გაჭიანურების თავიდან აცილება.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხები საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის სასამართლო წესით დაკისრებული დავალიანებების სრულად გადასახდელად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

რეკომენდაციები ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით

- ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში შეიქმნას საყოველთაო სტანდარტები, რომლებიც მთელ სტრუქტურას შეეხება და რომელთა შესრულება სავალდებულო იქნება თითოეული მათგანისთვის. აღნიშნული დაგვიცავს ისეთი ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების არსებობისაგან, სადაც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვებისთვის აუცილებელ პირობებს.

- გადაიხედოს ასეთ ინსტიტუციებში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია, მოხდეს მათი გადამზადება.
- ბავშვობის ასაკის განსაზღვრა შეიცვალოს საქართველოს ყველა შესაბამის კანონსა და კანონქვემდებარე აქტში გაეროს ბავშვთა კონვენციის განსაზღვრის შესაბამისად – 18 წელი (ინსტიტუციებში გაიზარდოს ბავშვობის ასაკი 18 წლამდე.)
- საქართველოს ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის ტექნიკური სამდივნოს სამუშაო ჯგუფების მიერ მზადდება ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტები, როგორც ოჯახის ჩამნაცვლებელი და ოჯახის დამხმარე სამზრუნველო ობიექტებისათვის, ასევე არასრულწლოვან პატიმრებზე ზრუნვის სტანდარტებიც. სავალდებულოა, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა სამივე სამზრუნველო სასჯელაღსრულების ობიექტზე ბავშვზე ზრუნვის პირობები ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს.
- კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს მასწავლებლის, აღმზრდელის ან სამზრუნველო სასკოლო ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლის ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის საკითხი ბავშვის ადამიანური ღირსებისა და პატივის შელახვის შემთხვევაში.
- კანონით განისაზღვროს არასრულწლოვანთა ზედამხედველობის, ზრუნვისა და სამართალდარღვევის პრევენციის განმხორციელებელი უწყება.
- არასრულწლოვანთა ზედამხედველობის, ზრუნვისა და სამართალდარღვევების პრევენციის განმხორციელებელ უწყებას, რომლის მუდმივ წევრთა შორის უნდა მოიაზრებოდეს სოციალური მუშაკი, მიენიჭოს წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა მონახულების უფლება.
- აუცილებელია არასრულწლოვანთა და მათი ოჯახების სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შექმნა და მათი მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება.
- საჭიროა არასრულწლოვან დამნაშავეთა სახელმწიფო მონაცემთა ბანკის შექმნა.
- არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის მიმართ პრობაციის ღონისძიებებს უნდა ახორციელებდეს პენიტენციარული სისტემის სოციალური სამსახურის მუშაკი, ხოლო სოციალური სამსახური უნდა იყოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური კადრებით (სოციალური მუშაკებით, რომლებსაც აქვთ მიღებული შესაბამისი განათლება ან ტრენინგი არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კუთხით)
- შეიქმნას ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებზე ზრუნვის სისტემა და სტანდარტები, ჩამოყალიბდეს რეფერირების სისტემა და ოფიციალური მონიტორინგის მექანიზმი.
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაში დაფიქსირდეს ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სამსახურის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

რეკომენდაციები სიტყვის თავისუფლების სფეროში

- შიდა ქართლის რწმუნებულს, აგრეთვე თელავისა და გურჯაანის გამგებლებს მივმართავ რეკომენდაციით, ინფორმაციის გაცემის დროს იმოქმედონ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;
- მივმართავ წინადადებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, ჩაატაროს შეხვედრები რეგიონულ ტელეკომპანიებთან, რაც მისცემს საშუალებას, უშუალოდ მათგან მოისმინოს და გაითვალისწინოს არსებული პრობლემები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მივმართავ რეკომენდაციით, დროულად გამოიძიონ ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის თითოეული ფაქტი, მიუხედავად იმისა, ვისი მხრიდან ხორციელდება აღნიშნული ზეწოლა.
- საზოგადოებრივ ტელევიზიას მივმართავ რეკომენდაციით, გადაწყვიტოს კონტრაქტებთან დაკავშირებული პრობლემები და რაც შეიძლება მალე გადავიდეს გრძელვადიან კონტრაქტებზე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების დაცულობასა და დამოუკიდებლობას.
  მივმართავ წინადადებით ყველა კერძო საინფორმაციო საშუალებას, გადავიდნენ გრძელვადიან კონტრაქტებზე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების დაცულობასა და დამოუკიდებლობას.

რეკომენდაცია:

რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიისთვის მათ მიერ ოფიციალურად მოთხოვნილი ექვსი უმოქმედო ტაძრიდან (ეკლესია „შამხორეცოც სურბ ასტვაწაწინ“ (კარმირ ავეტარანოც), ქ.თბილისი; ეკლესია „სურბ მინას“, ქ. თბილისი; ეკლესია „მუღნუ სურბ გევორგ“, ქ. თბილისი; ეკლესია „სურბ ნშან“, ქ. თბილისი; ეკლესია „ნორაშენ“, ქ. თბილისი; ეკლესია „სურბ ნშან“, ქ. ახალციხე) სარგებლობაში იმ ტაძრების გადაცემა, რომელთა ისტორიული წარმომავლობა უდავოა და რომლებიც საქართველოს გასაბჭოებამდე სომხურ ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო ამ ექვსიდან იმ ტაძრების შესასწავლად, რომელთა ისტორიული წარმომავლობა არ არის ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი, შეიქმნას სახელმწიფო კომისია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. 11
ტელ.: 92 24 70, 92 24 77 ფაქსი: 92 24 70
ცხელი ხაზი: 99 58 98
ელ-ფოსტა:info@ombusman.ge

Designed by Besik Danelia

UNDP
გაეროს განვითარების
პროგრამა

ნორვეგიის
მთავრობა

საქართველოს
სახალხო
დამცველის
აპარატი